

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორია

სალომე ყორანაშვილი

პოლიტიკური ურთიერთობები საქართველოს, ამერიკის შეერთებულ
შტატებსა და რუსეთის ფედერაციას შორის 1991-1997 წლებში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის დოქტორის
(Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

სრული პროფესორი ვაჟა კიკნაძე



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი I. საბჭოთა კავშირის დაშლა, მისი გავლენა მოკავშირე რესპუბლიკების ბედზე და დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია. 3

თავი II. პოლიტიკური ურთიერთობები დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის 1991-1997 წლებში 26

თავი III. პოლიტიკური ურთიერთობები დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 1991-1997 წლებში 99

თავი IV. საქართველო – ამერიკის შეერთებული შტატები – რუსეთის ფედერაცია. 1997 წელი. 117

დასკვნა 137

დანართი საქართველო-რუსეთის ფედერაციასა და საქართველო-ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 1991-1997 წლებში დადებული ხელშეკრულებების ნუსხა. 159

გამოყენებული ლიტერატურა 176

**თავი I. საბჭოთა კავშირის დაშლა, მისი გავლენა მოკავშირე
რესპუბლიკების ბელზე და დასავლეთ ევროპისა და ამერიკის
შეერთებული შტატების პოზიცია**

თავის დროზე XIX საუკუნის ცნობილი გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსი, კ. კლაუზევიცი მიიჩნევდა, რომ რუსეთი ის ქვეყანა არ არის, რომელსაც გარედან დაიმორჩილებენ. მისი აზრით, საჭირო იყო ამ იმპერიის შიგნიდან დაცემა.

ასეც მოხდა, რუსეთის საბჭოური იმპერია თავად კომუნისტური პარტიის მიერ გატარებული რეფორმატორული ღონისძიებების შედეგად (ანუ შიგნიდან) დაირღვა. ყველაფერი კი მ. გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო.

თუმცა შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ პოლიტოლოგთა უმრავლესობა, აანალიზებს რა საბჭოთა იმპერიის დაცემას, დგას ნამდვილად რთული დილემის წინაშე – ეს დარღვევა გამოწვეული იყო მართლაც ქვეყნის შიგნიდან დემოკრატიული რეფორმების გატარების მცდელობით თუ იმპერია გარე სამყაროს (ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის წამყვანი ქვეყნების) შეთქმულების მსხვერპლი შეიქნა? ამ კითხვის შესახებ ე. ო. ჩემპილი თავის წიგნში „მსოფლიო პოლიტიკა გარდატეხის პროცესში“ მართებულად აღნიშნავს: „აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფლიქტის დასრულება შეიძლება აიხსნას ერთი მიზეზით და ამ საქმეში შეტანილი ორი წვლილით. ეს მიზეზი, სრულიად ცალსახად, კომუნისტური სისტემის უუნარობასა და ხელისუფლებისა და ეკონომიკის პოლიტიკურ სფეროებში მის არაპროდუქტიულობაში ძვეს. უმთავრესი წვლილი, უდავოდ, საბჭოთა კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფოს მეთაურმა მიხეილ გორბაჩივმა შეიტანა. მან მოსპო არა მხოლოდ ბრეჟნევისეული მსოფლიო პოლიტიკა, არამედ აღიარა აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური გავლენის სფეროს რღვევა, მას შემდეგ, რაც ეს პროცესი გარდაუვალი გახდა. მეორე, მართალია ნაკლებად მნიშვნელოვანი, მაგრამ, არავითარ შემთხვევაში, არა უმნიშვნელოდ დასაფასებელი წვლილი შეიტანა ზოგადად დასავლეთის, უპირველეს ყოვლისა კი, შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკამ, რომლებმაც კონფლიქტში საბჭოთა პოზიციის თვითლიკვიდაცია გონივრული თავშეკავებით მიიღეს“ (ჩემპილი 2003: 16).

ეხება რა ამავე საკითხს, ამერიკელი პოლიტოლოგი, პ. შვეიცერი თავის წიგნში „გამარჯვება – აშშ-ის ადმინისტრაციის ფარული სტრატეგიული როლი

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლაში“ აღწერს აშშ-ის რიგით 39-ე პრეზიდენტის, რ. რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკას და ასკვნის, რომ „პერესტროიკა“ (გარდაქმნა) სწორედ რეიგანის პოლიტიკის შედეგი იყო. მისივე მტკიცებით, ანტისაბჭოთა ოპერაცია ჯერ კიდევ 1981 წლის ზაფხულში დაიწყო და შეიდ წელიწადს გაგრძელდა, ხოლო მისი წარმატება სსრკ-ის სამხედრო სახელმწიფო ელიტის, კერძოდ კი, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის არაპროფესიონალიზმის შედეგი იყო (ნანიტაშვილი 2002: 526-527).

პოლიტოლოგთა და პოლიტიკოსთა ნაწილი იმასაც აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ბლოკის დაშლა, ხოლო ამის შედეგად ცივი ომის შეწყვეტა, გამოიწვია იმან, რომ ამ მიმართულებით სვლა ჯერ კიდევ ჯ. კარტერმა დაიწყო. „ერთი შეხედვით, შესაძლოა პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ 1978 წელს ჯ. კარტერმა ბოლო მოუღო აშშ-ის მიერ სამხედრო ხარჯების შემცირებას და ამგვარად შეეცადა საბჭოთა ექსპანსიონიზმის შეჩერებას თუ არა, შეზღუდვას მაინც. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ 70-იან წლების განმუხტვის პერიოდში მოსკოვს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია სამხედრო მშენებლობა. სწორედ ამიტომ გამოიწვია პრეზიდენტი კარტერის აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ კრემლში დიდი გაღიზიანება. იმასაც კი ამბობდნენ, რომ ვაშინგტონის პოლიტიკა მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირის ეკონომიკურად წელში გაწვევტასო“ (ბურდული 1990: 3).

ეხება რა მ. გორბახოვის რეფორმათა კურსს, ფ. ფუკუიამა თავის წიგნში „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“ აღნიშნავს, რომ არა რეფორმები „პერესტროიკისა“ და „გლასნოსტის“ (საჯაროობა) სახით, საბჭოთა კავშირი უბრალოდ დადგებოდა სერიოზული პრობლემების წინაშე როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო კონკურენციის თვალსაზრისით. „კერძოდ, პრეზიდენტი რეიგანის სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა მკაცრ პირობებს სთავაზობდა კომუნისტურ ბანაკს და ემუქრებოდა უვარგის ჯართად ექცია საბჭოთა ბირთვული არსენალის უმეტესი ნაწილი, რამდენადაც შესახელმწიფოთა მეტოქეობა უკვე მიკროელექტრონიკისა და სხვა უახლესი ტექნოლოგიების სფეროში გადაჰქონდათ, საბჭოთა ლიდერებს... კარგად ესმოდათ, რაოდენ გაუჭირდებოდა ბრეჟნევისაგან მემკვიდრეობით მიღებულ გახრწნილ ეკონომიკას ფეხი აეწყო სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის მიერ მართული სამყაროს მოთხოვნებისათვის და ამიტომ ერჩინათ დროებით კომპრომისზე წასულიყვნენ, საბოლოო ჯამში – ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით“ (ფუკუიამა 1999: 87).

ამავე თვალსაზრისით პრეზიდენტი რ. რეიგანის წვლილს აღიარებს ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი, ჰ. კისინჯერიც.

გარე სამყაროდან საბჭოური იმპერიის დაშლის აზრს ავითარებს კავებუ-ს ყოფილი თანამშრომელი, ფ. ბობკოვი თავის წიგნში „კვბ და ხელისუფლება“, როდესაც წერს, რომ II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გარე სამყარო საბჭოთა კავშირზე მასობრივ ზეწოლას ახორციელებდა, მოსკოვი კი ამას მეტად ზანტად და ნაკლებეფექტიანი პოლიტიკით პასუხობდა (ბობკოვი 2003: 40).

მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც გორბაჩოვმა მთელი საბჭოეთის მასშტაბით რეფორმების გატარება გადაწყვიტა, მისი სურვილი კავშირის დაშლა ანდა კომუნისტური პარტიის მმართველობისათვის წერტილის დასმა არ ყოფილა*. პირიქით, მის რეფორმებს იდეად ედო მთელი მოსახლეობის ჩართვა ერთიანი სახელმწიფოს ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებში და ამ გზით ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური რესტრუქტურისაცია. ერთ-ერთმა რუსმა მეცნიერმა, ლ. ვასილევმა ისიც კი აღნიშნა, რომ გორბაჩოვის მხრიდან სოციალიზმის არჩევანმა ქვეყანაში რეალური რეფორმების ჩატარების შესაძლებლობა გამოორიცხაო.

მაგრამ რეფორმების გატარების დროს გორბაჩოვს ქვეყნის მოწყობის ფედერაციული (თუ არ ვიტყვით იმპერიული) სახე არ გაუთვალისწინებია, რომ საბჭოთა კავშირში მრავალი (ათეულობით ზოგ შემთხვევაში კი ასეული) წლის განმავლობაში უამრავი ეთნოსი ერთმანეთთან რეპრესიებისა და იარაღის შიშის წყალობით იყო დაკავშირებული. სწორედ ამიტომ იყო, რომ გორბაჩოვმა დიდი გაკვირვება გამოხატა ქვეყანაში ავტონომიურობისა და თვითგამორკვევის მოთხოვნებით სავსე გამოსვლების აღზევების გამო. ამასვე მიანიშნებს მისი განცხადება, რომ მთიანი ყარაბაღის გარშემო ატეხილი მსჯელობა იყო „პერესტროიკის“ გულში ლახვარის ჩაცემა.

ამის შესახებ მოგვიანებით იგი განაცხადებს, რომ “გარდაქმნა” არც მისი, არც შევარდნაძისა და არც იაკოვლევის მოგონილი ყოფილა, არამედ დროის მოთხოვნა გახლდათ, სხვაგვარად ყველაფერი დაიდუპებოდა. მისი აზრით, დროზე რომ არ გატარებულიყო რეფორმების კურსი, ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები ისეთ დამანგრეველ ტენდენციას იძენდა, რომ მსოფლიო ომი სულაც არ იყო გამორიცხული. „მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მიმაჩნია, რომ უმთავრესში მართალი ვიყავით – საზოგადოება, სახელმწიფო, ღრმად გარდაქმნას მოითხოვდა. თუმცა, ჩვენ ყველაფერი ვერ გავითვალისწინეთ – მაგალითად, ვერ გავითვალისწინეთ

* სრულიად საპირისპიროს აცხადებს ი. ფროიანოვი. იხ. II. Фроянов «Погружение в Бездну», Москва: Алгоритм, 2001;

ნაციონალიზმის ძალა – ეს ჩვენი ყველაზე დიდი შეცდომა იყო“ (მსგეფსი 1997, №3: 3-4).

სწორედ ამიტომ იყო, როდესაც გორბაჩოვმა დაინახა, რომ რეფორმები საბჭოეთს დაშლით ემუქრებოდა, მოსკოვმა XXVII ყრილობაზე რეფორმატორული პოლიტიკისათვის წერტილის დასმა გადაწყვიტა. 1988 წლისათვის საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ იცოდა, რომ რეფორმებმა არ გაამართლა და შეეცადა შედეგების მოსპობას. რეფორმების ზოგიერთი გაბედული ასპექტი ჰაერში გამოკიდებული დარჩა (ბუკოვსკი 1990: 3). მაგრამ, საბედნიეროდ, უკვე ერთხელ აგორებული განმათავისუფლებელი ტალღა ინერციით წინ მიიწეოდა და მისი შეჩერება უკვე შეუძლებელი გახდა.

დასავლეთი და ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდნენ რეფორმებს, მაგრამ თავდაპირველად ეს მხოლოდ და მხოლოდ მათი ლიდერების სიტყვიერ გამოსვლებში, უმაღლესი დონისა თუ სხვა სახის შეხვედრებზე გაკეთებულ განცხადებებში გამოიხატებოდა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დასავლეთის ქვეყნებისაგან, კერძოდ კი – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთისაგან განსხვავებით, უარყო მისდამი მ. გორბაჩოვის წერილობითი თხოვნა პიუსტონის მსოფლიო ეკონომიკურ სამიტზე (*ჩატარდა 1990 წლის 9-11 ივლისს*) საბჭოთა კავშირისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევის თაობაზე. უარის მიზეზად სსრკ-ის მხრიდან კუბისათვის ყოველწლიურად 5 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობით ფინანსური დახმარების გაწევა დასახელდა. გარდა ამისა, ამერიკელი და კანადელი მეცნიერების გამოთვლებით, 1991-1992 წწ. საბჭოთა კავშირში ფართო მოხმარების საგნების წარმოება 40 %-ით შემცირდა, სამაგიეროდ ეროვნული მოგების 1/3-ს სამხედრო მრეწველობა შთანთქმავდა (ნოვოე ვრემია 1992, №10: 20-22). არც ისაა გამორიცხული, რომ ეს უარი ვაშინგტონის მიზანმიმართულ, საბჭოეთის თვითლიკვიდაციისათვის ხელშეწყობის გეგმაში შედიოდა. 1990 წლის 11 ივლისს „რადიო თავისუფლებისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ცნობილმა ამერიკელმა სოვეტოლოგმა, რ. პაიპსმა განაცხადა, რომ იგი რუსეთისათვის მსხვილი კრედიტის მიცემის წინააღმდეგი იყო და რომ საჭირო იყო მოსკოვისათვის მხოლოდ ტექნიკური სახის დახმარების აღმოჩენა და კონსულტაციების გაწევა. „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა (გფრ) და საფრანგეთის მოტივები პოლიტიკურია. გფრ იხდის გერმანიის გაერთიანებისათვის, საფრანგეთს კი ეშინია გერმანიის ცალმხრივი დაკავშირებისა რუსეთთან“ (კომერსანტი 1990, №: 28: 3).

საბჭოთა კავშირისათვის მსხვილი კრედიტების მიცემისაგან თავის შეკავებას ურჩევდა კანადის მთავრობას კანადელი პოლიტოლოგი, ი. ჰეროლიც: „ერთი დოლარიც კი არ უნდა ვასესხოთ, არც უნდა ვაჩუქოთ საბჭოთა კავშირს მანამ, სანამ კაპრიზული კოლონიის ფსიქოლოგია, რომლის პოლიტიკური მრწამსია „მომე, მომე, კიდევ მომე“, არ შეიცვლება... მარშალის გეგმა აუცილებელია, მაგრამ სასაცილოა ოფიციალური პირების განცხადებები: ფულს ჩვენ კი ავიღებთ, მაგრამ არავის მივცემთ უფლებას გაგვაკონტროლოს, თუ როგორ დავხარჯავთ მას, ვინაიდან ჩვენ ვართ ძლიერი სახელმწიფო. აქედან უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ საბჭოთა კავშირი ფულს არ მიიღებს“ (ნოვოე ვრემია 1991, №25: 22).

ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის, ზ. ბუეზინსკის აზრით კი, დასავლეთის მიერ საბჭოთა კავშირისადმი გატარებულ საგარეო პოლიტიკაში უპირატესობა უნდა მინიჭებოდა დემოკრატიულ რუსეთს, რომელიც მჭიდროდ ითანამშრომლებდა დასავლეთთან. ბუეზინსკის თქმით, ასეთი რუსეთი გახდებოდა ევროპის უმცროსი პარტნიორი უფრო სტაბილურ და თანამშრომლურ ურთიერთობებზე დამყარებული ევრაზიის შექმნაში. (ბუეზინსკი 1997: 66).

ამიტომ, საერთო ჯამში, დასავლეთის მხრიდან საბჭოთა კავშირისადმი იმდროინდელი დახმარებების ნუსხას თუ გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ, რომ იგი საბჭოეთის საზღვრებს შიგნით განვითარებულ მოვლენებს მეტად მოთმინებით და აუღელვებლად ადევნებდა თვალყურს. აშშ-ის 1990 წლის ეროვნული უშიშროების სტრატეგიის ანგარიშში ნათლად იკვეთება, რომ ვაშინგტონისათვის საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა რაღაც სისტემას, რომელიც იმყოფებოდა გარდატეხის პროცესში, ამიტომ ვაშინგტონის რეაქცია აქ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით მეტად ფრთხილი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ თუ გორბაჩოვის დროს, 1990-1991 წლებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, აშშ რუსეთისათვის ფინანსური დახმარებების აღმოჩენისაგან თავს იკავებდა, უკვე 1993 წლის მიწურულისათვის, როდესაც დასავლეთელი ანალიტიკოსების აზრით, ელცინისეული დემოკრატიული რეფორმების კურსი შეიქმნა კონსერვატორების მხრიდან თავდასხმის საგანი და ამით დემოკრატია რუსეთში საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, დასავლეთი უკვე შემოფოთდა რეფორმების კრახით დასრულების შესაძლებლობის გამო. (თუმცა, თუ იმ პერიოდის მოვლენებს თვალს გადავაავლებთ, ეჭვქვეშ დადგება ელცინის დემოკრატიული კურსი ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან მიმართებაში.

სხვათა შორის, ამ აზრს არა ერთი პოლიტოლოგი თუ პოლიტიკოსი ავითარებს. ამაზე კი ქვემოთ გვექნება საუბარი.) სწორედ დემოკრატიის გადასარჩენად აშშ-მა გამოყო პირველი მსხვილი დაფინანსება 43 მლრდ. დოლარის ოდენობით. ეს მოხდა ცოტა მოგვიანებით, მანამდე კი 1990 წლის 11 მარტს ლიტვის უზენაესმა საბჭომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რასაც სსრკ-ის დაშლის შეუქცევადი პროცესი მოჰყვა.

იმპერიის დაშლის შემდეგ ამიერკავკასიის ქვეყნები სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკების მსგავსად დამოუკიდებლობის გზაზე წარმოშობილი სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ. ეს პრობლემები კი მათ სხვადასხვაგვარი ჰქონდათ იმდენად, რამდენადაც სამივე მათგანი თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, ბევრიც საერთო იყო. მაგალითად:

- 1) გეოგრაფიული მდებარეობის ერთიანობის გარდა, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას, რომელიც რუსეთის იმპერიის ღირსეულ მემკვიდრეს წარმოადგენდა, ამიერკავკასიის სამივე ქვეყანა ერთიანი ცენტრის – მოსკოვის მიერ შემუშავებული საერთო ეკონომიკურ-პოლიტიკური გეგმის ჩარჩოებში იყო მოქცეული;
- 2) არცერთ მათგანში არ არსებობდა ის პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც აღნიშნულ ქვეყნებს დამოუკიდებლობის პირობებში შექმნილი ახალი სირთულეების წარმატებით გადალახვაში ხელს შეუწყობდნენ;
- 3) ამ ქვეყნებში შემავალი მოსახლეობის ეთნიკური სიტრელე (*ამ მხრივ, განსხვავებული მდგომარეობა სომხეთში*) კარგად უწყობს ხელს რუსეთს, რომ შეინარჩუნოს თავისი გავლენა რეგიონში (*საქართველოში – აფხაზეთი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი; აზერბაიჯანში – მთიანი ყარაბაღი, ლეკები*).

თუ როგორ გადაწყვეტდნენ ამიერკავკასიის ქვეყნები თავიანთ პრობლემებს, დიდად იყო დამოკიდებული როგორც მათ შიდა პოტენციაზე, ისე მათ მიერ გატარებულ საგარეო პოლიტიკურ კურსსა და გარე სამყაროსთან მათი ურთიერთობის ხარისხზე.

დასავლეთის პოლიტიკა ყოფილ სსრკ-ში შემავალი რესპუბლიკების მიმართ ძირითადად იმ მოსაზრებას ეფუძნებოდა, რომ მათი ეკონომიკური

ადმავლობა და საყოველთაო მშვიდობა თავისუფალი ბაზრის განვითარებას უნდა უზრუნველყოს.

მაგრამ, როგორც ჩანს, დასავლეთი მხედველობაში არ იღებდა ყოფილი რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებული ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების არსებობას.

ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან მოყოლებული, რუსეთის იმპერიაში ეროვნებათშორის შუღლის გაღვივებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. რუსეთის ხელისუფლება რომელიმე ან რამდენიმე ეთნიკურ ჯგუფს კომპაქტურად ასახლებდა უცხო ტერიტორიებზე და მათ მფარველობას გარკვეული პრიორიტეტების მინიჭებით უწევდა. ყველაფერი ეს კი „კაცთმოყვარეობისა“ და „ინტერნაციონალიზაციის“ ლოზუნგით ხორციელდებოდა. სწორედ მათზე დაყრდნობით რუსეთი არა ერთხელ შეეცადა (და ალბათ კიდევ შეეცდება) დესტაბილიზაციის შეტანას მის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში. როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, დესტაბილიზაციის ასეთი კერა პოსტსაბჭოურ სივრცეში 100-ზე მეტი წარმოიშვა (მედვედევი 2002: 99). რუსეთი სწორედ სხვადასხვა რელიგიურ თუ ეთნიკურ ჯგუფზე მანიპულირების გზით შეეცადა თავისი ჰეგემონიის რესტავრაციას ყოფილ რესპუბლიკებში და, მათ შორის, საქართველოშიც.

უკვე აღინიშნა, რომ ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკა ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება ეთნიკური, ლინგვისტური, რელიგიური და კულტურული შემადგენლობით.

საქართველოში ცხოვრობს 10-ზე მეტი არაქართული ეროვნების წარმომადგენელი. ქართველების უმრავლესობა ქრისტიანია, გამონაკლისს წარმოადგენენ აჭარლები (*იხილ არა მთელი მოსახლეობა. საბედნიეროდ, ამ ბოლო დროს კიდევ უფრო გამოიკვეთა ტენდენცია აჭარელი გამაჰმადიანებული ქართველების გაქრისტიანებისა*).

აზერბაიჯანის მოსახლეობის ძირითად ბირთვს აზერბაიჯანელებთან ერთად თალიშები (*ირანულად მოლაპარაკე ხალხი*) და ლეკები წარმოადგენენ, მათ მოჰყვებიან ქურთები, თათრები და სხვა მცირე ეთნიკური ჯგუფები. მოსახლეობის 70-75% მუსლიმანია (*შიიტური ფრთა*), თუმცა აგრეთვე არიან სუნიტები, ებრაელები და ქრისტიანები.

საქართველოსა და აზერბაიჯანისაგან განსხვავებით ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით სხვა ვითარებაა სომხეთში, რომლის მოსახლეობის ძირითად ბირთვს თავად გრიგორიანელი სომხები წარმოადგენენ.

საქართველოსა და აზერბაიჯანის მოსახლეობის ასეთი სიჭრელე პრობლემებს უქმნის აღნიშნულ ქვეყნებს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ქვეყნის შიგნით იგი ხელს უწყობს სეპარატისტული ტენდენციების განვითარებას, ხოლო გარე ძალებს კი მათზე მანიპულირების გზით ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობას.

მაგრამ, როგორც ცნობილი პოლიტოლოგი, ს. კორნელი აღნიშნავს, რეგიონში მცხოვრები ხალხების ეთნიკური და რელიგიური სიჭრელის მიუხედავად, XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან აქ წარმოებული კონფლიქტების (*მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, ქართულ-ოსური კონფლიქტი, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, კონფლიქტი ჩრდილოეთ ოსებსა და ინგუშებს შორის და ჩეჩნეთის ომი*) საფუძველს რელიგიური დაპირისპირება არ წარმოადგენდა, არამედ ეს იყო ბრძოლა „საკუთარი ტერიტორიის კონტროლისათვის“ და მან, ძირითადად, ის ეთნიკური ავტონომიები მოიცვა, რომელთა ლიდერები ცდილობდნენ მათ გამოგლეჯვას შესაბამისი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლისაგან (კორნელი 2003: 63).

აღნიშნული რეგიონი მთელი ისტორიის მანძილზე არა ერთხელ მოქცეულა ერთი ან რამდენიმე დამპყრობლის სამიზნე ობიექტად ან გავლენის ქვეშ. ჩვენი საკვლევი თემის სათაურიდან გამომდინარე ძირითადად სიტყვას შევაჩერებთ რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაზე საქართველოში. მაგრამ ვინაიდან ეს უკანასკნელი, არც თუ ისე იშვიათად, მოიაზრება ამიერკავკასიის რეგიონის ერთიან კომპლექსში, ზოგჯერ ძალაუნებურად ლაპარაკი გვექნება რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობებზე მთლიან რეგიონთან.

უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთმა (*ჯერ ცარიზმის, შემდეგ კი საბჭოთა პერიოდში*) ამიერკავკასიის პოლიტიკური და კულტურული რუკის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა. ცარიზმის დროს აქ გატარებული პოლიტიკური კურსი მოსახლეობის რუსიფიკაციისაკენ იყო მიმართული. რუსეთის ბატონობამ გავლენა იქონია რეგიონში არსებულ ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთობაზეც.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონი სწორედ რუსეთთან ურთიერთობით დაუკავშირდა ევროპულ სამყაროს და ახალ კულტურას ეზიარა, რამაც, თავის მხრივ, ევროპულ ქვეყნებთან კავშირის გაფართოებას შეუწყო ხელი. თუმცა ეს კავშირები არცთუ ისეთი მჭიდრო და ხშირი ხასიათის იყო და მხოლოდ ერთეული შემთხვევებით გამოიხატებოდა (*კათოლიკე მისიონერთა მოვზაურობა, ცალკეულ დიპლომატთა ვიზიტები და ა.შ.*).

რეგიონის ამჟამინდელი პოლიტიკური სისტემა, სოციალური სტრუქტურა და ეკონომიკური ინფრასტრუქტურა საბჭოთა პერიოდისა და სოციალისტური რეჟიმის განვითარების ნაყოფია. ასე რომ, საბჭოთა პერიოდში რუსეთთან ურთიერთობამ და, უფრო ზუსტად კი, რუსეთზე დაქვემდებარებამ დიდი დადი დაასვა არა მხოლოდ ამ ქვეყნებში ეროვნებათშორის ურთიერთობებს, არამედ მთელ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემებს.

უკვე XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებლობის მოპოვებისა თუ აღდგენის შემდეგ, რეგიონში შემავალი ქვეყნების მთავრობათა წინაშე უმთავრეს ამოცანად სწორი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრა დადგა. სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული მომავალში ამ ქვეყნების სუვერენიტეტის დამცავი მექანიზმების სიცოცხლისუნარიანობა და განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნის შესაძლებლობა.

აღნიშნული ქვეყნების საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში დიდი როლი ითამაშა მთელი რეგიონის მნიშვნელოვანმა გეოსტრატეგიულმა მდებარეობამ. ეს არის რეგიონი, რომლის გარშემოც ერთმანეთს სხვადასხვა მხარის ინტერესები ეჯახება. ეს ინტერესები პოლიტიკური და ეკონომიკური სახისაა, რომელთა შორისაც წამყვანი ადგილი კასპიის ენერგორესურსებსა და მათი ტრანსპორტირების გზებზე კონტროლის მოპოვებას ენიჭება. (*ძირითადი ნავთობსადენი მიღები საშუალებას მისცემს კასპიის ზღვის ენერგორესურსების მსოფლიო ბაზარზე გასვლას, რაც რეგიონისათვის როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისითაც მეტად ხელსაყრელია*). ამის შესახებ ქართველმა დიპლომატმა, ა. ჩიკვაიძემ აღნიშნა თავის სიტყვაში გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს გაერო-ში გაწევრიანების დღეს, 1992 წლის 31 ივლისს: „...რა შეიძლება შესთავაზოს დანარჩენ მსოფლიოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ტრადიციების ქვეყანამ – საქართველომ? უპირველეს ყოვლისა, იმის შესაძლებლობა, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა საერთაშორისო საქმეებში მნიშვნელოვან დადებით ფაქტორად აქციოს. ეს

ასპექტი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, რადგან საქართველო არა მარტო ევროპასა და აზიას, არამედ ჩრდილოეთსა და სამხრეთსაც აკავშირებდა. ეს უკანასკნელი კი წარმმართველი ტიპის ურთიერთობა შეიძლება გახდეს თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრებაში. ეს მსოფლიო თანამეგობრობის ახალი პოლიტიკური რეალობაა“ (ჩიკვაიძე 2004: 571).

XX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე ამიერკავკასიაში განვითარებული მოვლენების გაანალიზებისას პოლიტოლოგები ორ ძირითად ეტაპს გამოყოფენ: I) 1987-დან 1991 წლის დეკემბრამდე; II) 1992 წლის იანვრიდან – 1994 წლის გაზაფხულამდე. ეს პერიოდები ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, რომ პირველ შემთხვევაში ამიერკავკასიასთან დაკავშირებული საკითხები რუსეთის საშინაო საქმედ განიხილებოდა, ხოლო 1992 წლის იანვრიდან კი, რამდენადაც საბჭოთა კავშირის დაშლა ოფიციალურად უკვე იყო გამოცხადებული, ამიერკავკასიის საკითხმა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში გადაინაცვლა.

იმას, რომ დასავლეთის სახელმწიფოები და ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს რესპუბლიკის ახალგაზრდა სახელმწიფოს (და არა მხოლოდ მის) დასახმარებლად მაინცდამაინც დიდი აქტიურობით არ მოქმედებდნენ, მიანიშნებს ისევე ა. ჩიკვაიძის გამოსვლა იმავე ასამბლეაზე: „დღეს, საუკუნის მიწურულს, საქართველოს მიეცა დემოკრატიული განვითარების მეორე, უიშვიათესი შესაძლებლობა. მაგრამ, როგორც საქართველოს, ისე სხვა ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების ძალისხმევა ამოდ ჩაივლის, თუ დახმარების ხელს არ გამოგვიწოდებს დემოკრატიის სიკეთეს ნაზიარები დანარჩენი სამყარო. ჩვენ გულითად მადლობას ვუხდით ყველა იმ ქვეყანას და ორგანიზაციას, რომლებმაც გასული რამოდენიმე თვის მანძილზე ჩემს ქვეყანას მეტად საჭირო ჰუმანიტარული დახმარება გაუწიეს. მაგრამ ვშიშობ, რომ ეს ზღვაში წვეთია, უკეთეს შემთხვევაში კი მხოლოდ სულის მოთქმის საშუალებას მოგვცემს. მე ვლაპარაკობ მთავარი და მყარი ეკონომიკური ინფრასტრუქტურის შექმნისაკენ მიმართული ახალი სახის თანამშრომლობის უდიდეს მნიშვნელობაზე. ეს კი, თავის მხრივ, დიდად დაგვეხმარება დემოკრატიული ცვლილებათა შეუქცევადობის უზრუნველყოფაში...“ (ჩიკვაიძე 2004: 570).

ამ მხრივ საინტერესოა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, დ. ჰელდის განცხადებაც. როდესაც მას ჰკითხეს, თუ როგორ უდგებოდა ბრიტანეთის ხელისუფლება საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ, მინისტრმა უპასუხა, რომ: „უნდა

ერთმანეთისაგან გავარჩიოთ ბრიტანეთის მთავრობის მიდგომა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და დანარჩენი რესპუბლიკებისადმი. დიდ ბრიტანეთს არასოდეს უღიარებია ბალტიისპირეთის ანექსია 1940 წელს. რაც შეეხება დანარჩენი რესპუბლიკების დამოუკიდებლობას, ეს მათი პირადი საქმეა, რაც უნდა გადაიჭრას მხოლოდ ცენტრთან მოლაპარაკებების საფუძველზე“ (სიჩევი 1991: 23).

თუმცა უკვე 1991 წლის ზაფხულში ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის შემდეგ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ბ. ელცინმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა (უფროსმა) პირველად გამოთქვა ორ ეტაპზე, ანუ ერთის მხრივ, ცენტრსა და მეორეს მხრივ, რესპუბლიკებთან თანამშრომლობისათვის მზადყოფნა. ეროვნული უსაფრთხოების დარგში პრეზიდენტი ჯ. ბუშის მრჩეველმა, ბ. სკაუპროფტმა განაცხადა, რომ ბუში მზად არის ითანამშრომლოს რესპუბლიკებთან იმ სფეროებში, რომლებიც, ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების თანახმად, მათ კომპეტენციაში შევა: „საქმე არა იმდენად ამერიკის შეერთებული შტატების მიდგომის ცვლილებას ეხება, რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციას საბჭოთა კავშირის ევოლუციასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფოს, სადაც რესპუბლიკებს ჰქონდათ მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციები. ახლა კი ისინი წარმოადგენენ რეალურ სუბიექტებს, რომლებსაც უფლება მიენიჭათ განიხილონ თავიანთი ერთობის ახალი ფორმა“ (რუსაკოვი 1991: 8-9).

მაგრამ რუსეთის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები და, მათ შორის, საქართველოც არ აპირებდნენ რუსეთთან რაიმე ფორმით ინტეგრირებას (*ამ პერიოდში მათ კრემლი ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებით მოსკოვის გარშემო გაერთიანებას სთავაზობდა*), არამედ რუსეთისაგან ჩამოშორებას და საერთო ევროპულ ოჯახში სრულუფლებიან წევრად გაერთიანებას ცდილობდნენ. და რამდენადაც ძლიერი იყო მათი სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, იმდენად რუსეთი კიდევ უფრო მტკივნეულად განიცდიდა მათზე თავისი გავლენის დაკარგვას. მუშავდებოდა პროექტები და გეგმები, რომელიც მას ჰეგემონიის აღდგენაში დაეხმარებოდა. ამ პროექტების ერთ-ერთი სახეობაა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ე.წ. თანამეგობრობის ორგანიზაცია, სადაც რუსეთს დღემდე წამყვანი პოზიციები უკავია, მაგრამ მისი შექმნა მოხდა ბ. ელცინის მმართველობის დროს, მანამდე კი, როგორც თავის დროზე მ. გორბაჩოვმა აღნიშნა, კრემლის ერთადერთი საშუალება იმისათვის, რომ კავშირის საბოლოო დაშლას წინ აღდგომოდა, ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება იყო. ამის შესახებ რუსი მეცნიერი, ი. ფროიანოვი აღნიშნავს:

„ეს ცუდად შენიღბული გამართლებაა გორბახოვის მიერ აღებული კურსისა კონფედერაციისაკენ... საკავშირო სახელმწიფო სკკპ ხელისუფლების შესუსტებით, ეროვნებათშორისი ურთიერთობების გამწვავებით, უმოქმედობითა და სსრკ-ის მთლიანობის დასარღვევად მოკავშირე რესპუბლიკებისთვის სუვერენიტეტის მოპოვებისაკენ ბიძგის მიცემით, შემდეგ კი ქვეყნის „მხსნელის“ როლში გამოცხადებით, რომელსაც გაქცეული საბჭოთა რესპუბლიკების ახალი საკავშირო ხელშეკრულებით „შეკვრა“ შეეძლება. მაგრამ ეს როლი თავიდან ბოლომდე ყალბია თუნდაც უკვე იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირისნაირი მრავალეროვანი სახელმწიფოსათვის კონფედერაცია იგივეა, რაც სიკვდილი, ოღონდ ნელი, დროში გაწელილი“ (ფროიანოვი 2001: 226).

უკვე ელცინის მმართველობის პერიოდში რუსეთში, ნეოევრაზიელებისა და ევრო-ატლანტიკების (მეორენაირად – დასავლელები) სახით, ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულება ჩამოყალიბდა.

ევრო-ატლანტური იდეის ძირითადი მატარებელი რუსეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, ა. კოზირევი იყო. ამ მიმართულების ზოგადი დებულება შემდეგში მდგომარეობდა:

1. რუსეთის საგარეო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია და მიზანი ისეთი საგარეო პირობების შექმნაა, რომელიც რუსეთს დემოკრატიულ, საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ და ცივილიზებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. კოზირევის მტკიცებით, რუსეთის ძლიერება XXI საუკუნეში არა მისი ტერიტორიების სიდიდეში, არამედ საკუთარი მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეში უნდა გამოხატულიყო;
2. აუცილებელია რუსეთის ცივილიზებულ სამყაროსთან ინტეგრაცია, რომლის გარეშეც პირველი პუნქტის განხორციელება შეუძლებელია. იმისთვის, რომ რუსეთი, კოზირევის სიტყვით რომ ვთქვათ, ე.წ. „ცივილიზებულ კლუბში“ დაეშვათ, აუცილებელი იყო რუსეთს ძველი იდეოლოგიური შეხედულებები დაევიწყებინა და დასავლეთის ის ფასეულობები მიეღო და საგარეო პოლიტიკაში გამოეყენებინა, რომლებიც ნათლად არის ჩამოყალიბებული გაერო-სა და პარიზის ადამიანის უფლებათა ქარტიებში;
3. რუსეთს სჭირდება გახდეს ნორმალური, ცივილიზებული სახელმწიფო, მაგრამ არ დაკარგოს თავისი ძლიერება. ამ დებულებას

მოწმობს ბირთვული იარაღის დიდი არსენალის ქონა, გაერო-ს უშიშროების საბჭოში მუდმივი ადგილი და ვეტოს უფლება;

4. რუსეთი უნდა იყოს დამაკავშირებელი რგოლი, ე. წ. „ცივილიზაციის აგენტი“ – თუმცა ევრო-ატლანტისტები აღიარებენ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კურსის დასავლურ ორიენტაციას, მაგრამ არ ივიწყებენ რუსეთის გეოგრაფიული მდებარეობის ევრაზიულ ხასიათს და რუსეთს განიხილავენ მაკავშირებელ ხიდად მის ევროპულ და აზიურ რეგიონებთან და დასავლეთს შორის (ჰანთერი 1994: 148-149);
5. მართალია, ევრო-ატლანტისტები დასავლურ კურსს აღიარებდნენ, მაგრამ მათ მიაჩნდათ, რომ კომუნიზმის დასასრულმა სრულიად არ შეცვალა საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა და სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლებისათვის შეჯიბრება კვლავაც მიმდინარეობს. მათ მიაჩნდათ, რომ რუსეთი მთლიანად არ უნდა დამყარებოდა დასავლეთს და საჭირო იყო ურთიერთობების გაფართოება უფრო გლობალური მასშტაბით აღმოსავლეთისა (ჩინეთი, ინდოეთი, აზიის სხვა ქვეყნები) და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან კავშირების დამყარებით.

რუსეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, შემდგომში კი პრემიერ-მინისტრის, ე. პრიმაკოვის აზრით, *(რომელსაც საბჭოთა პერიოდში დაზვერვის შეფის თანამდებობა ეკავა)*, ასეთი პოლიტიკური კურსის გატარების გარეშე რუსეთი დიდი სახელმწიფო ვერ იქნებოდა და დასავლეთთან ინტეგრაციასთან ერთად ქვეყანას დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა უნდა ეწარმოებინა.

ევრო-ატლანტისტების პარალელურად მოქმედება ნეოევრაზიელებმაც გააქტიურეს. მათ აღადგინეს რუსულ პოლიტიკურ აზროვნებაში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული ევრაზიული კურსი. აი, რას წერდნენ ისინი თავიანთი მრწამსის შესახებ თავიანთ პოლიტიკურ ჟურნალში «Элементы»: „ყველაზე საინტერესოდ, ღრმად და აქტუალურად ჩვენ სწორედ ეს მიმდინარეობა გვეჩვენება... ევრაზიელები ვიწრო სკოლას კი არა, არამედ თვალსაზრისთა ისეთ ფართო პანორამას წარმოადგენდნენ, რომელიც როგორც უკიდურესად მემარცხენე ეროვნულ ბოლშევიზმს, ისე არისტოკრატიზმზე, ელიტარულობასა და სხვა მსგავსზე ორიენტირებულ უკიდურესად მემარჯვენე მონარქიზმს მოიცავს. მაგრამ XX საუკუნის ევრაზიულობა იმაში მდგომარეობს, რომ თავიანთ ანალიზში ევრაზიელები არა მხოლოდ ეთიკურ კრიტიკიუმებს რთავდნენ, არამედ გეოპოლიტიკის, სოციოლოგიის,

რელიგიის ისტორიის, ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ცნებებსაც მიმართავდნენ, რაც მათ პოზიციას ფუნდამენტურს ხდიდა...“ (შატილოვი 1993: 49).

ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, პ. სავიციკი აღნიშნავდა, რომ რუსეთი ჭეშმარიტად მართლმადიდებლურ-მუსულმანური, მართლმადიდებლურ-ბუდისტური ქვეყანაა და „თავად კონტინენტს“ წარმოადგეს. მისი მტკიცებით, რუსეთისათვის ევროპა ძველი კონტინენტის ნაწილზე (ნახევარკუნძულისმაგვარზე) მეტი არაა, მაშინ, როდესაც თავად რუსეთი ამ კონტინენტ მთავარ სივრცეს, მის ღერძს იკავებს. „იყო მომენტები – წერს სავიციკი – როდესაც მიიჩნეოდა, რომ მის დასავლეთ პერიფერიას – ევროპას, რომელსაც ურალამდე რუსეთიც მიეთვლებოდა, და აზიას (ჩინეთი, ინდოეთი, ირანი) შორის სიცარიელეა. რუსული თანამედროვეობის ევრაზიული გეგმა ამ სიცარიელეს ავსებს. უკვე XIX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ევროპიდან ჩინეთისა და იაპონიისაკენ პირდაპირი გზა რუსეთით (ტრანსციმბირი) გადის. გეოგრაფია გვიჩვენებს, რომ სწორედ ასე და არა სხვაგვარად უნდა იქნას გაყვანილი გზები ევროპიდან სპარსეთში, ინდოეთსა და ინდოჩინეთში. ეს შესაძლებლობები დღემდეც ბოლომდე არაა რეალიზებული. ტრანსსპარსეთის რკინიგზის იდეა, რომელიც სპარსეთს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გადაკვეთდა და რომელიც, როგორც ბრიტანეთის ინდოეთის, ისე ევროპის (ამიერკავკასიის, ყირიმისა და უკრაინის მეშვეობით) სარკინიგზო ქსელს დაუკავშირებოდა მსოფლიო ომის დაწყებამდე ახლოს იყო განხორცილებასთან. ამჟამად... კავშირი არაა რუსული თურქმენეთისა და ინდოეთის რკინიგზებს შორის. რუსეთის სარკინიგზო ქსელი ევროპა-ინდოეთის სატრანზიტო მოძრაობაზე ორიენტირებული არაა. მაგრამ ადრე თუ გვიან ეს მოძრაობა რეალური შეიქნება – რკინიგზის, საავტომობილო ან საჰაერო ხაზების ფორმით... თანამედროვე რუსეთმა გადაჭრით და მოუბრუნებლად უნდა განაცხადოს უარი გაერთიანების ძველ მეთოდებზე, რომლებიც ძალადობისა და ომების მეთოდების დრომოჭმულ და განვლილ ეპოქებს მიეკუთვნება. თანამედროვე პერიოდში დღისწესრიგშია კულტურული შემოქმედება, შთაგონება, გონების განათება, თანამშრომლობა“ (სავიციკი 1993: 50-53).

უკვე XX საუკუნის 90-იანი წლების ნეოევრაზიელების მტკიცებით კი, ორიენტაცია დასავლეთზე რუსეთისათვის მომგებიანი არ არის, ვინაიდან ურთიერთობებში დასავლეთი ყოველთვის საკუთარ ინტერესებს დაიცავს. ამ მხრივ, ზოგიერთი კიდევ უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ დასავლეთს ძლიერი რუსეთი არ ესაჭიროება. ასეთებს მიაჩნდათ, რომ რუსეთის კავშირები დასავლეთთან უნდა ემყარებოდეს რეალისტურ პოლიტიკას და არა ევრო-ატლანტისტების რომანტიკულ ოცნებებს „ერთიანი მტრების წინააღმდეგ

მესიანისტური გაერთიანების შესახებ“. მათ უმრავლესობას მიაჩნდა, რომ რუსეთის ცივილიზაცია თავისი სულიერი ყოფით დასავლეთ ევროპის მატერიალურ კულტურაზე ბევრად უფრო მაღლა დგას.

მაგრამ, იდეოლოგიური განსხვავების მიუხედავად, ევრო-ატლანტისტებსა და ნეოევრაზიელებს ერთმანეთთან ბევრი საერთო შტრიხი აკავშირებდათ. მაგალითად, ორივე მათგანს მიაჩნდა, რომ:

- 1) რუსეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი ისეთი საერთაშორისო გარემოს შექმნა იყო, რომელიც ქვეყანას რეფორმების გატარებასა და რესტრუქტურისაციაში ხელს შეუწყობდა;
- 2) რუსეთს ეთნოკონფლიქტების აღკვეთისა და სტაბილიზაციის დამყარების მიზნით (ჩვენ კი ვიტყვით საბაბით-ს.ყ.) დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში არსებული ყველა შიდა და გარე საზღვრები (მათ შორის ამიერკავკასიისაც-ს.ყ.) უნდა დაეცვა (ჰანთერი 1994: 150);
- 3) მართალია ორივე მიმდინარეობას ამიერკავკასიის რეგიონთან მიმართებაში საკუთარი პოლიტიკური მოდელი გააჩნდათ, მაგრამ რეგიონის უდიდეს მნიშვნელობას რუსეთის შიდა უსაფრთხოებისათვის ორივე თანაბრად აღიარებდა, რის გამოც რუსეთს აქ განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინა. მაგრამ ისინი სწორედ ამ „განსაკუთრებული როლის“ შესრულების საკითხში განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

1992 წლის დასაწყისიდან 1993 წლის გაზაფხულამდე რუსეთის საგარეო პოლიტიკის კურსი ამიერკავკასიასთან მიმართებაში ევრო-ატლანტისტებმა განსაზღვრეს. მას სამხედრო წრეები, პარლამენტარები, ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი იზიარებდნენ. ამ პერიოდში მიჩნეულ იქნა, რომ რუსეთი იქნებოდა ერთადერთი ხიდი, რომელიც ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს დასავლეთთან დააკავშირებდა.

მაგრამ ვინაიდან ძველი ფორმით იმპერიული სისტემის აღდგენა შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ მოსკოვი რამდენიმე დათმობაზე წავიდა და რესპუბლიკებს ნება დართო დაემყარებინათ ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები მეზობელ ქვეყნებთან. ასე მოხდა ამიერკავკასიის დაახლოება

თურქეთთან, რომელიც მეზობლობასთან ერთად დასავლეთის ნაწილს წარმოადგენდა (ჰანთერი 1994: 152).

ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, და მას ჩვენც მართებულად მივიჩნევთ, რუსეთი დუალისტურ პოლიტიკას ეწეოდა: დასავლეთის გულის მოგებას ცდილობდა და რეგიონში თავის პოზიციებსაც არ თმობდა. ეს ტენდენცია მის საგარეო პოლიტიკურ კურსში დღემდე ვლინდება.

მართალია, დასავლეთი, თავის მხრივ, რეგიონში აქტიური ქმედებებისაგან თავს იკავებდა, მაგრამ აქ თურქეთს ხელმძღვანელი როლის შესრულებაში ორი მოსაზრების გამო უჭერდა მხარს: 1) ამიერკავკასიაში თურქეთის წინა პლანზე წამოწევა შეასუსტებდა რეგიონში ირანის როლის გაძლიერებას, რომელსაც დასავლეთი ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ საფრთხედ მოიაზრებდა აქ ისლამური ფუნდამენტალიზმის არსებობის გამო; 2) თურქეთი დასავლეთზე ორიენტირებული ქვეყანა და მისი ნაწილი იყო (ჰანთერი 1994: 154). ამის შესახებ ს. ცინცაძე აღნიშნავს, რომ, მაშინ, როდესაც თურქეთის მეზობელი ქვეყნები „იოლად ფეთქებად დენტის კასრს დაემსგავსნენ,” დასავლეთის მხარდაჭერა თურქეთისადმი რეგიონში წამყვანი პოზიციების მოსაპოვებლად გაიზარდა. ევროპის სახელმწიფოები მიიჩნევდნენ, რომ „კარგი პერსპექტივა აქვს სტაბილურ და ეკონომიკურად ძლიერი თურქეთის შუამავლობას „საერთო ბაზარს”, დასავლეთ აზიასა და შავი ზღვის რეგიონის არასტაბილურ სახელმწიფოებს შორის” (ცინცაძე 1991: 2).

რა თქმა უნდა, თურქეთიც დაინტერესებული იყო ახალი სივრცეების დაპყრობაში. მას თავისი გასაჭირი ჰქონდა: „ცივი ომის“ დასრულების გამო იგი, ცოტა არ იყოს, შეშფოთებული იყო, ვინაიდან ფიქრობდა, რომ მისი როლი სულ უფრო დაკნინდებოდა და დასავლეთი მას ფინანსურ დახმარებას აღარ აღმოუჩენდა. და, მოულოდნელად, ასეთი შესაძლებლობების გამოჩენა – ამიერკავკასიაში მისი, როგორც „დასავლური ქვეყნის“ როლის გაზრდა – მის ინტერესებსაც აკმაყოფილებდა.

დასაწყისში თურქეთის მიდგომა ამიერკავკასიის ქვეყნებისადმი მეტად ფრთხილი იყო. ამას კარგად მოწმობს პრეზიდენტის, თ. ოზალის ვიზიტი ქ. ვაშინგტონში 1990 წლის იანვარში, როდესაც მას სთხოვეს თავისი პოზიციების დაფიქსირება აზერბაიჯანში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. პრეზიდენტმა ოზალმა მაშინ განაცხადა, რომ ეს ირანის საქმე უფრო იყო, ვინაიდან აზერბაიჯანელების უმრავლესობა შიიტები არიანო. ასეთმა განცხადებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია თვითონ თურქეთის პოლიტიკურ

წრეებში. მაშინ თურქეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, მ. ილმაზი პირდაპირ დაუპირისპირდა პრეზიდენტს და აზერბაიჯანის მხარდაჭერა მოსთხოვა. მაგრამ თურქეთის ოფიციალური წრეები, როგორც მთელი დასავლეთი, ამიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენებს „შიდა საბჭოურ საქმეებად“ აცხადებდნენ.

უფრო მოგვიანებით, დასავლეთის მიერ წაქეზებული თურქეთის მთავრობა და პრესა ახალი თურქული ერთობის შექმნის იდეაზე ალაპარაკდა და თურქეთიც უფრო გათამამდა (ალი-ალთუნი 1991: 3).

რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა რუსეთს დაანახა, რომ იგი უწინდებურად აღარ იყო ერთადერთი და საჭირო პარტნიორი დასავლეთთან ურთიერთობების დამყარების საქმეში. თურქეთის პრეზიდენტმა თ. ოზალმა ევრაზიონიზმის თავისებური მოდელი განავითარა, სადაც თურქეთს ევროპასთან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამაკავშირებლის ფუნქცია ეკისრებოდა. ამ მოდელმა და, მაშასადამე, მოკავშირის როლის დაკარგვამ რუსეთის პოლიტიკურ წრეებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსი კიდევ უფრო შორს წავიდა და ევროპა რუსეთის სამრეწველო შესაძლებლობების დაძლევისა და ნედლეულის (ძირითადად, ნავთობისა და გაზის) ბაზრად გადაქცევის სურვილის ქონაში დაადანაშაულა (ჰანთერი 1994: 153).

შემდგომში, როდესაც ყოფილი რესპუბლიკები შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობაში – BSEC (*Black Sea Economic Cooperation, შეიქმნა 1992 წლის 25 ივნისს, წევრები: აზერბაიჯანი, ალბანეთი, ბულგარეთი, თურქეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, საქართველო, საბერძნეთი, სომხეთი და უკრაინა*) გაერთიანდნენ, ცხადი შეიქნა, რომ ისინი რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნებას აღარ აპირებდნენ.

ახლა უკვე მთელი აქცენტი სამხედრო მოქმედებებზე გადავიდა. სამხედრო წრეების წარმომადგენლები (და არა მხოლოდ ისინი) იმპერიის დანგრევასა და რუსეთის პოზიციების დაკარგვას მის ყოფილ რესპუბლიკებში ვერ ეგუებოდნენ. ასე რომ, მათ შეიმუშავეს გეგმა, რომლის თანახმადაც საჭირო იყო:

1. ამიერკავკასიის ქვეყნების ინტეგრაცია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ);
2. ამიერკავკასიაში რუსეთის პოზიციების აღდგენა;
3. ამიერკავკასიის ქვეყნების კავშირების შეზღუდვა მეზობელ ქვეყნებთან და რეგიონულ ორგანიზაციებთან;

4. ამიერკავკასიის ქვეყნების შიდა პოლიტიკაზე მანიპულირების გზით (რაც დღემდე აქტიურად გრძელდება) ადგილობრივი ხელისუფლებების უძღურების დასაბუთება და ფედერალური თუ კონფედერალური სისტემების შექმნით მათი დაქვემდებარება მოსკოვზე;
5. (ა) შიდა კონფლიქტების გაჩაღების გზით რუსული ჯარების შეყვანა ქვეყნის ტერიტორიაზე, ნაწილობრივ, როგორც კონფლიქტის გადამწყვეტი და, ნაწილობრივ, სამშვიდობო ძალების სახით; (ბ) ამ ქვეყნებთან ისეთი სახის ხელშეკრულებების გაფორმება, რომელიც დააკანონებდა რუსეთის სამხედრო უფლებებს რეგიონში.

მაგრამ აღნიშნული პუნქტების განსახორციელებლად რუსეთს დასავლეთის მხარდაჭერა ესაჭიროებოდა. ამისათვის კი ევრო-ატლანტისტებმა კარგად გამოიყენეს ფუნდამენტალიზმთან ბრძოლის პრობლემა და დასავლეთი რუსეთისათვის ფინანსური დახმარების გაწევის აუცილებლობაში დაარწმუნეს. ამას ზედ დაერთო კრემლის ადმინისტრაციაში ე.წ. განხეთქილება დემოკრატებსა (*პრეზიდენტი ელცინის მომხრეები*) და კონსერვატორებს (*მეორენაირად, რეაქციონერებს*) შორის. რამდენადაც ამ უკანასკნელთა გამარჯვება კვლავ ტოტალიტარული რეჟიმისაკენ შემობრუნებას მოასწავებდა, ამდენად დასავლეთი ელცინის გუნდის ფინანსური მხარდაჭერისათვის სახსრებს აღარ იშურებდა. მართალია, რუსეთში ელცინის ბლოკმა ე. ი. დემოკრატიაში გაიმარჯვა, მაგრამ საქართველოსთან და სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან კრემლის ურთიერთობები მაინც იმპერიალისტური სულისკვეთებისა დარჩა.

რუსეთის მხრიდან ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ აგრესიული პოლიტიკის განხორციელების შედეგად მიღებულ დესტაბილიზაციას სხვა მრავალ დოკუმენტთან ერთად ადასტურებს კავკასიის რეგიონში მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის დეკლარაციაც (*ხელმოწერილია 1996 წლის 8 მარტს*), რომელიც აღმოჩნდა ერთგვარი კატალიზატორი ამიერკავკასიაში ნავთობსადენებისა და სხვა საერთაშორისო პროექტების ამოქმედებისათვის და რომელშიც ვკითხულობთ: „ტოტალიტარული რეჟიმის მემკვიდრეობამ განაპირობა რეგიონის გადაქცევა უღმობელი დაპირისპირების, აგრესიული სეპარატიზმისა და ნაციონალიზმის ასპარეზად, რასაც შეიარაღებული

კონფლიქტები მოჰყვა. უდანაშაულო ადამიანთა დაღუპვა, ეთნიკური წმენდა, ასიათასობით მოქალაქის ლტოლვილად გადაქცევა მშობლიურ მიწაზე, უზარმაზარ ფასეულობათა და ქონების განადგურება, ეკონომიკის მოშლა გახდა ამ კონფლიქტების უმძიმესი შედეგები. დესტაბილიზაციის მუხტი საშიშ დამანგრეველ ძალას შეიცავს. შემდგომ ესკალაციას შეიძლება ფართო მასშტაბის კატასტროფა მოჰყვეს“ (ქრესტომათია... 2004: 585).

ამ პერიოდის ამიერკავკასიის მიმართ დასავლეთის პოლიტიკის გაანალიზებისას პოლიტოლოგთა უმრავლესობა გამოკვეთს შემდეგს: საწყის ეტაპზე დასავლეთს არ სურდა საბჭოთა კავშირის დაშლა, ვინაიდან ამ დაშლით გამოწვეული შიდა არეულობის ეშინოდა, რაც თავის მხრივ მათშიც ჰპოვებდა გავრცელებას. გარდა ამისა, დასავლეთი შიშობდა ლტოლვილების დიდი ემიგრაციული ტალღის გამო, რომელიც გადაადგილებას დაიწყებდა დასავლეთისკენ. შ. ჰანთერი მართებულად აღნიშნავს, რომ ლტოლვილთა ნაკადის წამოსვლის შესაძლებლობა დასაშვები იყო არა მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, არამედ ვარშავის პაქტში მონაწილე სხვა ქვეყნებიდანაც (ჰანთერი 1994: 157). ამას ზედ დაერთო ე.წ. დემოკრატებსა და კონსერვატორებს შორის ზემოხსენებული განხეთქილებაც. ამიტომ იყო, რომ დასავლეთი მხარს უჭერდა მოსკოვს. ამას კარგად მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯ. ბუში უფროსის ვიზიტი ქ. კიევში 1991 წლის აგვისტოში, როდესაც მან განაცხადა, რომ მას კონგრესში ბევრმა მოსთხოვა არჩევანის გაკეთება გორბაჩოვისათვის მხარდაჭერასა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ რესპუბლიკებს შორის. „მაგრამ, – განაგრძო მან, – მე მიმაჩნია, რომ ეს იქნება ყალბი არჩევანი. ამ ბოლო პერიოდის განმავლობაში პრეზიდენტმა გორბაჩოვმა მიაღწია არნახულ შედეგებს და მისი რეფორმები მიმართულია თავისუფლების, დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებისაკენ. ჩვენ მხარს დავუჭერთ პრეზიდენტ გორბაჩოვს, მაგრამ პატივს ვცემთ საბჭოთა კავშირის ახალი ცხოვრების რეალიებს, და რამდენადაც ჩვენ თავად წარმოვადგენთ ფედერაციას, ვისურვებდით კარგი ურთიერთობების დამყარებას საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკასთან“ (კონდრაშოვი 1991: 5). მან აქვე დასძინა, რომ თავისუფლება არ ნიშნავს დამოუკიდებლობას და ამერიკელები მხარს ვერ დაუჭერენ მათ, ვინც ტირანიას დესპოტიზმით შეცვლის. ამერიკელები არ დაეხმარებიან მათ, ვინც ნაციონალიზმის ღოზუნგით დაიწყებს ეთნიკურ წმენდას. თუმცა ბელოვეჟიეში საბჭოთა კავშირის დაშლის ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ ჯ. ბუში (უფროსი) განაცხადებს: „ეს დემოკრატიისა და

თავისუფლების გამარჯვებაა. ამერიკის შეერთებული შტატები ექვს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასაც დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებს. ესენია: მოლდოვა, თურქმენეთი, აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი, საქართველო და უზბეკეთი. ჩვენ მათთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას ვაპირებთ, როცა დავრწმუნდებით, რომ ისინი უსაფრთხოების სფეროში საპასუხისმგებლო პოლიტიკის გატარებისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვის ვალდებულებას იკისრებენ, როგორც ეს ჩვენს მიერ დღემდე აღიარებულმა სხვა სახელმწიფოებმა (რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, სომხეთი, ყაზახეთი, ბელორუსია, ყირგიზეთი) გააკეთეს“ (კონდრაშოვი 1991: 5).

ახალი დამოუკიდებელი ქვეყნებისადმი დასავლეთის შიშს განაპირობებდა აგრეთვე ტაქტიკური ბირთვული შეიარაღება, რაც, ექსპერტების აზრით, ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებისათვის იოლად შეიძლებოდა გამხდარიყო თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის მიღების წყარო. მაგალითად, 1991 წლის ოქტომბერში იტალიის პოლიციამ 4 გრ. პლუტონის გაყიდვის მცდელობისას დააკავა შვეიცარიელი მოქალაქე, 1992 წლის იანვარში კი მილანში დააკავეს სამი უნგრეთის და ერთი ავსტრიის მოქალაქე, რომლებიც საზღვარზე ბირთვული იარაღისათვის საჭირო ზეგამტარი თვისების კრისტალის კონტეინერის გადატანას აპირებდნენ. დაკითხვის შედეგებმა დაადგინა, რომ ორივე შემთხვევაში ბირთვული იარაღისთვის პროდუქტი გადმოტანილი იყო ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიიდან (კრივოპალოვი... 1992: 5).

დასავლეთისათვის ამ საკითხის დიდი მნიშვნელობა იქიდანაც ვლინდება, რომ სწორედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებიდან ბირთვული იარაღის გავრცელების შესაძლებლობას მიუძღვნა ჩრდილო-ატლანტიკურმა ალიანსმა 1991 წლის დეკემბერში ბრიუსელის სამიტი (ბელგია), რომელზედაც სიტყვით გამოვიდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, ჯ. ბეიკერი. მან დაამშვიდა ალიანსის წევრი-სახელმწიფოების ლიდერები და უთხრა, რომ მიიღო პირობა იმისა, რომ სსრკ-ის ტერიტორიაზე (რფ, უკრაინა, ბელორუსია, ყაზახეთი) არსებული 30 000 ბირთვული საბრძოლო ქობინი არის მკაცრი კონტროლის ქვეშ და რომ ბირთვულ ქვეყნად დარჩებოდა მხოლოდ რუსეთის ფედერაცია, სხვები კი მათ ლიკვიდაციას მოახდენდნენ (კოვალენკო 1991: 7).

დასავლეთის პოლიტიკას ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისა და მათ შორის ამიერკავკასიის მიმართ აგრეთვე დიდად განსაზღვრავდა შიში ირანისა და ისლამური რადიკალიზმის გამო. სწორედ ეს უკანასკნელები იყვნენ დასავლეთის მიერ ყველაზე დიდ საფრთხედ მიჩნეულნი. ამიტომ იყო, რომ ბევრი

ანალიტიკოსისა და პოლიტიკოსის მიერ რუსეთის ჰეგემონიის აღდგენა რეგიონში დასავლეთის ინტერესებისათვის უფრო მომგებიანი იქნებოდა.

მართალია რუსეთის მხრიდან „ძალისმიერი დიპლომატია“ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ პერიოდულად ხდებოდა დასავლეთისგან მისი კრიტიკის ობიექტი (კუზნეცოვი 1992: 1), მაგრამ თავდაპირველად ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთი იმდენად უჭერდნენ მხარს რუსეთს, რომ ისინი დიდად არ შეწინააღმდეგებინ მოსკოვის მიერ სამხედრო ძალის გამოყენებას მის ზოგიერთ რესპუბლიკაში. ასე მოიქცნენ ისინი თბილისის აპრილის ტრაგედიის (1989 წ.), მთიან ყარაბაღში (1990 წ) და სამაჩაბლოსა (1991-1992 წ) და აფხაზეთში (1992-93 წწ), დნესტრისპირეთსა და ტაჯიკეთში (1992წ) დატრიალებული სისხლისღვრის დროს ე.ი. საბჭოთა კავშირის დაშლის ოფიციალურად გამოცხადებამდე და მის შემდგომ.

თავის მხრივ, ამიერკავკასიის ქვეყნებმა დასავლეთთან კონტაქტების გასაღრმავებლად ახალი გზების ძიება დაიწყეს. ამავე დროს, რუსეთიც გააქტიურდა, რომელიც ამიერკავკასიაში თავისი ორსაუკუნოვანი მმართველობის დაკარგვის აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. პოზიციების აღსადგენად მისთვის საჭირო შეიქნა რეგიონში არსებული ცხელი კერების გაღვივება. საქმემაც არ დააყოვნა. საქართველოში ახალი ხელისუფლების პოლიტიკურად ბეცმა (*თუ არ ვიტყვით ბრმა*) გადაწყვეტილებებმა ცეცხლზე ნავთი გადაასხა*. ასე მოხდა ჯერ სამაჩაბლოს და შემდეგ კი აფხაზეთის კონფლიქტი. შეგახსენებთ, რომ ეს ის პერიოდია, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის მიუხედავად, დასავლეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ამიერკავკასიაში მიმდინარე პროცესების განხილვას რუსეთის საშინაო პოლიტიკის ჭრილში ცდილობდნენ და რეგიონში შემავალი ქვეყნების სასარგებლოდ რეალურ მოქმედებებს თავს არიდებდნენ.

ასე დარჩა საქართველო ბედის ანაბარა რუსეთის პირისპირ. ამ უკანასკნელმაც ხელიდან არ გაუშვა ასეთი შანსი და სამაჩაბლოსა და აფხაზეთის პრობლემის „დარეგულირების“ სანაცვლოდ საქართველო თავისივე ინიციატივით შექმნილ ახალ ერთობაში – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) შეიყვანა (1993 წ.). ანალოგიურად მოექცა იგი

* თუმცა არსებობს გარკვეული ეჭვიც რომ იგი ისევ და ისევ რუსეთის მხრიდან იყო ნაკარნახევი, მაგრამ ამის განხილვა ჩვენი თემის საგანს არ წარმოადგენს.

აზერბაიჯანსაც და სომხეთსაც (1991 წ.), ოღონდ აქ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამოყენებით.

ასე რომ, დასავლეთისგან გათამამებულმა რუსეთმა თავისუფლებისათვის მებრძოლ რესპუბლიკებში გავლენა ცხელ კერებში არსებული პრობლემების „დამრეგულირებლის“ სტატუსით შეინარჩუნა*.

ამასთან დაკავშირებით რუსი დისიდენტი, პუბლიცისტი ა. ბუდბერგი აღნიშნავს: „საბოლოო ჯამში თავად ყარაბაღიც ხომ მხოლოდ ცენტრიდან მეტ-ნაკლებად ღია მხარდაჭერის პირობებში შეიძლება წარმოშობილიყო. 1987-88 წლებში ყოვლისშემძლე კაგებე ხომ იოლად გაუსწორდა ნებისმიერ „ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას“, მაგრამ მაშინ რატომღაც ეს არ მოხდა... უფრო მეტიც, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ყარაბაღში უცხოელი დაქირავებული პირები ხვდებოდნენ... ეს კი მხოლოდ ერთზე მიანიშნებს – ვიღაც ჯერ კიდევ გორბაჩოვის დროს აკურატულად ასხამდა ნავთს ცეცხლზე... “სად წაუვლენ რესპუბლიკები ცენტრს, თუკი ერთმანეთში ომობენ, მათ ხომ არბიტრი სჭირდებათ”... შემდგომში სწორედ ამავე სცენარით განვითარდა მოვლენები საქართველოშიც“ (ბუდბერგი 1997: 1,4).

მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა ცხადყოვეს, რომ ყოფილი რესპუბლიკების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ იმდენად შეუქცევადი იყო, რომ ყველაზე დიდმა ულტრანაციონალისტმა ვ. ჟირინოვსკიმ (*რომელიც, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს სხვა ქვეყნისთვის, „რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიას“ ხელმძღვანელობს. როგორც ჩანს, რუსეთში ჯერ კიდევ ვერ გარკვეულან იმაში, თუ რას ნიშნავს ნამდვილი დემოკრატია და ლიბერალიზმი*) 1993 წლის დეკემბრის არჩევნების დროს განაცხადა, რომ უნდა აღიარებულ იქნას რუსეთის გავლენა მის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებზე, თუნდაც ბალტიისპირეთისა და უკრაინის გამოკლებით. აქედან კარგად იკვეთება, რომ თვით ჟირინოვსკიმაც დაინახა საბჭოთა პერიოდის საზღვრების აღდგენის შეუძლებლობა.

რესპუბლიკებმა დაიწყეს კონტაქტების გაფართოება დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამ უკანასკნელთათვის,

* უფრო ვრცლად სამანაბლოსა და აფხაზეთის მოვლენების ესკალაზიაში რუსეთის როლის შესახებ საუბარი შემდეგ თავში გვექნება.

რუსეთისაგან განსხვავებით, რეგიონს, საქართველოსა და აზერბაიჯანის სახით, თანამშრომლობისათვის კარები ღია ჰქონდა. ამერიკის შეერთებული შტატები ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი, რუსეთისაგან განსხვავებული საზოგადოებრივი და ეკონომიკური მოდელის მქონე, რეგიონისათვის გეოგრაფიულად მაქსიმალურად დაშორებული მოწინავე სახელმწიფოა.

ბუნებრივია, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ კურსშიც ინტერესები დევს: რეგიონში შემავალ ქვეყნებში დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული ფასეულობების განმტკიცებით იგი ამიერკავკასიაში რუსეთის გავლენას შეასუსტებს; კონტროლს გაუწევს ირან-რუსეთის ბაღანსს; არ მისცემს რუსეთს ენერგორესურსების ერთპიროვნულად მართვის საშუალებას; გააძლიერებს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებას და რეგიონს თავისი სტრატეგიული მოქმედებების პლაცდარმად გადააქცევს.

რეგიონის დასავლეთთან და, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ურთიერთობების გაღრმავებამ რუსული პოლიტიკა კიდევ უფრო მეტად აგრესიული გახადა. ეს ყველაზე უფრო საქართველოსთან (*რომელიც სხვა რესპუბლიკებისგან განსხვავებით აქტიურად და დაუფარავად მისდევს პროდასავლურ ორინენტაციის*) მიმართებაში გამოიკვეთა.

თავი 2. ურთიერთობები დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის 1991-1997 წწ.

უკვე აღინიშნა, რომ გორბაჩოვის რეფორმები მიმართული არ იყო საბჭოთა კავშირის დანგრევისაკენ. მაგრამ როდესაც მისი დაშლა გარდაუვალი შეიქნა, გორბაჩოვი ამ პროცესის თავიდან აშორებას ყველანაირად შეეცადა. მიღებულ იქნა რიგი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც რესპუბლიკებში დამოუკიდებლობის გამოცხადებას აფერხებდა. მაგალითად, ავტონომიურ წარმონაქმნებს უფლება მიეცათ რეფერენდუმის გზით გამოყოფოდნენ მოკავშირე რესპუბლიკებს; რესპუბლიკებს გამოეცხადათ ეკონომიკური ბლოკადა (მაგ. ბალტიისპირეთს); ზოგიერთ რესპუბლიკაში გამოყენებულ იქნა სამხედრო ძალაუფლება (თბილისში, ბაქოში); გაიზარდა „კაგებე“-ს როლი რესპუბლიკების შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ დიდი მასშტაბებით საომარ მოქმედებებს არ ჰქონია ადგილი. ვინაიდან 1) გორბაჩოვს პოლიტიკურ არენაზე დამკვიდრებული ჰქონდა მშვიდობისმყოფელი რეფორმატორის იმიჯი, და 2) ნიღბის ჩამოხსნა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა, ეკონომიკური თვალსაზრისით, მართლაც ძლიერი იქნებოდა, რის გამოც მას დასავლეთის მხარდაჭერა აღარ დასჭირდებოდა. მაგრამ გორბაჩოვის პერიოდის სსრკ ეკონომიკურად სუსტი სახელმწიფო იყო. ამის შესახებ თანამედროვე რუსი პოლიტოლოგები, ვ. კოლოსოვი და ნ. მირონენკო მართებულად აღნიშნავენ, რომ „დღევანდელი რუსეთისათვის მეტად დამახასიათებელია მისი შესუსტება ყველა მიმართულებით – იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული“ (კოლოსოვი... 2001: 215).

იმისათვის, რომ რესპუბლიკების გამოყოფას წინ აღდგომოდა, სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს III სესიამ ისტერიული სისწრაფით ზედიზედ მიიღო შემდეგი სახის კანონები: (1) კანონი სსრკ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ძალების პასუხისმგებლობისა და მოვალეობების შესახებ საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად (1990წ. 26 თებერვალი). *(თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ პერიოდში საზოგადოებრივი მიტინგები და თავყრილობები ძირითადად დამოუკიდებლობისა ან რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური ერთეულების სტატუსის შეცვლის მოთხოვნით იმართებოდა, მაშინ ცხადზე ცხადი ხდება, თუ რას ემსახურებოდა შინაგანი ჯარებისათვის მოქმედების თავისუფლების გაზრდა);* (2) კანონი პასუხისმგებლობის გაზრდისათვის

მოქალაქეთა ეროვნულ თანასწორობაზე და საბჭოთა კავშირის ტერიტორიის მთლიანობის ძალისმიერი დარღვევის შესახებ (1990წ. 2 აპრილი); (3) კანონი სსრკ-ის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის გამოსვლის შესახებ (1990წ. 3 აპრილი), რომელიც არ ავალდებულებდა მის ტერიტორიაზე არსებულ ავტონომიურ წარმონაქმნს ან წარმონაქმნებს გამოსულიყო სსრკ-ის შემადგენლობიდან. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გამოყოფის შემთხვევაში მოკავშირე რესპუბლიკა ტერიტორიის დაკარგვის შესაძლებლობის წინაშე დგებოდა; (4) კანონი სსრკ-ის, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძვლების შესახებ (1990წ. 10 აპრილი); (5) კანონი სსრკ-ის მოქალაქეთა თავისუფალი განვითარების შესახებ, რომლებიც ცხოვრობენ თავიანთი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების გარეთ ან არ გააჩნიათ იგი სსრკ-ის ტერიტორიაზე (1990წ. 24 აპრილი) და მრავალი სხვ.

აღნიშნულმა სესიამ შემდგომი (რიგით IV) სესიის დღისწესრიგში სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის განხილვაც დააყენა. გაზეთი „კომერსანტის“ აზრით, ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება ერთნაირად უნდა აწყობდეს ყველა რესპუბლიკას. სწორედ მათ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, იარსებებს თუ არა ახალი კავშირი, რაც გამოიხატება მათ მიერ ხელშეკრულების ნებაყოფლობით ხელმოწერაზე, „ხელების გადაგრეხვა კი (რასაც გვინჴვენებს ლიტვის მაგალითი) გამოიწვევს საწინააღმდეგო შედეგს“ (სოკოლოვი 1990: 28).

1990 წლის აგვისტოში რესპუბლიკების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ გაძლიერდა: 22 აგვისტოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა თურქმენეთმა, 23 აგვისტოს კი – სომხეთმა. ისინი უკვე რუსეთის ფედერაციის გარეშე ცდილობენ ერთმანეთთან ურთიერთობების დამყარებას (სიგალი 1990: 2). ეს კი მიუთითებდა იმაზე, რომ რუსეთი კარგავდა მაკავშირებლის როლს არა მხოლოდ საბჭოეთში შემავალ რესპუბლიკებსა და გარე სამყაროს შორის, არამედ თვით ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორისაც. რა თქმა უნდა, ეს დიდი დარტყმა იყო კრემლის იმპერიალისტურ ამბიციებზე. მდგომარეობიდან გამოსვლისათვის საუკეთესო საშუალება კვლავ ეთნოკონფლიქტების გაღვივება აღმოჩნდა. შედეგმაც არ დააყოვნა. კრემლის უხილავი ხელის წყალობით იძაბება ვითარება მთიან ყარაბაღში, მოლდოვის შემადგენლობიდან გასვლის მოთხოვნით გამოდიან გაგაუზები, რამაც სათავე დაუდო დნესტრისპირეთის კონფლიქტს, იმდგრევა წყალი შუა აზიის რესპუბლიკებს შორის ურთიერთობებშიც.

სამაგიეროდ, ავტონომიური წარმონაქმნები კრემლის, როგორც პატრონის მიმართ, დიდ ერთგულებას გამოხატავენ. ასე მაგალითად, 1990 წლის 22 სექტემბერს ქ. მოსკოვში გაიმართა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, ეროვნულ-ტერიტორიული წარმონაქმნებისა და საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრიობის არმქონე ხალხების წარმომადგენელთა I ყრილობა, რომლის მიზანიც იყო ავტონომიებისა და საკუთარი სახელმწიფოს არმქონე ხალხებში „განსაკუთრებული აზრის შემუშავება“ იმ შემთხვევისთვის, თუ მოკავშირე რესპუბლიკის ახალი დემოკრატიული ხელმძღვანელობა უარს იტყოდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებისათვის ხელის მოწერაზე და დასვამდა საკითხს სსრკ-ის შემადგენლობიდან გამოსვლის თაობაზე. ყრილობის მონაწილეებმა მიიღეს დეკლარაცია, რომელშიც დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია „განახლებული ფედერაციის საფუძველზე სუვერენული რესპუბლიკების კავშირის შენარჩუნების შესახებ“. აღსანიშნავია ისიც, რომ ყრილობის ორგანიზატორი იყო აფხაზეთის სახალხო ფორუმი – „აიდგილარა“ („ერთობა“). „თავის ბრძოლაში სეპარატისტულად განწყობილ მოკავშირე რესპუბლიკებთან ცენტრს შეუძლია დაეყრდნოს თითქმის ყველა ავტონომიის მხარდაჭერას... როგორც აღნიშნავენ ექსპერტები, ცენტრი სერიოზულად ფიქრობს ავტონომიების მხარდაჭერის გამოყენებას... სწორედ ამით იყო გამოწვეული ყრილობაზე სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათაშორის ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის, რ. ნიშანოვის დასწრება“ (ვასილევა... 1990: 8).

კრემლის დაუინებელი მოთხოვნის მიუხედავად, სექტემბერში ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა უარი განაცხადეს სამოკავშირეო ხელშეკრულებაში გაერთიანებაზე.

1990 წლის 24-25 ნოემბერს ქ. მინსკში საპარლამენტო ოპოზიციის (ბელორუსიის სახალხო ფრონტი) ინიციატივით ჩატარდა კონსულტაციები ბელორუსიის, ლატვიის, ლიტვისა და უკრაინის პარლამენტარებთან შავი ზღვისა და ბალტიისპირეთს შორის თანამშრომლობის შესახებ. შეხვედრის ორგანიზატორების განცხადებით, თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენდა ცენტრის წინააღმდეგ გაერთიანება იმისათვის, რომ არ დაეშვათ ხელისმოწერა სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ანდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებიდან სოლიდური მოგება მიეღოთ. შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც სწერია: „აღნიშნავთ რა სსრკ-ის შემდგომი არსებობის უპერსპექტივობას, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ რეგიონში

შემავალ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნა, რომელიც დამყარებული იქნება თითოეული მათგანის სუვერენიტეტის აღიარებაზე... ხელმოწერა სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე და სსრკ-ის შემადგენლობაში შემდგომი ყოფნა შეხვედრის მონაწილეებისათვის მიჩნეულია ძალზედ არასასურველად“ (სიგალი 1990: 10).

1990 წლის 11 დეკემბერს სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის (ცკ) პლენუმმა მიიღო დადგენილება „სამოკავშირეო ხელშეკრულების კონცეფციისა და პარტიული ორგანოების მიზნების შესახებ“, რომელშიც აღინიშნა, რომ რამდენადაც რესპუბლიკების ოფიციალურ პირებს ეკავათ მეტ-ნაკლებად არაპირდაპირი პოზიცია, იმდენად ცენტრალურ (ე.ი. მოსკოვის) ხელისუფლებას უნდა გამოეძებნა ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული პროცედურის ისეთი სახე, რომელიც „ან სრულიად გამორიცხავდა ამ პროცესიდან ყველაზე ჯიუტ ლიდერებს ანდა მათზე უნდა მომხდარიყო სერიოზული ზეწოლა“ (სოკოლოვი 1990: 2). დადგენილების მე-3 პუნქტში მითითებულია: „პლენუმი მხარს უჭერს შეთანხმების სუბიექტთა ცალსახად განსაზღვრას... კავშირის წევრობის შესახებ საკითხი უნდა გადაწყდეს ხალხის ნების თავისუფალი გამოხატვით, მათ შორის, რეფერენდუმის გზით“ (სოკოლოვი 1990: 2). მე-4 პუნქტი კი ადგენს: „თუ ამგვარი საკავშირო რეფერენდუმი ჩატარდა, მაშინ მას მცირე მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობისა და პარლამენტების ვერანაირი ობსტრუქციული პოზიცია აღუდგება წინ“ (სოკოლოვი 1990: 2).

უკვე მ. გორბაჩოვის მიერ შემუშავებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე, ბ. ელცინმა წამოაყენა პროექტი ახალი თანამეგობრობის (შემდგომში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა - დსთ) შექმნის შესახებ, რომელიც თავისი წინამორბედის მსგავსად მიზნად ისახავდა ყოფილ კავშირში გაერთიანებული რესპუბლიკების ხელახლად შერწყმას მოსკოვის ხელმძღვანელობის ქვეშ.

მიუხედავად წინააღმდეგობებისა, მოკავშირე რესპუბლიკების მხრიდან ახალ თანამეგობრობაში გაერთიანების შესახებ რუსეთმა მაინც მოახერხა 11 მათგანის გაერთიანება (საქართველოს გარდა). თავის სრული დაძვრენა მხოლოდ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა მოახერხეს (*დასავლეთიდან დიდი მხარდაჭერის წყალობით*).

დსთ-ის, როგორც ორგანიზაციის არსის, შესახებ ცნობილი რუსი დიპლომატი, ვ. პოპოვი აღნიშნავს: „ინტეგრაცია, რომლისკენ ვზახავ დაადგინე დსთ-ის ქვეყნები, არა მხოლოდ და იმდენად თავისუფალი არჩევანის საკითხია, რამდენადაც მკაცრი აუცილებლობისა“ (პოპოვი 2004: 222). თუმცა იგი თავს არიდებს

პოლიტიკურ სარჩულზე საუბარს და ორგანიზაციის შექმნის მიზეზად მხოლოდ წმინდა წყლის ეკონომიკურ დაინტერესებაზე საუბრობს: „ყოფილი სსრკ-ის ეკონომიკური კავშირების გაწყვეტამ მათ ყველას, მათ შორის, რუსეთს მოუტანა ყველაზე უარყოფითი შედეგები და ამის გამო ახალი დიპლომატიური კონტაქტები დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ეკონომიკური განცალკევებულობის აღმოფხვრაში ეხმარება“ (პოპოვი 2004: 222).

დსთ-ის შესახებ საინტერესოა რფ-ის სახელმწიფო დუმის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის აღიარება კრემლის სამომავლო გეგმის – სსრკ-ის ეტაპობრივად აღდგენის შესახებ: “ამჟამად არსებობს პირველადი სტრუქტურა – დსთ-ის სახით ანუ დსთ არის ჩანასახი იმ მომავალი სახელმწიფოსი, რომელიც შეიქმნება ნელ-ნელა. I ეტაპზე დსთ-ის შიგნით დაიწყება მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაცია, შეიქმნება ერთიანი საბაჟო სისტემა, ერთიანი საგადასახადო სივრცე და ა.შ. შემდეგ განახლდება მუშაობა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, რომელიც, სამწუხაროდ, ჩაიშალა 1991 წელს” (ინტერვიუ... 1997ბ: 7).

ჩვენი აზრით კი, დსთ-ის შექმნა მრავალმა ფაქტორმა განაპირობა, რომელთა შორის ხუთ ძირითადს გამოვყოფდით:

1. რუსეთის მხრიდან პოლიტიკური დაინტერესებით გამოწვეულმა კონფლიქტებმა, რის გამოც მათ „არბიტრი დასჭირდებოდათ“ (*ეს ჩვენ უკვე აღვნიშნეთ*);
2. ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციაზე ჯერ კიდევ ცარიზმის პერიოდიდან გატარებული პოლიტიკის წყალობით ძალზედ მაღალი იყო;
3. ამ ქვეყნებში მიმდინარე შიდა პროცესებზე რუსეთის მხრიდან მანიპულირება კიდევ უფრო ზრდიდა რესპუბლიკების მოსკოვზე დამოკიდებულებას;
4. რესპუბლიკების სათავეში მოსული ელიტის წარმომადგენლებს დასავლეთიდან მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ, მაგრამ არ გაუმართლდათ;
5. გაერთიანებითა და ამ გზით მოპოვებული კრემლის მხარდაჭერით ზოგიერთი ქვეყნის მმართველი წრეები იმედოვნებდნენ თავიანთი მმართველობის პერიოდის გახანგრძლივებას;

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სწორად მიგვაჩნია დსთ-ის საქმეებზე მომუშავე ერთ-ერთი რუსი დიპლომატის დასკვნა, რომ დსთ-ის სახელისუფლებო ელიტაში ყველა სადად მოაზროვნე ადამიანი დარწმუნდა, რომ რუსეთთან ვრცელი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გარეშე მათ ქვეყნებში კრიზისული მდგომარეობები სწრაფად ვერ მოგვარდებოდა (პოპოვი 2004: 140).

რაც შეეხება საქართველოს 1993 წლის შემოდგომამდე, ე.ი. ქ. სოსუმის დაცემამდე, საქართველოს მთავრობა უარს აცხადებდა ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანებაზე. მაგრამ ჩვენს შემთხვევაშიც რუსეთის ხელისუფლებამ ყველაფერი იღონა საქართველოში თავისი პოზიციების აღსადგენად (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი).

ამ კონტექსტში საინტერესოა მ. გორბაჩოვის მიერ მოგვიანებით გაკეთებული განცხადება: „სსრკ-ის დაშლამ გამოიწვია ყველა ის უბედურება, რომელიც თავს დაატყდა ხალხებს, მათ შორის, ქართველ ხალხსაც. რომ არა ერთიანი ქვეყნის დაშლა, არ იქნებოდა ომები და სისხლისღვრა...დანამდვილებით შემიძლია ვითხრათ, რაც თქვენ (ქართველებს – ს.ყ.) გეხებათ – არ იქნებოდა ომი აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში, მე პირდაპირ გავაფრთხილე თქვენი ხელისუფლება... სხვებს ნუ ედრებით. რუქას შეხედეთ. ისტორიამ ვერაფერი გასწავლათ? (ინტერვიუ... 1997გ: 3-4)

ის, რომ რუსეთის ყოფილ მოკავშირეებს პრობლემები შეექმნათ საბჭოთა იმპერიის დაშლის გამო ამას აღიარებს რფ-ის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, გ. ტიხონოვიც: „პრობლემები ეხება ყველა „მოკავშირე რესპუბლიკას“. ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე წარმოშობილი პრობლემები არის პირდაპირი შედეგი საბჭოთა კავშირის დაშლისა. ამდენად პრობლემები გადაწყდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღდგება ერთიანი სახელმწიფო“ (ინტერვიუ... 1997დ: 7).

მოსკოვში მოწვეულმა ცენტრალური მთავრობის VI ყრილობამ (1992 წლის მაისი, ელცინის პერიოდი) დაადგინა, რომ დსთ არის სწორედ ის განახლებული კავშირი, რომლისკენაც მიიღწეოდა რუსეთი 1990 წლიდან და მიზნად დასახა თანამეგობრობის წევრ-სახელმწიფოთა შორის შემდგომი ინტეგრაციის ახალი გზები (სობაკინი 1992: 2). ამასთან დაკავშირებით კარნევის ცენტრის პროფესორი, ი. გარნეტი განაცხადებს, რომ ინტეგრაცია არასწორად ესმით მოსკოვში, სადაც ძლიერია ნოსტალგია საბჭოთა კავშირის გამო. სწორედ ამიტომ მოსკოვში ჯეროვნად ვერ აფასებენ სტაბილური და დამოუკიდებელი მეზობლების ფასს და აუცილებლობას (ცინცაძე 1992: 3).

დსთ-ის შესახებ რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცენტრის ხელმძღვანელმა, ა. სალმინმა აღნიშნა, რომ დსთ-ის მოდელი განმტკიცებული იყო 1991 წლის აღმა-ათის შეთანხმებაში, რომელსაც იდეად ედო „ნამდვილი, რეალური და მართალი“ საბჭოთა კავშირის შექმნა, რომელიც მოხსენიებულია 1922 და 1924 წწ. სამართლებრივ დოკუმენტებში, მაგრამ რომელიც პრაქტიკულად არ განხორციელდა. დსთ-ის შექმნა, სალმინის აზრით, იყო „იურიდიულ ფიქციასთან დაბრუნების მცდელობა“, როდესაც, თითქოსდა, მოხდა რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანება თანასწორუფლებიან პირობებში, მაგრამ რომელმაც კრახი განიცადა. იდეოლოგიური კავშირის რღვევამ აჩვენა, რომ რესპუბლიკებს ძალზედ მცირე რამ ჰქონდათ ინტერესებში საერთო. მიუხედავად ამისა, მათ მიერ ხელი მოეწერა ასეულობით დოკუმენტს (*საერთაშორისო შეტყობინების ერთიან სისტემაზე, სავადასახადო და საბაუო პოლიტიკის შეთანხმებულ პრინციპებზე, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სფეროში შეთანხმებულ პოლიტიკაზე, საარბიტრაჟო სასამართლოზე და ა. შ*) მთლიანობაში კი შეიქმნა „ქაღალდის“ დსთ (სალმინი 1996: 5).

ელცინის გუნდის წევრის, გ. ბურბულისის აღიარებით, დსთ-ის კონცეფცია არსებობდა ჯერ კიდევ 1991 წლის გაზაფხულზე (ტრეტიაკოვი 1992: 4).

მაგრამ დსთ თავიდანვე მკვდრადშობილი და „ქაღალდის“ ორგანიზაცია იყო, რაც ნათლად ჩანს იქიდანაც, რომ უკვე 1996 წლის მონაცემებით, შექმნიდან 5 წლის თავზე, დსთ-ის სივრცეში დადებული 1300-ზე მეტი საერთაშორისო ხელშეკრულებიდან და შეთანხმებიდან რეალურად განხორციელდა მხოლოდ 5-7%. (ვ. პოპოვი 2004: 143)

რუსმა გეოგრაფმა, ა. ი. ტრევიშცმა ჩამოაყალიბა სსრკ-ის დაშლით რუსეთისათვის მიღებული დადებითი და უარყოფითი შედეგები. სწორედ ამ უკანასკნელზე გვსურს ახლა მკითხველის ყურადღების შეჩერება. უარყოფით მომენტებად მეცნიერი მიიჩნევს იმას, რომ:

- სსრკ-ის დაშლის შემდეგ ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე წარმოიშვა ახალი, რუსეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რის გამოც რუსეთმა დაკარგა ტერიტორიის მეოთხედი და მოექცა XVII-XVIII საუკუნეების დროინდელ საზღვრებში;

- რუსეთმა დაკარგა მნიშვნელოვანი პორტები (დარჩა მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა) მისთვის სტრატეგიულად ისეთ მნიშვნელოვან ზღვებზე, როგორცაა შავი და ბალტიის ზღვები;
- რუსეთი გახდა უფრო ჩრდილოეთელი ქვეყანა და დაკარგა სატრანსპორტო გზები;
- რუსეთმა, პრაქტიკულად, თითქმის დაკარგა ზეგავლენის ყველა გეოგრაფიული ზონა;
- რუსეთის ტერიტორიის მიღმა აღმოჩნდნენ ეთნიკური რუსები;
- პერიფერიებზე აღმოცენდნენ „ცხელი წერტილები“;
- გაჩნდა ექსკლავი კალინინგრადის ოლქის სახით;
- რუსეთი სუსტია ეკონომიკური თვალსაზრისით, მისი არმია თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობს (ტრეივიშვილი 1995: 16).

სწორედ ამ პრიორიტეტების დაკარგვას დღემდე ვერ შეერიგებიან რუსეთის მმართველი წრეები და არა მხოლოდ ისინი. თუმცა არსებობდნენ და არსებობენ განსხვავებული აზრის მატარებელნიც, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი რიცხვი ძალიან მცირეა და თან ისინი არც ხელისუფლების საჭესთან დგანან, რომ პოლიტიკის შეცვლა შეძლონ. ამ მხრივ, საინტერესოა გაზეთ „იზეესტიას“ სარედაქციო კოლეგიის აზრი: „სახელმწიფოზე გვწყდება გული! საოცარია, რამდენი იზიარებს ამ აზრს... გულდასაწყვეტი არაა, როცა შენი ხალხი და ქვეყანა განწირულია სიღარიბისა და თავისუფლების დამამცირებელი უქონლობისთვის; გულდასაწყვეტი არაა, როცა შენი სამშობლო მსოფლიო პროგრესის მიღმა რჩება; გულდასაწყვეტი არაა, როცა იხოცებიან შენი უდანაშაულო თანამემამულეები. მაგრამ როდესაც სახელმწიფო, რომელსაც შენ შენად მიიხნევი, ცოტა მცირდება ზომებში... ამის გადატანა უკვე შეუძლებელია. ამგვარი წარმოდგენები ტოტალიტარიზმის პირობებში ათწლეულობით ცხოვრების, სახელმწიფოს მხრიდან „ტვინის რეგულარულად გამორეცხვის“ გარდაუვალი შედეგია“ (იზეესტია, № 20, 1992: 3).

რუსეთის მხრიდან, ერთის მხრივ იმპერიის აღდგენის მცდელობისა და მეორეს მხრივ, სუპერსახელმწიფოდ გადაქცევის შიზოიდურ აკვიატებაზე საუბრობენ რენდ-ის პოლიტოლოგებიც, ო. ოლიკერი და თომას ს. სზაინა. მათი აღნიშვნით, მნიშვნელობა არა აქვს რუსეთში განვითარებულ შიდა სიტუაციას. კრემლის სტრატეგიული ამოცანაა ფლობდეს ისეთ რეგიონებს, როგორებიცაა, განსაკუთრებით, კავკასია და ცენტრალური აზია. ეს ქვეყნები მისთვის როგორც კარიზმის დროს, ასევე საბჭოთა ხანაში, წარმოადგენდნენ რესურსების

(*ეკონომიკური და სტრატეგიული-ს.ყ*) მნიშვნელოვან წყაროს წარმატებული იმპერიის არსებობისათვის (ო. ოლიკერი... 2003: 190).

როდესაც ქრონოლოგიურად თვალს გაავაყოლებთ რუსეთის პოლიტიკას საქართველოს მიმართებაში 1990 წლიდან, ნათლად დავინახავთ პ. ჩხეიძის სიტყვების მართებულებას: „საქართველოში მეტად ძლიერი იყო სახელმწიფო დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა. კრემლიდან პარტიული ზედაფენების წარმომადგენლები გვაფრთხილებდნენ და მე ამის მოწმე ვარ, რომ საქართველოს, რა თქმა უნდა, შეუძლია გახდეს დამოუკიდებელი, მაგრამ მოუწევს აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის დათმობა“ (ჩხეიძე 1993: 1-2).

რუსი მეცნიერი, ს. ჩერვონაია აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომპარტიამ ჯერ კიდევ 1988-89 წლებში, იგრძნო რა რეალური საფრთხე მისი ყოვლისშემძლეობის მიმართ, უგულებელყო პოლიტიკურს წარმომადგენელთა ერთი ნაწილის ლიბერალურ-რეფორმატორული მისწრაფებები და რიგითი კომუნისტების ნება, დაეყრდნო პარტიულ და საბჭოთა აპარატის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ძალისმიერ სამინისტროებს, უწინარეს ყოვლისა, „კაგებე“-ს და იმ რესპუბლიკებში, სადაც მასობრივმა ეროვნულმა მოძრაობებმა დღის წესრიგში დააყენა საკითხი ამ რესპუბლიკების სსრკ-ის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ, შეუდგა „ინტერფრონტების“ ორგანიზებას (ჩერვონაია 1994: 72). აქვე ავტორს მოჰყავს სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უკანასკნელი თავმჯდომარის, ვ. ბაკატინის ციტატა ჩანაწერებიდან: „უშიშროების კომიტეტი იღბა „ინტერნაციონალური ფრონტების“ შექმნის სათავეებთან იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებიც ცენტრს ეურჩებოდნენ. ლოგიკამ „დაყავი და იბატონე“ ბიძგი მისცა ამ რესპუბლიკებში საზოგადოების ორ შეურიგებელ ბანაკად გახლეჩვას, სოციალური დაძაბულობის გამწვავებას. მოქმედებდა სქემა: „თუ არ დაგვემორჩილებით, მიიღებთ ინტერფრონტს, რომელიც მოუწოდებს გაფიცვებისაკენ, დასვამს რესპუბლიკის საზღვრებისა და იქ არჩეული ხელისუფლების ორგანოების კანონიერების საკითხს, შემდეგ კი აღნიშნული ინტერფრონტების საქმიანობას უშიშროების კომიტეტი „მოელი ხალხის ნების“ გამოვლენად წარმოადგენს“ (ჩერვონაია 1994: 73).

„კაგებე“-ს როლის გაზრდას მოკავშირე რესპუბლიკების შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში ადასტურებს „კაგებე“-ს პოდპოლკოვნიკი, ვ. მოროზოვიც: „აგენტურასთან ბრძოლის ამოცანები მეტ-ნაკლებად ეფექტიანად წყდებოდა დაახლოებით 1988 წლამდე, ხოლო შემდეგ... ეროვნებათშორის ურთიერთობებში ცენტრიდანული პროცესების წამოშობასა და საზოგადოებაში კონფლიქტური სიტუაციების გამწვავების კვალდაკვალ, რომლებმაც ხელმძღვანელობის წინაშე ახალი

პრობლემა წამოჭრა, კომიტეტის ხელმძღვანელობამ აქცენტი გადაიტანა კონტრდაზვერვიდან შიდაპოლიტიკურ პრობლემებზე, ოპერატიული მდგომარეობის თვალყურისდევნაზე. ამ პრობლემით დაკავებული კოლოსალური ძალები ვალდებულნი იყვნენ ემოქმედათ აგენტურულ სფეროში და არა შიდაპოლიტიკურ ბრძოლებში“ (ფადინი 1990: 30).

იმ ეროვნულ მოძრაობათაგან, რომლებმაც მოიცვა დაშლის გზაზე შემდგარი საბჭოთა კავშირი, ყველა მათგანი არ ისახავდა მიზნად სსრკ-ის დანგრევას. ზოგიერთი, მაგალითად, მოკავშირე რესპუბლიკებში შემაჯავალი ავტონომიური სუბიექტები (მაგალითად, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი) საპირისპირო ანუ ცენტრის (მოსკოვი) მიმართულებით მოქმედებდნენ. თუ ასეთი სუბიექტი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა, მაშინ ადრე თუ გვიან, რესპუბლიკისა და ავტონომიის ურთიერთშეჯახება გარდაუვალი უნდა ყოფილიყო. სწორედ ინტერესთა ასეთი შეჯახება მოხდა სამხაბლოსა და აფხაზეთის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილსა და თავისუფლებისათვის მებრძოლ დანარჩენ საქართველოს შორის.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ხელისუფლების მხრიდანაც ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობების პოლიტიკაში დაშვებული იქნა რიგი შეცდომები, რაც რუსეთმა შესანიშნავად გამოიყენა ჩვენსავე საწინააღმდეგოდ. ამას ადასტურებს ა. ზოლოტარევიც, როდესაც აცხადებს, რომ რუსეთს აქვს მდიდარი გამოცდილება მოწინააღმდეგის ბანაკში არსებული დაპირისპირების გამოყენებისა და ამით თავისი მოკავშირეების რიცხვის გაზრდისა (ზოლოტაროვი 2001: 242).

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ რუსეთის დაინტერესების შესახებ ამიერკავკასიაში თავისი დაკარგული პოზიციების აღდგენის გამო. ახლა გადავხედოთ დაპირისპირების განმაპირობებელ სამართლებრივ-პოლიტიკურ სარჩულს, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო საქართველოში შიდაპოლიტიკური სიტუაციის ესკალაციის ქრონოლოგიას.

ჯერ კიდევ 1990 წელს რეფორმატორი მ. გორბაჩოვის მიერ გამოიცა რამდენიმე კანონი, რომელთა შორისაც შემდეგს გამოვეყოფთ:

1990 წელი:

ავტონომიური ერთეულების მხარდაჭერისაკენ იყო მიმართული „მოკავშირე რესპუბლიკების გამოყოფის შესახებ“ 3 აპრილის სსრკ-ის კანონი, რომელმაც

დაადგინა: იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, რომელთა ტერიტორიაზეც არის ავტონომიური რესპუბლიკები, ოლქები და რაიონები, რეფერენდუმი გამოყოფის შესახებ უნდა ჩატარდეს თითოეულ ავტონომიურ ერთეულში. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ერთეულების მოსახლეობა უფლებას იტოვებს დამოუკიდებლად გადაწყვიტოს სსრკ-ის შემადგენლობაში დარჩენა ან მისგან გამოყოფა, აგრეთვე დასვას საკითხი თავისი ერთეულის სამართლებრივი სტატუსის შესახებ; სსრკ-ის მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ გამოყოფილი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აქვთ უფლება თავად აირჩიონ მოქალაქეობა, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილები. გამოყოფილი ქვეყანა კი ვალდებულია კომპენსაცია გაუკეთოს ყველა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებული იქნება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მოქალაქეების დაბინავებასთან (დიასამიძე 2002: 14-15).

„სსრკ-ის, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის ეკონომიკურის ურთიერთობის საფუძვლების შესახებ“ 10 აპრილის სსრკ-ის კანონით, ავტონომიურ ერთეულებს უფლება მიეცათ: სსრკ-სა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე დაეარსებინათ წარმომადგენლობითი მისიები; ავტონომიური ოლქები და რაიონები სსრკ-ის კანონმდებლობის თანახმად, განაგებენ თავიანთ ტერიტორიაზე არსებულ მიწებს, ბუნებრივ რესურსებსა და სხვა საკუთრებას (დიასამიძე 2002: 14-15).

„სსრკ-სა და ფედერაციულ სუბიექტებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის შესახებ“ 26 აპრილის სსრკ-ის კანონმა დაადგინა, რომ: ავტონომიური რესპუბლიკები საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ფედერაციის სუბიექტები არიან; მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ერთეულებს აქვთ ეროვნული თვითგამორკვევის უფლება; მოკავშირე რესპუბლიკა, ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი და ავტონომიური რაიონი დამოუკიდებლად წყვეტენ საკითხებს, რომლებიც შეეხება მათ ტერიტორიაზე საწარმოო და ეკონომიკური ერთეულების განვითარებას, ამტკიცებენ თავიანთ ტერიტორიებზე მოსახლეობის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს; ავტონომიური ერთეულის უფლება, დასვას სტატუსის შეცვლის შესახებ საკითხი. ამავე კანონით რეგულირდება ახალი სახელმწიფოს სსრკ-ის შემადგენლობაში შესვლის საკითხი (დიასამიძე 2003: 20-21).

ამასობაში სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა საბჭომ მიიღო რეზოლუცია „ზოგადი კონცეფციები ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებისა და მისი გადაჭრის პროცედურების შესახებ“, რომელმაც დაადგინა: განახლებული კავშირი, დაფუძნებული ხალხის ნებასა და რესპუბლიკებისა და ავტონომიური ერთეულების სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაციებზე, აცხადებს დაიცვას ხალხთა შორის თანასწორობა, მიუხედავად მოსახლეობის სიდიდისა, მათი უფლება თვითგამორკვევასა და თავისუფალი დემოკრატიული განვითარებისათვის, ასევე ხელი შეუწყოს ფედერაციის სუბიექტების ტერიტორიულ ინტეგრაციას. ამ აქტით კრემლმა ხელი შეუწყო რესპუბლიკის ცენტრსა და მასში შემავალ ავტონომიურ სუბიექტებს შორის ისედაც დაძაბული ურთიერთობების კიდევ უფრო დამძიმებას.

22 სექტემბერს ქ. მოსკოვში (მის შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ) გაიმართა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, ეროვნულ-ტერიტორიული წარმონაქმნებისა და საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრიობის არმქონე ხალხების წარმომადგენელთა I ყრილობა, რომლის მიზანიც (როგორც ზემოთ აღვნიშნა) იყო ამ ხალხების ფაქტიურად რესპუბლიკურ ცენტრთან დაპირისპირება იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირე რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობა უარს იტყოდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელის მოწერაზე და დასვამდა საკითხს სსრკ-ის შემადგენლობიდან გასვლის თაობაზე.

1991 წელი:

7 იანვარს გამოიცა სსრკ-ის პრეზიდენტის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის მიერ 1990 წ. მიღებული საკანონმდებლო აქტების შესახებ“, რომელიც შეეხო საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებას და რომელმაც დაადგინა, რომ: ნებისმიერი საკითხი, რომელიც მიმართულია ავტონომიური ერთეულების სტატუსის ცვლილებისაკენ, სამართლებრივ გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში იძენს, თუ ამას დაამტკიცებს სსრკ-ის უმაღლესი ხელისუფლება; საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, სამართალდამცავმა ორგანოებმა, სსრკ-ის კონსტიტუციიდან და კანონმდებლობიდან გამომდინარე, უნდა დაიცვან სამხეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობის სამართლებრივი ინტერესები და უფლებები; დაუყოვნებლივ უნდა გაყვანილ

იქნეს ყველა სამხედრო შენაერთი ოლქის ტერიტორიიდან სსრკ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფების გარდა (დიასამიძე 2003: 42).

ამავე მოთხოვნებს სამხრეთ ოსეთისათვის ავტონომიური სტატუსის აღდგენის შესახებ უყენებს საქართველოს მთავრობას 31 მარტის რსფსრ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და 25 ნოემბრის რსფსრ-ის სახალხო დეპუტატთა III რიგგარეშე ყრილობის დადგენილებებიც. არ დაგავიწყდეთ, რომ ეს ხდება მაშინ, როდესაც საქართველოს უკვე აქვს გაკეთებული განაცხადი სსრკ-ის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.

9 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის პრეამბულაშიც აღნიშნულია, რომ: საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლისა და სსრკ-ის კონსტიტუციის 78-ე მუხლის საფუძველზე ახორციელებს თავის ხელისუფლებას, და ნებისმიერი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანო, საწარმო და სამართლებრივი ერთეული, რომელიც მდებარეობს მის ტერიტორიაზე, ვალდებულია დაექვემდებაროს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებსა და კანონებს; მიჩნეულ იქნეს სსრკ-ის პრეზიდენტის 1991 წ. 7 იანვრის დადგენილება, როგორც საქართველოს შიდა საქმეებში უხეში ჩარევის მცდელობა, რომელიც შეურაცხყოფს ქართველი ხალხის სუვერენულ უფლებებს; თუ რეგიონში დისლოცირებული სსრკ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები გამოდევნიან საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების შეიარაღებულ ძალებს, ეს ქმედება ჩაითვალოს, როგორც საქართველოს მიმართ ომის ინიციატივა და პასუხისმგებლობა ამ მოქმედების შედეგებზე საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე დაეკისრება მხოლოდ სსრკ-ის უმაღლეს ხელისუფლებას და პირადად სსრკ-ის პრეზიდენტს, მ. გორბაჩოვს.

28 თებერვალს რსფსრ-ის სახალხო დეპუტატთა IV კონგრესის გადაწყვეტილების შესაბამისად, საბჭომ მიიღო დადგენილება „17 მარტს სრულიად საკავშირო რეფერენდუმის ჩატარების შესახებ.“ რეფერენდუმი, რაც სამართლებრივად საერთო-სახალხო ნების გამოკითხვაა, საქართველოს ტერიტორიის მხოლოდ ნაწილში – აფხაზეთის ასსრ-სა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარდა და ისიც კანონის უხეში დარღვევით.

ავტონომიურ ერთეულებში უსამართლოდ (*ვინაიდან საქართველოს დანარჩენი ნაწილი არ ღებულობდა მასში მონაწილეობას*) და თან

რეფერენდუმის შესახებ არსებული კანონის უხეში დარღვევით ჩატარებულ რეფერენდუმს საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ზ. გამსახურდიამ უპასუხა 22 მარტის დადგენილებით, რომელშიც აღინიშნა, რომ რეფერენდუმი უხეში დარღვევებით ჩატარდა, საარჩევნო ოლქებში სსრკ-ის შეიარაღებული ძალები იდგა, გალის რაიონის ქართველი მოსახლეობა სიებში არ იყო შეყვანილი, ხმის მიცემაში მონაწილეობდნენ რუსეთის ჯარისკაცები. აქედან გამომდინარე, რეფერენდუმის შედეგები უსამართლო იყო და უნდა გაუქმებულიყო.

სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს 21 მარტის დადგენილებამ მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებათა დამრღვევებად შერაცხა იმ „ზოგიერთი რესპუბლიკის“ (*საქართველო, ლიტვა, მოლდოვა, ლატვია, სომხეთი და ესტონეთი*) ხელმძღვანელები, რომელთაც არ განახორციელეს სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა IV კონგრესის რეზოლუცია რეფერენდუმის ჩატარების შესახებ (დიასამიძე 2003: 41).

25 ოქტომბერს რსფსრ-ის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-ში სიტუაციის შესახებ, რომლითაც რსფსრ-ის პრეზიდენტს ეთხოვა, რომ, საჭიროებისამებრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სიტუაციის დარეგულირების მიზნით საქართველოს მკაცრი ეკონომიკური ბლოკადა გამოცხადდებოდა. იგივე მეორდება რსფსრ-ის სახალხო დეპუტატთა III საგანგებო სხდომის 1 ნოემბრის დადგენილებაშიც.

27 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა დაადგინა, რომ სსრკ-ის სამხედრო ძალების ქვედანაყოფების არსებობა რეგიონში წარმოადგენს შიდა ქართლში დესტაბილიზაციის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს, და სსრკ-ის შესაბამისი ორგანოებისაგან სამხედრო შენაერთების დაუყოვნებლივ გაყვანა მოითხოვა, რაც 3 დეკემბრის დადგენილებითაც გაიმეორა. თუმცა ამ მოთხოვნებს კრემლის მხრიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.

13-14 დეკემბერს ქ. ვლადიკავკაზში გაიმართა ოსი ხალხის I კონგრესი, რომელმაც რსფსრ-ისა და თანამეგობრობაში გაწევრიანებულ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ოსეთის ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ცნობა მოთხოვა.

ამასობაში, აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს 29 დეკემბრის დადგენილებით, აფხაზეთში დისლოცირებული სამხედრო შენაერთები, მათ

შორის, საკავშირო დაქვემდებარების, საზღვაო ფლოტი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები აფხაზეთის ასსრ-ის დაქვემდებარებაში გადავიდა.

შეუძლებელია ყველა იმ საკანონმდებლო აქტის მოყვანა, რომელიც მიიღო სსრკ-ის ხელისუფლებამ, რათა ხელი შეეშალა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის კავშირის შემადგენლობიდან გასვლაში. ერთი კი ცხადია, რომ თუ რეფორმატორმა გორბაჩოვმა სსრკ-ის კანონმდებლობაში სიახლეების შეტანით ხელი შეუწყო ავტონომიური წარმონაქმნების მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური ხელისუფლებისაგან ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, დემოკრატი ელცინის მთავრობამ ამავე მიმართულებით უფრო ქმედით ზომებს მიმართა სამხედრო ოპერაციების ჩატარების ჩათვლით.

აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ შტრიხებს პრეზიდენტი ბ. ელცინის მოქმედებებიდან, რაც ნათლად ადასტურებს „რუსული დემოკრატიის“ არცთუ დემოკრატიულ ხასიათს, მით უმეტეს, საბჭოთა რუსეთის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ და ეჭვის ქვეშ აყენებს ე.წ. „მესამე ძალების ანუ შავრაზმელებისა ანუ რეაქციონერთა“ არსებობას. ამასთან დაკავშირებით საინტერესო იქნება ერთი ციტატის მოტანა, რომელიც გამოსატავს თანამედროვე რუსი მეცნიერების აზრს რუსული დემოკრატიის შესახებ: „რუსული დემოკრატიისათვის ძირითადი საფრთხე ჟირინოვსკ-კომუნისტური ნაციონალიზმისა ან „მშიერი ბრბოსაგან“ კი არ მომდინარეობს, არამედ თვით „დემოკრატიული ხელისუფლების“ მნიშვნელოვანი ბიუროკრატიული სეგმენტებისგან... გეოგრაფიული რუქა დემოკრატიებისათვის დიდი ცდუნებაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ნაციონალ-პატრიოტების მიერ თამაშდება“ (გულბინსკი... 1994: 5).

მაშ ასე, 1985 წელს ჯერ კიდევ საბჭოთა იმპერიის სათავეში მოსული გენერალური მდივანი მ. გორბაჩოვი 1991 წლის 12 ივნისს შეცვალა ბ. ელცინმა (*მანამდე იგი გახლდათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, რომელმაც 1990 წლის 29 მაისის ყრილობის გადაწყვეტილებით, რუსეთის ფედერაციის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა დაიკავა*). მისი მოსვლის შემდეგ ახალ რუსეთში დაიწყო სსრკ-ის მასშტაბით არსებული მექანიზმების, ტრადიციების, სტრუქტურებისა და პოლიტიკური პერსონაჟების რეგენერაცია. ბევრ შემთხვევაში პოლიტიკურ ელიტაში და ოპოზიციაშიც კი იგივე სახეები განაგრძობდნენ მოღვაწეობას (ტრეტიაკოვი 1992: 4). უფრო მეტიც, ცოტა მოგვიანებით რუსეთის სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებმა

მიმოიხილეს რა იმხანად რუსეთის შიდა პოლიტიკური სიტუაცია დაასკვნეს, რომ: „ძველი ბიუროკრატიის საშუალო ფენამ ახალ პოლიტიკაში ტოტალიტარული აზროვნებისა და მოქმედების ყველა სახასიათო თვისება მოიტანა... არსებობს შეთანხმება პრეზიდენტსა და რვა პარტიას შორის შეთანხმებული მოქმედების თაობაზე. არსებობს მათთან კონტაქტებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო მრჩეველიც და პრეზიდენტის განკარგულებაზე რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცენტრის შექმნის შესახებ, რომლის მიზანია „პოლიტიკური პარტიების, მოძრაობების, ახალგაზრდული და საბავშვო ორგანიზაციების საქმიანობის საინფორმაციო და საკონსულტაციო უზრუნველყოფა“... ამის მიუხედავად, რუსეთში მრავალპარტიულობა არ არსებობს... არსებობს ეჭვი, რომ ხელისუფლება პარტიებს რეალურ პარტნიორებად კი არ აღიქვამს, არამედ უფრო, როგორც დეკორაციას, დემოკრატიულობის იმიჯის აუცილებელ ატრიბუტს. ამ ვითარებაში შეუძლებელია, რომ შეთანხმების მონაწილე პარტიები თავს ისეთ მძევლებად არ თვლიდნენ, რომლებიც ხელისუფლების მოქმედებებზე პასუხისმგებლობას ინაწილებენ, ამ მოქმედებებზე ზეგავლენის შესაძლებლობის გარეშე...“ (გულბინსკი... 1994: 5).

რუსი პოლიტოლოგი, რ. მუხაევი კი აღნიშნავს, რომ „რუსული პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს პოლიტიკური პარტიების სუსტი ხვედრითი წონა, მათი სუსტი ზეგავლენა ხელისუფლებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე“. მისი აზრით, ქვეყანაში აღმოცენებული პოლიტიკური ძალების უფლება – მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებში – მეტად შეზღუდული აღმოჩნდა. (მუხაევი 2003: 146-147). მუხაევის მტკიცებით, 1991 წელს ქვეყნის მმართველობის სათავეში მოსული დემოკრატიული ოპოზიცია „პრინციპულად ახალი პოლიტიკურ-კულტურული წარმონაქმნი არ გამხდარა, მაგრამ მის შიგნით პოლიტიკური როლები გადანაწილდა. ხელმძღვანელობაში, ძირითადად, დარჩნენ გარდაქმნის წლებში წამოწეული კადრები. ეს იმას ნიშნავდა, რომ ნომენკლატურული ელიტის ძირითადმა ბირთვმა არსებითად შეინარჩუნა თავისი პოზიციები რუსეთის ახალ საზოგადოებაში, მისი ნაწილი ბიზნესში გადავიდა, ნაწილი სახელმწიფო ინსტიტუტებში – პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, მთავრობაში“ (მუხაევი 2003: 108).

რუსული დემოკრატიის ხარისხზე კარგ დახასიათებას იძლევა ცნობილი რუსი ჟურნალისტი და პუბლიცისტი, ჰ. ბოროვიკი: „მიმდინარეობს გასუფლებლა და გარეგვინება... ახლა ბევრმა გაიგო, რომ მათ ამ დემოკრატიული მოქმედებებით ატყუებენ – როგორც 70-ან წლებში კომუნისტები ატყუებდნენ ხალხს სოციალიზმით“ (ინტერვიუ... 1997ა: 8).

უკვე 1991 წლის შემოდგომისათვის კრემლის პოლიტიკა გააქტიურდა ორი მიმართულებით: სახელმწიფო რეჟიმის რეფორმირებისა და სსრკ-ის სტრუქტურების რესტავრაციისაკენ. ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა, რაც რუსეთის ხელისუფლების წინაშე დადგა, სახელმწიფოს მართველობა აღმოჩნდა. სწორედ ამის გათვალისწინებით ბ. ელცინმა დაიწყო აღმასრულებელი ხელისუფლების ვერტიკალიზაცია, რომელიც უშუალოდ მას, როგორც ქვეყნის პრეზიდენტს დაექვემდებარებოდა. პარალელურად სახელისუფლებო სისტემაში მისი რეფორმების მიზანს წარმოადგენდა ხელისუფლების დემოკრატიზაცია, ე. ი. მისი სამ ტრადიციულ განშტოებად (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) დაყოფა.

ანალიტიკოსების შეფასებით, პრეზიდენტი ელცინის მოღვაწეობა არ იყო გამჭვირვალე, რაც ბევრში იმ ეჭვს ბადებდა, რომ იგი მზად არ იყო ნამდვილი რეფორმებისათვის. ამიტომ გასაკვირიც არ არის ის, რომ ძალიან მალე დაიწყო ხელისუფლების ავტორიტარული მეთოდების აღდგენა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ პრეზიდენტს უკვე აღარ ესაჭიროებოდა არც პარლამენტი თავისი თავმჯდომარით და, მითუმეტეს, აღარც დამოუკიდებლად მოქმედი მინისტრთა კაბინეტი (მუხაევი 2003: 146-147).

შეიძლება, სწორედ ავტორიტარობისაკენ სწრაფვის გამო, იმდროინდელ პრესასა თუ ისე გამოსვლებში ელცინს თავისი თანამემამულეები მოიხსენიებდნენ „მეფე ბორისად“ და „გენერალურ მდივან, ამხანაგ ელცინად“. „ელცინი – პოპულისტის უძველესი ჩინია, ანუ როგორც ადამიანისა, რომელიც ისეთ რამეს ჩადის, რასაც ხალხი სასოებით ელის, მაგრამ რომლიდანაც იგი აუცილებლად იღებს უპირობო პოლიტიკურ სარგებლებს“ (მაღკინა 1992: 2).

ბ. ელცინის პოპულისტურ ხასიათზე მიანიშნებს რ. მუხაევიც, როდესაც წერს: „ელცინი პოპულისტი სახის ბელადად გამოვიდა, რაც ადამიანთა დიდ მასებში აღტაცებას იწვევს... პირველ ეტაპზე ხალხმა იგი კორუფციისა და მოხელეთა პრივილეგიების წინააღმდეგ მებრძოლად აღიქვა... ელცინის ლიდერობა იმ პერიოდში ეფუძნებოდა მის ქარიზმას, პოპულისტურ მითს...“ (მუხაევი 2003: 125-126).

მ. შაკინა ელცინს ახასიათებს როგორც ტრიბუნების მოყვარულ პოპულისტ ლიდერს, რომელიც გამოიბრძმიდა საოლქო კომიტეტში. „ვინ არის ელცინი?“ – კითხვას სვამს შაკინა – „პოლიტიკური ტალანტი თუ პოლიტიკოსი, რომლის მეორე მხარე უსაზღვრო პატივმოყვარეობაა?“ (შაკინა 1996: 1-2).

დ. ტრენინი წერს, რომ დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის მცირეოდენ ელემენტებთან ერთად პოსტსაბჭოთა რუსეთისათვის დამახასიათებელია ოლიგარქიული მმართველობის ფორმა. „განუსაზღვრელი ველიკოდერჟავული ამბიციები სულ უფრო ნაკლებად ეთანხმება ქვეყნის ფაქტობრივ რესურსებს... არსებობს დიდი სურვილი იმისა, რომ წარუმატებლობა დაბრალდეს გარე სამყაროს მხრიდან შეთქმულებას... ამ სურვილმა გაზარდა რუსეთის ელიტაში ტრადიციული გეოპოლიტიკოსების რიცხვი, რომელთა აზრშიც ტერიტორიები და ნედლეული ისევე, როგორც საუკუნის წინ, წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკის მთავარ ფაქტორს, ხდება პრობლემების დარეგულირების ძალოვანი მიდგომის რეაბილიტაცია. ჯერჯერობით რუსეთის წარსულისა და მომავალი დიდებისადმი პატივისცემის მოსაპოვებლად დერჟავული მოდელის მიმდევრები ვარჯიშობენ რიტორიკაში. რეალური რუსეთი კი განაგრძობს დასუსტებას“ (ტრენინი 1996: 34-35).

ხელისუფლების ოლიგარქიულ ხასიათზე მიუთითებს რ. მუხავეიც, როდესაც აღნიშნავს, რომ გასული საუკუნის 90-იანის წლების დასაწყისში რფ-ის სათავეში მოსული ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი ნიშანი იყო საბჭოური პერიოდით გაჯერებული ოლიგარქიულობა (მუხავეი 2003: 209).

როდესაც ელცინმა რფ-ის პრეზიდენტობის მეორე ვადაზე დააპირა კენჭისყრა, მისი ეს ნაბიჯი კ. ლიუბარსკიმ ელცინის მიერ აღებული პოლიტიკური კურსის და თავისი თანამებრძოლების დალატად შეაფასა. მისი აზრით, საპრეზიდენტო არჩევნებში ელცინის მეორედ გამარჯვება ქვეყანაში პოლიციური რეჟიმის საბოლოოდ დამკვიდრებას გამოიწვევდა (ლიუბარსკი 1996: 8-10).*

გენერალი ა. ლებედიც კი, რომელიც არ გამოირჩეოდა დიდი დემოკრატიულობით** მიანიშნებდა რუსულ იმპერიალისტურ სულისკვეთებაზე, როდესაც წერდა, რომ იმპერიის დრო დასრულდა და რომ მისი ადგილი ახლა ნაციონალურმა სახელმწიფომ უნდა დაიკავოს. დღეს მთავარია არა ტერიტორიული, არამედ ეკონომიკური, ტექნოლოგიური და კულტურული ექსპანსია. ისინი, ვინც ლამობენ სსრკ-ის აღდგენას, აპირებენ ჩვენს ჩათრევას დიდ ავანტიურაში (ლებედი 1996: 9).

* ელცინზე როგორც წითელ დირექტორზე იხ. აგრეთვე, ორლოვი 1996: 24; მილშტეინი 1996: 15.

** დაიღუპა წინასაპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში. იგი კენჭს იყრიდა, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი. სხვათა შორის, ასევე დაიღუპა პრეზიდენტობის მეორე კანდიდატიც ცნობილი ოფთალმოლოგი, ს. ვიოდოროვი

იმას, რომ რუსეთი არ იყო მზად დემოკრატიული რეფორმებისათვის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ აღმოჩენილ პოსტსაბჭოურ სივრცეში არსებულ სახელმწიფოებრივი ერთეულების მიმართ, მრავალი რამ განაპირობებდა:

- 1) რუსეთის იმპერია, რომლის ჩამოყალიბებასაც სამი საუკუნე დასჭირდა, უცებ რამდენიმე წელიწადში დაირღვა. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ რუსეთის მმართველმა წრეებმა (და არა მხოლოდ მათ) დროში ვერ მოასწრეს მოვლენებისათვის ფსიქოლოგიურად და მენტალურად შეგუება;
- 2) რუსეთის სათავეში და თვით დემოკრატებს შორისაც (იმავე ელცინის ჩათვლით) აღმოჩნდნენ საბჭოური პერიოდის ნომენკლატურის მუშაკები, რომელთა მენტალიტეტი ჭეშმარიტი დემოკრატიისა და სამოქალაქო სახელმწიფოს იდეოლოგიისაგან ძალიან შორს იყო;
- 3) დემოკრატია, როგორც იდეოლოგია, გარედან იყო თავსმობხვეული და ის პირდაპირ კავშირში აღმოჩნდა ეკონომიკურად დასუსტებული სახელმწიფოსათვის დასავლეთის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის მიღების აუცილებლობასთან. ასე რომ, ახალი რუსეთის ნეოპარტოკრატები მსოფლიოს თვალში დემოკრატებად წარმოჩენით ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი კრედიტის მიღებას ქვეყნის შიგნით გაძლიერებისათვის, რომლის შემდეგაც უკვე საგარეო გაძლიერებას მიხედავდნენ.

რუსი ჟურნალისტი, ვ. ტრეტიაკოვი, მიმოიხილავს რა ელცინისეულ პოლიტიკას, მართებულად აღნიშნავს, რომ თავისი მართველობის პირველ წელს ელცინის წინაშე სამი რთული პრობლემა დადგა:

- 1) ფსონის დადება ნაციონალიზმზე;
- 2) პარტიულ-საბჭოთა სისტემის (საბჭოთა საპრეზიდენტო სახით) რესტავრაცია და
- 3) ეკონომიკური რეფორმების ბოლომდე მიუყვანლობა (ტრეტიაკოვი 1992: 4).

ჩვენი აზრით, პრეზიდენტი ელცინის პოლიტიკაც სწორედ ამ სამი მიმართულებით წარმოებდა. იმაზე, რომ იგი იმპერიის აღდგენას ფიქრობდა, ნათლად მიუთითებს მისი მმართველობის დასაწყისში მომზადებული ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტიც (პარლამენტს წარედგინა 1991 წლის

23 ივლისს), რომელიც უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირის სახეშეცვლილი ფორმა და რომლის შესახებ სრულიად რუსეთის ყრილობაზე (გაიმართა 1991 წლის 18 ოქტომბერს) ბ. ელცინმა განაცხადა, რომ რუსეთი კავშირის დაშლის ინიციატორად არასოდეს გამოვიდოდა (პარხომენკო 1992: 5).

თუ თავდაპირველად დასავლეთში ელცინი დემოკრატ მართველად მოიაზრებოდა, უკვე 1994 წელს, მისი ქ. კიევში ვიზიტის შემდეგ, მსოფლიო დარწმუნდა, რომ იმპერიული რუსეთი ვერ გახდება დემოკრატიული (ბუეზინსკი 1997: 127). თუმცა მანამდეც მის გამოსვლებში, სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც იგრძნობოდა პრეტენზიები დაკარგული ტერიტორიების რუსეთის კუთვნილების თაობაზე. მაგალითისთვის, 1991 წლის 10 იანვარს პოვოლჟიეში ვოიაჟის დროს, როცა ბ. ელცინი ჯერ კიდევ რსფსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იყო, მან განაცხადა, რომ შავი ზღვის ფლოტი იყო, არის და იქნება რუსეთის (პარხომენკო 1992: 5). დამაფიქრებელია 1994 წელს, დსთ-ის სამიტზე, მის, ამჯერად უკვე, როგორც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, მიერ გაკეთებული განცხადებაც, რომ შესაძლებელია რუსეთი გადავიდეს „ცივ მშვიდობაზე“. არც შემდგომი, 1996 წელი, აღმოჩნდა იმედის მომცემი, როდესაც ოფიციალურმა კრემლმა ბალტიისპირეთის ქვეყნებისგან ე.წ. თანამეგობრობაში შესვლა მოითხოვა და საფუძვლად 1940 წელს მათ მიერ ვითომდა ნებაყოფლობით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლის გადაწყვეტილება მოიტანა. იმავე წელს ქ. პეკინში ელცინმა განაცხადა, რომ მსოფლიოს, და განსაკუთრებული აქცენტი, რაღა თქმა უნდა, აშშ-ზე იყო გაკეთებული, არ უნდა დავიწყებოდა, რომ რუსეთს ბირთვული იარაღი აქვს.

დასავლეთს ყურადღებიდან არც რუსეთის ორმაგი დამოკიდებულება გამოპარვია ბალტიისპირეთის სახელმწიფოების მიმართ. ზ. ბუეზინსკი აღნიშნავს, რომ „თავად დემოკრატიული რუსეთის ხელმძღვანელებიც კი პერიოდულად მიმართავდნენ მუქარას იმისათვის, რომ მიეღწიათ შედაგათებისათვის რუსი კოლონისტების დიდი სათვისტომოებისათვის, რომლებიც თავად ჩაასახლეს აქ სტალინის მმართველობის პერიოდში“ (ბუეზინსკი 1997: 125).

1996 წლის მაისში კი ელცინი განაცხადებს, რომ არავის ჰქონდა უფლება რუსეთისთვის მიეთითებინა, თუ, როგორი უნდა იყო ის. მისი განმარტებით, რუსეთი უნდა ყოფილიყო მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო, რომელიც კატეგორიულად აღუდგებოდა წინ NATO-ს აღმოსავლეთით გაფართოებას.

სხვათა შორის, ჯერ კიდევ ბელოვეჟის ცნობილი მოვლენების დროს*, თვითმხილველების განცხადებით, სწორედ ელცინი, და არა გორბაჩოვი, იყო ერთადერთი პოლიტიკოსებს შორის, ვინც თავის კოლეგებს მოკავშირე რესპუბლიკებიდან მოუწოდებდა კარგად გაეანალიზებინათ, ხომ არ რჩებოდა რაიმე რესურსი კავშირის შესანარჩუნებლად, თუნდაც მცირეოდენი.

მართალია, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბ. ელცინს მთავრობაში ოპოზიცია ჰყავდა, რომელიც ეკონომიკური რეფორმებისათვის მას აკრიტიკებდა (*ძირითადი დაპირისპირება მათ შორის გამოიწვია პრეზიდენტის სანქციამ ფასების ლიბერალიზაციის გამო*), მაგრამ მთლიანობაში ეს ის ძალა არ იყო, რომელსაც უნარი შესწევდა პრეზიდენტისათვის საკუთარი შეხედულებების თავზე მოხვევა, მით უმეტეს, სამხედრო გადატრიალების მოწყობა. პირიქით, გასული საუკუნის 90-იანი წლების I ნახევარში „რუსეთში განვითარებული პროცესებისათვის უფრო დიქტატურაა დამახასიათებელი, ვიდრე დემოკრატია“ (მუხაევი 2003: 169).

ბ. ელცინის პოლიტიკის ცვლილებაზე მიუთითებენ რუსი პოლიტოლოგები, ა. მუხინი და პ. კოზლოვი, როდესაც აღნიშნავენ, რომ, თუ 1990 წელს ელცინი სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა საერთო დემოკრატიულ და ლიბერალურ ღირებულებებს, უკვე 1991 წლიდან (ე.ი. ინაუგურაციიდან) მოყოლებული 1993 წლამდე იგი დადგა სახელმწიფოებრივ პოზიციაზე (მუხინი... 2003: 126). „საქმე იმაშია, რომ „ბიუროდემოკრატიული ესტაბლიშმენტის“ უდიდესი სექტორისათვის ეკონომიკური რეფორმა ხელისუფლების შენარჩუნების მნიშვნელოვანი ბერკეტია... რამეთუ ადექვატურ სოციალურ ბაზას მათ მხოლოდ რეფორმა აძლევს. ამგვარად, მმართველი ძალის თუნდაც ნაწილისათვის რეფორმას მხოლოდ ინსტრუმენტალური ხასიათი გააჩნია, ისინი მზად არიან, ნებისმიერი საფასური გადაიხადონ მისი წარმატებისათვის, მათ შორის, დაუშვებლად შეკვეცონ დემოკრატია“ (გულბინსკი... 1992: 5). აქვე დავესესხებით ქართველ პუბლიცისტს, დ. გელოვანს და განვაცხადებთ, რომ როგორი დაპირისპირებულნიც არ უნდა იყვნენ რუსები ერთმანეთის მიმართ სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში, საქართველოსა და ქართველებისადმი სიძულვილში ისინი ერთსულოვანნი არიან (გელოვანი 1996: 1, 5).

მეტად საინტერესოდ გვეჩვენება მასაჩუსეტის უნივერსიტეტის პროფესორის, ს. მაიერის მართებული შენიშვნა რამოდენიმე რუსეთის არსებობის

* ბელოვეჟის ტევრში სსრკ დაშლილად ოფიციალურად გამოცხადდა.

შესახებ: „როდესაც ჩვენ ვეჯახებით საბჭოთა პოლიტიკას, რომელიც ჩვენ არ მოგვწონს, მაშინ ვიწყებთ რაღაც ბნელი ძალების მოძიებას, რომლებმაც მოიპოვეს გამარჯვება კეთილ ძალებზე, რითაც ჩვენ თავს ვისუფლებთ“ (მაიერი 1990: 15).

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ რუსეთის არმიას, რომლის წარმომადგენლებიც, რიგითი ჯარისკაცების თუ მათი ხელმძღვანელების სახით, უშუალოდ მონაწილეობდნენ ჩვენს ტერიტორიებზე წარმოებულ სამხედრო კონფლიქტებში. რა თქმა უნდა, სსრკ-ის დაშლამ დიდი გავლენა იქონია ქვეყნის სხვადასხვა სფეროზე და მათ შორის არმიაზეც. ეკონომიკური კრიზისი და ბიუჯეტის დეფიციტი მათზეც აისახა. მაგალითად, 1992 წლის რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ბიუჯეტმა იმ თანხის მხოლოდ 55% გაითვალისწინა, რომელიც სამხედრო პირების სოციალური უზრუნველყოფისათვის იყო საჭირო (*მაგალითისთვის რომ ვთქვათ, ამ თანხით მხოლოდ 17000–20000-მდე სამხედრო პირის ბინით უზრუნველყოფა შეიძლებოდა, როდესაც საცხოვრებელი ფართის პრობლემა 36000 სამხედროს ჰქონდა*).

1992 წლის 6 ივნისს რუსეთის მთავრობამ სპეციალური გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ძალებში განხორციელებული შემცირებების შედეგად გამოთავისუფლებული ქონებისა და ტექნიკის რეალიზაციით მიღებული თანხის საკუთარი შეხედულებებისამებრ გამოყენების ნებას რთავდა – „სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსებისათვის“, როგორც ეს დოკუმენტში იყო დაფიქსირებული. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს დაქვემდებარებული გაერთიანება „ობორონექსპორტის“ ექსპერტების გამოანგარიშებით, ამ თანხას 20 მლრდ. აშშ დოლარი უნდა შეედგინა. მაგრამ იმ ხანად იარაღის ექსპორტით 50-მდე ქვეყანა იყო დაკავებული და ამგვარ პირობებში რუსულ იარაღზე მოთხოვნა შემცირდა. ასე რომ, იმავე ექსპერტების აზრით, რუსეთის თავდაცვის სამინისტრო სამხედრო ქონების გაყიდვით მხოლოდ 9 მლრდ. აშშ დოლარს მიიღებდა. როგორც რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროსთან არსებული ჯარისკაცთა სოციალური უზრუნველყოფის კომიტეტის თავმჯდომარემ, ა. ტემერკომ განაცხადა: „ჩვენ უკვე გვაქვს დადებული ხელშეკრულებები, თუ ვის, სად და რამდენი იარაღი მივაწოდოთ“-ო. თუმცა მან არ დაასახელა კონკრეტულად ის მისამართები, სადაც უნდა გადაეგზავნათ იარაღი, მაგრამ ნუსხაში შემავალ სამხედრო პროდუქციას, რომელიც მან ჩამოთვალა, მოგვიანებით შეეხვედებით

აფხაზეთსა და სამაჩაბლოშიც. მისივე მონაცემებით, ესენი იყო: ტანკები – T-55, T-72 M1, T-72C, ჯავშანმანქანები – БТР-60, თვითმფრინავები – МИГ-29, МИГ-29УБ, МИГ-31, СУ-25, СУ-27, ИЛ-76, АН-12, АН-24, სხვადასხვა მოდიფიკაციის სასროლი იარაღი. „პრინციპში, ჩვენ საკუთარი ბაზრის ფორმირება გვსურს,“ – განაცხადა მან (ფელგენგაუერი 1992ა: 1; იხ. აგრეთვე შლიაკოვი 1996: 1).

ამ განაცხადიდან გამომდინარე, თუ იმ რეალობასაც გავეთვალისწინებთ, რომ ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე რომელიმე უცხო ქვეყნიდან იარაღის გაგრძელების შესაძლებლობა ნაკლებად სავარაუდო იყო (*ვინაიდან სსრკ-ის დროს მისი ყოფილი რესპუბლიკები ამ მხრივაც გარე სამყაროსთვის ჩაკეტილ ზონად მოიაზრებოდა*), ისღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ახალი ასათვისებელი ბაზარი რუსეთისათვის, ძირითადად, მისივე ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები გახდებოდნენ.

სხვათა შორის, რუსეთის საზღვრებს გარეთ იარაღის გაყიდვას ისეთი სახელმწიფო სტრუქტურები არეგულირებდნენ, როგორებიცაა: საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო (მინისტრის მოადგილე ვ. შიბაევი), სახელმწიფო ქონების მართვისა (თავმჯდომარის მოადგილე ვ. სიჩკინი) და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიები (პრემიერ-მინისტრის ე. გაიდარის ხელმძღვანელობით). ა. ბუდბერგი იხსენებს, რომ იარაღით ვაჭრობას იგი პირადად შეეხო ჯერ კიდევ 1991 წელს, სსრკ-ის დროს. მისი დაკვირვებით, „მცირე საბითუმო“ ვაჭრობის გარდა, ჯერ კიდევ მაშინ არსებობდა მიზანმიმართული და, შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი მიწოდებები...“ (ბუდბერგი 1997: 1,4).

მოგვიანებით რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მრეწველობის მინისტრი, ზ. პაკიც დაადასტურებს, რომ 1996 წელს იარაღის გაყიდვის მოცულობამ ფულადი გამოსატულებებით 3 მლრდ. დოლარს გადააჭარბა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ რუსული იარაღით ვაჭრობა 1993 წელთან შედარებით 3-ჯერ გაიზარდა. მინისტრისავე განცხადებით, ასეთი მზარდი ტენდენციის პირობებში, რუსეთი გავიდოდა იარაღის ექსპორტიორთა შორის მე-2 ადგილზე (დილის გაზეთი №24 1997: 12).

ის, რომ რუსეთის არმია ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე პრეზიდენტის სანქციის გარეშე მოქმედებდა, მცდარი შეხედულებაა, ვინაიდან:

1. როგორც აღნიშნეთ და ამას მისი თანამედროვენიც აცხადებენ, ელცინი ის ადამიანი არ იყო, ვისაც მისი დაქვემდებარებულები მართავდნენ*. პირიქით, თანამედროვე რუსეთის ისტორიაში (განსაკუთრებით XX საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში) იგი ერთ-ერთ ყველაზე ქარიზმატულ პიროვნებად არის აღიარებული. მის ამ ხასიათზე მიუთითებს არა ერთი საზოგადოებრივი მოღვაწე თუ რიგითი ჟურნალისტი. მაგალითად, პ. ნემიროვსკი წერს, რომ სწორედ ელცინის ქარიზმის წყალობით რუსეთს აძლევენ იმას, რისი მიღებაც სხვა მმართველის დროს წარმოუდგენელი იქნებოდა. სწორედ ამაში არის რუსი ხალხის აქტივი. თუმცა იმასაც დასძენს, რომ „იგი სულ ადვილად შეიძლება გადაიქცეს პასივად, თუკი ავტორიტარიზმის გამართლებად გახდება“ (ნემიროვსკი 1997: 7).

ამასთან, ელცინი, როგორც მისი თანაგუნდელები აღნიშნავდნენ, ყველაზე წინააღმდეგობით აღსავსე პიროვნება იყო და, მათივე შეფასებით, შეუძლებელი იყო მისი წინასწარ განჭვრეტვა, „რითაც გამოირჩევა დსთ-ის წევრ-სახელმწიფოების სხვა ლიდერებისაგან“. ცხოვრების მანძილზე იგი იყო მსხვილი პარტიული ფუნქციონერიც, მუშათა პრეზიდუმების წევრიც, მნიშვნელოვანი კომუნისტური ფორუმების მონაწილეც, შემდგომში კი რეფორმატორიც და დემოკრატიც. მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს პრეზიდენტ ელცინის კიდევ ორი დამახასიათებელი ნიშანი. მაგალითად, მისი ყოფილი ფოტოგრაფი დ. სოკოლოვი აღნიშნავს: „მისთვის ადამიანები დამხმარე მასალაა – უსარგებლო გახდა, გადააგდე და დაივიწყე“ (მუხინი... 2003: 136); „იგი თავს კომფორტულად გრძნობს კრიზისის, ურთიერთობების გამწვავების ან ომის პერიოდში... ამიტომ მას, უბრალოდ, ზოგჯერ კრიზისის პროვოცირება სჭირდება... არის მოსაზრებაც, რომ რუსეთში ხელოვნურად იქმნება პერმანენტული კრიზისი, რათა სახელმწიფოს მეთაურმა თავი კომფორტულად იგრძნოს“ (მუხინი... 2003: 139-140). პოპულისტი ელცინისთვის არ იყო რთული სიცრუის თქმა ისეთ საკითხებზეც კი, რაც მთელმა მსოფლიომ ზუსტად იცოდა. მაგალითისათვის აქ მოვიტანთ ფრაგმენტს მის მიერ 1996 წელს წარმოთქმული წინასაარჩევნო სიტყვიდან,

* საუბარი გვაქვს 90-იანი წლების I ნახევარზე. ძალაუფლების გაზრდაში ელცინს დაეხმარა რფ-ის 1993 წლის კონსტიტუცია, აგრეთვე პრეზიდენტის ბრძანებულებები (19.07.91, 23.07.91, 22.08.91, 26.09.91, 06.11.91). უკვე 1997-98 წწ. მის გარშემო ჩამოყალიბდა რამდენიმე ოლიგარქიული დაჯგუფება, რომლებიც პრეზიდენტზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ ეკონომიკურ სფეროში.

როდესაც მან ამომრჩევლებს განუცხადა, რომ ჩეჩნეთში ომი უკვე დასრულებული იყო, თუმცა ყველამ კარგად იცოდა, რომ ზუსტად ამ სიტყვების წარმოთქმის დროს რუსეთის ფედერაციის რეგულარული ჯარები განაგრძობდნენ ჩეჩნური ქალაქების დაბომბვას და თავადაც განიცდიდნენ დიდხალ დანაკარგებს (ლიუბარსკი 1996: 12-13);

2. ალტაისა და ბურიატიის მხრეებში იმპროვიზებულ მიტინგებზე გამოსვლისას, ასევე გაზეთებთან ინტერვიუებში ბ. ელცინი სახალხო ყრილობას ქვეყნის განვითარების „მუხრუჭად“ მოიხსენიებდა და პრეზიდენტის უფლებამოსილების გაფართოებას მოითხოვდა. ეს კი ავტოკრატიისაკენ სწრაფვას მიუთითებდა, რასაც იგი „ძლიერ აღმასრულებელ ხელისუფლებას და არა დიქტატურას“ უწოდებდა (პარხომენკო 1992: 5);

3. სამხედრო ფენა მისი კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა, ვინაიდან რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ახალი აპარატი ჩამოყალიბდა პრეზიდენტის 1992 წლის 16 მარტის დადგენილებით. ამავე დადგენილებით, პრეზიდენტმა ამ უწყების მინისტრის პოსტიც შეითავსა. ცოტა მოგვიანებით კი ელცინმა თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე დანიშნა გენერალ-მაიორი, პ. გრაჩოვი,* რომელიც მხოლოდ 1996 წელს, ჩეჩნეთის კამპანიის წარუმატებლობის და არა რომელიმე ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკაში, კერძოდ კი საქართველოში, ეთნიკური კონფლიქტის გამწვავების გამო გადააყენა. სხვათა შორის, თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე სწორედ პ. გრაჩოვის დანიშვნას ექსპერტები უკავშირებდნენ ელცინის სურვილს, ისეთი პირი აერჩია, რომელზედაც სამოქალაქო, პირველ რიგში კი პრეზიდენტის კონტროლი ძალიან ადვილი იქნებოდა.*

4. კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ შეიარაღებული ფორმირებები ექვემდებარებოდნენ მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტს დასტურდება შემდეგი მაგალითითაც: 1992 წელს, ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს, ჩრდილოეთ ოსეთში სამრეწველო-საწარმოების მუშაკებისაგან მოხალისეთა რაზმები დაკომპლექტდა ცხინვალში გამოსამგზავრებლად. მათი მტკიცებით, ისინი არ აპირებდნენ კონფლიქტში მონაწილეობის მიღებას, ვინაიდან არ სურდათ

* 1992 წლის 4 მარტიდან იყო მისი, როგორც თავდაცვის მინისტრიც, მოადგილე სამხედროს სფეროში

* თუმცა, თუ ელცინის კლანის ბიოგრაფებს დავუყრდნობით, ელცინს ჰქონდა სამხედრო ჩინიც (პოლკოვნიკის სამხედრო წოდება), რომელიც მიენიჭა ჯერ კიდევ სკკპ-ის წევრობის დროს (1961-1990 წწ) (მუხინი... 2003: 120-122)

პოლიტიკაში ჩარევა, რაც, ჩვენი აზრით, მტკნარ სიცრუეს წარმოადგენს, აბა შიშველი ხელებით საომარ კერებში სხვა რა ღონისძიებების ჩატარებას ფიქრობდნენ? ყველაზე საინტერესო მაინც მათი ხელმძღვანელის მიერ გაკეთებული განცხადებაა, რომელმაც აღნიშნა, რომ მოხალისეები რუსეთის ფედერაციის მთავრობისა და შინაგანი ჯარების სარდლობის დავალებით ჩამოყალიბდნენ და ემორჩილებოდნენ მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტს (ვაშაკიძე 1992: 1). უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ ყოფილა რფ-ის ტერიტორიაზე საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში წარმოებული საომარი ოპერაციების დროს სეპარატისტების მხარდამჭერი მოხალისეთა რაზმის შექმნის ერთადერთი შემთხვევა. უფრო მეტიც, ასეთი რაზმები რეგულარულად იქმნებოდა და მათ, როგორც წინა ეპიზოდებიდან ნათლად იკვეთება, კურირებას თავად კრემლი და მისი მეთაური, ბ. ელცინი უწევდა.*

საინტერესოა გენერალი ა. ლებედის* მოსაზრებაც რუსული არმიის შესახებ. თავის მოგონებებში იგი წერს, რომ მიზანმიმართულად გრძელდებოდა არმიისათვის ტალახის სროლა. „ყველაფერში ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ადანაშაულებდნენ. მაგრამ ვინ არის რიგითი ჯარისკაცი ან ოფიცერი? მათ არავინ არაფერს ეკითხება. დავალებას აძლევენ და უნდა შეასრულონ. უბრძანებენ ზემისათვის მზადებას და ისინიც ემზადებიან აღლუმში მონაწილეობის მისაღებად. უბრძანებენ წასვლას და ისინიც თავიანთ დისლოკაციის ადგილებში ბრუნდებიან“ (ლებედი 1995: 175; იხ. აგრეთვე: პავლენკო 1996: 16-17).

5. ელცინის მმართველობის დროს საქართველოს პარალელურად კრემლი პრეტენზიებს აცხადებდა სხვა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიებზეც.

ამ უკანასკლნელ პუნქტთან დაკავშირებით საინტერესოა ზოგიერთი ქვეყნის ლიდერის გამოსვლა. მაგალითად, ლიტვის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ვ. ლანდსბერგისმა განაცხადა: „რუსეთის ოფიციალური პირების განცხადებები ამწვავენ ურთიერთობებს. საკმარისია ისიც, რომ ისინი საუბრობენ „ახლო საზღვარგარეთის“ შესახებ, სადაც რუსეთს გააჩნია განსაკუთრებული „უსაფრთხოების ზონები“, რის გამოც დაუშვებლად მიაჩნიათ დამპყრობელი არმიის გამოყვანა. უფრო მეტიც, აცხადებენ რომ იარაღით ხელში დაიცავენ ეთნიკურად რუსი მოსახლეობის თითქოსდა ინტერესების დარღვევას სხვადასხვა ქვეყანაში. ამით ჩვენ 1932-40 წწ. ხანას

* არმიაზე, ასევე, იხ. აგრეთვე, შაპოშნიკოვი 1992: № 308, 2

* ქართულ არმიას „კრიმინალური ნაძირლების ბანდას“ უწოდებდა (ლებედი 1997: 3-4)

ვებრუნდებით, როდესაც ბერლინიდან და მოსკოვიდან მსგავსი სახის ექსპანსიური მოწოდებები ვრცელდებოდა“ (ნეზავისიმაია გაზეტა, №117, 1992: 1).

მოლდოვის რესპუბლიკის მთავრობის ნოტაში რუსეთის ფედერაციის საელჩოსადმი (*დათარიღებულია 1992 წლის 21 ივნისით*) ნათქვამია: „რუსეთმა სასტიკად დაარღვია საერთაშორისო საზოგადოების მიერ მიღებული დოკუმენტები და ფაქტობრივად მოლდოვას წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომი დაიწყო“.

22 ივნისს კი მოლდოვას პრეზიდენტმა, მ. სნეგურმა მთავრობის საგანგებო სხდომაზე განაცხადა: „რუცკოსა და ელცინის განცხადებები თავიანთი ხასიათით უპრეცედენტოა და წარმოადგენენ რუსეთის გამოუცხადებელ აგრესიას მოლდოვას წინააღმდეგ. მე არა ვარ მშიშარა. ამას ვეუბნებოდი გორბაჩოვს და ვუმეორებ ელცინს“ (ნეზავისიმაია გაზეტა, №117, 1992: 1) (*ჩანს, ელცინი იმეორებს გორბაჩოვის კურსს – სსრკ-ის მთლიანობის შენარჩუნებისათვის*) და მ. სნეგურმა პარლამენტს ორპუნქტიანი დადგენილების მიღება სთხოვა, სადაც დაფიქსირდებოდა, რომ დნესტრისპირეთი ოკუპირებულ იქნა რუსეთის მე-14 არმიის მიერ და რუსეთმა დაიწყო გამოუცხადებელი ომი მოლდოვას წინააღმდეგ. მთავრობის სხვა წევრებმა კი დაამატეს, რომ რუსეთმა თავისი მოქმედებებით ნულამდე დაიყვანა მოლდოვასა და დნესტრისპირეთის ოფიციალურ წარმომადგენლებს შორის წარმოებული მოლაპარაკებების პროცესი კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი გზით დარეგულირების შესახებ.

ე. შევარდნაძესათან გამართულ სატელეფონო საუბარში მ. სნეგურმა სწორად აღნიშნა, რომ დსთ-ის წევრი დამოუკიდებელი ქვეყნები და, აგრეთვე, ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები, რომლებიც „თანამეგობრობაში“ არ გაერთიანდნენ, შეეჯახნენ რუსული იმპერიული აზროვნების რეციდივებს, რომლებიც კონფლიქტების ძალისმიერი მეთოდებით მოგვარებას ცდილობენ. „ყურადსაღებია ის გარემოებაც, – დასძინა მან, – რომ, ხომ არ არის ეს კონფლიქტები რუსეთის მიერ პროვოცირებული იმისათვის, რომ შეინარჩუნოს კონტროლი ახლა უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოებზე?“ (ნეზავისიმაია გაზეტა, №117, 1992: 1)

რაც შეეხება საქართველოს და სხვა რესპუბლიკების კონფლიქტურ ზონებში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ოფიციალური რუსეთის განცხადებებს, ისინი ასეთია:

ე. გაიდარი, ყოფილი კომუნისტი, შემდგომში დემოკრატი, ელცინის გუნდის წევრი: „ჩვენ უარყოფთ ბრალდებას რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ აგრესიის გამოვლენის შესახებ, მაგრამ თუ კონფლიქტში მონაწილე მხარეები არ

დაშორიშორდებიან და საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს არ გაითვალისწინებენ, რუსეთის ფედერაცია ყველაფერს იღონებს, რათა დაიცვას ადამიანთა უფლებები, რეგიონში მცხოვრებთა სიცოცხლე და ღირსება, მშვიდობისა და წესრიგის აღდგენა“ (ნეზავისიმაია გაზეტა, №117, 1992: 1). იმას, რომ რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობაში, რომლის დაცვასაც აპირებდა რუსეთი, კრემლი გულისხმობდა არაქართველ მოსახლეობას, ეს ცხადზე ცხადია. მაგრამ საინტერესოა, რას გულისხმობდა გაიდარის მიერ წარმოთქმული ფრაზა „რუსეთის ფედერაცია ყველაფერს იღონებს“ მშვიდობის აღსადგენად? ვფიქრობთ, რომ ეს იყო მინიშნება იმაზე, რომ მოსკოვი არ დაიხევდა უკან ძალის გამოყენებაზე, რაც შემდეგშიც არაერთხელ დაამტკიცა კიდევ.

ბ. ელცინი: „ჩვენ, რა თქმა უნდა, იმის მომხრენი ვართ, რომ საკითხი მოლაპარაკებების მაგიდასთან, პოლიტიკური გზით გადაიჭრას, მაგრამ როდესაც უკვე ამდენი მსხვერპლია, როდესაც მიმდინარეობს ომი, ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილნი ვიყოთ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ვაღიარებთ ვართ, გვქონდეს სათანადო რეაქცია, რომ დავიცვათ ხალხი და შეწყდეს სისხლისღვრა. ჩვენ ამისათვის გვაქვს ძალა და ეს იცოდეს სნეგურმა“ (ნეზავისიმაია გაზეტა, №117, 1992: 1). კარგად ჩანს, რომ ბ. ელცინი ე. გაიდარის მსგავსად, სამხედრო ძალის გამოყენებას გულისხმობს, რის შედეგადაც, მათივე განცხადებით, ავტონომიურ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის უფლებები აღდგებოდა, სინამდვილეში კი რუსეთს საქართველოსა და მოლდოვაში დატოვებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა რესპუბლიკებში წარმოებულ კონფლიქტებში არსებული მსხვერპლის გამო რუსეთის ხელმძღვანელობა ნიანგის ცრემლებს ღვრის, თუმცა თავად უარს არ აცხადებს ჩეჩნეთში ორი ომის წარმოებაზე.

სამაჩაბლოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი კომენტარი, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ა. გალაზოვმა გააკეთა: ძალები „აგრესორების (იგულისხმება ქართული მხარე – ს.ყ.) დასასჯელად“ მობილიზებულია, მაგრამ ისინი მოქმედებას მხოლოდ უშუალოდ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების შემდეგ დაიწყებენ. მისი დუმილი კი იმით არის გამოწვეული, რომ ელცინს ეშინია, რუსეთის ჯარების შეყვანა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მსოფლიო თანამეგობრობამ არ გააკიცხოს“ (ნეზავისიმაია გაზეტა, №117, 1992: 1). გალაზოვის ამ განცხადებიდან ნათლად იკვეთება, რომ რუსეთის ჯარი, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და სოციალური სირთულეებისა და პარლამენტში დაპირისპირების მიუხედავად, საბოლოო ჯამში, უშუალოდ მაინც რუსეთის პრეზიდენტის განკარგულებაში იყო.

იმ პერიოდის პრესის გაანალიზებით, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ არმია არ წარმოადგენდა რუსეთის მთავრობის დაპირისპირებულ ბანაკს. აქედან გამომდინარე კი ლაპარაკი ზედმეტია მათ შორის შავრაზმული ძალების არსებობაზე, რომლებიც სსრკ-ის აღდგენის მიზნით ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე ვითომდა ელცინის დაუკითხავად აღვივებდნენ ეროვნებათშორის შუღლს. ასე რომ ყოფილიყო, რუსეთის არმიას იმხელა ძალა მაინც ჰქონდა, რომ ქვეყანაში სამხედრო გადატრიალების მოწყობა შეეძლო. ამის სურვილი რომ ჰქონოდა, სულ რომ არაფერი, ჯერ ერთი, ამ მიზნისათვის თავისუფლად შეეძლო აგვისტოს პუტჩის ანდა მეორეც, 1993 წლის შემოდგომის დაპირისპირების გამოიყენება. პირიქით, ავიაციის გენერალ-მაიორმა, ნ. სტოლიაროვმა, შეისწავლა რა 1990-1992 წწ. რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენები, დაასკვნა: „ყველა განვითარებულ ქვეყანაში არმია მთლიანად გასულია პოლიტიკური ბრძოლების ჩარჩოს მიღმა... ჩვენს დროშიც მთელი გასული წელი სწორედ ასეთი სიტუაცია დაფიქსირდა. არმია შეეჩვია თავდაჭერილობას და არ ერევა პოლიტიკურ დაპირისპირებებში. აგვისტოს თვეში ტრადიციული აზროვნებით შეპყრობილმა უმიზნო პუტჩისტებმა გამოცდა მოუწყვეს არმიას. მართლაც რთული დღეები იყო, მაგრამ არმიამ გამოცდა ჩააბარა... არმია არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ კონიუნქტურაზე...“ (სტოლიაროვი 1992: 53). აქვე იგი აფასებს ელცინის პოლიტიკურ კურსს და აცხადებს, რომ: „რამდენიც არ უნდა აკრიტიკონ ელცინი და მასთან ერთად მდგომი პოლიტიკოსები იმპერიალისტურ აზროვნებაში, დროა ძლიერი შერყევებისგან გადავიდეთ ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობაზე, ვინაიდან უსახელმწიფოდ არსებობა უტოპიაა“ (სტოლიაროვი 1992: 61).

უნდა აღინიშნოს, რომ თავისი იმპერიალისტური აზროვნებიდან გამომდინარე, რომელსაც არ ეთმობოდა უკვე დამოუკიდებელი რესპუბლიკების სამხედრო ძალები, პრეზიდენტი ელცინი არა მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე არსებული არმიის წარმომადგენლებს ნიშნავდა და აჯილდოებდა. მაგალითად, 1992 წლის იანვარში მან გენერლის წოდება მიანიჭა უკრაინაში მომსახურე სამხედრო პირებს, რის გამოც უკრაინის პრეზიდენტის, ლ. კრავჩუკის პროტესტი გამოიწვია, რომელმაც განაცხადა, რომ ეს იყო რუსეთის ხელისუფლების უხეში ჩარევა უკრაინის შიდა საქმეებში და რომ ეს იყო მხოლოდ უკრაინის სამხედრო ძალების, მთავრობისა და პრეზიდენტის უფლება (იზვესტია 1992: 3).

ახლა კვლავ უშუალოდ საქართველოს დავუბრუნდეთ.

1992 წელი:

19 იანვარს სამაჩაბლოში ჩატარდა რეფერენდუმი სამაჩაბლოს დამოუკიდებლობასა და რუსეთთან მიერთებასთან დაკავშირებით. ამის შესახებ სამაჩაბლოდან დევნილი ქართველი ქალბატონი წერს: „ახლა თუ ნამდვილი რეფერენდუმი მოეწყო, თუ ავტომატიანები არ დაგვადგებიან თავზე ან სამი-ოთხი კაცი ხელებში არ გვიყურებს, რას დაწერ ფურცელზე, გარწმუნებთ, მოსახლეობის უმეტესობა საქართველოსთან დარჩენას აირჩევს“ (საქართველოს რესპუბლიკა 1993: 1).

29 მაისს სამხრეთ ოსეთის უმაღლესმა საბჭომ ისტორიული სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო.

ორივე მოვლენას საფუძვლად დაედო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1990 წლის 3 აპრილის კანონი „სსრკ-დან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“.

ყურადღებას იმსახურებს რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 28 მაისის დადგენილება რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს IV სესიის დღის წესრიგში „ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში მდგომარეობის შესახებ“ საკითხის შეტანის თაობაზე, რომელმაც განკარგულება მისცა ქვემდებარე სახელმწიფო უწყებებს (რფ-ის უზენაესი საბჭოს რესპუბლიკათაშორის ურთიერთობის, რეგიონული პოლიტიკისა და თანამშრომლობის კომიტეტს, რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობისა და ეროვნებათაშორის ურთიერთობის კომისიას) „ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში მდგომარეობის შესახებ“ საკითხის მომზადება და რუსეთის ფედერაციის უზენაეს საბჭოში შეტანის შესახებ“. კომენტარი ზედმეტია. იმხანად საქართველო უკვე ორი წელი იყო, რაც დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა და სხვა ქვეყნის პარლამენტში მის რომელიმე რეგიონში მდგომარეობის განხილვა საქართველოს შიდა საქმეში უხეშ ჩარევას წარმოადგენდა.

მანამდე კი, 2-3 აპრილს, ქ. თბილისს ოფიციალური ვიზიტით ეწვია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი, ა. კოზირევი. ვიზიტის მიზანი საქართველო-რუსეთის ფედერაციას შორის დიდი ჩარჩო-ხელშეკრულების მომზადება და მასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება იყო. 3 აპრილს

მოლაპარაკების შედეგად მხარეებმა მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია, რომელშიც ნათლად სწერია, რომ:

„საქართველოს რესპუბლიკა და რუსეთის ფედერაცია, რომლებიც ცნობენ ერთმანეთს სუვერენულ სახელმწიფოებად, თავიანთ ურთიერთობას ააგებენ საერთაშორისო სამართლის, გაერო-ს წესდების, ჰელსინკის საბოლოო აქტისა და ახალი ევროპისათვის პარიზის ქარტიის პრინციპებისა და ნორმების საფუძველზე.

ისინი ვალდებულებას კისრულობენ პატივი სცენ ერთმანეთის კანონიერ ინტერესებს, ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ურღვევობას, არ გამოიყენონ ძალა ან ძალით დამუქრება, მათ შორის ზემოქმედების ეკონომიკური და სხვა საშუალებები.

ორივე მხარე ერთგვარად მიჰყვება ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ადამიანთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების პატივისცემის პრინციპებს, აგრეთვე ხალხთა უფლებას თავად განაგებდნენ საკუთარ ბედს.

საქართველოს რესპუბლიკა და რუსეთის ფედერაცია აპირებენ განავითარონ თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა უშიშროების პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, ჯანდაცვის, მეცნიერების, ტექნიკის, ვაჭრობის, აგრეთვე ჰუმანიტარულ სფეროში.

...მინისტრებმა დაადასტურეს, რომ განზრახული აქვთ კეთილმოსურნე სულისკვეთებით მოაგვარონ ყველა საკითხი, რომლებიც შეეხება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებს და დაღონ შესაბამისი შეთანხმებანი, რომლებიც დაარეგულირებენ საქართველოში ჯარების ყოფნის ყველა ასპექტს, მათ შორის მათ სამართლებრივ სტატუსს, ყოფნის ვადებს და სხვ.

რუსეთის მხარემ შეშფოთება გამოთქვა შიდა ქართლში შექმნილი სიტუაციის გამო. საქართველოს მხარემ განაცხადა, რომ ისწრაფვის და მზად არის მიაღწიოს ოს და ქართულ მოსახლეობას შორის კონფლიქტის სამართლიან მოწესრიგებას კანონიერების აღდგენისა და საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო ნორმების საფუძველზე.

მინისტრებმა დაადასტურეს თავიანთ მთავრობათა სურვილი, განავითარონ მეგობრობა, მეზობლობა, პარტნიორული ურთიერთობები ორი ქვეყნის ხალხთა შორის.

...აღინიშნა, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი, მისი საუბრები საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესთან, ე. შევარდნაძესთან, დროებითი მთავრობის მეთაურთან, თ. სიგუასთან და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, ილია II-სთან ახალ თავს იწყებს საქართველო-რუსეთს

შორის ურთიერთობების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში“ (საქართველოს რესპუბლიკა 1992 №84: 1).

ჩვენ აქ განცხადების თითქმის სრული ტექსტი მოვიყვანეთ, რათა კიდევ უფრო ნათლად დავინახოთ რუსეთის ცინიკური და ორმაგი პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში. ეს განცხადება, ისევე როგორც საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული სხვა ბევრი შეთანხმება, ფარატიანა ქალაქად დარჩა, რომელსაც რეალურ ცხოვრებასთან კავშირი არ აქვს, გარდა ერთი პუნქტისა: რუსეთი მართლაც შესანიშნავად იცავს ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს სხვათა ტერიტორიაზე.

რუსეთმა კვლავ განამტკიცა თავისი პოზიციები, როდესაც საქართველოსთან 24 ივნისს ქ. სოჭში ქართულ-ოსური კონფლიქტის გადაწყვეტის საფუძვლების შესახებ შეთანხმება დადო, რომლითაც მხარეებს შორის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში მედიატორად გამოვიდა. ამავე ხანებში რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ე. კოჟიკინმა განაცხადა, რომ რუსეთი, მართალია, აღიარებს სხვათა მიერ დაწესებულ წესებს, მაგრამ აქვს თავისი ინტერესებიც, რომლებსაც ბოლომდე დაიცავს (ლეონოვი 1992: 1).

ქვეყნის შიდა ცხოვრებაში რუსეთის „კეთილმოსურნე მეზობლური“ ჩარევებით შეწუხებული საქართველოს ხელმძღვანელობა წერილს წერილზე აგზავნიდა რუსეთის მისამართით, შემდეგ კი იმავე წერილების ერთ-ერთ ადრესატად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაც იქცა, მაგრამ ამ ყოველივეს შედეგი არ მოჰყოლია. ჯიუტად მოქმედებდა პრინციპი „დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი“.

ყოფილი დიდი ძმის განრისხება რომ არ გამოეწვია, საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს შავრაზმელ ძალებს აბრალებდა. ამ დროს რუსეთში უკვე იყო დანერგილი მითი ორი რუსეთის – დემოკრატებისა და რეაქციონერი შავრაზმელების არსებობის შესახებ. სწორედ ამ უკანასკნელების სახელს ამოფარებული „დემოკრატიული“ კრემლი აგრესიას ეწეოდა, განსაკუთრებით მის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში, შემდეგ კი უსუსური განაცხადებით იკატუნებდნენ თავს, ვითომც არაფერი იცოდნენ, და „მეგობრულ“ ხელშეკრულებებზე ხელმოსაწერად მელანს არ იშურებდნენ.

მოვიყვანთ საქართველოს ხელისუფლების მიერ კრემლისადმი გაგზავნილ რამდენიმე წერილს:

1) „ღია წერილი რუსეთის პრეზიდენტს, ბატონ ბ. ელცინს,
...ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოსათვის ეკონომიკური ბლოკადის გამოცხადების შესახებ, რუსეთის პარლამენტმა მხარი დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას... განსაკუთრებით გვაშფოთებს ის გარემოება, რომ საქართველოს მთელი მოსახლეობის წინააღმდეგ გამიზნული სანქციები სათანადოდ არ დაგმო რუსეთის ხელისუფლებაში შემაგალმა ზოგიერთმა პოლიტიკოსმა...“ – მაგრამ იმისათვის, რომ დემოკრატი ელცინს სინდისი მოწმინდოს, შევარდნაძე განაგრძობს: – „ჩვენ არ გვსურს ვირწმუნოთ, რომ საქართველოსათვის გამოცხადებული სასტიკი, გაუმართლებელი ეკონომიკური ბლოკადა გამოხატავს თქვენს პოზიციას“ (საქართველოს რესპუბლიკა, № 98, 1992: 1-2).

2) „მიმართვა რუსეთის მოქალაქეებს, სახალხო დეპუტატებს,
რ. ხაზბულატოვმა (რფ-ის სახელმწიფო დუმის სპიკერი, ამ დროს იგი ოფიციალურად ჯერ კიდევ ელცინის გუნდის წევრად მოიაზრება. მათ შორის დაპირისპირება გამოიკვეთა და პიკს მიაღწია 1993 წლის შემოდგომაზე. თუმცა ამ დაპირისპირების ჭეშმარიტებას უკვე ისტორია გამოიკვლევს დროის უფრო ხანგრძლივი მონაკვეთის გასვლის შემდეგ – ს.ე) 15 ივნისის მიმართვაში არსებითად სცადა ჩვენი ხალხების გადაკიდება... რამეთუ დაახასიათა რა ცხინვალის რეგიონში კონფლიქტი, როგორც სამხრეთელ ოსთა ეთნოსის გენოციდი და „თავისი ისტორიული სამშობლოდან გაძევება“... ხაზბულატოვმა იმ აშკარა მუქარის გამო, რომ განიხილავს რუსეთის პრესაში „რუსეთის ფედერაციისათვის სამხრეთ ოსეთის შეერთების საკითხს,“ ამით არსებითად დაუშვა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილის ანექსიის შესაძლებლობა, რაც სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპისა და საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმების უხეში დარღვევაა... ყოველივე ამაში აშკარად ჩანს თვითმპყრობელური იმპერიული აზროვნების ნიშნები... ასეთია რ. ხაზბულატოვის განცხადებების ჩვენეული შეფასება... და ეს ხდება იმ დროს, როცა ჩვენ და რუსეთის პრეზიდენტმა, ბ. ელცინმა მივადწიეთ თანხმობას ჩვენს ქვეყნებს შორის დიდი ხელშეკრულების დადების საკითხზე... განსაკუთრებით ის გვაკვირვებს, რომ რუსეთის პარლამენტის სპიკერმა ხმა აღიმადლა მაშინ, როცა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა გახდა. რუსეთის ყველა პატიოსან ადამიანს გვსურს ვუთხრათ, რომ 15 ივნისის განცხადებაში უხეშად არის დამახინჯებული ცხინვალის რეგიონში საქმის ვითარების რეალური სურათი... ასევე არაფერი თქმულა რუსეთის ტერიტორიიდან კონფლიქტის ზონაში შემოტანილ საბრძოლო ტექნიკაზე და „მოხალისეებზე“... ჩვენს მიერ დაწყებული მოლაპარაკების პროცესი ოსეთის მხარესთან

წარმართება რეგიონში საქმის ვითარებისათვის ორი ხალხის პასუხისმგებლობის სულისკვეთებით“ (საქართველოს რესპუბლიკა, № 105-106ა, 1992: 1).

აქვე მოვიტანო ციტატას ხაზბულატოვის განცხადებიდან, რათა მკითხველს მის პროვოკაციულ ტონზე სრული წარმოდგენა შეექმნას. მასში ნათქვამია, რომ ქართულმა მხარემ უსინდისოდ დაარღვია რუსეთ-საქართველოს შორის ბოლო პერიოდში მიღებული შეთანხმება სისხლისღვრის შეჩერების შესახებ და ავიწროებს როგორც მშვიდობიან ოს მოსახლეობას, ასევე სამხრეთ ოსეთში მყოფ რუს მშვიდობისმყოფელებს. „პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ასეთი მოქმედება უნდა შეფასდეს როგორც გენოციდი და თავისი ისტორიული სამშობლოდან (? – ს.ყ) სამხრეთოსური ეთნოსის მასობრივი განდევნა... ვაფრთხილებთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთს შეუძლია დაუყოვნებლივ იღონოს ყველაფერი თავისი მოქალაქეების დასაცავად... და გაუწეველყოს ბანდიტთა ის ჯგუფი, რომლებიც დამიზნებით უშენენ ცეცხლს როგორც რუს მეომრებს, ისევე მშვიდობიან მოსახლეობას“ (საქართველოს რესპუბლიკა, № 105-106, 1992ბ: 1).

„ბანდიტთა ჯგუფად“ ხაზბულატოვი ეროვნული გვარდიის წარმომადგენლებს ნათლავს, რომლებიც ქართულ სოფლებში ქართული მოსახლეობის დასაცავად განლაგდნენ. სხვათა შორის, მათ იქ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენები უტევდნენ, რაც რიგი მიზეზების გამო ხაზბულატოვს არ აღუნიშნავს. მისი მიმართვის მიზანს ხომ საქართველოს წინააღმდეგ რუსულ საზოგადოებაში უარყოფითი ინფორმაციის შექმნა წარმოადგენდა. თვითონ კი, როგორც იტყვიან, შავი პიარის აგტორად წარსდგა.

როგორც ა. ზოლოტარევი აღნიშნავს, ლოკალური ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების საწარმოებლად ყველაზე გავრცელებული საშუალებები არის:

- 1) მარიონეტული რეჟიმების გამოყენება (*ასეთებად შეიძლება ჩაითვალოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობები – ს.ყ*) უცხო სახელმწიფოს (*რუსეთის – ს.ყ*) ჯარის შესაყვანად;
- 2) შეიარაღებული ფორმირებების (*ასეთებად შეიძლება ჩაითვალოს კაზაკთა და ჩრდილოეთ კავკასიის „მოხალისეთა“ რაზმები – ს.ყ*) სუვერენულ სახელმწიფოზე (*ჩვენს შემთხვევაში, საქართველოზე – ს.ყ*) თავდასხმა, რომელთაც გაიარეს სპეციალური წვრთნები სხვა სახელმწიფოს (*იმავე რუსეთის – ს.ყ*) ტერიტორიაზე;

3) უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ე.წ. „საინფორმაციო ომს“ (ზოლოტარევი 2001: 155-158), რომელმაც შეიძლება მოახდინოს მოწინააღმდეგე ბანაკში მეტროლოთა ფსიქოლოგიური შესუსტება და, რაც მთავარია, საერთაშორისო მასშტაბით იმიჯის შელახვით დაუკარგოს მათ მოკავშირეები. მაგალითისათვის, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილის, გ. ვოლსკის წერილში ვკითხულობთ: „დამაფიქრებელია ერთგვარი ტენდენციურობა, რომელმაც თავი იჩინა ბოლო დროს თქვენს პრესაში აფხაზეთში დატრიალებულ მოვლენათა გადაცემასთან დაკავშირებით, რაც არანაირად არ უწყობს ხელს ვითარების სტაბილიზაციას და, მით უმეტეს, დაინტერესებულ მხარეთა მოლაპარაკების პროცესის წარმატებით დამთავრებას. ავიღოთ მაგალითად თქვენი 11 ნოემბრის საღამოს 9 სთ-ის საინფორმაციო გამოშვება „განთავისუფლებულ ქ. გაგრაში სასწავლო წლის დაწყებისა და სკოლის გახსნის შესახებ... უზნეობად მიგვაჩნია „განთავისუფლებული“ ეწოდოს მშობლიურ ადგილიდან ამ ქალაქის მცხოვრებთა მასობრივ გაძევებას და გაჟღერებას...“ (ვოლსკი 1993: 1). ამავე პერიოდის გაზ. „იზვესტია“-ში კი ვკითხულობთ: „კავკასიის ომის რუსეთისეული ექო აღნიშნავს რუსული პრესის ცალმხრივობას. საერთოდ, საქართველოს ხელმძღვანელობის მოქმედების ასახვისას რუსული პრესა ხშირად არა მარტო აუბრალოებს რეალურ მოვლენებს, არამედ შეგნებულადაც ამახინჯებს... რუსეთის ნაციონალ-პატრიოტთა „ორმაგი ანგარიშის“ მიზეზებზე დიდი დაფიქრება არ არის საჭირო“ (პანინი 1992: 3).

როგორც ჩანს, რუსეთმა ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ ყველა ზემოაღნიშნული მიმართულებით წარმართა.

ამავე ხანებში რუსეთის გენერალიტეტიდან გაისმის მუქარა დაწყებული რუსული ესკადრილების გამოგზავნით, მოხალისეების შესვითა და თბილისის დაბომბვით დამთავრებული (ჭელიძე 1992: 2). გენერალიტეტის ფრაზას იმეორებს კრემლის ხელისუფლების სხვა წარმომადგენელი, ა. რუცკოიცი. მის მიმართ ე. შევარდნაძის მიერ გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ამას წინათ დამირეკეთ... ასე მითხარით: „ესკადრილებს ავუშვებ ჰაერში და დავბომბავ თქვენს ქალაქებს...“ თქვენმა გუშინდელმა გამოსვლამ მკვეთრად გაამწვავა სიტუაცია საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რუსი ჯარების გარშემოც...“ (საქართველოს რესპუბლიკა, № 111, 1992: 1).

უკვე 1992 წლის გაზაფხულისათვის დსთ-ის ქვეყნების მიმართ გამოიკვეთა რუსეთის პოლიტიკური კურსის ორი მიმართულება:

- 1) ე.წ. „რბილი“ კურსი, რომლის გამტარებელი რუსეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, ა. კოზირევი იყო და რომლის არსიც იმაში მდგომარეობდა, რომ „ცივილიზებულ სამყაროში“ შესასვლელად რუსეთს დსთ-ში შემაჯავალ ქვეყნებთან, რომლებიც სსრკ-ის დაშლის შემდეგ უკვე საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად მოიზრებოდნენ, ისეთივე ურთიერთობები უნდა დაემყარებინა, როგორც სხვა უცხო სახელმწიფოებთან ჰქონდა (თუმცა თავისი მენტალიტეტით კოზირევი ოფიციალურ გამოსვლებში ყოველთვის რუსეთის იმპერიულ ძლიერებაზე მიანიშნებდა);
- 2) ე.წ. „მკაცრი“ კურსი, რომელიც ა. რუცკოის უკავშირდება და რომელიც მიმართული იყო კავშირის აღდგენისაკენ. უარეს შემთხვევაში კი რუსეთი უნდა გამხდარიყო ძლიერი სახელმწიფო და თავი დაენებებინა დსთ-ის ქვეყნების ეკონომიკური დახმარებებისთვის, მაგრამ, ამავე დროს, ა. რუცკოის აზრით, რუსეთს არ უნდა დაეიწყოებოდა, რომ რუსულენოვანი მოსახლეობა და კაზაკობა მათი ხალხი იყო, რომელთაც სჭირდებოდათ რუსეთისგან დახმარება და დაცვა.

როგორც ზ. ბუჟინსკი აღნიშნავს, „ისტორიული შოკი“, რომელიც რუსებმა იწვნიეს, იმანაც განაპირობა, რომ 20 მილიონი ეთნიკური რუსი რუსეთის საზღვრებს მიღმა, ახლა უკვე საზღვარგარეთად წოდებულ ტერიტორიებზე აღმოჩნდა (ბუჟინსკი 2003: 110). ა. რუცკოიც და მთავრობის სხვა წარმომადგენლებიც ოფიციალურ გამოსვლებში თავს ესხმოდნენ ყოფილი რესპუბლიკების ლიდერებს სწორედ რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებების ვითომდა დისკრიმინაციის გამო. ამის გარდა, იგი კრიტიკის ცეცხლში ატარებდა უკრაინის მხარეს, რომელსაც, მისივე განცხადებით, „მოსდომებია რუსეთის შავიზღვისპირეთის ფლოტი და ყირიმის ნახევარკუნძული“. რუცკოის მიერ ჩამოყალიბებულ კომუნიკეში, რომელიც ყაზახეთში მისი ვიზიტის შეჯამებას წარმოადგენს, ასევე დაფიქსირდა რუცკოისეული მიზანი ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნების შესახებ.

პრეზიდენტი ელცინი კარგად თამაშობდა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან ზემოაღნიშნული ამ ორი კურსის გამოყენებით და, აი, როგორ:

მაგალითად, დნესტრისპირეთში 1992 წლის მაისში ელცინის მიერ რუცკოი მივლინებულ იქნა ერთადერთი ინსტრუქციით – „გააკეთე ყველაფერი, რაც მოვილაპარაკეთ“. აქედან გამომდინარე, რუცკოიც თავყრილობებზე გამოვიდა და სეპარატისტების მხარდასაჭერად ოფიციალური განცხადებები გააკეთა. პარალელურად, საგარეო საქმეთა მინისტრი, ა. კოზირევი ელცინის მიერ მივლინებულ იქნა მოლდოვაში, სადაც რუსული საგარეო პოლიტიკის „რბილის“ კურსის მამამთავარმა დაადასტურა რუსეთის მთავრობის პოზიცია მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობასთან დაკავშირებით. გაზეთ „ნეზავისიმაია გაზეტას“ ჟურნალისტი, ე. კრასნიკოვი სწორად აღნიშნავს, რომ პრეზიდენტ ელცინს ესაჭიროებოდა ორი კურსის არსებობა, რომელთა მონაცვლეობით გამოყენების შემთხვევაში პოლიტოლოგებს ეძლეოდათ საშუალება ეკამათათ რუსეთის მთავრობაში ვითომდა არსებული რთული დაპირისპირებებისა და უთანხმოების შესახებ (კრასნიკოვი 1992: 2).

10 ივნისს ქართულმა მხარემ დაბა ყაზბეგში ხელი მოაწერა ოქმს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის, ე. შვეარდნაძისა და ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ა. გალაზოვის შეხვედრის აკორდს წარმოადგენდა. საყურადღებოა ამ ოქმის მე-9 მუხლი, რომელიც ადგენს კონფლიქტის მოწესრიგებისათვის მოსალაპარაკებელ პროცესში რუსეთის ფედერაციისა და სომხეთის რესპუბლიკის მონაწილეობის მიზანშეწონილებას. ბუნებრივია ისმება კითხვა, თუ რა შუაშია სომხეთი? ნუთუ როგორც დაინტერესებული რუსული მხარის ბანაკის წევრი, რომ რუსეთს კიდევ ერთხელ განემტკიცებინა თავისი ძალა და პოზიციები ოფიციალურ თბილისთან მიმართებაში?

სწორედ ასეთ ვითარებაში მოხდა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მეთაურების შეხვედრა ქ. დაგომისში 23-25 ივნისს, სადაც მიღებულ იქნა კიდევ ერთი მორიგი ფარატიანა ქაღალდი, რომელშიც წერია: „საქართველომ და რუსეთმა უნდა იცხოვრონ და კიდევ იცხოვრებენ, როგორც კეთილი მეზობლები და პატიოსანი პარტნიორები, სცნობენ ერთმანეთის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ურღვევობას. მათ არა აქვთ ერთმანეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები და კისრულობენ საჯარო ვაღდებულებებს ნებისმიერი წამოჭრილი დავა გადაჭრან და მოაწესრიგონ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით, პოლიტიკური მოლაპარაკების გზით და არ გამოიყენონ ძალის მუქარა... ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელი სერიოზულად არიან შეშფოთებული საქართველო-ოსეთის გაჭიანურებული კონფლიქტის გამო და მხარს უჭერენ მის

უსწრაფეს შეწყვეტას და მოწესრიგებას“ (საქართველოს რესპუბლიკა, № 115, 1992: 1).

რუსეთის შეშფოთებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ქართული მხარე მართლაც უნდა შეშფოთებულყო, თუნდაც აღნიშნულ კომუნიკეში ფრაზით „საქართველო-ოსეთის... კონფლიქტის“ დაფიქსირების გამო, რომელშიც სამართლებრივი თვალსაზრისით ოსეთი ფიქსირდება სუვერენულ ერთეულად. მის ნაცვლად უნდა ყოფილიყო აზრის შემდეგნაირი ფორმულირება „ქართულ-ოსური... კონფლიქტის გამო“ (რისი დამკვიდრებაც უფრო მოგვიანებით მოხდა). სხვათა შორის, რუსეთის მხარემ ანალოგიურად დააფიქსირა საზღვარი საქართველოსა და აფხაზეთს შორის, როდესაც ელცინმა განაცხადა, რომ „რუსეთი მზად არის დაიცვას რკინიგზა საქართველოსა და აფხაზეთს შორის“-ო. მაგრამ ეს ცოტა მოგვიანებით, მანამდე კი...

დაგომისის კომუნიკემ საფუძველი ჩაუყარა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების დონეზე. ეს ნაბიჯი რუსეთმა, როგორც სჩვევია, გადადგა აშშ-ის წამბაძველობით, რომელმაც თბილისში დიპლომატიური კორპუსი ზუსტად ამ შეხვედრამდე ერთი თვით ადრე დაარსა.

აქვე უპრიანი იქნება, რომ გავიხსენოთ რუსული დელეგაციის ერთ-ერთი ვიზიტი. აღნიშნული დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ბ. პასტუხოვი; დსთ-ის ქვეყნებთან თანამშრომლობის მინისტრის მოადგილე, ნ. მენდელეევი; რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დაავლებათა ელჩი, გ. ფედოსოვი; თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამშვიდობო ძალების უფროსის მოადგილე, ა. გერასიმოვი; გენერალ-ლეიტენანტი, ე. ვერხოვსკი და სხვები (სულ 7 კაცის შემადგენლობით), რომლის მიზანიც ქართული და ოსური მხარეების დაახლოება უნდა ყოფილიყო. მაგრამ პროცესმა კარდინალურად სხვა სახე მიიღო. ცხინვალში ოს მოსახლეობასთან შეხვედრისას პასტუხოვმა განაცხადა: „ჩიბიროვი მეუბნება... ჩვენ გვინდა რუსეთში ყოფნა, ეს იდეა მეც მომწონს, იგი ძლიერი იდეაა, მაგრამ, მეგობრებო, ასეთი საკითხი აი ასე – შევიკრიბეთ, მოვილაპარაკეთ და წინ – არ წყდება. ამიტომ ყველაფერი თანამიმდევრულად უნდა გავაკეთოთ. საჭიროა სტატუსის შესახებ მოლაპარაკების ფორსირება. თუ ეს არ გაწყობთ, მსოფლიო საზოგადოების აზრს უნდა განუცხადოთ, რომ ეს არ გაწყობთ, დანარჩენს შემდეგ ცხოვრება გიჩვენებთ.“ ნ. მენდელეევი კი დაამატა: „ბ-ნ პასტუხოვს უნდოდა

თქვენთვის ეთქვა, რომ მას მოსწონს თქვენი იდეა სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთებისა და მან ძალზედ ჭკვიანურად გიპასუხათ: „მოდით, ვიმოქმედოთ ბრძნულად, როგორ განვახორციელოთ ეს?“ (ტოლიაშვილი 1994: 1, 3).

ბ. პასტუხოვი საქართველოს ერთიანი ტერიტორიიდან აფხაზეთის ჩამოცილებაშიც აქტიურად თანამშრომლობდა სეპარატისტულ რეჟიმთან. ამის შესახებ გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლც“-ში ვკითხულობთ: „ახალი რუსეთის პოლიტიკაში „იარაღის ფაქტორი“ პირველად 1992 წელს გათამაშდა. აფხაზეთის ომის დროს რუსეთი ღიად დადგა სეპარატისტთა მხარეს. რუსეთის თვითმფრინავები საქართველოს პოზიციებს ბომბავდნენ. ოპერაციები რუსი გენერლების მიერ იგეგმებოდა. 1993 წლის გაზაფხულზე სამხედრო-სადესანტო ძალების გენერალ-ლეიტენანტი ჩინდროვი აწარმოებდა სწავლებებს მდინარე ხინტაზე, სადაც შეიქმნა მდინარე გუმისთასთან ფრონტის ხაზზე არსებულ მდგომარეობასთან მიახლოებული პირობები. სწავლებებში მონაწილეობდნენ მისი განკარგულების ქვეშ არსებული და რუსი მფრინავების მიერ მართული საბრძოლო შევუღმფრენების ეკიპაჟები, რომლებსაც აფხაზეთისათვის უნდა საცეცხლე მხარდაჭერა განეხორციელებინათ. აფხაზური ფორმირებების ქმედებებს უშუალოდ მეთაურობდა რუსეთის გენერალი სოროკინი. ჩვენი სამხედროების მოქმედებებს ფარავდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ბ. ნ. პასტუხოვი, რომელიც ნიჭიერად აგვიანებდა დაზავების წინადადებებს ორიოდე საათით ან ამტკიცებდა, რომ მას უსასრულოდ ატყუებენ ვერაგი მოკავშირეები... არ ვიცი, ჩინდროვსა და პასტუხოვს გაეხარდათ თუ არა, როდესაც თავ და ხელ-ფეხმოკვეთილი გვამები ატივტივდა აფხაზეთის მდინარეებში, მაგრამ მათ შეუძლიათ დარწმუნებულები იყვნენ... ამ გვამებში მათი დამსახურებაა“ (ბურბერგი 1997: 1,4).

ჩვენ ვაღიარებულად ვთვლით განგაგრძოთ ოფიციალური თბილისის მხრიდან გაგზავნილი წერილებიდან ციტატების მოყვანა, რომლის ადრესატსაც წარმოადგენს რუსეთის მხარე.

მაშ ასე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს განცხადებაში (1992 წლის 2 ოქტომბერი) ვკითხულობთ: „სამხრივ ქართულ-რუსულ-აფხაზურ კომისიაში, რომლის დანიშნულებაც იყო კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარებაზე ზედამხედველობა, შეიქმნა ძალთა დისბალანსი. რუსეთის წარმომადგენლები აშკარად მიკერძოებულ პოზიციას დაადგნენ და ფაქტობრივად ხელი შეუწყეს აფხაზეთის მხარეს სამხედრო პოტენციალის გაზრდასა და გამაღებულ შეიარაღებაში. ნიშანდობლივია, რომ აფხაზთა ხელთ აღმოჩნდა თანამედროვე იარაღის ისეთი სახეობები, რომლებიც კონფლიქტის ადრეულ ეტაპზე მათ არ გააჩნდათ და რომელთა მიღებაც შეეძლოთ მხოლოდ რუსეთის შეიარაღებული ძალებისაგან და

რუსეთის ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ მყოფი სხვადასხვა უწყების ხელშეწყობით“ (საქართველოს რესპუბლიკა 1992, №201-202: 1).

იმავე წლის ოქტომბრის თვეში კვლავ უხეშად დაირღვა შეთანხმება „ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“ და ბზიფის ხეობასა და ბიჭვინთის რაიონში განხორციელდა ფართომასშტაბიანი შეტევა საქართველოს ეროვნული ჯარის ნაწილების პოზიციებზე, რომელშიც აფხაზი ექსტრემისტები და ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული დაქირავებული ტერორისტები მონაწილეობდნენ. ასეთი ვანდალური აქტი მოაწყეს მაშინ, როცა სოხუმსა და გუდაუთაში აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების სამმხრივი საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე, ი. ვორობიოვი იმყოფებოდა. მიუხედავად ჩვენი მხრიდან მისი არაერთგზის გაფრთხილებისა, რომ ექსტრემისტთა და ტერორისტთა მხარე არღვევდა შეთანხმების მოთხოვნებს, მან არაფერი იღონა მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, თუმცა ეს მისი და მისი კოლეგების უშუალო მოვალეობას წარმოადგენდა. ამრიგად, გაგრის ზონაში, სადაც კონფლიქტის მოწესრიგებისათვის ბოლო დროს ჩვენი მხრიდან უკვე გადადგმული იყო მნიშვნელოვანი სამშვიდობო ნაბიჯები, უაღრესად გამწვავდა ვითარება და ცხადზე უცხადესი გახდა, რომ დაძაბულობის ამგვარ ესკალაციაში პროვოკაციული როლი თავად რუსეთის ფედერაციის პარლამენტის ცნობილმა მიმართვამ შეასრულა. მისი მხარდაჭერით წაქეზებულმა ბანდებმა აფხაზეთის კონფლიქტი ახალ უკიდურესად მწვავე საომარ ფაზაში გადაიყვანეს. ამ ორგანოს რეაქციულმა და იმპერიალისტურად განწყობილმა ნაწილმა რეალური საფრთხე შეუქმნა როგორც მშვიდობას კავკასიის რეგიონში, ასევე საქართველო-რუსეთს შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობას (საქართველოს რესპუბლიკა 1992, №201-202: 1).

პარალელურად გაიგზავნა წერილი გაერო-ს გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს გალის სახელზეც, რომელშიც ნათქვამია, რომ 1 ოქტომბერს აფხაზმა ექსტრემისტებმა რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რაიონიდან ჩამოსულ დაქირავებულ ტერორისტებთან ერთად განახორციელეს ფართომასშტაბიანი შეტევა ქ. გაგრაზე. „სავსებით აშკარაა აფხაზეთის სეპარატისტთა შეთქმულება რუსეთის რეაქციულ ძალებთან, რამაც თავი იჩინა რუსეთის ფედერაციის პარლამენტში, რომელიც მოქმედებს იმ დემოკრატიული რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ, პრეზიდენტი ბ. ელცინი რომ მეთაურობს და უცხადებს

სოლიდარობას დაქირავებული ბანდების აშკარა შეიარაღებულ ინტერვენციას“ (საქართველოს რესპუბლიკა 1992, №201-202: 1).

გაერო-ს სახელზე წერილი მეორე დღეს, 2 ოქტომბერსაც, გაიგზავნა. საქართველოს სახელმწიფო საბჭოს სხდომამ მიიღო განცხადება რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის სახელზე, რომლის ტერიტორიდანაც, როგორც აღინიშნა სხდომაზე, ხორციელდებოდა აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. სახელმწიფო საბჭომ გაუგზავნა მიმართვა გაერო-ს თხოვნით, განეხილა საქართველოში შექმნილი სიტუაცია, რომლის წინააღმდეგაც ფაქტობრივად ანექსია ხორციელდებოდა.

7 ოქტომბერს კი გაერო-ს უშიშროების საბჭოს წინაშე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, თ. ჯაფარიძე წარსდგა, რომელმაც აღნიშნა: „შეიარაღებული კონფლიქტი... აფხაზეთში ინსპირირებული იყო სულ სხვადასხვა ჯურის ადგილობრივი სეპარატისტული ჯგუფების, კავკასიელ მთიელ ხალხთა კონფედერაციის ნაციონალური ძალებისა და რუსეთის მთავრობის ზოგიერთი წრეების, მათ შორის, სამხედრო უწყებთა წარმომადგენლების, რეაქციული ელემენტების მიერ... სამწუხაროდ რუსეთის ფედერაციის მთავრობა ეფექტიანად ვერ აჩერებს დაქირავებულთა შემოდევას საქართველოს ტერიტორიაზე... არც რუსეთის თუ აფხაზეთის წარმომადგენლებს, არც ამ რეგიონში დისლოცირებული რუსეთის არმიის ქვეგანაყოფებს არაფერი უღონიათ კონფლიქტის რეალური შეწყვეტის მიზნით...“ (ჯაფარიძე 1992: 7). სხვათაშორის, რამდენიმე ხნით ადრე თ. ჯაფარიძე და გ. ჩარკვიანი მივლინებულ იქნენ პრეზიდენტ ე. შევარდნაძის მიერ აშშ-ში, სადაც, ს. ტელბოტის განცხადებით „მის სტუმრებს ეჭვი ჰქონდათ, რომ რუსეთის სპეცსამსახურები საქართველოში საქმის არევ-დარევას აპირებდნენ და რომ ამაში უშუალო დამნაშავე ბ. ელცინი იყო“ (ტელბოტი 2003: 57).

ამრიგად, ის აზრი, თითქოსდა ქართული მხარე არ აფიქსირებდა მის ტერიტორიაზე გამართულ კონფლიქტების ესკალაციაში რუსეთის დაინტერესებას და უშუალო მონაწილეობას, სიმართლეს არ შეესაბამება. უბრალოდ, ჩვენი ხმა იმდროინდელი საერთაშორისო პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე (რომლებზედაც ჩვენ ზემოთ I თავში გვქონდა საუბარი) რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

აფხაზეთის ომში რუსეთის უშუალო მონაწილეობას აღიარებენ რუსი დემოკრატებიც. ასე მაგალითად, 1993 წლის 6 ივლისს, ქ. მოსკოვში საქართველოს საელჩოში გამართული შეხვედრის მონაწილეებმა, რფ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, ვ. შეინერმა და ნ. შეპკოვმა დაგმეს რუსეთის

აგრესიული პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში. კერძოდ, შეინერმა განაცხადა, რომ რუსეთის პარლამენტში მყოფი დემოკრატი პარლამენტარების მთავარი მოწინააღმდეგე „ეროვნული ხსნის ფრონტი“ (*საინტერესოა რა საფრთხე ემუქრებოდა რუსეთს ისეთი, რისთვისაც ხსნის ფრონტი შეიქმნა. ერთადერთ ასეთ საფრთხედ ჩვენ გვესახება ყოფილი რესპუბლიკების სურვილი გავერძელებინათ არსებობა დამოკიდებლად, კრემლის გარეშე, რაც რუსეთის გაგლენის სფეროს შემცირებას გამოიწვევდა*) და რომ ამ ფრონტში გაერთიანებულ ადამიანებს აფხაზეთის კონფლიქტის გამწვავება აწყობთ (დონაძე 1993: 1-3).

კიდევ უფრო შორს წავიდა ნ. შეპკოვი, რომელმაც განაცხადა: „რუსეთში ინფორმაციის სიმწირეს იქამდე მივყავართ, რომ ბევრი ვეღარც კი აფასებს იმ კატასტროფულ შედეგებს, რაც შეიძლება აფხაზეთის კონფლიქტის გამწვავებას მოჰყვეს. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ეს მოლაპარაკებები (*საუბარია ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო მოლაპარაკებებზე-ს.ე*) შემთხვევით არ იშლება...რაც შეეხება რუსეთის როლს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, ეს არ არის მხოლოდ შუამავლის როლი. რუსეთი ამ ომის უშუალო მონაწილეა. აფხაზეთში რუსეთიდან მიდის თანხები, მიდის იარაღი, სამხედრო გემებიდან აფხაზეთში სხამენ დესანტს, იბომბება სოხუმი. რუსეთის ფედერაციის ტელევიზია კი დუმს. რატომ არ გვეუბნებიან, რომელი სამხედრო გემი შევიდა აფხაზეთის ტერიტორიაზე? ვინ არის მისი კაპიტანი? ხომ არ შეიძლება ის გულაუთას ეკუთვნოდეს? ხომ არ შეიძლება, რომ სამხედრო გემი სამხედრო ბრძანების გარეშე გადაადგილდეს? ამიტომაც მრჩება შთაბეჭდილება, რომ რუსეთის ხელისუფლება ვერ აკონტროლებს საკუთარ შეიარაღებულ ძალებს“ (დონაძე 1993: 1-3). ამ უკანასკნელ მოსაზრებას ჩვენ არ ვიზიარებთ და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ იმპერიულ ამბიციებს მელოლიავე ელცინი არათუ ვერ აკონტროლებდა, არამედ თავადაც უშუალოდ მონაწილეობდა საომარი მოქმედებების დაწყებასა თუ დასრულებასთან დაკავშირებული ბრძანებების გაცემაში.

პრეზიდენტი ელცინის იმპერიული კურსი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში კიდევ უფრო გაძლიერდა შემდგომ წლებში, რის გამოც ჰ. კისინჯერმა მოგვიანებით განაცხადა, რომ საჭირო გახდებოდა ახალი მიდგომა რუსეთისადმი, ვინაიდან, მიუხედავად ელცინის მიერ გატარებული ლიბერალური კურსისა, კრემლი და, უპირველეს ყოვლისა, კი ელცინი სულ უფრო აძლიერებს ჯიუტ საგარეო პოლიტიკას. ეს კი საერთაშორისო სტაბილურობისადმი უდიდეს გამოწვევას წარმოადგენდა. მეორე, ასევე ცნობილია პოლიტოლოგმა, დ. საიმსმა

აღნიშნა, რომ უსიამოვნება რუსეთსა და მის უახლოეს მეზობლებს შორის იძლეოდა იმ ეჭვის საფუძველს, რომ რუსეთი ვერ შელევია იმპერიულ ჩვეულებებს (საიმსი 1992: 3).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ზ. ბუეზინსკი თავის წიგნში „დიდი საჭადრაკო დაფა“ წერს, რომ, სამწუხაროდ, რუსეთში განვითარებული პროცესები მიუთითებდა რუსეთის მძლავრ ამიციებზე, რომლებიც, შეიძლება, იმაზე შორს წასულიყო, ვიდრე მისი, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს აღიარება და პატივისცემაა. რუსეთის საგარეო პოლიტიკურ ისტაბლიშმენტში ყოველთვის არსებობდა ღრმად გამჯდარი სურვილი იმისა, რომ რუსეთმა შეასრულოს განსაკუთრებული ევრაზიული როლი, რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს იქამდე, რომ დამოუკიდებელი პოსტსაბჭოთა ქვეყნები კვლავ მოექცნენ მოსკოვის დაქვემდებარებაში. ამ კონტექსტში ევროპული ქვეყნების მეგობრული პოლიტიკა რუსეთის მეზობლად წარმოქმნილ ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებთან მიმართებაში რუსული საზოგადოების ზოგიერთი გავლენიანი წარმომადგენლის მიერ აღიქმევა, როგორც სურვილი – რუსეთს ჩამოართვან ისტორიული ტრადიციით მიკუთვნებული „კანონიერი უფლება“ იყოს სუპერსახელმწიფო (ბუეზინსკი 1997: 67-71).

რუსეთის მხრიდან ამ შიზოიდურ აკვიატებაზე – იყოს სუპერსახელმწიფო – საუბრობენ რენდ-ის პოლიტოლოგებიც, ო. ოლიკერი და თომას ს. სზაინა. მათი აღნიშვნით, მნიშვნელობა არა აქვს რუსეთში განვითარებულ შიდა სიტუაციას. მისი სტრატეგიული ამოცანაა ფლობდეს ისეთ რეგიონებს, როგორებიცაა, განსაკუთრებით, კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონები. მისი, როგორც წარმატებული იმპერიის, არსებობისათვის ეს ქვეყნები ყოველთვის, როგორც ცარიზმის დროს, ასევე საბჭოთა ხანაში, წარმოადგენდნენ ეკონომიკური და სტრატეგიული რესურსების მნიშვნელოვან წყაროს (ოლიკერი... 2003: 190).

იმას, რომ რუსი პოლიტიკოსი, მნიშვნელობა არა აქვს, რომელ პოლიტიკურ ორიენტაციას იზიარებს იგი, ბოლომდე არ არის გათავისუფლებული იმპერიალისტური ზრახვებისაგან, კარგად ასახავს ქართველი პოლიტოლოგი, ს. ცინცაძეც: „ყველაზე „ანტიიმპერიალისტ“ რუს დემოკრატებსაც კი იმპერიის აღდგენის საწინააღმდეგო არგუმენტად, როგორც წესი, მოჰყავდა არა გაერო-ს ცნობილი დეკლარაცია, არა მორალის, ზნეობისა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, არა XX საუკუნის ზოგადსაკაცობრიო

ღირებულებანი, არამედ დღევანდელი რუსეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო სისუსტე... დასუსტებული რუსეთი იმპერიის ცენტრი ვეღარ იქნება, თორემ საერთაშორისო ნორმები რა მოსატანიაო... მეორე მხრივ, ისიც იგრძნობა, რომ იგივე დემოკრატები შოკური მდგომარეობიდან ნელ-ნელა გამოდიან და ლიბერალ-დემოკრატიული საკმახით იმპერიალიზმთან იწყებენ არშიყს“ (ცინცაძე 1992: 3-4).

1993 წელი:

რუსული მასმედია დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების განვითარებას, რაც წარმოადგენდა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ სახეობას – საინფორმაციო ომს.

ფ. ხალვაში იხსენებს, რომ ჯერ კიდევ აფხაზეთში ომი მიმდინარეობდა, როდესაც რუსეთის ტელევიზიამ გადმოსცა ცნობა, რომ „აჭარაში შეჭრას ცდილობენო საქართველოს სამხედროები“ (რუსული მასმედიის თანახმად, აჭარა თურმე საქართველოს ნაწილი არ ყოფილა-ს.ყ). „ოსტანკინოს ტელეცენტრმა უჩვენა გადაცემა ბათუმიდან, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ როგორ ცდილობს ზოგი არაკეთილმოსურნე რუსი ჟურნალისტი სეპარატიზმისაკენ უბიძგოს საქართველოს ამა თუ იმ კუთხეს. ისინი თითქოს აჭარის მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა აზრს ეყრდნობიან. სინამდვილეში, ზღვისპირის ყავახანიდან ნაჩვენები კადრით უბრალო მაყურებელიც მიხვდებოდა, რომ არც ერთი მათგანი, ვინც რუსულ მიკროფონში ლაპარაკობდა, როგორც იტყვიან, ეთნიკურად ქართველი ე.ი. აჭარელი არ ყოფილა“ (ხალვაში 1992: 1).

1993 წლის 16 თებერვალს თბილისს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, რ. აბდულატიპოვის და ვიცე-პრემიერის, ს. შახრაის ხელმძღვანელობით რუსეთის დელეგაცია ეწვია. ვიზიტის მიზანი იყო რუსეთსა და საქართველოს შორის ფართომასშტაბიანი შეთანხმების ხელმოწერის ვადების მოახლოება და კავკასიის სახლის შექმნაში ერთობლივად მონაწილეობის მიღება. კომენტარი ზედმეტია: რუსეთი არ აპირებდა პოზიციების დათმობას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში. მხარეებმა მიიღეს კომუნიკე, მაგრამ საქართველოს პარლამენტმა დაადგინა, რომ ქ. მოსკოვში რუსეთ-საქართველოს 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმების შესახებ კომუნიკეში ორაზროვანი დებულებების არსებობა ქართული მხარისათვის მიუღებელი იყო და რომ მომავალში აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და ხელშეკრულებათა ხელმოწერის დროს საოქმო

მოთხოვნათა დაცვა, რომლებიც დაირღვა აღნიშნული დოკუმენტის მოლაპარაკების დროს.

1993 წლის 26 თებერვალს რსფსრ-ის თავდაცვის მინისტრის, პ. გრაჩოვის ვიზიტის შესახებ, რომელიც ბათუმსა და გუდაუთაში ჩასვლას აპირებდა, პარლამენტის წინაშე სიტყვით გამოვიდა ე. შევარდნაძე: „განსაკუთრებით ცუდი ის არის, რომ გრაჩოვის ჩამოსვლას აფხაზეთში და ბათუმში წინ უძღოდა, რბილად რომ ვთქვათ, მისი მანვე განცხადებები რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებთან დაკავშირებით ბათუმსა და გუდაუთაში... ისე გამოდის, რომ ბათუმი და გუდაუთა თავდაცვის მინისტრს აინტერესებს იმის გამო, რომ რუსეთმა არ დაკარგოს შავი ზღვა. მე მივესალმები ბ-ნ გრაჩოვთან შეხვედრას, ვთქვათ, თბილისში ან რომელიმე სხვა რეგიონში, ოღონდ წინასწარი მოლაპარაკების, კონსულტაციების შემდეგ... ბევრი რამ არის გასარკვევი... მაგრამ არა ამგვარი გზით და ამგვარი ფორმით. ასეთი ვიზიტი არაფერს სიკეთეს არ მოგვიტანს არც საქართველოს, არც რუსეთს“ (ჭელიძე 1993: 1).

არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ რუსეთის პრეზიდენტის, ბ. ელცინის მიერ 27 თებერვალს „სამოქალაქო კავშირის“ ფორუმზე წარმოთქმულ ფრაზას, რომელსაც ჩვენშიც და დასავლეთშიც დიდი რეზონანსი მოჰყვა. კერძოდ, მან ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკებში მოქმედებისათვის გაერო-ს განსაკუთრებული უფლებების მინიჭება მოსთხოვა. ამის გამო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოგვიანებით ამ ფრაზის შემსუბუქება მოუხდა, რის გამოც ოფიციალური მიმართვა გააგრძელა. მასში სწერია, რომ რუსეთმა იკისრა ყოფილი კავშირის კონკრეტულ რაიონებში მშვიდობის შენარჩუნების ტვირთი, თანაც ყველა შემთხვევაში – შესაბამისი რეგიონების თხოვნით ან თანხმობით, და რომ ხარჯებს პრაქტიკულად იგი მარტო სწევს. ვერაფერს იტყვი, რუსეთი მართლაც რომ დიპლომატიურად თავს იკატუნებს და აქეთ ჰუმანურობის მსხვერპლის როლს თამაშობს.

5 მარტს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს მთავრობას შემდეგი ნოტა გამოუგზავნა: „აშშ-ის მთავრობა შეშფოთებულია რუსეთის ურთიერთობების აშკარა გაუარესების გამო და ამასვე ატყობინებს რუსეთის მთავრობას... ჩვენ დაბეჯითებით ვთხოვთ რუსეთის მთავრობას მიიღოს სათანადო ზომები ორმხრივი დაძაბულობის შესანელებლად და დაარწმუნოს საქართველოს მთავრობა და ხალხი, რომ რუსეთი მყარად ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას... ცალკეულ რუს ოფიციალურ პირთა განცხადებებს ზედმეტ ყურადღებას რომ უთმობენ, ქართველთა ყურადღება შეიძლება

ჩამოაცილოს აფხაზეთის საკითხის მოლაპარაკების გზით მოგვარებას და მნიშვნელოვანი შინაური პრობლემების გადაჭრას“.

ამავე პერიოდში კარგად იკვეთება თბილისისადმი სეპარატისტულად განწყობილი აჭარის უმაღლესი საჭოს თავმჯდომარის, ა. აბაშიძის ახლო ურთიერთობები რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ წრეებთან (საქართველოს რესპუბლიკა 1993: 1). მისი სახით, როგორც ჩანს, კრემლმა კიდევ ერთი ნაღმი ჩალო საქართველოში.

ამავე წლის 22 მარტს რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საბჭოს მომავალი სხდომის სამუშაო დღის წესრიგში „სამხრეთ ოსეთის აღიარების შესახებ ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს დადგენილების“ განხილვის შეტანა.

შემდგომ წლებშიც რუსეთის ფედერაციის სათათბირომ რამდენიმეჯერმე მიიღო ანალოგიური სახის დადგენილება, თუმცა იმხანად მთავრობის მიერ საკითხი უმაღლეს დონეზე არ დამდგარა. ვფიქრობთ, რომ, იმ პერიოდში თავისი ინტერესებისდა მიუხედავად, კრემლი მაინც აზრს უწევდა საერთაშორისო საზოგადოებას, ხოლო საკითხის ამ რიგად დაყენებას მათი მხრიდან საქართველოზე უფრო ფსიქოლოგიური ზეწოლის სახე ჰქონდა, რომლის მიზანსაც ამ უკანასკნელზე რუსეთის გავლენის გახანგრძლივება წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ ნ. ხრუშჩოვი იმუქრებოდა, რომ თუკი ქართველები ჭკუით არ მოიქცევიან, მე მათ აფხაზებს შევუსევო. თურმე ნუ იტყვიან და იმასაც ამბობდა, რომ მას გააჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ნატრობდნენ სამხრეთელი ოსები ჩრდილოეთ ოსეთთან, აფხაზები კი კრასნოდარის მხარესთან შეერთებას. „ოსებთან მიმართებაში არ ვიჩქარებთ, მაგრამ აფხაზეთის საკითხი უნდა დავაჩქაროთ... აი, ყირიმი უკრაინას გადავეცით, გირჩევთ აფხაზეთსაც ასევე მოექცეთ, ყველაფერი ხომ საბჭოეთისაა“-ო (დიმისტარაშვილი 2002: 126).

აფხაზეთის დიდი რუსეთისათვის მიერთებას არა ერთი პოლიტიკოსი, სამხედრო თუ მეცნიერი ცდილობდა. კიდევ ერთი მათგანის ცხოვრებისეულ ოცნებას გაგანდობთ: ს. ჩერვონაიასთან საუბარში ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის ხელმძღვანელმა, ი. ვორონოვმა განაცხადა: „აფხაზეთის გამოყვანა საქართველოდან – აი, ჩემი მეცნიერების კრედიტია. ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი და ამ მიზანს მე არ დავთმობ, მით უფრო ახლა, როცა ის ასე ახლოსაა (ეს მან განცხადა ომის დაწყებამდე ორიოდე დღით ადრე)... მთავარია აფხაზეთის მოწყვეტა საქართველოდან და

რუსეთთან მიერთება, ამ მოძრაობის დაწყება, რომელიც დიდი სახელმწიფოს აღორძინებით დაგვირგვინდება, ამ ისტორიულ შანსს კი ჩვენ ვერ გავუშვებთ ხელიდან“ (ჩერვონაია 1994: 13).

აღსანიშნავია კ. ძევისაშვილის მართებული შენიშვნა რუსეთის კავკასიური პოლიტიკის შესახებ: „აფხაზეთში საქართველოს დაჩოქება იყო გამიზნული. ეს კი ჩრდილოეთ კავკასიელების ხელებით და რუსული იარაღით უნდა მომხდარიყო... დღეს გამონდა, თუ რისთვის სჭირდებოდა ეს დაპირისპირება რუსეთს. ეროვნული მოძრაობის ფართოდ გაშლის შედეგად მთელი ჩრდილოეთკავკასიელი ხალხების დაგროვილი საბრძოლო პოტენციალი რუსეთზე – მათ ისტორიულ მოწინააღმდეგეზე – დაიცვებოდა. სწორედ ამ პერიოდში ამოტივტივდა „ერთიანი კავკასიური სახლის“ იდეა... სწორედ ამ იდეის მატარებელი ჩრდილოეთკავკასიელები შეუსია კრემლმა აფხაზეთს. მაგრამ იგივე ჩეჩნეთის ომის დროს ეს ორგანიზაცია საეჭვოდ დადუმდა... ნათელია, რომ მოსკოვის ყველა ქმედება ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული“ (ძევისაშვილი 1996: 3).

ზღვა მასალაა იმის შესახებ, თუ როგორ ღებულობდნენ თვითონ რუსები აფხაზეტსა და ოსებთან ერთად საომარ მოქმედებებში მონაწილეობას. მათი წაქეზებით და ხელშეწყობით იბომბებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის სახლ-კარიც, რისი მიზანიც იყო სეპარატისტულ რეგიონებში დემოგრაფიული რუქის შეცვლა სეპარატისტების სასარგებლოდ. მაგალითად, 1993 წლის 22 თებერვალს საქართველოს პარლამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ქართულმა მხარემ პირდაპირ დაადანაშაულა რფ-ის ავიაციის მიერ სოხუმის მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვაში. „ეს დაკავშირებულია იმ ხელმძღვანელებთან და სარდლებთან, რომლებიც გუდაუთაში არიან თავმოყრილნი. მხედველობაში გვყავს რუსეთის არმიის წარმომადგენლები. ასეთი რამ პირველად არ მომხდარა – თითქოს სპეციალურად საცხოვრებელ კვარტლებსა და ბინებს ბომბავენ. ეს, რა თქმა უნდა, ართულებს ისედაც გართულებულ ურთიერთობებს რუსეთსა და საქართველოს შორის“ – ვკითხულობთ მიმართვაში (ახალგაზრდა ივერიელი №4, 1993: 1).

ჯერ კიდევ თებერვლის დასაწყისში კრემლის პირდაპირი მითითებითა და კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულებით, დაიწყო მოხალისეთა გაგზავნა აფხაზეთში. ამის გამო საპროტესტო ნოტის გადასაცემად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი, ვ. არხიპოვი დაიბარეს.

13 მარტს გუდაუთის მახლობლად მდებარე აეროდრომიდან აფრენილმა CY-25 ტიპის სამხედრო თვითმფრინავებმა განახორციელეს ქ. სოხუმის

მშვიდობიანი მოსახლეობის მორიგი დაბომბვა. ამ ბარბაროსული აქტის შესახებ ინფორმაცია ქართულმა მხარემ დიპლომატიური კორპუსის ყველა წარმომადგენელს გადაუგზავნა 16 მარტს, რფ-ას კი მორიგი საპროტესტო ნოტა გადაეცა.

ოფიციალური თბილისის მიერ რუსეთისადმი მრავალი ვერბალური კრიტიკისა და ათეულობით საპროტესტო ნოტების მიუხედავად, რუსული მხარე სეპარატისტების მხარდაჭერას უტიფრად განაგრძობდა.

ომის დასრულების შემდეგ კი რუსი გენერალი კოლესნიკოვი თავის თანამეინახეებთან სუფრაზე ამაყად ყვებოდა იმას, თუ როგორ აიღეს სოხუმი აფხაზებმა რუსების დახმარებით. „ჩვენ იქ ისეთი იარაღებიც გვქონდა, რეგულარულ არმიაშიც ჯერ არ მინახავს, რუსული იარაღი და რუსი ოფიცრები რომ არა, აფხაზები ჩემს ფეხებს გაიმარჯვებდნენ“-ო (ძიმისტარაშვილი 2002: 153).

მოგვიანებით გენერალი ა. ლებელი აღიარებს აფხაზეთის საომარ ოპერაციებში თადარიგში გასული რუსი მედეხანტების მონაწილეობას. „ეს მედეხანტი სინამდვილეში თვალის ასახვევი მანევრი იყო, რათა ქართველებს სოხუმიდან ძალთა კონცენტრაცია სამხრეთისაკენ მოეხდინათ. საერთოდ, ქართველებმა დროა გაიგონ, რომ ძირითადად, სწორედ აფხაზები გებრძოდნენ... ვგულისხმობ უშუალო მებრძოლებს, თუმცა სპეციალისტებს, რასაკვირველია, რუსეთი უგზავნიდა, ტექნიკის დიდ ნაწილსაც, სათადარიგო მასალებსაც, ინფორმაციასაც... მე მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთი არ ჩარეულა. რასაკვირველია ჩაერია და ჩაერია სწორედ აფხაზების მხარეს“ (ლებელი 1997: 3-4).

შეტევა აფხაზეთისათვის ყველა მიმართულებით ხორციელდებოდა, სამხედრო ტექნიკის შემოტანითა და ბოევიკების გადმოყვანით დაწყებული, ოფიციალურ დონეზე დადებული „გამშველბლური“ ხელშეკრულებების დადებითა და ე.წ. სამშვიდობოების ჩაყენებით დამთავრებული. ხელშეკრულებებს შორის ყველაზე მეტად ხაზი უნდა გაესვას 1992 წლის 3 სექტემბრის და 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულებებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომლებიც ყველაზე დიდი ფარატიანა ქაღალდი აღმოჩნდა რუსეთისათვის. ორიოდ სიტყვით ამ უკანასკნელზე შევჩერდებით, ვინაიდან თუ პირველის წყალობით დაიკარგა გაგრა, მეორეთი მოხდა სოხუმის აღება სეპარატისტების მიერ.

1993 წლის 27 ივლისს, ქ. სოჭში, რუსეთის მხარის “მედიატორობით” გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს, სეპარატისტული აფხაზეთისა და რფ-ის წარმომადგენლები. შეხვედრისას მხარეებმა აფხაზეთში

ცეცხლის შეწყვეტისა და ამ შეთანხმების დამცველი კონტროლის მექანიზმების ამოქმედების შესახებ შეთანხმება მიიღეს. 1992 წლის 3 სექტემბრის (დაიდო ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ სექტემბრის ბოლოს შეიარაღებულმა აფხაზებმა გავრა აიღეს, ხელშეკრულების ძალით განაიარაღებულმა ქართველებმა კი მისი დაცვა ვერ მოახერხეს, თუმცა ხელშეკრულება ორივე დაპირისპირებული მხარეს ერთნაირად ავალდებულებდა როგორც ცეცხლის შეწყვეტას, ასევე მძიმე ტექნიკისა და ცოცხალი ძალების გაყვანას) გამოცდილებისდა მიუხედავად, ქართულმა მხარემ, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ისევ ცალმხრივად დაიცვა შეთანხმების პირობები, რასაც შედეგად სოხუმის დაცემა მოჰყვა. „აქაც მუხანათურად, უსინდისოდ მოგვატყუეს აფხაზებმა და რუსებმა...16 სექტემბერს, დილის 5 საათზე, აფხაზებმა და მათ მიერ დაქირავებულებმა თავიანთი, რუსული სამხედრო ტექნიკა ისევ „გადმოადგილეს“ უკან სოხუმისაკენ, ოჩამჩირეში კი რუსული გემებით დესანტი გადმოსხეს და დაიწყეს მასირებული შეტევა განაიარაღებულ ქალაქზე...“ უფრო მეტიც „აფხაზებმა სოხუმში შემოიყვანეს სამჯერ მეტი ტექნიკა, ვიდრე ხელშეკრულების ძალით „გაიყვანეს“ ფრონტის ხაზიდან“ (დიმისტარაშვილი 2002: 146-147).

ა. ბუდბერგი წერს: „ჩვენ საქართველო დავაჩოქეთ. რუსეთის გენერლებსა და დიპლომატ-მშვიდობისმყოფელებს შეეძლოთ თავი მეფეებად ეგრძნოთ. ისინი ფულს ერთდროულად ორივე მხარისგან ნიჩაბით ხვეტდნენ. ასე, ერთ-ერთი მეთაურის ქალიშვილს საქორწილოდ უყიდეს სამოთახიანი ბინა და აჩუქეს ბრილიანტის მოკრძალებული სამშვენისები. მეორე მეთაურის ფარეხში იდგა 6 ნაჩუქარი უცხოური ავტომანქანა, ხოლო რუსეთის უმაღლესი ოფიცრების აფხაზეთში არსებულ აგარაკებსა და მამულებზე ლაპარაკი უკვე სასაცილოც კი არის... ბუნებრივია, შეუძლებელია, რომ ყარაბაღშიც და საქართველოშიც იარაღის გაყიდვა და ქრთამები ნარკოტიკებით გაჭრობისა და სარგებლის მომტანი ყოველგვარი საქონლის კონტრაბანდის თანხლების გარეშე ყოფილიყო“ (ბუდბერგი: 1997: 1,4).

შემდგომში რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო რეზიდენტი, მ. გ. დემიანოვი დაკითხვის დროს განაცხადებს: „აფხაზები უკვე 1991-92 წწ. რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების თანხმობით, აქტიური მხარდაჭერითა და დახმარებით რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში და რეგიონებში ყიდულობდნენ სამხედრო ტექნიკას... მათ კავშირი ჰქონდათ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებთან... გარკვეული სახის სამხედრო ტექნიკა, ტყვია-წამალი რუსეთმა უფასოდ გადასცეს აფხაზებს... ფსკოვის დივიზია... აქტიურად იბრძოდა აფხაზეთის მხარეზე... რამდენიმე გაუმჯობესებული სარაკეტო კომპლექსი კი

პირდაპირ რუსეთის ქალაქებიდან გაგზავნეს აფხაზეთში... იარაღის გადმოგზავნა-ტრანსპორტირება ხდებოდა ძირითადად რუსეთის სამხედრო ავიაციით... რუსი მესაზღვრეები გაფრთხილებულნი იყვნენ ყველა პირობა შეექმნათ, რათა აფხაზეთისათვის განკუთვნილ სამხედრო ტვირთს უსაფრთხოდ და შეუფერხებლად გადაეკვეთა საზღვარი და მისუღიყო დანიშნულების ადგილზე“ (ძიმისტარაშვილი 2002: 153-154).

ყოველივე ამის შედეგად კი, რუსეთმა, როგორც კონფლიქტის დარეგულირებით „დაინტერესებულმა“ მხარემ, საქართველოს დსთ-ში შეყვანა მოახერხა, რომელშიც გაწვევრიანებაზე საქართველო თავიდანვე უარობდა. 1996 წლის ზაფხულში კი დემოკრატი ელცინი კისლოვოდსკში ოთხთა შეხვედრაზე განაცხადებს: „კავკასიის რუსეთისაგან მოწყვეტის მცდელობა სავალალო შედეგებით დამთავრდება ყველასათვის. დიდი კავკასია სისხლხორცეულად არის დაკავშირებული რუსეთთან და ამ სივრციდან მისი ამოღების მცდელობა საზარელ შეცდომებს გამოიწვევს“-ო (ფაღავა 1996: 1-2).

1992-93 წლების მოვლენათა გაანალიზების შედეგად თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ 1992 წლის ივნისში რუსეთთან დადებული ყაზბეგისა და დაგომისის შეთანხმებების საფუძველზე რუსეთი განმტკიცდა სამაჩაბლოში; 1992 წლის 3 სექტემბრის და 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმებების ძალით კი მოხდა რუსეთის დარჩენა აფხაზეთში (*ვიმედოვნებთ, რომ დროებით*) ე.წ. მედიატორის სტატუსით, რომელსაც უნდა მოეგვარებინა დაპირისპირება “კონფლიქტურ მხარეებს” შორის.

თავდაპირველად ქართული და აფხაზური მხარეების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს „ცეცხლის შეწყვეტისა და მხარეთა დაშორიშორების შესახებ“ შეთანხმებას, რომელიც კონფლიქტის ზონაში „სამშვიდობო ოპერაციების“ განხორციელებას საფუძველად დაედო, მაგრამ თავად გაერო-მ აღნიშნულ რეგიონში თავისი მშვიდობისმყოფელების გაგზავნა ვერ მოახერხა, ვინაიდან ამას რუსეთის მხარე შეეწინააღმდეგა (*შევახსენებთ, რომ რუსეთის ფედერაცია ამ ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია*). თუმცა იმავე გაერო-ს წესდებით, რუსეთს, როგორც კონფლიქტის ზონის უშუალო მეზობელს, არ ჰქონდა უფლება თავისი სამშვიდობო ძალების შეყვანისა. ეს პრობლემა კრემლმა შესანიშნავად გადაჭრა – მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამშვიდობო ოპერაციის დსთ-ის ეგიდით განხორციელების თაობაზე, რომლის ძირითად ბირთვს, რა საკვირველია, რუსი მშვიდობისმყოფელები შეადგენენ.

რა თქმა უნდა, რუსეთის მიზანს თავიდანვე წარმოადგენდა კონფლიქტური ზონების ნელ-ნელა ჩამოშორება ერთიანი ქართული სახელმწიფოსაგან. ამას იგი ადრეც ცდილობდა და ახლაც ცდილობს. სწორედ ამიტომ, რუსეთი არასოდეს ყოფილა დაინტერესებული კონფლიქტის რეალური დარეგულირებით. პირიქით, პრობლემის მრავალი წლით გაყინვით რუსული მხარე სულ იმის ცდაშია, რომ როგორმე მეტასტაზივით, ნელ-ნელა მოიკიდოს ფეხი ახლა უკვე მისი „მშვიდობისმყოფელებით“ დაპყრობილ ტერიტორიაზე. საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის ამ პოლიტიკას შემდგომში ჩვენმა პოლიტიკოსებმა „მცოცავი ანექსია“ უწოდეს.

რუსეთის ხელისუფლებას საერთოდ სჩვევია ორმაგი სტანდარტებით თამაში. ავიღოთ თუნდაც რუსი პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული განცხადება, რომ კოსოვოს ალბანელებს თვითგამორკვევის შესახებ გაერო-ს რეზოლუციის ამოქმედების უფლება არ აქვთ, ვინაიდან კოსოვო ძირძველი სერბული მიწაა. ამაში მათ არავინ ედავება. მაგრამ მაშინ, რომელი ლოგიკით შეუძლიათ აფხაზებსა და სამაჩაბლოს ოსებს გამოყოფა და საქართველოს ძირძველი მიწიანად რუსეთთან მიერთება? კოსოვოს გამოყოფას სერბეთიდან რუსული მხარე იმითაც ეწინააღმდეგებოდა, რომ ეს ფაქტი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური სეპარატისტებისათვის სახიფათო მაგალითად მიაჩნდა, რომლებიც თურმე თანამედროვე პოლიტიკური რუკის თავიანთ სასარგებლოდ გადაკეთებაზე ოცნებობენ. თურმე „მთავარი საშიშროება რუსეთისთვის იმაში მდგომარეობს, რომ კოსოვოს მაგალითზე შემუშავდება ეთნოპოლიტიკური კრიზისის მოდელი, რომელსაც მიუსადაგებენ რუსეთსაც, სადაც არსებობს მუსულმანთა დიდი დიასპორა, აგრეთვე დიდი და სწრაფად გამრავლებადი ჩინური დიასპორა...“ (ზოლოტარევი 2001: 174), მაგრამ ხომ შეიძლება, რომ აფხაზური და ოსური სეპარატიზმიც ვინმესთვის მისაბაძი მაგალითი გახდეს? ამაზე რუს პოლიტიკოსებს, რა საკვირველია, პასუხი არ გააჩნიათ.

რუსეთის ქცევის ორმაგ სტანდარტულობას ხაზს უსვამს ს. კორნელიც, რომელიც აღნიშნავს, რომ რუსეთი მიიჩნევა მუსულმანთა მოწინააღმდეგედ ბოსნიიდან და კოსოვოდან მოყოლებული კავკასიის გავლით ტაჯიკეთამდე. ამიტომ მხარს უჭერდა სომხებს აზერბაიჯანელების წინააღმდეგ და ოსებს ინგუშების წინააღმდეგ. მაგრამ რუსეთი ასევე მხარს უჭერს მუსულმან აფხაზებსაც მართლმადიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, ვინაიდან სწორედ

საქართველოა ის ქვეყანა, რომელიც ეცილება მას ამიერკავკასიის რეგიონში პირველობაში (კორნელი 2003: 17).

თუ რამ განაპირობა რუსეთის მხარდაჭერა სომხებისა და ოსებისათვის, ეს ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ერთსა და მეორესაც მხარს უჭერდა არა რელიგიური სიახლოვის გამო, არამედ იმიტომ, რომ XVIII საუკუნიდან მოყოლებული სომხები წარმოადგენენ რუსეთის დასაყრდენ ძალას ამიერკავკასიაში და, „დიდი სომხეთის“ აღდგენის ვითომდა მხარდაჭერით, რუსეთი ყოველთვის მანიპულირებდა ამ ხალხზე; ოსებს კი იმიტომ დაუჭირა მხარი, რომ თავად მოსკოვმა, როგორც სხვათა მიწების კეთილმა გამბოდებელმა, ჩამოაჭრა ინგუშებს მიწა და ოსებს გადასცა, რაც დავის მიზეზი შეიქმნა ჩრდილოეთ ოსებსა და ინგუშებს შორის. სამაგიეროდ, რუსეთმა ამ უესტით ოსების სახით დასაყრდენი გაიჩინა კავკასიის ხალხებს შორის.

აი, ამგვარად, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში „მშვიდობისმყოფელთა“ მანდატის მოპოვებით, რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე პოზიციები განიმტკიცა, საქართველო კი კონფლიქტების დარეგულირებაში დახმარების “პირობით” დსთ-ის შემადგენლობაში შეიყვანა, რაც ძალაუნებურად ნიშნავდა რუსეთზე ორიენტაციას.

1994 წელი

რუსეთმა ახალი საგარეო პოლიტიკური დოქტრინა წარმოადგინა, რომელშიც რუსეთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა მიენიჭა „ურთიერთობას“ მის უშუალო მეზობლებთან ე.წ. ახლო საზღვარგარეთთან. ის, თუ რა სიმაღლეებიდან გადმოჰყურებდა კრემლი ამ მისთვის მეტად მნიშვნელოვან ზონას კარგად ჩანს დ. გელოვანის დაკვირვებიდან: ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტის დროს ელცინმა განაცხადა, რომ დასავლეთს არ უნდა აოცებდეს რუსეთის დაინტერესება თავისი მეზობლებით. „ჩვენ მათ ვაფინანსებთ ისე, როგორც თქვენ (ამერიკელები – ს.ე) აფრიკას და ლათინური ამერიკის ქვეყნებს“—აღნიშნა ელცინმა. (გელოვანი 1994: №16, 1) კომენტარი ზედმეტია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს უკანასკნელი ყოველთვის მესამე რანგის სახელმწიფოთა კონტექსტში მოიხსენიებიან, მაშინ ცხადზე ცხადი გახდება რუსების იმპერიული დამოკიდებულება თავის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ.

იენისის თვეში რფ-ის სახელმწიფო სათათბირომ „გამოავლინა კეთილგანწყობა და პატივი დასდო“ საქართველოს განეხილა დსთ-ის ეგიდით რუსი სამშვიდობოების აფხაზეთში გაგზავნის საკითხი. განხილვა დაინიშნა 21 იენისს, თუმცა არავის ეპარებოდა ეჭვი საკითხის დადებითად გადაწყვეტაში. სწორედ ამიტომ იყო, ალბათ, რომ იენისის დასაწყისში რუსეთის მხარეს უკვე მომზადებული ჰყავდა 3 - სანქტ-პეტერბურგის, ვოლგისპირეთისა და ურალის სამხედრო ოლქების მოტომსროლელთა ბატალიონი.

16 იენისს რფ-ის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები (*რფ-ის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი გ. კონდრატიევი; სავანგებო სიტუაციათა საკითხებში ამიერკავკასიაში რფ-ის ჯარების ჯგუფის სარდლის მოადგილე, სამშვიდობო ოპერაციის სამხრეთის ზონის სარდალი, გენერალ-მაიორი ა. პოტაპოვი; ამიერკავკასიაში რფ-ის ჯარების ჯგუფის ოფიცრები*) ოფიციალური ვიზიტით საქართველოში ჩამოვიდნენ. განიხილეს „ფართომასშტაბიანი სამშვიდობო ოპერაციის“ დასაწყებად მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები, ოპერაციების განხორციელების კონკრეტული დეტალები (საქართველოს რესპუბლიცა 1994 № 108-109:1).

იმას, რომ რუსები აპირებდნენ კონფლიქტის დამოუკიდებლად გადაწყვეტის პოლიტიკის გატარებას კარგად იკვეთება გენერალი კონდრატიევის (*იგი დაინიშნა ყველა სამშვიდობო ბატალიონის მეთაურად*) მიერ გაკეთებულ განცხადებაში, რომელიც მან გააკეთა 17 იენისს საქართველოში ვიზიტისას. კერძოდ, კონდრატიევმა თქვა, რომ მიესალმება გაერო-ს ეგიდით დამკვირვებლების ჩართვას დარეგულირების პროცესში, მაგრამ საჭირო იყო რფ-ის სამშვიდობო ძალების კომპეტენტურობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მისიის სფეროების ერთმანეთისაგან გამიჯვნა (საქართველოს რესპუბლიცა №111 1994:1).

26 იენისს დილიდანვე დაიწყო დსთ-ის სამშვიდობო ძალების გადანაწილება პოზიციების დასაკავებლად. 3 კოლონა გავიდა ჯვარში, ანაკლიასა და რუსში. პარალელურად მუშაობა დაიწყო საინჟინრო კოლონამ საკონტროლო-გამშვები პუნქტების (*როგორც შემდგომში გამოჩნდება, ეს პუნქტები უფრო ქართველებისათვის იყო განკუთვნილი, რათა მათთვის თავისუფლად გადაადგილების უფლება შეეზღუდათ*) მოსამზადებლად და საკომუნიკაციო კოლონა სამშვიდობოების ერთმანეთთან დასაკავშირებლად

(აღბათ, უფრო მათ დასაკავშირებლად ხელმძღვანელობასთან ზედა ეშელონებში). სულ დისლოცირებული იქნა 30 ერთეული მძიმე ტექნიკა (საქართველოს რესპუბლიკა №116:1).

კონფლიქტის ზონებში პოლიტიკური პოზიციების მოპოვების შემდეგ კრემლმა ეკონომიკურ მხარესაც დიდი ყურადღება დაუთმო. ამ მიზნით, ოფიციალურ თბილისთან, აგრეთვე დსთ-ის ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულებების უსირცხვილოდ დარღვევით, მოსკოვმა ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობა დაამყარა სეპარატისტულ მთავრობებთან (განსაკუთრებით კი სოხუმთან). ყოველივე ამას კი საფუძვლად რეგიონების საქართველოსაგან ნელ-ნელა ჩამოშორება ედო. მაგრამ, სანამ რუსეთის მიერ რეგიონის უშუალოდ ეკონომიკურ დაპყრობაზე გადავიდოდეთ, გვინდა რამდენიმე სიტყვით რუს სამშვიდობოებზეც ვისაუბროთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთმა ცხელი კერების გაღვივების შემდეგ, ე.წ. სამშვიდობო ძალების სახით, საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენა მოახერხა. გაერო-ს მიერ მინიჭებული მანდატით, მის ფუნქციებში შევიდა კონფლიქტის დარეგულირება, ცეცხლის შეწყვეტა, მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა და ა. შ.

იმაზე, თუ რამდენად პატიოსნად ასრულებდა რუსეთის მხარე მანდატით გათვალისწინებულ მოვალეობებს, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მრავალი გამოსვლა, გაერო-სა და ეუთო-ს დამკვირვებლების მოხსენებები და პრესისა თუ მასმედიის სხვა საშუალებებით გაშუქებული ინფორმაცია მიანიშნებს. დასადასტურებლად რამდენიმე მათგანს მოვიყვანო:

„...ვერ კონტროლდება სიტუაცია გალის რაიონის ზოგიერთ სოფელში, აფხაზური მხარე ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ აიძულოს ქართული მოსახლეობა დატოვონ საცხოვრებელი ადგილები, ხოლო ლტოლვილები არ დაუბრუნდნენ მშობლიურ კუთხეს. ყოველივე ეს ხორციელდება სამშვიდობო ძალების თვალწინ, რომელთა მხრიდან არავითარი რეაგირება არ ხდება, უფრო მეტიც, ხშირად პატრულირება მიმდინარეობს სამშვიდობო ძალების ტექნიკით აფხაზურ პოლიციასთან ერთად, რაც ეწინააღმდეგება მიღებულ შეთანხმებას“ (საქართველოს რესპუბლიკა 1994: 2).

თითქმის არცერთი ქართული სოფელი აღარ დარჩა, ყველა განადგურებულია. ქართველები აფხაზეთში თითქმის აღარ ცხოვრობენ. აფხაზეთის ტერიტორიაზე გუდაუთის რაიონში რამოდენიმე ოჯახიღა დარჩა, ისიც „საჩვენებლად“—რათა არძინბას საშუალება ჰქონდეს გაერო-სა და ევროთათბირის

წინაშე თავი იმართლოს და თუ ისინი მოითხოვენ – წამლად ერთი ქართველი მაინც გვაჩვენეთო – უმაღლესი მიჰგვაროს“ (ფაღავა 1994: 3).

რუსეთის სამშვიდობო ეგიდით მონაწილეობამ გამოიღო თბილისისათვის მეტად არადამაკმაყოფილებელი შედეგები: არ მოხდა დევნილების დაბრუნება; ყველა დონეზე თითქმის მთლიანად დაიბლოკა თბილისსა და სეპარატისტულ რეგიონებს შორის კონფლიქტის დარეგულირების მიზნით თანამშრომლობის ყველანაირი პერსპექტივა; უშუალოდ მათ წინ ხდება შეტაკებები სხვადასხვა ფორმირებებს შორის, აგრეთვე ადამიანთა გატაცებები, სადაც რუსი მშვიდობისმყოფელები, ძირითადად, სრულ ინერტულობას ავლენენ. სამაგიეროდ, ისინი სიამოვნებით მონაწილეობენ სხვადასხვა სახის კონტრაბანდაში, რის გამოც რეგიონებში (*აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში*) აყვავდა კონტრაბანდისტული საქმიანობა; დაზვერვის დახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, დიდი რაოდენობის (*თვეში 8 000 ტონა*) საწვავი შემოაქვთ აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელიც შემდგომ გალისა და ზუგდიდის გავლით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ხვდება, რაც საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით, კონტრაბანდად მიიჩნევა. მათი საგუშაგო პუნქტების გავლით ხორციელდება სხვა კონტრაბანდული საქონლის გატანა, მათ შორის, კულტურული ფასეულობებისაც. თითქმის ანალოგიური სიტუაციაა საქართველოს საზღვრის სამაჩაბლოს მონაკვეთზეც. სამხრეთ ოსეთში კონტრაბანდული მარშრუტი ასეთია: როკის გვირაბი – ერგნეთის ბაზრობა – საქართველოს სხვა რეგიონები; აფხაზეთისა კი: მდ. ფსოუ და კაკასის უღელტეხილი, ასევე პორტები და ქ. ზუგდიდი. რფ-დან ძირითადად შემოდის ნაფთობ-საწვავი, პირველადი დანიშნულების საგნები, სიგარეტი, გადის ნარკოტიკები, მოპარული მანქანები, ღვინო, ციტრუსები, თხილი. (კუხიანიძე... 2004: 9) გარდა ამისა, რუსული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებს რუსი ბიზნესმენები და პოლიტიკოსები იყენებენ ფულის გასათეთრებლად; აქტიურად მიმდინარეობდა რეგიონების რუსეთთან ინტეგრაციის პროცესიც. რ. გელანტიამ სწორად აღნიშნა, რომ რუსი სამშვიდობოები არ ასრულებდნენ რა მანდატით დაკისრებულ მოვალეობებს, სეპარატისტული რეჟიმის ინტერესების გამომხატველ ძალად იქცნენ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფდნენ დევნილთა დასაბრუნებლად უსაფრთხო პირობების შექმნას (გელანტია 2001: 43). ჩვენი მხრიდან კი დავამატებდით, რომ არათუ ვერ, არამედ არ უზრუნველყოფენ ასეთი პირობების შექმნას, ვინაიდან ისინი ატარებენ რუსულ პოლიტიკას, რომელიც

აფხაზეთში დემოგრაფიული სიტუაციის თავიანთ სასარგებლოდ შეცვლას ისახავს მიზნად.

ყველა ნიუანსში რუსი სამშვიდობოები ქართველთა და ქართულის მიმართ ანტაგონიზმს გამოხატავენ. მაგალითად, მათი ნაწილი დაბანაკდა ქართულ (და არა აფხაზეთურ) სკოლებში (მაგ. გალის მე-2 სკოლა). სოფელ თავილონის ძველი ტრადიციების მქონე სკოლა, რომელიც ხისგან იყო ნაგები, დაშალეს და ღუმელს შეუკეთეს.

უდიდესია დოკუმენტური მასალა რუსეთის სამშვიდობო ძალების თანამშრომლობისა აფხაზ ბოევიკებთან.

გაერო-ს გენერალური მდივნის, ბუტროს ბუტროს გალის წერილში, რომლის ადრესატები იყვნენ დსთ-ის მეთაურების საბჭოს თავმჯდომარე, რფ-ის პრეზიდენტი, ბ. ელცინი და რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი, ა. კოზირევი, ნათქვამია: „დავანქაროთ სამშვიდობო პროცესი გალის რაიონში და მთელ აფხაზეთში. თითქმის ორი წელი გრძელდება აფხაზეთის ტრაგედია. პრაქტიკულად მთელი ქართველი მოსახლეობა დახვრეტილი და გაძევებულია აფხაზეთიდან. აღვირახსნილმა სეპარატიზმმა ეჭვქვეშ დააყენა საკუთრივ აფხაზი ერის არსებობის საკითხი, მისი გენოფონდი გაქრობის ზღვრამდეა მიყვანილი. აშკარაა არა მარტო ქართველთა გენოციდი, არამედ აფხაზთა თვითგენოციდიც.“ ეს წერილი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ რომ რუსეთს აფხაზი მოსახლეობის სიცოცხლე არად უღირს, სხვა შემთხვევაში – მათ მაინც დაიცავდა, არამედ მხოლოდ შავიზღვისპირეთის ტერიტორია ანადვლებს. სხვათაშორის, ჯერ კიდევ შვედი სახელმწიფოთმცოდნე და გეოგრაფი, რ. ჩელენი* აღნიშნავდა, რომ რუსეთს არ შეუძლია თბილ ზღვაზე გასასვლელის გარეშე და სწორედ ამიტომ ჩაიგდო ხელში შავი და ბალტიის ზღვები.

ის, რომ რუსეთი არც დსთ-ში საქართველოს გაწევრიანების შემდეგ დგამდა ჩვენთვის სასარგებლო ნაბიჯებს, კარგად იკვეთება შემდეგი წერილიდანაც:

„უკვე ერთი თვეა, რაც მშობლიური კერებიდან გაძევებულმა ლტოლვილებმა თავიანთი შემდგომი ბედი მიანდეს რუსეთის სამშვიდობო ძალებს, იმის იმედით, რომ მათი მისია პირველ ეტაპზე წარმატებით დაიწყება და დამთავრდება. მაგრამ სამშვიდობო ძალისხმევის პროცესის გაუგებარი პაუზა და გაჭიანურება უკიდურესად გაჭირვებული მეოთხედი მილიონი ადამიანის ეჭვს ბადებს... გთხოვთ... დავანქაროთ დსთ-

* მოღვაწეობდა 1864-1922

ის სამშვიდობო ძალების პროცესი გალის რაიონში... გვინდა გამოვთქვათ რწმენა, რომ დიდ რუსეთს, თუ სურვილი ექნება, შეუძლია მთელ მსოფლიოს უჩვენოს მშვიდობისმყოფელობის კლასიკური მაგალითი“ (საქართველოს რესპუბლიკა № 143: 2)

მაგრამ არც ერთი თვის, არც ერთი წლისა და არც ათი წლის შემდეგ მდგომარეობა უკეთესობისაკენ არ შეცვლილა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადებაში ვკითხულობთ:

„...უსაფრთხოების ზონის ენგურს გაღმა ნაწილში უხეშად ირღვევა სამშვიდობო ოპერაციების პირობები... სამწუხაროდ და ჩვენდა გასაკვირად, გალის რაიონში აღვირახსნილი მოქმედება გაგრძელდა მას შემდეგ, რაც იქ შევიდა სამშვიდობო ძალები. უფრო მეტიც, მათი ფორმებით, ემბლემებითა და იარაღით უაპელაციოდ დადიან, აწამებენ, ასახიჩრებენ და კლავენ ადამიანებს. დამნაშავედ გამოაცხადეს და დაბრუნებაზე წინასწარ უარს ეუბნებიან მარტო ერთი რაიონიდან 8 000-ზე მეტ კაცს, ეს მაშინ, როდესაც ქართულმა მხარემ სამშვიდობო ოპერაციით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ზუსტად შეასრულა“ (დილის გაზეთი 1997 №23: 10).

1996-1997 წწ. საშუალო სკოლის (*ქართულ სოფლებში*) ქვედა კლასებში სწავლება გადავიდა რუსულ ენაზე. ქართულს დაეთმო კვირაში მხოლოდ 2 საათი.

1997 წლის 17 თებერვალს ხელი მოეწერა შეთანხმებას აფხაზეთის სატელეფონო არხების (გალის რაიონის) თბილისზე მიერთების შესახებ. ამ გეგმის განსახორციელებლად საჭირო იყო გალის რაიონში მცირე მონაკვეთის განაღმვა დამაკავშირებელი კაბელის გასაყვანად. ეს საქმე შესასრულებლად რუს სამშვიდობოებს დაევადათ, თუმცა მათ ეს ვერ მოახერხეს ერთი მიზეზის გამო: მათმა უფროსმა ბაბენკოვმა განაცხადა, რომ მოსკოვიდან აფხაზებს არ მიეღოთ სატელეფონო ქსელით თბილისთან გადართვის ოფიციალური დოკუმენტი. საბაბი კი უფრო ღრმა და ნათელია – გალის რაიონის ცენტრიდან (*ე.ი. თბილისიდან*) ჩამოშორება.

ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა ე.წ. „მოსკოვური დირექტივა“, რომელიც ნებას რთავდა აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებულ რუსეთის სამშვიდობო ძალებს გალის, ოჩამჩირის და ზუგდიდის რაიონებში სადაზვერვო ოპერაციების ჩასატარებლად. ამის შესახებ რ. ადამიამ განაცხადა, რომ ასეთი ოპერაციების ჩატარებას რუსი სამშვიდობოების მანდატი არ ითვალისწინებდა. უფრო მეტიც, ეს შეიძლებოდა განხილულიყო როგორც რუსეთის მტრული მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ.

აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული დსთ-ის სამშვიდობოების ძალების არაეფექტიანობა და კონფლიქტის ყოველსმომცველი პოლიტიკურ მოწესრიგებაში პროგრესის არარსებობა დასტურდება გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებშიც (*განსაკუთრებული ინტენსიურობით 1994-1997 წწ. რეზოლუციებში*).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საზოგადოებრივმა სათათბირომ წერილი გაუგზავნა რუსეთის პრეზიდენტს, ბ. ელცინს, რომელშიც ნათქვამია, რომ: „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა 300.000 მრავალეროვნული მოსახლეობის წარმომადგენლები რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას ატყობინებენ თავიანთ უკმაყოფილებას სამშვიდობო ოპერაციების... ხელშეწყობის გამო. გამოთქვამენ განსაკუთრებულ შემფოთებას რუსეთის მხარის ინერტულობასთან დაკავშირებით.“ წერილში სათათბირო მოუწოდებს რუსეთს „შეიგრძნოს თავისი მისია მსოფლიო გაერთიანების წინაშე და... შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი – აღადგინოს სამართლიანობა აფხაზეთში“. წერილის დასასრულს მისი ავტორები გამოთქვამენ რწმენას, „რომ კაცი, რომელმაც გადაარჩინა დემოკრატია და პროგრესი რუსეთში (*იგულისხმება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბ. ელცინი - ს.ე.*), არ გააცრუებს მათ იმედს“ (საქართველოს რესპუბლიკა 1994: 1).

რუსეთის პოლიტიკური ინტერესებისათვის არც პრეზიდენტ ელცინს და არც მის თანამემამულე მშვიდობისმყოფელებს უმტყუნიათ, საქართველოს იმედებისა კი რა მოგახსენოთ...

საქართველოს მთავრობის მიერ კონფლიქტის ზონებისათვის ეკონომიკური ბლოკადის გამოცხადების მიუხედავად, ამგვარმა სანქციებმა ვერც ეკონომიკური ზარალი მიაყენა სეპარატისტებს და ვერც სასურველი პოლიტიკური ზეგავლენა მოახდინა მათზე. მეტიც, გამოიწვია დე-ფაქტო ხელისუფლების ისედაც შეურიგებელი პოზიციის რადიკალიზაცია. ვერ მოხერხდა ვერც მზარდი ინვესტირების აღკვეთა... ბლოკადამ კიდევ უფრო დაახლოვა რეგიონი რუსეთთან (კუხიანიძე 2004: 54). ეს კი იმან განაპირობა, რომ რუსეთმა თვითნებურად, საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევით, ცალმხრივად აღადგინა კავშირები ბლოკადაგამოცხადებულ სეპარატისტულ რეჟიმებთან.

ეკონომიკური სანქციების გამოცხადებიდან დღემდე რუსეთის ცალკეულ სუბიექტებსა და აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობას შორის ხორციელდება სავაჭრო-ეკონომიკური ოპერაციები; ფორმდება ხელშეკრულებები და

შეთანხმებები. აღნიშნული გარიგებები იდება და სრულდება რუსეთსა და აფხაზეთში არსებულ საწარმო-კომერციულ სტრუქტურებს შორის. ოფიციალური კრემლი რუსეთის სახელმწიფო ორგანოების მონაწილეობას ამ გარიგებებში უარყოფს, მაგრამ: (1) მთელი ბოლო პერიოდის ისტორიის განმავლობაში მოსკოვმა კარგად გვასწავლა, რომ მის სიტყვიერ განცხადებებს არ შეიძლება დაუჯეროს ნორმალურად მოაზროვნე მოქალაქემ, მით უმეტეს, პოლიტიკოსმა; (2) ასეც რომ იყოს და მოსკოვი ოფიციალურად არ მონაწილეობდეს გარიგებებში, სრულებით შესაძლებელია, რომ კერძო სტრუქტურები სახელმწიფოს დაკვეთას ასრულებდნენ; და (3) სამთავრობო დონეზე პროტესტის მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლება სათანადო ზომების მიღებისაგან თავს არიდებს იმ მოტივით, რომ სახელმწიფოს კერძო ბიზნესში ჩარევის უფლება არ აქვს. არა და განვლილი პერიოდის მოვლენებმა რუსეთში ცხადყო, რომ კრემლი არა თუ გააკვირთ, არამედ ძალზე ქმედითადაც ერევა კერძო ბიზნესის საკითხებში, როდესაც ეს მას სჭირდება.

კრემლმა თბილისის დასჯის მიზნით, რა თქმა უნდა, მასთან შეუთანხმებლად, ისეთი ცალმხრივი გადაწყვეტილებები მიიღო, რომლებიც ხელს შეუწყობდა მის კიდევ უფრო დაახლოებას ბლოკადაგამოცხადებული აფხაზეთის ეკონომიკასთან: მაგალითად, მოსკოვის მერი, რომელიც ოფიციალური სტრუქტურის წარმომადგენელია, კერძო პირის სტატუსით ცდილობდა (და დღესაც ცდილობს) შავი ზღვის აფხაზეთის სანაპირო ზოლში არსებული საკურორტო შენობების პრივატიზებას. მაგალითისათვის, 2004 წლის 30 ივნისს ი. ლუჟკოვსა და ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, რ. ხაჯიმბას შორის გაფორმდა შეთანხმება გაგრის სანატორიუმი „მოსკოვის“ შესყიდვაზე. მოსკოვის სავაჭრო სახლ „ბაბაევსკ“-ს ოჩამჩირის რაიონში 25 წლით გადაეცა 1.000 ჰა მიწის ნაკვეთი ხილისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მისაყვანად; მაიკოპის ლუდის საწარმომ ჩალის ფასად შეიძინა სოხუმის ლუდის ქარხანა; აფხაზეთურ ენერგეტიკაში ინვესტიციების მოსაზიდად და ამ დარგზე კონტროლის მოსაპოვებლად ზრუნავს კრასნოდარის მხარის ხელმძღვანელობა; ქ. აქსაის (როსტოვის ოლქი) გემთშენებელ-გემთსარემონტო ქარხანამ („მიდელი“) მიიღო ბიჭვინთის დასასვენებელი სახლი „ლიტფონდი“ და რესტორნის კომპლექსი „გაგრა“. ამავე ორგანიზაციამ ბზიფის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხნის ბაზაზე ლაქ-სადებაეების საწარმო აამუშავა, მანვე გააშენა კივის პლანტაცია გაგრის ზონის სოფელ ალახაძეში; ქ. აქსაის

რაიონულ ადმინისტრაციას იჯარით გადაეცა დასასვენებელი სახლი „არაბიკა“; ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ერთ-ერთი წამყვანი ობიექტი – ქ. სოსუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი ამჟამად ექვემდებარება რუსეთის ფედერაციის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს, რომელსაც დახმარებას უწევენ რუსეთის დახურული ინსტიტუტები მაღალი ტექნოლოგიის პროგრამებით; რუსეთის ფირმამ „სიმი-გაზ“-მა აღადგინა და ექსპლუატაციაში გაუშვა ოჩამჩირის საკონსერვო ქარხანა; რუსეთის ფედერაციის კავშირგაბმულობის სამინისტროსთან არსებულმა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის საწარმომ („სვიაზექსპერტიზა“) სოსუმის ადგილობრივი სატელეფონო ქსელი გააფართოვა და ციფრული სატელეფონო ქსელიც აამუშავა; გაგრის სანატორიუმი „არმენია“ და „სოლნეჩნი“ იჯარით გადაეცა მოსკოვის თავდაცვის უწყებას; აღნიშნულის გარდა, ბოლო პერიოდის აფხაზეთში არძინბას კლანის მიერ დაფუძნებული ბანკები, რომელთაც საქართველოს ეროვნული ბანკისგან, რა თქმა უნდა, არანაირი ლიცენზია არ გააჩნიათ, აქტიურად თანამშრომლობენ რუსეთის ფედერაციის „საგარეო-ეკონომიკურ ბანკთან“; გარდა ამისა, ურთიერთობა აქვთ რუსეთის ისეთ სავაჭრო და კომერციულ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: „საერთაშორისო სატყეო ბირჟა“, „რესპუბლიკური ბირჟა“, „ქიმიეფტი“, „მოსკოვის სასაქონლო ბირჟა“, „საქმიანი თანამშრომლობის ასოციაცია“, „ინტერკულტკომპლექსი“.

ეს ის მცირე ჩამონათვალია, რისი მიტაცებაც შეძლო რუსეთმა კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის „მედიატორობის“ პერიოდში. სხვათა შორის, აფხაზეთა პოლიტოლოგებმა, რ. დაბარმა და ა. ინალიფამ არძინბას მთავრობა გააკრიტიკეს კიდევ, „სახელმწიფო ქონების რუსეთზე გასხვისებით ჩვენს „რესპუბლიკას“ ჩრდილოელ მეზობელს ვაბარებთო (44 პარაგრაფი 2003: 17-21).

რუსეთის ტურისტული ფირმები ახორციელებენ დამსვენებელთა გაგზავნას შავიზღვისპირეთში. ამ მხრივ, განსაკუთრებით ბოლო წლებში, ზაფხულსა და შემოდგომაზე სოსუმსა და გაგრაში საკმაოდ დიდი რაოდენობის რუსი ტურისტი ჩავიდა (მაგ., 2003 წელს 160 ათასი ტურისტი დაფიქსირდა).

ვინაიდან პოლიტიკაში ეკონომიკა ბევრ რამეს წყვეტს, ამიტომ კრემლი ოფიციალურ თბილისთან მოპოვებული პოლიტიკური ბერკეტების გაძლერებას შეუდგა ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებით. ასე რომ, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში დაძაბული ვითარების მიუხედავად, 1994 წელს მათ

შორის დაიდო ხელშეკრულება ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. ეს გასაკვირი არცაა, ვინაიდან, ჯერ ერთი, საქართველოს ეკონომიკა, საბჭოეთში შემავალი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მსგავსად, რუსეთის ეკონომიკაზე იყო გადაჯაჭვული და ზ. გამსახურდიას დროს ამ ურთიერთობის მოშლამ ქვეყნის ეკონომიკის განვითარება შეაფერხა და, მეორეც, რუსეთი, როგორც იმხანად ჩვენი კონფლიქტების გადამჭრელი ერთადერთი „დამხმარე“ გარე ძალა, პოლიტიკურთან ერთად ეკონომიკური პოზიციების აღდგენასაც ითხოვდა, რომელიც წლიდან წლამდე, რუსეთისათვის მეტად არასახარბიელოდ, სულ უფრო და უფრო ეცემოდა. მაგალითად, თუ 1991 წლისთვის რუსეთიდან იმპორტი შეადგენდა რუსეთში ექსპორტის 76 %, 1993 წელს იგი 39 %-მდე დაეცა. თუმცა შემდეგში რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის მიერ აღარ მომხდარა ხელშეკრულების რატიფიცირება. ალბათ, რუსეთის ხელისუფლება ეკონომიკური ბერკეტებისათვის უკეთეს დროებას მოელოდა.

საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის მხრიდან ეკონომიკური აქტიურობის მეორე ტალღა გამოიკვეთა უკვე 1997 წლიდან, როდესაც დასავლეთმა და აშშ-მა თავიანთი დაინტერესება გამოხატეს შუა აზიისა და აზერბაიჯანის ენერგორესურსებით. (ამის შესახებ საუბარი ქვემოთ გვექნება).

თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები კრემლისათვის მხოლოდ ბუფერულ ზონას წარმოადგენდნენ, რომელთა საშუალებითაც რუსეთი დასავლეთის აგრესიისაგან იცავდა თავს, ამიერკავკასიის ქვეყნები (*განსაკუთრებით აზერბაიჯანი*), შუა აზიის რესპუბლიკების მსგავსად, დამატებით კიდევ უფრო მაღისმომგვრელნი იყვნენ თავიანთი სტრატეგიული მდებარეობისა და მათ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების გამო. ამის შესახებ ე. რაშკოვსკი წერს: „მაკროისტორიულ ჭრილში, რუსეთის ზეწოლა კავკასიაზე იყო მრავალრიცხოვან იმპერიულ ზეწოლათაგან ერთ-ერთი, არც პირველი და არც უკანასკნელი რეგიონის ისტორიაში... ეს იყო ბრძოლა საზღვრებისათვის, პლაცდარმებისა და მიწებისათვის, წიაღისეულისათვის, საერთაშორისო სტრატეგიული და სავაჭრო კომუნიკაციების კონტროლისათვის“ (რაშკოვსკი 2002).

ამიტომ უკვე 1996 წელს მომზადდა მოხსენება, რომელიც ეხება ამიერკავკასიასთან მიმართებაში რუსეთის პოლიტიკურ ნაბიჯებს (*მომზადებულია რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის ევროპის ინსტიტუტის მიერ, ხელმძღვანელი ე. შოროხოვი*) და რომელშიც წერია: „შეიმჩნევა ამიერკავკასიის ქვეყნების პროდასავლური ორიენტაცია. მათ შორის

სომხეთისაღ...“ და დასკვნის სახით მომსხენებლები მთავრობას სთავაზობენ შემდეგ: „რუსეთმა უნდა შექმნას სოციალურ-ეკონომიკური ბაზა პრორუსული ძალების განვითარებისათვის, ფინანსურ შესაძლებლობათა არარსებობის პირობებშიც კი არსებობს ეკონომიკური ბერკეტები (ეს არის რუსეთის შეკვეთების განლაგება, შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმი რუსეთის ტერიტორიაზე ერთობლივი საქმიანობისათვის, რუსეთის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამოყენება), რომლებიც სტიმულს მისცემენ პრორუსულ ორიენტაციას“. აქვე რეკომენდაციის ავტორები შეახსენებენ რა კრემლს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, კ. კინკელის აზრს, ამიერკავკასიის რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის მასში შემავალ ქვეყნებს შორის კოოპერაციის აუცილებლობის შესახებ და აღნიშნავენ, რომ „საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს შესწევთ უნარი შექმნან არამარტო პოლიტიკური, არამედ აგრარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის საკუთარი მოდელი, რაც შემდეგ ეროვნებათშორისი და რეგიონში კონფლიქტების მოგვარების ყველაზე ქმედითი ბერკეტი იქნება „და თუ რუსეთი უგულვებელყოფს ამ ტენდენციებს ნაცვლად იმისა, რომ დაჩქაროს ისინი თანამეგობრობასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ინტეგრაციის ფარგლებში, ინტეგრაციის პროცესს შედეგად მოჰყვება ევროპა-თურქეთ-შუა აზიის სატრანსპორტო ეკონომიკური დერეფნის შექმნა. ამიტომ ამიერკავკასიაში პოლიტიკური ურთიერთობების განვითარების ცენტრალური პრობლემა არის ნავთობსადენი. რუსეთის მიზანი უნდა იყოს ნავთობის მხოლოდ „ჩრდილოეთის“ მარშრუტის განხორციელება და აზერბაიჯანსა და საქართველოში NATO-ს გაუვრცელებლობა“ (საქართველოს რესპუბლიკა, № 110, 1996: 2-3).

ჩვენს მიერ განხილული პერიოდის მანძილზე საქართველოს მიმართ რუსეთის ფედერაციის მხრიდან დარღვეულ იქნა მთელი რიგი ხელშეკრულებები, დადგენილებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც დსთ-ის ფარგლებში ორ და მრავალმხრივად მიიღებოდა და წყდებოდა. ჩვენ მოვიტანთ მცირეოდენ მათგანს:

1) 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის შეთანხმების მუხლი (1) მხარეები ვალდებულებას იღებენ აფხაზეთის ტერიტორიიდან ყველანაირი შეიარაღებული ფორმირებების გაყვანის შესახებ; (9): რფ-ის სამხედრო შენაერთები, რომლებიც ამჟამად დგანან საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთშიც. მტკიცედ დაიცავენ ნეიტრალიტეტს და მონაწილეობას არ მიიღებენ შიდა კონფლიქტებში; (11): ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების, რაიონებისა და ოლქების ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც ექვემდებარებიან რფ-ის იურისდიქციას, მიიღებენ ზომებს, რათა არ დაუშვან მათდამი

დაქვემდებარებული ტერიტორიებიდან ამ შეთანხმების დარღვევის პრეცედენტები (დიასამიძე 2003: 106);

II) 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების მუხლი (1), რომლის თანახმადაც კონფლიქტის ზონაში სასტიკად აიკრძალა ავიაციის, არტილერიის, საზღვაო ტრანსპორტისა და სამხედრო აღჭურვილობის გამოყენება; (6) ყველა შეიარაღებული ფორმირება, დაჯგუფება და ინდივიდი გაყვანილ იქნეს კონფლიქტის ზონიდან; (7) რუსული საჯარისო ფორმირებები, რომლებიც ამჟამად დგანან აფხაზეთის ტერიტორიაზე, ინარჩუნებენ მკაცრ ნეიტრალიტეტს (დიასამიძე 2003: 118);

III) დეკლარაცია დსთ-ის მონაწილე სახელმწიფოების სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის დაცვის შესახებ (*მიღებულია მოსკოვში 1994 წლის 15 აპრილს*) (1) მხარეები უზრუნველყოფენ თავიანთ ურთიერთობაში სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო საზღვრების ურღვევობის პრინციპს; (2) თავს შეიკავებენ სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური ან ნებისმიერი სხვა ფორმის ზეგავლენისაგან; (3) მხარს არ დაუჭერენ და არ გამოიყენებენ სეპარატიზმს თანამეგობრობის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის, აგრეთვე პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ; (4) გამოთქვამენ რწმენას, რომ ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დაცვა დსთ-ში მონაწილე სახელმწიფოებს შორის მეგობრობისა და პარტნიორული ურთიერთობების განმტკიცების მნიშვნელოვანი წინაპირობაა; (5) აღკვეთენ თავიანთ ტერიტორიაზე ორგანიზაციებისა და ჯგუფების შექმნას და საქმიანობას, აგრეთვე ცალკეული პირების მოქმედებას, რომელიც მიმართულია თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ (დიასამიძე 2003: 107);

IV) დსთ-ის წევრი-სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მემორანდუმი (*მიღებულია ქ. აღმა-ათაში, 1995 წლის 10 თებერვალს*), რომლის ხელმომწერი ქვეყნები გამოთქვამენ მზადყოფნას, რათა: (1) აღკვეთონ თავიანთ ტერიტორიაზე ორგანიზაციებისა და ჯგუფების შექმნა ან ცალკეული პირების საქმიანობა, რაც მიმართული იქნება ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის წინააღმდეგ, ან მიზნად ისახავს ეროვნებათშორისი ურთიერთობების გამწვავებასა და სახელმწიფო მოწყობის ხელყოფას გარედან;

(2) ერთმანეთს შორის არსებული საზღვრების ურღვევობას და ილაშქრებენ მათი ურღვევობის ძირგამომთხრელი ნებისმიერი მოქმედების წინააღმდეგ; (3) თავს შეიკავებენ მემორანდუმის ხელმომწერ სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში პირდაპირი და ირიბი ჩარევისაგან; (4) თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოები თავიანთ ტერიტორიაზე განახორციელებენ ღონისძიებებს სეპარატიზმის, ნაციონალიზმის, შოვინიზმისა და ფაშიზმის ნებისმიერი გამოვლინების აღსაკვეთად. ისინი ხელს შეუწყობენ თანამეგობრობის წევრ სხვა სახელმწიფოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ობიექტურ გაშუქებას; (8) სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, მხარი არ დაუჭირონ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სეპარატისტულ მოძრაობას, აგრეთვე სეპარატისტულ რეჟიმს, არ გაუწიონ მათ ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო და სხვა სახის დახმარება (დიასამიძე 2003: 156);

V) დსთ-ის წევრი-სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება (*მიღებულია ქ. მოსკოვში*), რომლის ძირითად პრინციპებად განისაზღვრა მიუკერძოებლობა და ნეიტრალობა და რომელიც აფიქსირებს დსთ-ის წევრ-სახელმწიფოთა ვალდებულებებს, რომ: (3) აკრძალავენ იარაღის, ყველა სახის სამხედრო შეიარაღების, ნაწილების, საბრძოლო მასალის, სამხედრო მანქანების და აღჭურვილობის გაყიდვას კონფლიქტის ზონაში მათი მოქალაქეების მიერ, მათ იურისდიქციაში მყოფი ტერიტორიებიდან და თავიანთი გემებიდან და თვითმფრინავებიდან; კრძალავენ (4, ა) ნებისმიერი სახის ტექნიკურ კონსულტაციებს, დახმარებას ან სამსახურს შტატების მომზადების სფეროში ან სხვა საკითხებში, რომელიც ჩამოყალიბებულია (3); (5, გ) უკან გამოიწვევენ იმ ოფიციალურ პირებს, წარმომადგენლებსა და მოქალაქეებს, რომლებიც იმყოფებიან აფხაზეთის ტერიტორიაზე და დახმარებას უწევენ აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს სამხედრო საკითხებში; (6) ადასტურებენ რა აფხაზეთის ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში არსებობას, საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე დსთ-ის წევრი-სახელმწიფოები აცხადებენ, რომ: (ა) არ განახორციელებენ სავაჭრო-ეკონომიკურ, ფინანსურ, სატრანსპორტო და სხვა სახის მოქმედებებს აფხაზეთის მხარის ხელისუფლებასთან; (ბ) არ გააფორმებენ ხელშეკრულებებს სამთავრობო დონეზე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი დაწესებულებების წარმომადგენლებსა და ხელისუფლებასთან, აგრეთვე არც აფხაზეთის სამხედრო ფორმირებათა წარმომადგენლებთან; (7) დსთ-ის წევრი-ქვეყნები მოღვაწეობის

უფლებას არ მისცემენ თავიანთ ტერიტორიაზე არც აფხაზური მხარის ხელისუფლების წარმომადგენლობებს და არც ამ ხელისუფლების ოფიციალურ წარგზავნილებს (დიასამიძე 2003: 169-170);

VI) ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების დანართი რომლის (26), აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებულ მშვიდობისმყოფელებს ავალებს: მიუკერძოებლობას და ნეიტრალობის დაცვას; მასპინძელი ქვეყნის (ე.ი. საქართველოს) კანონმდებლობის დაცვას; საომარ მოქმედებებში ნეიტრალობას (დიასამიძე 2003: 171);

VII) დსთ-ის წევრი-სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს 1997 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება „აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის მიმდინარეობის შესახებ“: დსთ-ის წევრი სახელმწიფოები კვლავაც მთლიანად დაუჭერენ მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლინობას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში;

VIII) დსთ-ის წევრი-სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს 1997 წლის 30 მარტის დადგენილება „აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციის განვითარების შესახებ“, რომლითაც დადგინდა კოლექტიურ ძალთა ყოფნის გაგრძელება მანამ, სანამ კონფლიქტის ერთ-ერთი მხარე ოპერაციის შეწყვეტას მოითხოვს. ამ დოკუმენტის საფუძველზე ქართულმა მხარემ რამდენჯერმე დასვა საკითხი აფხაზეთის ტერიტორიიდან მათი გაყვანის შესახებ, რასაც რუსულმა მხარემ აფხაზების „ხელებით“ პროვოკაციების სერიით უპასუხა და თავისი მოქმედების ვადა ამ რეგიონში გაიხანგრძლივა;

IX) ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს ჰელსინკის შეთანხმება (*რუსეთი სსრკ-ის სახით შეუერთდა 1975 წელს*), რომლის თანახმადაც, „თვითოველ სახელმწიფოს (*მათ შორის საქართველოსაც-ს.ყ.*) უფლება აქვს განსაზღვროს და გაატაროს ურთიერთობები სხვა სახელმწიფოსთან (*მაგალითად, აშშ-თან*) ან სახელმწიფოთა ჯგუფთან საკუთარი სურვილის შესაბამისად“.

ზემოაღნიშნულის გარდა, რუსეთის ფედერაციამ დაარღვია როგორც მრავალი საერთაშორისო, ასევე დსთ-ის სივრცეში დადებული მრავალმხრივი და ცალმხრივი ხელშეკრულება.

ერთ-ერთ მიმოხილვაში რ. საყვარელიძემ მოგვცა რუსეთის, როგორც სახელმწიფოს, შემდეგი სახის ფორმულირება „ეს არის ქვეყანა, რომელიც არასდროს სცემდა პატივს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს“ (საყვარელიძე 1996: 2). ჩვენ კი დავძენთ, რომ უკანასკნელმა პერიოდმა ნათლად დაგვიდასტურა, რომ რუსეთი არად აგდებს არა მხოლოდ საერთაშორისო ნორმებს, არამედ თავისივე მხრიდან დადებულ ხელშეკრულებებში აღებულ ვალდებულებებსაც და მოქმედებს მხოლოდ ერთადერთი პრინციპით, აღიდგინოს თავი ძველი კავშირის ფარგლებში.

1997 წელი

გაზაფხულზე პრეზიდენტმა ელცინმა დაამტკიცა საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან რუსეთის ფედერაციის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის (BTC) პროგრამა, რომელიც შედგებოდა 4 ეტაპისაგან:

- (1) შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის პოტენციური გასაღების ბაზრების მარკეტინგული შესწავლა;
- (2) სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის სამრგოლიან სისტემაზე გადასვლა;
- (3) რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის რესტრუქტურისაცია;
- (4) ეროვნული ეკონომიკის ორი სეგმენტის (БИТ ТЭК) ეფექტიანი ფუნქციონირება, მათი ურთიერთქმედება და ურთიერთდამატება.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის სფეროში რფ-ის პრეზიდენტის, ბ. ელცინის, მრჩეველის, ბ. კუზიკის განცხადებით, „უკანასკნელი წლების განმავლობაში ქვეყანაში „ცოცხალი“ ვალუტის შემოსვლა ორჯერ გაიზარდა 1,7 მლრდ დოლარიდან (1994 წ.) 3,4 მლრდ დოლარამდე (1996 წ.). ამასთან ერთად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ რუსული მანქანების გაზრდა მოხდა მაშინ, როდესაც ზოგადად მოელს მსოფლიოში უკანასკნელი 5-7 წლის მანძილზე შეიმჩნევა შეიარაღების კორპორაციათა მოგების შემცირება 46 მლრდ-დან 21 მლრდ. დოლარამდე, მათ შორის აშშ-იც (16 მლრდ დოლარიდან 9 მლრდ დოლარამდე). რუსული შეიარაღებაზე მოთხოვნის საექსპორტო პორტფოლიო შეადგენს 7 მლრდ დოლარს. თუ ჩვენ შევძლებთ შემუშავებული პროექტების წლის ბოლომდე რეალიზებას, მაშინ მოცემული სიდიდე გაიზრდება 7 მლრდ-დან 9 მლრდ. დოლარამდე“ (კოროტჩენკო 1997: 3).

ბ. კუზიკისავე განცხადებით, რუსეთის სამხედრო სამრეწველო კომპლექსებმა შექმნეს ისეთი ახალი მოდელები როგორებიცაა, მაგალითად, მრავალმიზნიანი სარაკეტო კომპლექსი „Хризантема-С“, ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსი „Корнет-Э“, საბრძოლო დაზვერვის მანქანა «Рысь», 120-მილიმეტრიანი ავტომატიზებული თვითმსვლელი იარაღი «Вень», და ა.შ.“ (კოროტჩენკო 1997: 3).

ვეტეობთ, რომ უკვე მოძველებული მოდელების ტექნიკის განსაზღვრული რაოდენობა შესაძლებელია მომხდარიყო რუსი სამშვიდობოების გავლით ჩვენს (და არა მხოლოდ) ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტის ზონებში. ამ ეჭვს კიდევ უფრო გვიძლიერებს 1997 წელს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავდაცვის კომისიის გამოძიება რუსული იარაღის ექსპორტის შესახებ. გამოძიების შედეგად აღმოჩნდა, რომ რუსეთმა ამავე წელს სომხეთს გადასცა 1 მლრდ. დოლარის ოდენობის იარაღი. (მცირედენ ჩამონათვალს მოვიტანთ არსენალიდან: „სკადის“ ტიპის ბალისტიკური რაკეტები, „N-72“ ტიპის 84 ტანი, 72 ქვემეხი და სხვა იარაღი). სწორედ ამ იარაღით გაძღვრებული ზურგის გამო სომხეთის პრეზიდენტმა რ. ქოჩარიანმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანის არცერთი ბარელი ნაეთობი არ გავიდოდა დასავლეთის ბაზარზე (კოენი 1998: 5). სახელმწიფო სათათბიროს გამოძიების შედეგების საპასუხოდ კი ბ. ელცინმა თავის მხრივ განაცხადა, რომ სომხეთი ქრისტიანული ქვეყანაა, რომელიც რუსეთის სტრატეგიული ინტერესების სფეროში შედის და რომ ეს ინტერესი აუცილებლად დარჩება იქ (კოენი 1998: 5).

ბ. კუზიკის აღნიშვნით, სახელმწიფო სამხედრო კომპანია „როსვოორუჟენია“-ს მოქმედება ხორციელდებოდა სპეცსამსახურების მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, რომლებიც თავისი მხრივ განიცდიდნ კონტროლს პრეზიდენტის მხრიდან. ამასთან, კუზუკის აღიარებით, ბ. ელცინი უშუალოდ მონაწილეობდა მსხვილი კონტრაქტების დადების მოლაპარაკებების პროცესში. იმ 16 საწარმოს შორის, რომელთაც უფლება ჰქონდათ დამოუკიდებლად ეწარმოებინათ საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობები, მხოლოდ ერთს „МАПО“-ს ჰქონდა წარმატება, დანარჩენთა აქტივში კი მხოლოდ 0 ეწერა. როგორც ჩანს თუ ადგილი ექნებოდა საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო სამხედრო შეიარაღების შემოტანას, ეს არ მოხდებოდა რუსეთის სახელმწიფო უწყებებისა და თვით პრეზიდენტის გვერდის ავლით.

გაიზარდა რა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესი რეგიონისადმი, (ამაზე შემდგომ თავებში გვექნება

საუბარი) რუსეთი დადგა მისი რეალური დაკარგვის საშიშროების წინაშე. ამიტომ 1997 წელს დსთ-ის განვითარების პრობლემების მკვლევართა ჯგუფი, ა. კურტოვის ხელმძღვანელობით, აქვეყნებს ჩვენის აზრით მეტად საინტერესო დირექტივას მთავრობისათვის, თუ როგორ უნდა წარმართოს მან ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელშიც ვკითხულობთ, რომ აუცილებელია რუსეთის მხრიდან უფრო მეტი ინტეგრაციული ინიციატივები, კერძოდ კი: „რუსეთის ფედერაციის დსთ-ის ქვეყნებთან კონტაქტების განმახორციელებელი უწყებების სტრატეგიული ამოცანაა რუსული კაპიტალის ყოველმხრივი ფინანსურ-ეკონომიკური შეღწევა ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების სამეურნეო ცხოვრებაში. ის, რაც ჯერ-ჯერობით ხდება, მხოლოდ ძვალაა. ხორცი უნდა შეისხას მჭიდრო ეკონომიკური კავშირების განვითარების გზით. დსთ-ის ქვეყნების ხელმძღვანელებთან იმას უნდა მივალწიოთ, რომ ნორმატიულად დადგინდეს სხვადასხვა შეღავათი და პრივილეგია რუსეთის სამეურნეო სუბიექტებისათვის, რომელთაც სურთ მათ ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის მიღება. რუს ინვესტორებს, რომლებიც მზად არიან დააბანდონ სახსრები სამრეწველო ობიექტებში, რომელთა ფუნქციონირება შესაძლებელს ხდის შენარჩუნებულ იქნას ან გაძლიერდეს კავშირები დსთ-ის წევრ-სახელმწიფოებსა და რუსეთის ფედერაციის სახალხო-სამეურნეო კომპლექსს შორის, რუსეთის ფედერაციის მთავრობისაგან უნდა მიეცეს საგადასახადო და სხვა შეღავათები. აუცილებელია, რომ ახლადშექმნილი ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფები, რომლებიც დსთ-ის სხვადასხვა ქვეყნის სამეწარმეო სტრუქტურას აერთიანებენ, პირველ რიგში ორიენტირებულნი იყვნენ არა ნედლეულისა და გადამამუშავებელ წარმოებაზე, არამედ მაღალტექნიკურ დარგებზე, თავდაცვის სექტორის ჩათვლით. პრიორიტეტულად უნდა ჩაითვალოს კორპორაციის განვითარება სწორედ ამ სფეროებში, რისთვისაც ამ მიმართულებით უნდა შემუშავდეს რიგი მსხვილი ერთობლივი პროექტები და იცადოს მათი განხორციელება“ (საქართველოს რესპუბლიკა 1996, № 124-125: 2-3).

საქართველოზე რუსეთის გავლენის შენარჩუნების მიზნით ს. ცინცაძის შედარება რომ მოვიშველიოთ, „კრემლმა განაგრძო „სანტა ბარბარასავით“ გრძელი მოლაპარაკებები თბილისთან. ამ მიზნით 1997 წლის 14 აგვისტოს საქართველოს ეწვია რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი, ე. პრიმაკოვი ვ. არძინბასთან ერთად. გაკეთდა ერთობლივი განცხადება, რომელშიც მხარეებმა კონფლიქტის დასრულებისათვის მზადყოფნა განაცხადეს. მიზნად დაისახეს მშვიდობიანი ცხოვრების აღდგენა და ურთიერთპატივისცემა. მოსკოვისავე „შუამდგომლობით“ სოხუმში თბილისიდან გაიგზავნა სამთავრობო დელეგაცია

6. ლეკიშვილის ხელმძღვანელობით, რომლის ამოცანასაც წარმოადგენდა მოლაპარაკებების დაწყება აფხაზეთის დანგრეული ეკონომიკური ინფრასტრუქტურების გაჯანსაღებისათვის. ამ ფანდით კრემლს მიზნად ჰქონდა თბილისისათვის იმედის ჩასახვა კონფლიქტის რეალური მოგვარების გზაზე.

ჩვენთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამავე წელს (1997) რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერის, მ. იურიევის მიერ შემუშავებული ფედერალური საკონსტიტუციო კანონპროექტი “რფ-ში მიღებისა და მის შემადგენლობაში რფ-ის ახალი სუბიექტის წარმოქმნის წესის შესახებ”. ავტორის თანახმად, სუბიექტად შეიძლება მიღებულ იყოს როგორც რუსეთის ფედერაციის მოსაზღვრე უცხოური სახელმწიფო, ასევე რუსეთის მომიჯნავე ტერიტორიის ნაწილი (საქართველოს რესპუბლიკა, № 187, 1997: 1-2).

საინტერესოდ განვითარდა ურთიერთობები საქართველოსა და რფ-ს შორის 1997 წლის დეკემბრის თვეშიც.

7 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო სამსახურის გადაწყვეტილების „სასაზღვრო პუნქტის სამხრეთის მონაკვეთზე „ზემო ლარსის“ სასაზღვრო პუნქტის 1300 მეტრით გადმოტანის“ შესაბამისად, რუსმა მესაზღვრეებმა მოახდინეს ე.წ. ნეიტრალურად მიჩნეული ტერიტორიის დაკავება. პრეზიდენტი ე. შვეარდნაძის შეფასებით, ამ ქმედების მიზანი საქართველოს ახალ კონფლიქტში ჩათრევა იყო (საქართველოს რესპუბლიკა, № 188, 1997: 1-2). ოფიციალურმა თბილისმა ბ. ელცინს დაუყოვნებლივ მოსთხოვა სტატუს ქვოს აღდგენა. რუსეთის დელეგაციამ თბილისში ვიზიტის დროს აღიარა შეცდომა. მდგომარეობა გარკვეულ ხანში აღდგა.

9 დეკემბერს დასრულდა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის პაკეტი ხელმოწერა. მასში გაერთიანდა შეთანხმებები ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობასა და საქართველოს ეროვნულ ბანკსა და მეორე მხრივ, რფ-ის მთავრობასა და რფ-ის ცენტრალურ ბანკს შორის ქართული ლარისა და რუსული რუბლის ურთიერთკონვერტაციისა და კურსის სტაბილიზაციის შესახებ; შეთანხმება საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობის სამინისტროსა და ნავთობის კომპანია „Лукойл“-ის სააქციო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის შესახებ (საქართველოს რესპუბლიკა 1997: 1).

1997 წლის 26 დეკემბერს სახელმწიფო დუმის წინასაახალწლო სესიაზე „რუსეთის მხარის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „რფ-ში ციტრუსებისა

და სხვა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის შეტანის შესახებ“. ამის საპასუხოდ საქართველოს პარლამენტმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც დაგმო რფ-ის აღნიშნული გადაწყვეტილება. აქ განცხადების ვრცელ ამონარიდს მოვიტანთ: „რუსეთის მთავრობას, საქართველოს მთავრობისგან წინასწარი თანხმობის მიღების გარეშე, უფლება არ ჰქონდა მიეღო აღნიშნული დადგენილება, ვინაიდან იგი ეხება საქართველოს ტერიტორიის ნაწილს და არღვევს აფხაზეთის მონაკვეთზე საქართველო-რუსეთის საზღვრის რეჟიმს... გარდა ამისა, ზემოხსენებული დადგენილება ეწინააღმდეგება დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა 1996 წლის 19 იანვრისა და სხვა გადაწყვეტილებებს, აგრეთვე რუსეთის ხელისუფლების მიერ აღებულ ვალდებულებებს იმის თაობაზე, რომ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის შესყიდვა და გატანა განხორციელდება მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვით. კრიტიკას ვერ უძლებს სახელმწიფო დუმის განხადების ავტორთა მცდელობა, ეჭვი შეიტანონ დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილების ლეგიტიმურობაში იმ მოტივით, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის რატიფიცირებული რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ. დსთ-ის წესდება არ ითვალისწინებს სახელმწიფოთა მეთაურების მიერ ხელმოწერილი ამგვარი გადაწყვეტილებების რატიფიკაციას წევრი-სახელმწიფოების მიერ. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა რატიფიკაცია არ არის გათვალისწინებული, აგრეთვე რფ-ის კონსტიტუციით და კანონით რფ-ის საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ... არ შეესაბამება სინამდვილეს განცხადებაში მოყვანილი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რუსეთის ფედერაციის მთავრობის დადგენილება სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის გატანის შესახებ ჰუმანიტარული აქციაა და მისი განხორციელება „არ უნდა იყოს დამოკიდებული საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ურთიერთობათა მდგომარეობაზე... მნიშვნელოვანია რუსეთის ხელისუფლებამ მკაფიოდ გააცნობიეროს, რომ მოვლენათა ამგვარი განვითარება ბუნებრივად გამოიწვევს საქართველოს მხრიდან ორმხრივი ურთიერთობების ყველა სფეროს, მათ შორის, სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის კარდინალურ გადასინჯვას, რის შედეგებზეც პასუხისმგებლობა მთლიანად რფ-ას დაეკისრება“ (საქართველოს რესპუბლიკა 1998, №4: 1-2).

ამავე წელს საქართველოსათვის ეკონომიკისთვის ზარალის მიყენების მიზნით ადგილი ჰქონდა ე. წ. „სპირიტს ომს“, როდესაც სპირტით დატვირთული 2 300 სპირტის გადამზიდი სატვირთო მანქანა რუსმა მებაჟეებმა საზღვარზე არ გაატარეს. სპირტის საერთო ოდენობამ შეადგინა 30 000 ტონა, რამაც საქართველოს საკმაო ოდენობის ეკონომიკური ზარალი მოუტანა.

1997 წელს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, რუს მესაზღვრეებს შეუწყდათ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება, რის გამოც კავკასიის განსაკუთრებული სასაზღვრო ოკრუგის (ოლქის) „საქართველოს“ ჯგუფის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მოხდა კადრების შემცირება. ჯგუფში ძირითადად დარჩნენ მხოლოდ რუსეთის მოქალაქეობის მქონე მესაზღვრეები*

ანალიზებს რა XX საუკუნის 90-იანი წლების რუსეთის პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში, ს. ცინცაძე მართებულად აღნიშნავს, რომ: „როცა რუსეთის არმია მთელი მსოფლიოს თვალწინ ცინიკურად ფეხქვეშ თელავდა საქართველოს სუვერენიტეტს და უახლესი სამხედრო ტექნიკით ამარაგებდა აფხაზ სეპარატისტებს (რომ აღარაფერი ვთქვათ აფხაზთა მხარეზე მებრძოლი რუსეთის მოქალაქეებსა და საჯარისო შენაერთებზე-ს.ყ.), მოსკოვის პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში დიდი განგაში არ ატეხილა იმის გამო, რომ ასეთმა პოლიტიკამ შეიძლება დიდი ხნით დააკარგვინოს რუსეთს საქართველო, თუნდაც როგორც კეთილად განწყობილი მეზობელი. ახლა კი, როცა ჯერ მხოლოდ მოსამზადებელ სტადიაშია რუსეთის სამშვიდობო მისია, რომლის მთავარი ოფიციალური მიზანია ლტოლვილთა დაბრუნება, მოსკოვის პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში უცებ ატყდა განგაში იმის თაობაზე, რომ თუ ხსენებულ პროცესში რუსეთის ხელისუფლებამ რაიმე შეცდომა დაუშვა, შეიძლება კავკასია დაკარგოსო. განსაკუთრებით აქტიურობენ „ველიკოდერჟავული“ ეროვნული პოლიტიკის ტრადიციული სამჭედლოს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიული ინსტიტუტის მეცნიერ-ექსპერტები, რომელთა ანალიზები და დასკვნები დღესაც იოლად აღწევს კრემლის კედლებში. ბორის ელცინისაგან მოითხოვენ „უფრო ზუსტად განსაზღვროს პოლიტიკა, რომელსაც იგი რეგიონში ახორციელებს.“ საოცარია პირდაპირ: რუსეთისთვის არ არსებობს კავკასიის დაკარგვის საფრთხე, როცა მისი სახელით ტანკები შეუსიეს ბაქოს, მესანგრეთა ნიხებით დაერივნენ თბილისში მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს, არნახული გენოციდისა და ეთნიკური წმენდისათვის წააქეზეს აფხაზი სეპარატისტები და სრული დახმარებაც აღმოუჩინეს, ძალის პოლიტიკის უტიფარ დემონსტრაციას ახდენენ ჩრდილოეთ კავკასიაში და ახლა, როცა საკითხი ეხება ისეთ ჰუმანურ აქციას, როგორცაა საკუთარ მიწა-წყალზე და საკუთარ კერაზე დევნილთა დაბრუნება, თურმე ამ აქციამ შეიძლება რუსეთს მთელი კავკასია „დააკარგვინოს“. ახლა მოუწოდებენ პრეზიდენტს იუველირის სასწორზე აწონოს ყოველი დეტალი“ (ცინცაძე 1994: 13).

* www.igpi.ru/monitoring/1047645476/01.1998/Gruzia0198.htm

მოგვიანებით, უკვე 2002 წლის 25 დეკემბერს, რუსეთმა აღადგინა სარკინიგზო მიმოსვლა აფხაზეთთან სოჭი-სოხუმი-ოჩამჩირის მიმართულებით და თან უტიფრად განაცხადა, რომ ეს კრემლის გვერდის ავლით, რომელიდაცა კერძო კომპანიის ინიციატივით მოხდა.

კრემლის მითითებით დაიწყო რუსული პასპორტების გაცემა, თუმცა ჩვენი მხრიდან უამრავი საპროტესტო ნოტისა და განცხადების შემდეგ მათი გაცემა შეაჩერა, მაგრამ ამასობაში აფხაზეთში მცხოვრებთა 80 %-ის პასპორტით „გარუსება“ მოასწრო. 2003 წლის 17 იანვარს ბიჭვინთაში (*საინტერესოა, რომ მას რუსეთი კრახნოდარის მხარედ განიხილავს*) ამოქმედდა რადიოსარელო ხაზის ახალი სადგური. ამავე ხანებში ცნობილი გახდა, რომ რუსეთმა სოხუმის სამოქალაქო აეროპორტის რეაბილიტაცია გადაწყვიტა.

საქართველოს პარლამენტის მიმართვაში (2002 წლის 13 ნოემბერი) გაერო-ს, ეუთო-ს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ნატო-სა და საქართველოს მეგობარი ქვეყნებისადმი ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2002 წლის 11 სექტემბრის განცხადებამ ცხადყო, რომ საქართველო რუსეთის მხრიდან მორიგი აგრესიის საფრთხის წინაშე დგას. „რუსეთის პრეზიდენტმა გენერალურ შტაბს, თავდაცვის სამინისტროს, უშიშროებისა და საზღვრის დაცვის ფედერალურ სამსახურებს დაავალა საქართველოს ტერიტორიაზე განსახორციელებელი სამხედრო ოპერაციის მომზადება. დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელყოფის ამ აშკარა მუქარას საფუძვლად დაედო გაერო-ს წესდების 51-ე მუხლისა და სხვა დოკუმენტების არაადეკვატური ინტერპრეტაცია – თითქოს რუსეთი თავს იცავს საქართველოს მხრიდან სამხედრო აგრესიისაგან... ეს განცხადება არის წინა ეტაპი საქართველოს წინააღმდეგ პირდაპირი სამხედრო ინტერვენციისა და იგი მიზანმიმართულად მზადდება რუსეთის ოფიციალური წრეების განცხადებებით, დუხინფორმაციის გავრცელებისა და პერმანენტული საჰაერო დაბომბვებით, რომლებსაც უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი და მნიშვნელოვანი ზარალი მოჰყვა... რუსეთის აგრესიულ ზრახვებს მოწმობს აგრეთვე ის, რომ აღნიშნული განცხადება გაკეთდა მაშინ, როდესაც რუსეთის მიერ პროვოცირებული პრობლემის გადასაწყვეტად საქართველო საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის ფარგლებში და მისი მხარდაჭერით კონკრეტულ, რადიკალურ მოქმედებებს ასორციელებს... საქართველოს პარლამენტი აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ქმედებების დაგეგმვით რუსეთი უგულვებელყოფს ცივილიზებული მსოფლიოს მიერ აღიარებულ საერთაშორისო ურთიერთობათა პრინციპებს, რითაც არა

მხოლოდ უპირისპირდება საქართველოს, არამედ საფრთხეს უქმნის კავკასიის რეგიონს და მსოფლიო მართლწესრიგს.“

ამ თავში ჩვენ, ცოტა არ იყოს, ვრცლად ვისაუბრეთ პრეზიდენტი ბ. ელცინის პიროვნების გარშემო, მაგრამ, სამწუხაროდ, საკვლევი თემის სათაურიდან გამომდინარე, არ შეგვიძლია ყველა არგუმენტის მოტანა იმისათვის, რომ მკითხველს დავანახოთ, რომ მიუხედავად საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში მუსირებული აზრისა, ელცინის მონათვლა, ილფისა და პეტროვის ფრთიანი ფრაზა რომ მოვიშველიოთ, „რუსული დემოკრატიის მამად“, სიმართლეს არ შეესაბამება. მაგრამ ჩვენი მიზანი იყო მოტანილი ფაქტებით დაგვესაბუთებინა ის, რომ რუსეთი ჯერ კიდევ შორს დგას დემოკრატიისაგან და თავისი ბუნებით ჯერ კიდევ იმპერიას წარმოადგენს. მის მმართველ წრეს მიაჩნია, რომ მისი ხელისუფლების ქვეშ უნდა იმყოფებოდეს ყოფილი მეფის რუსეთის ვრცელი ტერიტორიები (დაპყრობილი მიწები და ხალხები). ნებისმიერი ძალით გაერთიანებული სხვადასხვა პოლიტიკური წარმონაქმნის, იქნება ეს რესპუბლიკა, ავტონომია თუ კიდევ სხვა რამ, დემოკრატიული მეთოდებით მართვა შეუძლებელია. ეს იმპერიის დაშლის საუკეთესო და მშვიდობიანი გზა იქნება. სწორედ ეს არის მიზეზი რუსეთის ხელისუფლების ზიზღისა დემოკრატიის მიმართ.

გარდა ამისა, ჩვენ ცოტა ვრცლად შევეხეთ 1997 წლის შემდგომი პერიოდის რუსეთსა და სეპარატისტულ რეგიონებს შორის ურთიერთობებს, რაც, მართალია ჩვენი თემის ქრონოლოგიური ჩარჩოებიდან გადახვევას წარმოადგენს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ სწორედ 1991-1997 წლებში რუსეთმა თავისი მიზანმიმართული და თბილისის მიმართ მავნებლური ქმედებებით, მოამზადა მყარი საფუძვლები ამ ურთიერთობების დასამყარებლად. სწორედ 1991-1997 წლებში სეპარატისტულ რეგიონებში კრემლმა განაგრძო ისეთი ნაღმების (პოლიტიკური და ეკონომიკური) ჩადება, რომლებმაც ხელი შეუწყო მათ კიდევ უფრო მჭიდროდ დაკავშირებას ერთიან რუსულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემასთან. ამან კი თავის მხრივ კიდევ უფრო მეტად გაურთულა თბილისს ერთიან ქართულ სახელმწიფოში სეპარატისტული რეგიონების ინტეგრირების ისედაც რთული პრობლემა.

თავი 3. ურთიერთობები საქართველოს რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 1991-1997 წლებში

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რიგი მიზეზების გამო დასავლეთის ქვეყნები, და, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატები, დარჩნენ ფრთხილი და აუქჩარებელი საბჭოთა კავშირის რღვევის პროცესისადმი და რომ ამ მხრივ გამონაკლისს მათთვის წარმოადგენდნენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები. საქართველო კი სხვა დანარჩენ რესპუბლიკასთან ერთად ისევ საბჭოების სივრცედ მოიაზრებოდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიც და დასავლეთ ევროპის წამყვანი სახელმწიფოებიც მხარს უჭერდნენ მათში დემოკრატიული ფასეულობებისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრებასა და განვითარებას. მოგვიანებით ჯორჯ ბუშის (უფროსი) მრჩეველი საგარეო პოლიტიკის დარგში ბ. სკაუკროფტი ბუშის ამგვარ პოზიციას შემდეგნაირად ახსნის: „პრეზიდენტ ბუშს მიაჩნდა, რომ საბჭოებსა და რესპუბლიკებს თავად, დამოუკიდებლად, უნდა გადაეტრათ საკითხი თავიანთი მომავლის შესახებ და ჩვენ (აშშ-ს.ყ.) თავი უნდა აგვერიდებინა თითოეულ ახალ ცვლილებაზე რეაგირებისა და კომენტირებისაგან. ცვლილებები მთლიანობაში უეჭველად მიემართებოდნენ უფრო მეტი თავისუფლებისაკენ. ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან მოთხოვნებსა და განცხადებებს შეიძლება გამოეღოთ უკუხვეწებები და ხელი შეეწყოთ ოპოზიციურად განწყობილი საბჭოთა კონსერვატორების გაერთიანებისათვის“ (ბუში... 2004: 479).

თავად პრეზიდენტი ბუში (უფროსი) კი იხსენებს, რომ მას ხშირად თავს ესხმოდნენ კრიტიკოსები ზედმეტი სიფრთხილისათვის, შეიძლება იმიტომ, რომ იგი თოკავდა თავის რეაქციას მოვლენებზე, მაგრამ მისივე განცხადებით, იგი ამას სჩადიოდა განგებ, რათა არ გამოეწვია საბჭოეთის გაღიზიანება და ამერიკას წყალში არ ჩაყროდა ის, რისი მიღწევაც შესძლო (ბუში... 2004: 166). „ჩვენი უკანასკნელი პოლიტიკური არჩევანი რეფორმებთან მიმართებაში საბჭოთა ბლოკის კონკრეტულ ქვეყნებში არ იყო განუსაზღვრელი, ვინაიდან მათზე ჩვენი პირდაპირი მოქმედების შესაძლებლობები ძალზედ მწირი იყო. ჩვენ არ შეგვეძლო გვებიძგა აჯანყებისაკენ, ვინაიდან ეს გამოიწვევდა რეპრესიების ახალ ტალღას“ (ბუში... 2004: 52).

აღნიშნულთან დაკავშირებით ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოლოგი, ს. ჰანტინგტონი წერს: „1990-იან წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ცხარე დებატების რიცხვი, რომელიც უკავშირდებოდა ამერიკის ეროვნულ ინტერესებს მსოფლიოში,

რომელმაც გამოიარა „ცივი ომი“. ამ დებატებში გამოთქმული აზრები ხშირად იყო ძალზედ არადამაჯერებელი, თუ არ ვიტყვით წყალწყალა, მაგრამ ეს არადამაჯერებლობა აიხსნებოდა არა არგუმენტების სისუსტით, არამედ იმ სიახლეებითა და მრავალგანზომილებებით, რის წინაშეც აღმოვჩნდით ყველანი. გარდა ამისა, ახალ სამყაროში ამერიკის როლის შესახებ არადამაჯერებელი მოსაზრებები გამომდინარეობდა შემდგომიდან: როგორც ცნობილია, ეროვნული ინტერესები ვითარდება ეროვნული იდენტურობიდან. აუცილებელია გავიგოთ ვინ ვართ ჩვენ, სანამ განვსაზღვრავთ ჩვენი ინტერესების სფეროებს“ (ჰანთინგტონი 2004: 31-32). ს. ჰანთინგტონის მტკიცებით, ამერიკას იმ პერიოდისათვის ჯერ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული კონცეფცია საკუთარი როლის შესახებ ახალ მსოფლიო წესრიგში.

მაგრამ, მიუხედავად პრეზიდენტი ჯ. ბუში-უფროსის ადმინისტრაციის მხრიდან ფრთხილი პოლიტიკური თამაშისა, 1991 წლის სექტემბრის პირველ ნახევარში შედგა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც მთლიანად დაეთმო ამერიკის შეერთებული შტატების შემდგომ სტრატეგიას საბჭოთა კავშირთან მიმართებაში (ბუში... 2004: 479).

აღნიშნულ სხდომასთან დაკავშირებით უპრიანი იქნებოდა მოგვეყვანა ცოტა ვრცელი ამონარიდი დასახელებული ნაშრომიდან: „პრეზიდენტმა ბუშმა აღნიშნა, რომ ამჟამად, როდესაც ბალტიისპირეთის რესპუბლიკები გათავისუფლდნენ ...მდგომარეობა რთული იყო. გაურკვეველი იყო რფ-ის შემადგენლობაში შემაჯავლი მცირე რესპუბლიკებისა და სხვა რესპუბლიკების მომავალი“ (ბუში... 2004: 479). ბუშის აზრით, „ჩვენ არ უნდა გავაკეთოთ ნაჩქარევი ნაბიჯები მხოლოდ იმისათვის, რომ მოვახდინოთ მოქმედების იმიტირება“ (ბუში... 2004: 479). დ. ჩეინი მოითხოვდა უფრო „აგრესიულ“ მიდგომას. იგი დაუინებით აცხადებდა, რომ ამერიკელების ხელთ ახლა იყო უფრო ქმედითი ბერკეტები, ვიდრე ეს მათ ეგონათ და თუ ისინი მხოლოდ რეაგირებას გააკეთებდნენ მოვლენებზე, მაშინ ხელიდან გაუშვებდნენ რეალურ შესაძლებლობებს. “მე გამოვდივარ იქიდან, რომ ეს განვითარება ჯერ არ არის დასრულებული... ჯერ კიდევ არ არის გამორიცხული, რომ იქ (საბჭოეთში – ს.ყ.) ყველაფერი დასრულდეს ავტორიტარული რეჟიმის დამყარებით. ვშიშობ, რომ ერთი წლის შემდეგ თუ ყველაფერი ამგვარად დასრულდა, როგორ ავხსნათ, თუ რატომ არ გავაკეთეთ უფრო მეტი?“ მან (დ. ჩეინი – ს.ყ.) შემოგვთავაზა ბ. გეიტსის ერთ-ერთი იდეის – ყველა რესპუბლიკაში საკონსულტაციო გახსნის გეგმის – რეალიზება და თქვა, რომ უპრიანი იქნებოდა ჰუმანიტარული დახმარებისათვის ხელის მოკიდება“ (ბუში... 2004: 479).

პრეზიდენტი ბუშის აზრით, ჩეინის ეს გეგმა „წარმოადგენდა ცუდად შენიღბულ ძალისხმევას“, რომელიც მიმართული იქნებოდა სსრკ-ის დაშლისაკენ (ბუში... 2004: 479). საბჭოეთის ნებაყოფლობითი დაშლა ჩვენს ინტერესებშია – ამტკიცებდა დ. ჩეინი – თუ ეს იქნება ნებაყოფლობითი ასოციაცია, მაშინ იგი შედგება და თუ დემოკრატიას უწერია კრახი, ჩვენთვის უკეთესი იქნება თუ მათი (დემოკრატიის კრახი–ს.ყ) რიცხვი შემცირდება (ბუში 2004: 480). მაშინ პრეზიდენტმა ბუშმა იკითხა, ხომ არ აჯობებდა დაცდა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებისათვის? რაზედაც ბ. სკაუკროფტმა შემდეგი პასუხი გასცა: „თქვენ შეგიძლიათ საქმე დაიჭიროთ სუსტ ცენტრთან? შეუძლია ცენტრს კონტროლი გაუწიოს არმიას, როდესაც მას არა აქვს სხვა ძალაუფლება?“. .. „ჩეინს მიაჩნდა, რომ ჩვენ შეგვეძლო უფრო მეტის გაკეთება, თუ გვეცოდინებოდა, რომელი მიმართულებით განვავითარებდით ჩვენს პოლიტიკას. კ. პაუელი არ იყო ასე დარწმუნებული. „ჩვენ გვსურს ვიხილოთ ძველი საბჭოთა კავშირის დაშლა – თქვა მან – მაგრამ არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს იქნება ერთი მიმართულებით მოქმედი 15 რესპუბლიკა. ჩვენს ინტერესებში იქნებოდა ნებისმიერი კონფედერაცია, აგრეთვე სწრაფვა მათთან ორმხრივი კავშირების დამყარებისა“ (ბუში... 2004: 480).

მაგრამ, როგორც ჩანს, დ. ჩეინის მოსაზრებამ გაჭრა. ყველა რესპუბლიკაში და, მათ შორის, საქართველოშიც უკვე 1992 წლიდან იხსნება ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოები/საელჩოები და იწყება ამერიკიდან ჰუმანიტარული დახმარების შემოსვლა.

„პატივცემულო ბატონო თავმჯდომარე, ... მას შემდეგ, რაც დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა და ახლახან გაიხსნა ამერიკის საელჩო თბილისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს თანამშრომლობას ახალი ერა დაუდგა. ვიზიარებთ რა თავისუფლების და დემოკრატიის ღირებულებებს, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კიდევ უფრო განვითარდება საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩვენი ორი ხალხის მჭიდრო ურთიერთობა“ (საქართველოს რესპუბლიკა, № 88, 1992: 1).

წერილი დათარიღებულია 1992 წლის 26 მაისით. მისი ავტორი კი არის აშშ-ის იმდროინდელი პრეზიდენტი ჯ. ბუში-უფროსი. იმხანად აშშ-ის საელჩო საქართველოში ასაკით ჯერ მხოლოდ სამი დღისა იყო.

თავისი აქტიურობის ხარისხის მიხედვით საქართველოსა და აშშ-ს შორის ურთიერთობები ჩვენს მიერ განსახილველ პერიოდში შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად:

I ეტაპი: (I) 1990-1996 ძირითადად შემოიფარგლება თანამშრომლობით კულტურისა (აშშ-ის რამდენიმე ქალაქში მოეწყო ქართველი მხატვრების გამოფენა) და სამეცნიერო (ძირითადად, სამედიცინო) სფეროში. ამავე პერიოდს განეკუთვნება საქართველოსა და აშშ-ს შორის დადებული რამდენიმე ხელშეკრულება:

1. ხელშეკრულება ჰუმანიტარული და ტექნიკურ-ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობისათვის თანამშრომლობის თაობაზე (*ხელმოწერილია თბილისში, 1992 წლის 31 ივლისს, ხოლო რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 11 დეკემბერს*), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჰუმანიტარული დახმარებების რამდენიმე ეტაპს, რომელიც ეხებოდა როგორც სურსათ-სანოვაგეს, ასევე ტანისამოსს;
2. ხელშეკრულება ინვესტიციების ხელშეწყობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას შორის. (*ხელმოწერილია ქ. თბილისში 27.06.92 წ.*)
3. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას შორის ინვესტიციების დაცვისა და წახალისების შესახებ. (*ხელმოწერილია ქ. ვაშინგტონში 7.03.94 წ.*)
4. შეთანხმებას საქართველოს რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სავაჭრო კავშირების შესახებ. (*ხელმოწერილია ქ. თბილისში 01.03.97 წ.*)

ჰუმანიტარული დახმარების პარალელურად თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო ამიერკავკასიამ სხვა მხრივაც მიიპყრო დასავლეთის და, მათ შორის, აშშ-ის ყურადღება. მაგალითად, 1993 წელს, როდესაც ტრასეკ-ის (TRACECA- The Transport Corridor Europe-Caucasus-Asia) პროექტის შემუშავება გადაწყდა, ერთმანეთის პარალელურად იხილებოდა რამდენიმე მარშრუტი, თუ რა გზით გახდებოდა შესაძლებელი ცენტრალური აზიიდან ევროპაში ნავთობის გადაზიდვა. მაშინ პრეზიდენტი ბ. ქლინტონის ადმინისტრაციამ მხარი დაუჭირა ნავთობის ტრანსპორტირებას აზერბაიჯანისა და საქართველოს გზით. ამავე მოსაზრებას მხარი დაუჭირეს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, კ. ალიევმა, თურქეთის პრემიერ მინისტრმა, მ. ილმაზმა და AIOC-ის პრეზიდენტმა, ტ. ადამსმა. ჩვენ ვფიქროთ, რომ ამ მხარდაჭერის უკან ვაშინგტონის პოზიცია იდგა. ქლინტონის ადმინისტრაციის აზრით: (1) საქართველოზე გავლით ნავთობსადენს უფრო მოკლე მარშრუტი დასჭირდებოდა, რაც თავის მხრივ მოითხოვდა ნაკლებ

ინვესტიციებს; (2) საქართველოში უკვე არსებობდა ნავთობსადენები, რომლებმაც ტესტირებით აჩვენეს არც თუ ცუდი შედეგები. 3) ექსპერტთა მტკიცებით, აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობდა საბჭოეთისაგან განთავისუფლებულ სახელმწიფოებს სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევასა და რეგიონში შემავალი ქვეყნების ევროპის სახელმწიფოებთან დაახლოების პროცესს. (*აშშ-ის დაინტერესებაზე რეგიონის ნავთობით შემდგომ თავში გვექნება საუბარი*), მაგრამ, ჩვენის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც რუსეთისაგან ევროპის ენერგეტიკული დამოუკიდებლობა იყო, რაც მას ხელს შეუშლიდა დასავლეთის მიმართებაში ენერგეტიკული შანტაჟის პოლიტიკის გამოყენებაში.

1994 წლის 18 ივლისს საქართველოს სახელმწიფო მეთაურმა, ე. შევარდნაძემ გამოსცა ბრძანება, რომლითაც დადგინდა ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს დაარსება ამერიკის შეერთებულ შტატებთან ორმხრივი პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების მიზნით (საქართველოს რესპუბლიკა, № 128, 1994: 1).

საელჩოს დაარსებიდან ორ დღეში (*1994 წლის 20 ივლისს*) კი მისი მეშვეობით მივიღეთ ოფიციალური შეტყობინება, რომ ამერიკამ უკვე დაიწყო საქართველოსათვის კუმანიტარული დახმარების გაწევის განხორციელება. სავარაუდოდ, აღნიშნულია წერილში, აგვისტოს შუა რიცხვებიდან დაიწება 3.500.000 აშშ დოლარის ღირებულების 100.000 ტონა ხორბლის გადმოტვირთვა. ეს დახმარება აშშ-ის უშიშროების უზრუნველსაყოფი სურსათის სამარაგო ხორბლის რეზერვიდან გამოიყო და მომავალი დახმარების დაახლოებით ნახევარი შეადგინა (საქართველოს რესპუბლიკა, № 134, 1994: 1).

დახმარებამ, რომელიც გაუწია ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს და რომელიც მიზნად ისახავდა მის, როგორც ახლადწარმოქმნილი დამოუკიდებელი სუბიექტის, გამოყვანას სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისიდან უადრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქართული ეკონომიკის გამოსაცოცხლებლად. სამწუხაროა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული რესურსების გონივრული მენეჯმენტისა და კორუფციის დონის მინიმუმამდე დაყვანის შემთხვევაში ქვეყანა ამ დახმარებების შედეგად განვითარების უფრო მაღალ დონეზე ავიდოდა იმასთან შედარებით, რასაც წარმოადგენდა რეალურად

იმ პერიოდში. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტების მიღებით დახარბებული ჩინოვნიკები ზოგიერთ შემთხვევაში წავიდნენ ქვეყნისათვის არასასურველ დათმობაზე. მაგალითად, აშშ-ის მხრიდან საქართველოს გამოყოფილი კრედიტი ისევ ამერიკული დაბალი ხარისხის ხორბლის შესაძენად. მაგრამ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ასეთ ფაქტები მცირე რაოდენობით მოიპოვება.

მთლიანობაში კი აშშ-ის მხრიდან 1992-1998 წწ. გაწეულმა დახმარებამ (ტექნიკური, ფინანსური და ჰუმანიტარული) 500 მლნ. დოლარს გადააჭარბა.

აღნიშნულის დასამტკიცებლად უპრიანი იქნება თუ მოვიშველიებთ საქართველოს ერთ-ერთი მძლავრი დონორი ორგანიზაციის – ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (The United States Agency for International Development - USAID) მიერ მოწოდებულ დახმარებას:

წელი	დახმარების ტიპი	ღირებულება (USD)	დახმარების ტიპი	ღირებულება (USD)
1993	ტექნიკური	6,2 მლნ	ჰუმანიტარული	24,8 მლნ
1994	ტექნიკური	7,98 მ	ჰუმანიტარული	18,62 მლნ
1995	ტექნიკური	11,25 მლნ	ჰუმანიტარული	27,061 მლნ
1996	ტექნიკური	15,388 მლნ	ჰუმანიტარული	6,744 მლნ

აშშ-ის მხრიდან ჰუმანიტარული დახმარების მიღებას არეგულირებდა 1992წ. 31 ივლისს დადებული შეთანხმება ჰუმანიტარული და ტექნიკურ-ეკონომიკური დახმარების შესახებ. ჰუმანიტარული ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ პროდუქტები, სურსათ-სანოვაგე და სხვა საქონელი წარმოდგენილი და გამოყენებული აღნიშნული პროგრამით შეიძლება იქნეს იმპორტირებული, ექსპორტირებული ან გამოყენებული საქართველოში. ჰუმანიტარული გზით მოწოდებული ტვირთი გათავისუფლებულია საქონლის იმპორტზე, ექსპორტზე დადგენილი საბაჟო ტარიფების და სხვა გადასახადებისაგან.

ზემოაღნიშნული შეთანხმების განმტკიცება მოხდა 1994 წლის 7 მარტს მიღებული ერთობლივი დეკლარაციით, რომლის თანახმადაც, აშშ-მა მზადყოფნა გამოხატა ჰუმანიტარული დახმარების შესახებ სოფლის მეურნეობის, კვების,

სამედიცინო პრეპარატების, საფინანსო და სავალუტო პოლიტიკის, აგრეთვე რეფორმების გატარების უზრუნველყოფაში.

ამ მიზნით ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) გახსნა ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების ცენტრი.

ზემოთაღნიშნული დეკლარაციის თანახმად, აშშ-ის მთავრობამ მზადყოფნა გამოხატა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების შემდგომი დახმარებისთვის. აშშ-ის მხრიდან საქართველოსათვის გამოყოფილი ჰუმანიტარული დახმარების ძირითადი დონორები არიან:

1. ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) – არის საქართველოს ყველაზე მსხვილი დონორი ორგანიზაცია. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მის მიერ საქართველოსათვის გაწეული ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარება, პერსონალის გაცვლა, სასწავლო პროგრამების დაფინანსება. ფონდი ასევე აფინანსებს სხვადასხვა პროგრამებს (Care Georgia (CG), Fund for Democracy Development (FDD), და ა.შ.), რომელიც ძირითადად კონცენტრირებულია ეკონომიკის რესტრუქტურისა და ენერგეტიკული სექტორის რეფორმასა და დემოკრატიულ მართვის პრინციპების ხელშეწყობაზე. სხვა დონორი ორგანიზაციებისაგან განსხვავებით სააგენტომ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების საქმეში. შემცირდა საქონელსა და მომსახურებაზე დაწესებული სამთავრობო სუბსიდიების უმეტესი ნაწილი, აგრეთვე შეწყდა სუბსიდიები სახელმწიფო საწარმოებზე. ენერგეტიკის სფეროში სააგენტოს ტექნიკურმა რჩევამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებაზე ელექტროენერჯის სფეროს რესტრუქტურისა და ეროვნული მმართველობითი ორგანოს შექმნასთან დაკავშირებით. სააგენტოს ექსპერტებმა დახმარება გაუწიეს საქართველოს მთავრობას ელექტროენერჯის სფეროში რეფორმების გატარების შესახებ ბრძანებულების შემუშავებაში, რომელიც გამოიცა 1996 წლის მაისში.

სააგენტოს თაოსნობით დაიწყო რეორგანიზაცია დემოკრატიული მმართველობის სფეროშიც. საქართველოში 1995 წლის ნოემბერში ჩატარებულ იქნა არჩევნები, რომელსაც ტექნიკური დახმარება გაუწია სააგენტოს მიერ. იმავე წელს აღნიშნულმა ორგანიზაციამ დააფინანსა ადამიანთა უფლებების საპარლამენტო ფონდი.

ენერგეტიკის სექტორში სააგენტოს მიერ პრიორიტეტებად გამოცხადდა ისეთი კლიმატის შექმნა, რომელიც განაპირობებდა კერძო სექტორის

მონაწილეობასა და პარტნიორობას, რესურსების მართვისა და მომსახურების გაუმჯობესებას, უზრუნველყოფდა ამ სექტორის ეფექტიანობის მომატებას კაპიტალისა და შესაბამისი რესურსების გაზრდით.

სააგენტოს ჰუმანიტარულმა პროგრამებმა მოიცვა ისეთი ძირითადი მომსახურების საგნების შემოტანა, როგორცაა სათბობი და კვების პროდუქტები. სუბ-გრანტების მეშვეობით განხორციელდა ისეთი საქმიანობა, რომელიც ხელს შეუწყობდა ეკონომიკურ აღმავლობას ადგილობრივ დონეზე; მომავალში მას დაგეგმილი აქვს ისეთი პროექტების დაფინანსება, რომელიც ხელს შეუწყობს შემოსავლის მიღებასა და საწარმოთა განვითარებას როგორც ქალაქებში, ასევე სოფლად.

განსაკუთრებული იყო სააგენტოს როლი თბილსრესისათვის მაზუთის სეზონური მომარაგების საქმეში, რაც შესაძლებელი გახდა ჰუმანიტარული დახმარებებისა და ნაწილობრივ უცხოური კრედიტების ხარჯზე. სააგენტოს შუამავლობით საქართველოს მოეწოდა 15 მლნ დოლარის ღირებულების 160 ათასი ტონა მაზუთი.

2. აშშ-ის მეორე მსხვილი დონორი ორგანიზაცია არის აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი – (The United States Department of Agriculture – USDA). იგი აფინანსებს სურსათით დახმარების პროგრამას, გამოყოფს სათესლე მასალას სოფლის მეურნეობისათვის, აფინანსებს მონეტიზაციასა და პროგრამას საკვები შრომისათვის.

აღნიშნულმა ორგანიზაციამ 1996 წ. გამოყო 12 808 ტ. საკვები პროდუქტი, რამაც საქართველოსათვის სურსათით გაწეული დახმარების 31, 1 % შეადგინა.

1997 წ. პირველი 6 თვის განმავლობაში ფონდის მიერ განაწილებულია 7 194 ტ. საკვები, რაც საერთო განაწილებული საკვების მოცულობის 37, 8% შეადგენს.

მოგვიანებით, 1998 წლის ხსნის არმიის პროგრამის საფუძველზე ორგანიზაციამ გამოყო 3.550 ტ. საკვები.

საკვებით დახმარების საერთო შემცირებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროგრამას საკვები შრომისათვის და გარდამავალი ეტაპის მიკროეკონომიკურ პროგრამებს. უნდა აღინიშნოს, რომ ჰუმანიტარული დახმარების ტრანსპორტირება ხორციელდებოდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ძირითადი აქცენტი შტატების მხრიდან ჰუმანიტარულ დახმარებებზე გაკეთდა, აშშ-ის ბიზნესმენთა პირველი დელეგაცია საქართველოში ჩამოვიდა ჯერ კიდევ 1994 წლის იანვრის დასაწყისში, რის შედეგადაც გადაწყდა შექმნილიყო საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც შესაძლებელი გახდოდა საქართველოს ყველა კუთხიდან აბონენტის დაკავშირებას ნებისმიერ წერტილში.

1995 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ოპერაციების ქვეკომიტეტის სხდომაზე სახელმწიფო მდივნის მოადგილე და პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში, ს. ტელბორტი წარსდგა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ახალი გეგმით, რომელიც შედგებოდა შემდეგი პუნქტებისაგან:

- 1) ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფა;
- 2) რუსეთისა და სხვა ახალი დამოუკიდებელი ქვეყნებისათვის მხარდაჭერა;
- 3) NATO-ს გაფართოება;
- 4) აშშ-ის პოზიციების განმტკიცება ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში;
- 5) ბრძოლა ბირთვული იარაღის გავრცელებაზე კონტროლის დაწესებისათვის;

ამავე სხდომაზე ს. ტელბორტმა განაცხადა, რომ ქლინთონის ადმინისტრაციის მკაცრი ფუძემდებლური პრინციპია მხარდაჭერა რუსეთის როგორც ერთიანი, დემოკრატიული, მატერიალურად უზრუნველყოფილი სახელმწიფოს განვითარებისათვის, რომელმაც საშუალება უნდა მისცეს სხვა ქვეყნებსაც განახორციელონ ასეთივე მიზნები (ნანიტაშვილი 2002: 571).

II ეტაპი: როგორც უკვე აღვნიშნეთ XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება დასავლეთისა და მათ შორის აშშ-ის დაინტერესება კასპიის აუზის ენერგორესურსებით. *(ამ საკითხს ჩვენ შემდგომ თავშიც უფრო ვრცლად შევეხებით).* საქართველო კი აზერბაიჯანთან ერთად ქმნის კასპიისა და შავი ზღვების დამაკავშირებელ დერეფანს, ხოლო ენერგორესურსების გადაზიდვა მოითხოვს უსაფრთხოების დაცვის სრული მექანიზმის არსებობას, ვინაიდან ადვილი შესაძლებელია, რომ მათ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პროექტები გახდეს დესტაბილიზაციით დაინტერესებულ სხვადასხვა მხარეთა სამიზნე. ასე, რომ დიდი მოცულობის ენერგეტიკული რესურსების არსებობა პირდაპირ არის დაკავშირებული უსაფრთხოების პოლიტიკასთან. გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, რომ ენერგეტიკული რესურსებით მიღებულმა შემოსავალმა რეგიონში არსებულ ძალთა შორის დისბალანსი გამოიწვიოს, რაც

თავის მხრივ იარაღზე მოთხოვნების გაზრდას გამოიწვევს. ეს კი ეკონომიკურად და პოლიტიკურად დასუსტებულმა რუსეთმა, შესაძლებელია, ხელსაყრელად გამოიყენოს. უფრო მეტიც, შესაძლებელია, რომ კონფლიქტების განვითარების საშიშროებამ რუსეთის მხრიდან რეგიონის პოლიტიკაში აქტიურად ჩარევის საშიშროება მოხდეს.

სწორედ ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან უკვე 1997 წლიდან ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარებების პარალელურად გამოიკვეთა დახმარების გაწევის აუცილებლობა ისეთ პრიორიტეტულ სფეროებში, როგორცაა სახელმწიფო საზღვრის დაცვა, ექსპორტის კონტროლი, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები, პრივატიზაცია, რეფორმა ენერჯეტიკის სექტორში, კაპიტალის ბაზრის განვითარება, ფულადი პოლიტიკა და დაბეგვრა.

ვაშინგტონი დიდ დახმარებას უწევდა და დღესაც უწევს თბილისს საზღვრის დაცვის საქმეში. საქართველომ მიიღო საპატრულო გემები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქართველ მესაზღვრეებს სანაპირო ზოლის დაცვაში.

ამასთან, აშშ-ის მხარემ შეიმუშავა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოებისა და მასთან დაკავშირებული მართლწესრიგის უზრუნველყოფის პროგრამა (Georgia Border Security and Law Enforcement Program). რომელიც ორიენტირებული იყო ისეთ პრიორიტეტებზე, როგორებიცაა:

1. საზღვრის საზღვაო მონაკვეთის გაკონტროლებაში ხელშეწყობა;
2. გამჭვირვალე სასაზღვრო რეჟიმის მოწყობაში დახმარება და საზღვრის კრიმინალური ელემენტებისაგან დაცვა;
3. ექსპორტის კონტროლის ეფექტიანობის გაუმჯობესება მასობრივი განადგურების იარაღის უკანონო გატანის მცდელობაში გამოვლინებისა და აღკვეთის მიზნით;
4. საავიაციო ინფრასტრუქტურების სრულყოფა;
5. სამართლებრივი, იურიდიული და მარეგულირებელი ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება;
6. საქართველოს სამართალდამცავი და იურიდიული ორგანოების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება ქვეყნის შიდა და გარე ორგანიზებული დამნაშავეების გამოძიებისა და გამოკვლევისას.

ზემოხსენებული პრიორიტეტების განხორციელების მიზნით ამერიკის შეერთებული შტატების პროგრამამ გაითვალისწინა საქართველოსათვის სპეციალური აღჭურვილობის მოწოდება, სემინარების ორგანიზება, კონსულტანტების გამოგზავნა, ქართული კადრების მომზადებას.

ვინაიდან საზღვრის დაცვის პარალელურად ქვეყნის უსაფრთხოებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ექსპორტის კონტროლი. თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე საქართველოს შეუძლია იყოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი დერეფნის ნაწილი. მაგრამ დადებით მოვლენებთან ერთად აღნიშნული დერეფნის არსებობამ, შესაძლებელია, ნეგატიური გავლენაც იქონიოს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე. მისი ტერიტორია შეიძლება გამოყენებულ იქნას მაღალი ტექნოლოგიების, შეიარაღებისა და მასთან დაკავშირებული მასალების (ჩვეულებრივი, ქიმიური, ბიოლოგიური, ბირთვული), ორმაგი დანიშნულების საქონლის, ტექნოლოგიების უკანონო ვაჭრობის, ნარკოტიკების ტრანზიტისათვის, ასევე ტრეფიკინგის სამარშრუტო გზად. სწორედ ამ მოსაზრებას დაეფუძნა ექსპორტის კონტროლის ეფექტური სისტემის შექმნის აუცილებლობა. ასეთი სისტემის არსებობა რეგიონის ქვეყნებს დაეხმარება საერთაშორისო იმიჯის ამაღლებაში და პოზიტიურ გავლენას იქონიებს აღნიშნული რეგიონის ქვეყნების ფინანსური და საინვესტიციო კლიმატის შექმნაზე.

ექსპორტის კონტროლის სფეროში საქართველოსა და აშშ-ის შესაბამის უწყებებს შორის უკვე არსებობს საკმაოდ ინტენსიური და საქმიანი ურთიერთობა.

ექსპორტის კონტროლს ემსახურება ნან-ლუგარის პროგრამა (*3 წლიანი დაფინანსება, I წ. - 1997-98 - საქართველოში მიიღო 20 მლნ. დოლარის ღირებულების აღჭურვილობა, ამავე ფასში შევიდა მათი დამონტაჟება, ინსტრუქტორების მოწვევა, კონსულტაციების ჩატარება; II წ. -1998-1999- პროგრამით გამოიყო 12, 5 მლნ. დოლარი ანალოგიური ოპერაციების ჩასატარებლად*) და საერთაშორისო სამხედრო სასწავლო პროგრამა (IMT-International Military Training), რომლის თანახმადაც დაიგეგმა სამხედრო პერსონალის გაგზავნა აშშ-ის სამხედრო კოლეჯებში სასწავლებლად.

რაც შეეხება სამხედრო სფეროში თანამშრომლობის განვითარებას, 1997წ 17 ივლისს ორ ქვეყანას შორის დაიდო შეთანხმება თავდაცვის სამხედრო

კავშირის გადრმავეების შესახებ, რომელიც ძალაში იმავე წლის 10 ნოემბერს შევიდა.

აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, აშშ-ის მთავრობამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამოუყო 1,3 მლნ. დოლარი აღჭურვილობის მოწოდებისა და მათი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით.

ამის შემდეგ დღის წესრიგში დადგა დამატებითი აღჭურვილობის გადმოცემის საკითხი Mil-Mil Contacts (ვერტმფრენების გადმოცემის პროგრამა და სხვა). პროგრამის თანახმად აშშ-მა საქართველოს გადმოსცა გერმანიის ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე არსებულ UH - 1H 6 ვერტმფრენი და ტუსონის (არიზონას შტატი) სამხედრო ბაზაზე არსებულ საფრენად გამოუსადეგარი UH-1 ტიპის 4 ვერტმფრენი. ისინი გამოყენებული იქნა მექანიკოსების სასწავლებლად და სათადარიგო ნაწილებად. ვერტმფრენის პროგრამისათვის გამოყოფილი თანხა მთლიანად მოხმარდა მფრინავებისა და მექანიკოსების მომზადებას, ვერტმფრენების შეკეთებას, მათ ტრანსპორტირებას საქართველოში, სათადარიგო ნაწილებით მომარაგებასა და მომავალში მათ მოვლა-მომსახურებას. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2000 წლის მონაცემებით, აშშ-ის მთავრობის მთელი პროგრამა შეფასებულია 9,5 მლნ. დოლარად.

ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ერქსპორტის კონტროლისა და გაუვრცელებლობის სფეროში ჩატარებულ სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში, თანამშრომლობდნენ ჯორჯიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ვაჭრობისა და უსაფრთხოების ცენტრსა და მონტერეის საერთაშორისო სწავლების ინსტიტუტთან და იარაღის გაუვრცელებლობის საერთაშორისო ცენტრთან. ამ თანამშრომლობის შედეგად შემუშავებულ იქნა ერთობლივი პროექტები, რომელთა შესახებაც მასალები გამოქვეყნდა ამერიკულ გამოცემებში.

აღნიშნულ სფეროში ურთიერთობების გადრმავეების მიზნით, დღის წესრიგში დადგა მიზანმიმართული პროგრამის შემუშავება, რომლის განხორციელებითაც მივიღებდით ექსპორტის კონტროლის მოქმედ სისტემასა და ქართველ ექსპერტთა გუნდს, რომელიც უხელმძღვანელებდა ამ სისტემას. აშშ-ის მხარემ მზადყოფნა გამოხატა შესაბამისი ქართული უწყებების წარმომადგენლებისათვის კონსულტაციებისა და სასწავლო სემინარების ჩასატარებლად.

რაც შეეხება პრივატიზაციის სფეროს, აშშ-ის მთავრობამ მხარი დაუჭირა საქართველოს გადაწყვეტილებას საპრივატიზაციო რეფორმების დაჩქარების საქმეში ნაღდი სააუქციონო მექანიზმის განვითარების გზით, რომელიც გამორიცხავდა მინიმალურ ფასებს და აქედან გამომდინარე ზიანს არ მიაყენებდა ქვეყნის ეკონომიკას. უფრო მეტიც, აშშ-მა გამოხატა მზადყოფნა პრივატიზებულ საწარმოებთან დაკავშირებული მიწის პრივატიზაციაში, როგორც პირველი ნაბიჯი არასასოფლო სამეურნეო მიწის ბაზრის შექმნის მიმართულებით.

ვინაიდან პრივატიზაციის სფეროში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენერჯეტიკის სექტორის პრივატიზებასა და მასში რეფორმატორული ღონისძიებების გატარებას. აქ მხარეებმა აღიარეს, რომ საქართველოს არც ფინანსურ დაწესებულებებს და არც ადგილობრივი კაპიტალის ბაზარს ენერჯეტიკის სფეროში საჭირო თანხების მოზიდვა არ შეეძლოთ. ამიტომ ვაშინგტონი დაეხმარა თბილისს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში, ისევე როგორც დასავლური ნოუ-ჰაუს გაზიარებაში. აქვე იმასაც დავძენდით, რომ აშშ-ის ექსპერტთა თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი იყო ფოთის პორტის, როგორც TRACECA-ს გემის განვითარების საკვანძო ნაწილის, პრივატიზაცია. ტვირთის რეგულირების გასაზრდელად კი საჭირო იყო მასში ახალი ინვესტიციების მოზიდვა. ამ საქმეში საქართველოს მთავრობას დახმარება აღუთქვა ამერიკის განვითარების სააგენტომ.

პრივატიზაციის პარალელურად საჭირო გახდა მოქმედი კაპიტალის ბაზრის შექმნა, რაც უმნიშვნელოვანესი და ძალზედ აქტუალური იქნებოდა პრივატიზირებული საწარმოების მართვისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე აქციების მესაკუთრეობასა და უცხოური ინვესტიციებისათვის. აქაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ აშშ დახმარებას გაუწევდა საქართველოს კაპიტალის ბაზრების სისტემების, როგორც სამართლებრივი სტრუქტურების, ასევე ინფრასტრუქტურების განვითარებაში, კაპიტალის ბაზრების ზედამხედველობისათვის პასუხისმგებელი დამოუკიდებელი მმართველობითი ორგანოს ჩათვლით. კაპიტალის ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებული პროექტების შემუშავებაში საქართველოს მთავრობას დახმარება იკისრა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ქვეჯგუფმა ბარენცის ჯგუფის (The Barents Group LLC) სახით.

აღსანიშნავია ის, რომ ამავე პერიოდში ვითარდება თანამშრომლობა საქართველოსა და OPIC-ს (Overseas Partnership International Cooperation) შორის. ამ ორგანიზაციის გრანტით შეიქმნა კავკასიური ფონდი. აღნიშნული ფონდიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ორგანიზაციამ შეძლო ფინანსების გაორმაგება, რამაც 2001 წლისთვის უკვე 92 მლნ. დოლარი შეადგინა.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ აშშ-ის მთავრობის შუამდგომლობით საქართველოში მოზიდულ იქნენ ისეთი მსხვილი კრედიტორი ორგანიზაციები, როგორებიც არიან მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ აშშ-ის მხრიდან გაწეული ზემოაღნიშნული დახმარება მხოლოდ საქართველოს სიმპათიებით იყოს გამოწვეული. რა თქმა უნდა, აშშ-ის პოლიტიკაში ამერიკის, როგორც ზესახელმწიფოს, ინტერესები დევს. ამას არც ამერიკის მხარე უარყოფს. სულ სხვა იყო, სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსის განცხადება, რომელიც აშშ-ის ჩვენი ქვეყნისადმი კეთილგანწყობას რომელიმე კონკრეტული პიროვნებებისადმი (მაგალითად ე. შევარდნაძისადმი) აშშ-ის კეთილმოსურნე ურთიერთობას და პიროვნულ სიმპათიებს აბრალებდა. ეს, რა თქმა უნდა, მითია. სინამდვილეში კი რეგიონში შემოსვლის გაშინგტონისეული მიზნები მდგომარეობს შემდეგში:

- ა) ირან-რუსეთის ბალანსისათვის კონტროლის გაწევა;
- ბ) რეგიონის ქვეყნებს შორის ტერიტორიულ ინტეგრაციის ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მათზე რუსეთის ზეგავლენის შესუსტებას;
- გ) რეგიონში რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური შესუსტებისკენაა მიმართული, აგრეთვე, რეგიონის ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენა დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული ფასეულობების განმტკიცების საქმეში;
- დ) კასპის რეგიონის ენერგორესურსების ტრანზიტის დივერსიფიკაცია, რაც ხელს შეუშლის რუსეთს იყოს უმსხვილესი ენერგორესურსების ექსპორტიორი ქვეყანა, რომელიც უმთავრეს წილად სწორედ შუა აზიის ქვეყნების ენერგო რესურსებით ახდენს მანიპულირებას მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე.

XX საუკუნის 90-იანი წლების I ნახევარში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ნათლად დაინახა, რომ:

1) საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განვითარებული პროცესები ქაოტურიდან უკვე განსაზღვრული მიმართულებით განვითარდა და მათი მართვაც შესაძლებელი შეიქნა;

2) საქართველო მტკიცედ დაადგა დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის გზას, რომლის საბოლოო მიზანსაც ერთიან ევროპულ ოჯახში გაერთიანება წარმოადგენს. ამგვარად, მიუხედავად სირთულეებისა, საქართველომ შეძლო ეჩვენებინა მსოფლიო თანამეგობრობისათვის, რომ ის იმსახურებს ყურადღებას და თანადგომას, მითუმეტეს, რომ ამ თანამშრომლობით ორივე მხარე, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, დაკმაყოფილებული დარჩება;

3) ნათლად ჩანს რუსეთის პოზიცია, რომელიც, მიუხედავად ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სწრაფვისა დამოუკიდებლობისაკენ, სხვადასხვა მანიპულირებით ცდილობდა და დღესაც ცდილობს მათ გაერთიანებას კრემლის ხელისუფლების გარშემო. მოსკოვს დღემდე აქვს ამბიციები იყოს სუპერსახელმწიფო. ამაზე მეტყველებს თუნდაც რფ-ის ყოფილი პრეზიდენტის, ამჟამად კი პრემიერ-მინისტრის, ვ. პუტინის წინასახალწლო გამოსვლა ქვეყნის წინაშე 2005 წლის დეკემბერში, როდესაც განაცხადა, რომ რუსეთი არის სუპერსახელმწიფო, მსოფლიო ლიდერი გაზისა და ბირთვული ენერჯის არსენალის სფეროში.

4) აღნიშნულის გარდა, ჩვენ ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, როდესაც ამა თუ იმ სახელმწიფოს არა აქვს უფლება განზე გადგეს მსოფლიოში არსებული პრობლემებისაგან. ვინაიდან მსოფლიოს ერთ ნაწილში მიმდინარე მოვლენებმა შეიძლება გავლენა იქონიოს სხვა, თუნდაც მისგან დიდი მანძილით დაშორებულ რეგიონში მიმდინარე პროცესებზე. სწორედ ამას ითვალისწინებდა პრეზიდენტი ბ. ქლინტონის სიტყვა მეორე ვადით ინაუგურაციის დროს, როდესაც მან პირდაპირ განაცხადა აშშ-ის აქტივიზაციაზე მსოფლიო პოლიტიკაში. მისი თქმით, მსოფლიო არც ისე დიდი იყო, რომ ამერიკა დარჩენილიყო პოლიტიკურ პროცესებს მიღმა (გორნოსტაევი 1997ბ: 1). და სწორედ ამიტომ, 1997 წლის გაზაფხულზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, მ. ოლბრაიტმა განაცხადა, რომ მიუხედავად თანამშრომლური ურთიერთობებისა რუსეთის ფედერაციასთან, აშშ ყურადღებას გაამახვილებდა რუსეთის გარშემო წარმოქმნილ ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში მიმდინარე რეფორმების შეუქცევადობაზე. მისი თქმით, ინიციატივა ძირითადად გამიზნული იქნებოდა ბიზნესის, ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარების ხელშეწყობისაკენ. განსაკუთრებული ყურადღება

დაეთმობოდა ენერგორესურსებით მდიდარ კასპიის რეგიონში შემაჯალ ქვეყნებს, რომელსაც აშშ ერთ დიდი გეოპოლიტიკურ რეგიონად განიხილავს (გ. თედოზაშვილი, 1997: 5).

1997 წლის მარტის თვეში საქართველოს მთავრობის წევრების ვაშინგტონში ვიზიტის დროს დაისვა საკითხი საქართველოს და აშშ-ს შორის NATO-ს პროგრამაში PfP-ის (Partnership for Peace- პარტნიორობა მშვიდობისათვის) ფარგლებში თანამშრომლობის გაფართოების შესახებ. კიდევ უფრო დაკონკრეტდა ორ ქვეყანას შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივები და სამართლებრივი ბაზა. მხარეებმა აგრეთვე განიხილეს საქართველოს კონფლიქტური რეგიონები და განსაკუთრებით, აფხაზეთი. პრეზიდენტი ბ. ქლინტონის მრჩეველმა, ჯ. შტაინბერმა განაცხადა, რომ აუცილებელი იყო დსთ-ის ეგიდით მდგარი სამშვიდობოებისათვის სხვა, ახალი შინაარსის მიცემა და ამ პროცესში აშშ-ის უფრო აქტიურად ჩართვა, ვინაიდან პრეზიდენტის მეორე მრჩეველის, ს. ტელბოტის განმარტებით, რუსეთის სამშვიდობოები უკვე ვეღარ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. (დ. კვალიაშვილი 1997: 5) ამავე შეხვედრების დროს აშშ-ის განვითარების სააგენტომ გაახმოვანა რეკომენდაცია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) საქართველოს სრულუფლებიან წევრად გახდომის შესახებ.

რეგიონში, და კერძოდ საქართველოში, აშშ-ის როლი კარგად წარმოჩინდება აშშ-ის სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, ს. ტელბოტის სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა 1998 წ. 31 მარტს გამართულ სენატის საგარეო ოპერაციების ქვეკომიტეტის წინაშე. კერძოდ, ს. ტელბოტმა აღნიშნა, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა მემკვიდრეობით მიიღეს არასრულფასოვანი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტები და მათი თანამედროვე სახელმწიფოებად ჩამოყალიბებისათვის ახალი ინსტიტუტების შექმნის სირთულე და რომ ამ სირთულეების გადალახვაში აღნიშნული ქვეყნებისათვის დახმარება პრიორიტეტული საკითხი გახდა აშშ-ის პოლიტიკაში. დახმარებისათვის გამიზნული აშშ-ის მრავალი პროგრამა მიზნად ისახავს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობას, ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. ამ ისტორიულ ფონზე აღსანიშნავია ვაჭრობისა და ენერგეტიკის დეპარტამენტების (ს. აიზენსტატის ხელმძღვანელობით) მიერ შემოთავაზებული კასპიის ენერგეტიკული რესურსების ექსპორტისათვის აღმოსავლეთ-დასავლეთის

დერეფნის შექმნის იდეა, რომელსაც აშშ-ის მთავრობაც უწყობს ხელს. ეს მხარდაჭერა ს. ტელბოტის თქმით, კავკასიის განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტია (ბიულეტენი 1998: 31-34).

„აღნიშნული რეგიონისადმი აშშ-ის მიდგომის პოლიტიკა და ეკონომიკური ინტერესები ურთიერთგადაჯახებულია და შერწყმულია ერთიან სტრატეგიაში. სამხრეთ კავკასიის ხალხებს თავიანთი პოტენციალის სრულად გამოყენება მხოლოდ დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ფიზიკური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურების და ყოველივე ამის მომწესრიგებელი სამართლებრივი ბაზის განვითარების შემთხვევაში შეუძლიათ. ეს მათ გარე სამყაროსთან მიმავალ გზას გაუხსნის, მაგრამ არცერთი ამ შესაძლებლობათაგანი არ იქნება გამოყენებული თუ კავკასიის ხალხები კვლავაც მტრულ გარემოში იცხოვრებენ.

სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ჩვენი ძალისხმევა რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად“ (ბიულეტენი 1998 №7-8: 31-34).

როგორც ს. ტელბოტმა აღნიშნა აშშ-მა ბევრი მუშაობა ჩაატარა, რათა გზა მიეცა გაერო-ს ხელშეწყობით დაწყებული მოლაპარაკებებისათვის. აქ მან იგულისხმა მნიშვნელოვანი სამშვიდობო მოლაპარაკებების გზით აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების მცდელობა. აშშ-ის ძალისხმევა აღნიშნულ საქმეში გამოწვეული იყო იმით, რომ მოლაპარაკების პროცესი უფრო ეფექტიანი გამხდარიყო, ვიდრე ამას რუსეთის ხელშეწყობით ჰქონდა ადგილი.

შეერთებული შტატები პირდაპირ ჩაება კონფლიქტის მოგვარების პროცესში, რომელსაც გაერო-ს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელი, ლ. ბოტა ხელმძღვანელობდა. მოლაპარაკების ბოლო რაუნდის შემდეგ უნევაში 1997 წ. შეიქმნა რამდენიმე სამუშაო ჯგუფი, რომელთა ფუნქციებს წარმოადგენდა ეკონომიკური და ჰუმანიტარული თანამშრომლობა, ლტოლვილების დაბრუნებისა და უსაფრთხოების გარანტიების შექმნა. ამგვარად ვაშინგტონმა ხელი შეუწყო აფხაზეთში გაერო-ს სამშვიდობო მისიის ფუნქციონირებას (UNOMIG).

ს. ტელბოტის თანახმად, აშშ-ის დახმარების პროგრამები კავკასიაში განხორციელებული დიპლომატიის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ჰუმანიტარული დახმარების სახით აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის აშშ-ის მთავრობამ გამოყო რამდენიმე მილიონი დოლარი.

ტელბოტისავე თქმით, აშშ-ის მხრიდან გაწეული დახმარება საფუძვლად დაედო იმას, რომ აფხაზეთის სეპარატისტულმა მთავრობამ თანხმობა გამოთქვა

უფრო ფართო და მრავალმხრივ მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე. ამ მიზნით ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საქართველოში აშშ-ის საელჩოს თაოსნობით აფხაზეთში ექსპერტთა ჯგუფი გაიგზავნა, რასაც მოჰყვა გაერო-სა და საერთაშორისო ორგანიზაციების გააქტიურება აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში. მათ აფხაზეთში თავიანთი სამუშაო ჯგუფები მიავლინეს (ბიულეტენი 1998 №7-8: 31-34).

თავი 4. საქართველო – ამერიკის შეერთებული შტატები – რუსეთის ფედერაცია. 1997 წელი

სანამ უშუალოდ საკითხს შეგვხებოდეთ, გვსურს მცირეოდენი გადახვევა გავაკეთოთ, რომელიც უშუალო კავშირში იქნება 1997 წელს საქართველო-აშშ-რფ შორის განვითარებულ მოვლენებთან.

დავიწყოთ იქიდან, რომ ტერმინი „კასპიის რეგიონი“ ხმარებაში დამკვიდრდა 1991 წ. ვიწრო გაგებით მასში მოიაზრება უშუალოდ კასპიის ზღვაზე მდებარე სახელმწიფოები (*თურქმენეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, რუსეთის ფედერაცია, ირანი*), მაგრამ ვინაიდან უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ისეთმა სფეროებმა, როგორებიცაა: ნავთობისა და გაზის ნედლეულის ტრანსპორტირება საერთო ბაზარზე, კასპიის რეგიონის ბიორესურსების დაცვა და ა.შ. ამიტომ ტერმინის გაგება გაფართოვდა და მან მოიცვა კიდევ ოთხი დამატებითი სახელმწიფო (*საერთო ჯამში სულ 9 სახელმწიფო*) – საქართველო, სომხეთი, უზბეკეთი და თურქეთი, რომელთაც მართალია უშუალო გასასვლელი არა აქვთ კასპიის ზღვაზე, მაგრამ მათი ტერიტორიები შეიძლება გამოყენებულ იქნან კასპიის ენერგორესურსების ტრანზიტისათვის დასავლეთში საერთაშორისო ბაზარზე.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონი აღმოჩნდა სხვადასხვა ქვეყნის გეოსტრატეგიული ინტერესების ურთიერთშეხების ერთ-ერთ ადგილად, რაც გამოწვეული იყო მისი ხელსაყრელი გეოსტრატეგიული მდებარეობით, მდიდარი ენერგო და ბიოლოგიური რესურსებით, აქ გამავალი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო ქსელით.

დასავლეთისგან გაზრდილი ინტერესის პარალელურად რეგიონზე გავლენის შენარჩუნებას ცდილობდა და დღესაც ცდილობს რუსეთის ფედერაციაც.

როგორც ს. ჟილცოვი, ი. ზონი და ა. უშკოვი აღნიშნავენ: „რუსეთის პოლიტიკა კასპიისპირეთში მრავალი ათეული წლის განმავლობაში ნაკარნახევი იყო უფრო მეტად გეოპოლიტიკური მიზნებით, ვიდრე გადაუდებელი ეკონომიკური ამოცანების გადაჭრის აუცილებლობით. თუმცა არ უნდა ვუარყოთ ისიც, რომ რუსეთს კასპიის რეგიონში აქვს საკმაოდ სერიოზული ეკონომიკური ინტერესებიც. კასპიისპირეთის ქვეყნები რუსეთისათვის წარმოადგენენ მზა პროდუქციის გასაღების

კარგ ბაზარს. გარდა ამისა ათწლეულების განმავლობაში რუსეთმა ამ ქვეყნებთან ჩამოაყალიბა მჭიდრო საწარმო-კოოპერაციული კავშირები. და მაინც უფრო მეტად რუსეთის ინტერესები რეგიონში ატარებს სტრატეგიულ ხასიათს“ (ჟილცოვი... 2003: 52-53). აღნიშნულის გარდა რუსეთი დღემდე დამოკიდებულია ამ ქვეყნებიდან ისეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ნედლეულის იმპორტზე, როგორებიცაა ფერადი ლითონი, ბამბა და სურსათი.

იმას, რომ რუსეთისათვის კასპიის რეგიონი მართლაც მნიშვნელოვანია მეტყველებს ისიც, რომ რფ-ის პრეზიდენტის მიერ დაწესდა კასპიის რეგიონის საკითხებში სპეციალური წარმომადგენლის პოსტი, რომელიც აყვანილია მინისტრის მოადგილის რანგში. „ამ თანამდებობის შემოღება რუსეთში მიუთითებს რუსეთის სურვილს გააძლიეროს მუშაობა კასპიისპირეთის სახელმწიფოებთან, გახადოს თავისი პოლიტიკა უფრო აქტიური და სრულყოფილი“ (ჟილცოვი... 2003: 80).

90-იანი წლების შუა ხანებში რეგიონთან მიმართებაში გაიმართა დისკუსია ორი საკითხის გარშემო. ესენი იყო (1) კასპის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა და (2) რეგიონის კუთვნილი ენერგორესურსების ტრანსპორტირების გზები. „აქტიური დისკუსიები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 90-იანი წლების შუახანებში კასპიის ენერგორესურსების ტრანსპორტირების გარშემო, აიხსნება იმით, რომ მილსადენები წარმოადგენს ეფექტიანი და ხანგრძლივი გავლენის ინსტრუმენტს როგორც ცალკე აღებულ კასპიის სახელმწიფოზე, ასევე რეგიონზე მთლიანად“ (ჟილცოვი... 2003: 110).

უკვე 1994 წელს ქლინტონის ადმინისტრაციაში შეიქმნა საქვეუწყებო მუშა ჯგუფი, რომელსაც დაევალა კასპიის რეგიონთან პოლიტიკის შემუშავება. მასში გაერთიანდნენ წარმომადგენლები სახელმწიფო დეპარტამენტიდან, ენერგეტიკის სამინისტროდან, ვაჭრობის სამინისტროდან, ცენტრალური დაზვერვის სამმართველოდან და ეროვნული უშიშროების საბჭოდან. როგორც ვ. შოროხოვა აღნიშნა: „1994 წლიდან მოყოლებული აშშ და სხვა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები სულ უფრო მეტად შორდებოდნენ თავიანთ რუსოცენტრისტულ პოლიტიკას და გადაიხარნენ ყოფილი სსრკ-ის შემადგენლობაში გაერთიანებული რესპუბლიკების პოლიტიკურ და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მხარდაჭერისკენ“ (ჟილცოვი... 2003: 209).*

1995 წელს ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანმა ნავთობკომპანიებმა ვაშინგტონში ჩამოაყალიბეს საზღვარგარეთული ნავთობკომპანიების კერძო

* რაც შეეხება აშშ-ის მთავრობის მიერ 90-იანი წლების პირველ ნახევარში წარმოებულ რუსოცენტრისტულ პოლიტიკას ჩვენ საუბარი ზემოთ გვქონდა. აგრეთვე დასკვნაშიც შევეხებით.

ჯგუფი, რომლის მიზანიც იყო კასპიის რეგიონთან ეკონომიკური თანამშრომლობა. დ. ევგინის თქმით, „აშშ-ის პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება რეგიონში შესვლასა და განმტკიცების მხრივ გახდა ორმხრივი თანამშრომლობა ერთი მხრივ, აშშ-სა და უშუალოდ კასპიისპირა სახელმწიფოებს, რომელთაც აქვთ პირდაპირი გასასვლელი კასპიის ზღვაზე, და მეორე მხრივ, აშშ-სა და იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც მათ ესაზღვრებიან. ამ უკანასკნელთა შორის მნიშვნელოვანია საქართველო, რომელსაც, მართალია, არა აქვს პირდაპირი გასასვლელი კასპიის ზღვაზე, მაგრამ უკავია მეტად ხელსაყრელი სატრანზიტო გეოგრაფიული მდებარეობა“ (ჟილცოვი... 2003: 205).

1996 წელს დსთ-თან კავშირის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოადგილემ, ჯ. კოლინზმა ამიერკავკასიაში ვიზიტის დროს აზერბაიჯანის პრეზიდენტს, პ. ალიევს გადასცა პრეზიდენტი ბ. ქლინტონის წერილი, რომელშიც ვაშინგტონი ბაქოს ნავთობის მოპოვებასა და ტრანსპორტირების საქმეში თანამშრომლობისაკენ მოუწოდებდა.

მოგვიანებით, 1997 წლიდან ბ. ქლინტონის ადმინისტრაცია ღიად ჩაება რეგიონის გარშემო მიმდინარე დისკუსიაში. ბ. ქლინტონის პრეზიდენტობის მეორე ვადის პერიოდში (1997-2001) რეგიონი გამოცხადდა ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად. დაიწყო აქცენტის გაკეთება კასპიის ზღვის აუზში არსებული ენერგორესურსების სიდიდეს კვლევასა და მისი დასავლეთში ტრანსპორტირების გზების ძიებასთან დაკავშირებული პროექტების შექმნაზე. პრეზიდენტი ქლინტონის ასეთ პოლიტიკურ მეტამორფოზას რუსი მეცნიერები ხსნიან იმით, რომ „სსრკ-ის დაშლის შემდეგ... აშშ მართლებურად მიიჩნევდა, რომ ცენტრალური აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნები ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ რუსეთის გავლენის სფეროში... და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც გამოჩნდა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა ამ რეგიონთან მიმართებაში სუსტი იყო, ხოლო ამიერკავკასიისა და შუა აზიის ქვეყნები კი ეძებდნენ კავშირებს დასავლეთთან, აშშ-მა დაიწყო რეგიონთან უფრო დაბალანსებული და ხანგრძლივი პოლიტიკის შემუშავება. მაგრამ ამასთან ურთიერთობას მოსკოვთან ვაშინგტონი განიხილავდა, როგორც რეგიონის ერთ-ერთი თანასწორუფლებიან (რასაც რუსეთზე ვერასოდეს ვიტყვით – ს.ე) სახელმწიფოსთან“ (ჟილცოვი... 2003: 207). მეცნიერების ამ მოსაზრებას ჩვენც მართებულად მივიჩნევთ.

1997 წლის დეკემბერში ს. ტელბოტმა განაცხადა, რომ „აშშ-ის რუსეთთან ურთიერთობის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ხელსაყრელი პოლიტიკური გარემოს შექმნა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოზიტიური კონტაქტების დამყარება და

სტიმულების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს რუსეთის სვლას დემოკრატიის გზაზე“ («НГ» 1997: 5).

ამავე წელს აშშ-ის კონგრესის მიერ შეტანილ იქნა კანონპროექტი, რომელიც მოიცავდა ურთიერთობების კომპლექსურ პროგრამას რეგიონის ქვეყნებთან მიმართებაში.

მაშინ, როდესაც რუსეთის მხარე კასპიის რეგიონში შემავალი სახელმწიფოებისადმი მეტ-ნაკლები აგრესიულობით გამოდიოდა, აშშ-მა ხელი შეუწყო რეგიონში დასავლური კაპიტალის შემოდინებას. ამან კი თავის მხრივ, კიდევ უფრო შეუწყო ხელი დასავლეთზე ორიენტირებული სატრანზიტო მარშრუტის დამტკიცებას.

სულ 1992-1997 წწ. აშშ-ის ფინანსურმა დახმარებამ რეგიონისადმი 3,1 მილიარდი დოლარი შეადგინა.

ჩვენ სრულიად ვიზიარებთ მ. ჩუმალოვის შეხედულებას აშშ-ის რეგიონში ინტერესების გამო, რომელიც ადგენს შემდეგ პუნქტებს:

- 1) პრინციპულად ახალი სატრანსპორტო კორიდორის შექმნა ცენტრალური აზიიდან ევროპისაკენ;
- 2) რეგიონის ენერგორესურსებზე კონტროლი მნიშვნელოვნად გაუადვილებს აშშ-ს დაამყაროს პოლიტიკური კონტროლი პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე;
- 3) აშშ მიიღწვის თავისი სტრატეგიული მოკავშირის – თურქეთის უფრო მჭიდროდ დაკავშირებას ევროპასთან;
- 4) დასავლეთის კორიდორი მოკვეთს ირანს ცენტრალური აზიისა და რუსეთისაგან და დაბლოკავს ირანის მცდელობას გაარღვიოს საერთაშორისო იზოლაცია (ჩუმალოვი 1999: 188).

აშშ-ის მხრიდან რეგიონისადმი ინტერესის გაზრდამ ხელი შეუწყო რუსეთის საგარეო პოლიტიკის კორექტივას ამ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში. ჯერ კიდევ 1995 წელს რუსეთის პრეზიდენტმა, ბ. ელცინმა გამოსცა ბრძანებულება №940 (14 სექტემბერი), რომლითაც განისაზღვრა რფ-ის სტრატეგიული კურსი რეგიონთან მიმართებაში. კერძოდ მასში ნათქვამია, რომ დსთ-ის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მოქცეულია რუსეთის მთავარი სასიცოცხლო ინტერესები ეკონომიკის, თავდაცვის, უსაფრთხოებისა და რუსული ეთნოსის წარმომადგენელთა უფლებების დაცვის სფეროში.

ვინაიდან რუსეთი პირდაპირ დადგა კასპიისპირეთში გავლენის დაკარგვის საფრთხის წინაშე და ამ დროს დასავლეთის მხრიდან კი აქტიურად

მუშავდებოდა პროექტები რეგიონში არსებული რესურსების გადატანის გზებზე, რუსეთის მიზანი გახდა ენერგომატარებლების ტრანსპორტირება მხოლოდ რუსეთის ტერიტორიის გამოყენებით და წამოაყენა კიდევ მარშრუტის ორი ვარიანტი: (I) ბაქო-ნოვოროსიისკის და (II) თენგიზ-ნოვოროსიისკის მიმართულებით. ორივე შემთხვევაში რუსეთი ნახულობდა მოგებას იმ მხრივ, რომ აძლიერებდა საკუთარ პოზიციებს რეგიონში.

პარალელურად აშშ-ის მხარე და დასავლეთი მხარს უჭერდნენ ბაქო-ჯეიჰანის პროექტს. „ბრძოლა კასპიის რეგიონიდან ნავთობის ტრანსპორტირების გზების გარშემო ერთი მხრივ რუსეთსა და, მეორე მხრივ, თურქეთს, აზერბაიჯანსა და აშშ-ს შორის წარმოადგენდა არა იმდენად მეტოქეობას მოგების წყაროს გამო, ...რამდენადაც ბრძოლას რეგიონში გეოპოლიტიკური გავლენისათვის“ (ჟილცოვი... 2003: 113).

1996 წლის მარტში ხელი მოეწერა 3 შეთანხმებას 1) საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ნავთობსადენის საქართველოზე გატარების შესახებ, 2) ბაქო-სუფსის მშენებლობასა და 3) მის ექსპლუატაციას.

აშშ-ის ენერჯეტიკის მინისტრმა ბ. რიჩარდსონმა შეთანხმებას ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტის შესახებ „აშშ-ის უმნიშვნელოვანესი მიღწევა“ უწოდა. მოგვიანებით 1999 წ. ეუთო-ს სტამბოლის შეხვედრაზე ხელშეკრულებას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობის შესახებ შეუერთდნენ აშშ და თურქეთი. იმას, რომ აშშ მეტად დაინტერესებულია კასპიის აუზის ენერგორესურსებით მოწმობს ისიც, რომ საკითხის პატრონაჟი აღებული აქვს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს, სადაც შემოდებულია სპეციალური თანამდებობაც „აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი კასპიის ენერგორესურსების საკითხებში“.

საბოლოო ჯამში, კასპიის რეგიონის გარშემო დასავლეთისა და რუსეთის პაექრობის შედეგად მივიღეთ ის, რომ ნავთობსადენთან დაკავშირებით გაიმარჯვა დასავლურმა პროექტებმა, გაზისაზე კი რუსეთმა.

რუსი მეცნიერების აღიარებით, „უდაოდ სტრატეგიული როლი ნავთობსადენი ბაქო-ჯეიჰანის მშენებლობაში ეკუთვნის საქართველოს, რომლის ტერიტორიაზეც უნდა გაიაროს კასპიის რეგიონის ენერგორესურსების ძირითადმა ნაწილმა. საქართველო წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს რეგიონალ პოლიტიკაში მხოლოდ თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის წყალობით“ (ჟილცოვი... 2003: 117). აშშ-ის შესახებ კი ცინიკურად აღნიშნავენ, რომ „ეს არის ქლინტონის ადმინისტრაციის ერთადერთი

მსხვილი წარმატება უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში“ (ჟილცოვი... 2003: 130). მათი განცხადებით, ეს არაფერია იმ წარმატებების ფონზე, რასაც მიაღწია რუსეთმა რეგიონში თენგიზ-ნოვოროსიისკის ნავთობსადენის პროექტის დამტკიცებით (ჟილცოვი... 2003: 130).

მაგრამ რუსეთი ამ გამარჯვებით როდი შემოიფარგლა. მან პარალელურად თანხმობა მიიღო თურქეთისგან პროექტის „ცისფერი ნაკადის“ რეალიზაციისათვის, რომელმაც არსებითად შეამცირა დასავლეთის ორი სხვა პროექტის (*თურქმენული გაზის კასპიისპირეთის გაზსადენისა და აზერბაიჯანული გაზის შაჰ-დენიზიდან თურქეთსა და შემდეგ ევროპაში გატანის შესახებ*) მნიშვნელობა. რუსეთის მხარის მტკიცებით, „რუსეთის წარმატებები კასპიის რეგიონში წარმოადგენს ამერიკული მილსადენების სტრატეგიის მარცხს მთლიანად ამიერკავკასიასა და ცენტრალურ აზიაში...რუსული პროექტების – „ცისფერი ნაკადი“ და თენგიზ-ნოვოროსიისკის რეალიზაცია ხელს შეუწყობს კასპიისპირა სახელმწიფოების მოხვედრას რუსეთის გავლენის სფეროში და აქედან გამომდინარე ევროპასა და აშშ-ში რეგიონის ენერგორესურსების ტრანსპორტირების პოლიტიკურ კონტროლს“ (ჟილცოვი... 2003: 131).

ასეთი ვითარება იყო შექმნილი რეგიონთან მიმართებაში 1997 წელს. ახლა კი უშუალოდ საქართველოს დავუბრუნდეთ.

მიუხედავად დაძაბული ურთიერთობისა რუსეთის ფედერაციასა და ზოგიერთ მის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკას შორის, 1997 წლის 17 იანვარს ქ. მოსკოვში გაიხსნა დსთ-ის მეთვალყურეთა საბჭოს მორიგი სხდომა, რომელზედაც ყურადღება გამახვილდა ეკონომიკურ თანამშრომლობაზე ორგანიზაციაში შემავალ წევრ-ქვეყნებს შორის. რეალურად კი ახლად შემოთავაზებული კონცეფცია ისახავდა მათ უფრო მჭიდრო ეკონომიკურ ინტეგრაციას კრემლის გარშემო (სიტაია 1997: 1-3). კონცეფციაში ჩამოყალიბდა „ინტეგრაციის ძირითადი ეტაპები“, როგორებიცაა ერთიანი საგადასახადო კავშირის, შრომის ერთიანი ბაზრის, სამეცნიერო ტექნოლოგიური, საინვესტიციო და საინფორმაციო სივრცის შექმნა, საბაჟო კავშირის განვითარება, აგრეთვე მცირე საწარმოთა მხარდაჭერა; ურთიერთთანამშრომლობა ისეთ სფეროებში როგორცაა ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, თავდაცვისა და მსუბუქი მრეწველობა, მეტალურგია, სოციალური პოლიტიკა, ეკოლოგია, განსაკუთრებული სიტუაციების ლიკვიდაცია, თანამშრომლობა აგროსამრეწველო კომპლექსებს შორის და ა.შ.

საქართველომ უზბეკეთის, აზერბაიჯანისა და თურქმენეთის მსგავსად უარყო კრემლის მიერ შემოთავაზებული აღნიშნული კონცეფცია. ე. სიტაიას თქმით, „შესაძლოა ამ ქვეყნების სახელმწიფო მინისტრებს შეეშინდათ კონცეფციით შემოთავაზებული იდეის – ზეეროვნული (ზოგ შემთხვევაში მას რუსული მხარე ზესახელმწიფოებრივსაც უწოდებდა) ორგანოს – შექმნის განხორციელებისა“ (სიტაია 1997: 1-3; ვოლკოვა 1997: 1; ლიაპოროვი 1997: 3; ბროლაძე 1997: 3; ტიმოშენკო 1997: 3). ამის შესახებ მ. ნათმელაძე და ა. დაუშვილი წერენ: „რაც დრო გადიოდა რუსეთის მხარე ცდილობდა დსთ-ის ორგანიზაცია გადაექცია ხან კოლექტიური უსაფრთხოების კავშირად (ანუ სამხედრო ბლოკად), ხანაც მისი ეგიდით შეექმნა ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურები. საქართველოს წარმომადგენლები მუდამ დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ რუსეთის მხარის ყველა ასეთ ინიციატივას“ (ნათმელაძე... 2004: 450).

აღნიშნული შეხვედრის დროს საქართველომ ხელი არ მოაწერა 5 დოკუმენტს (შემოთავაზებული 18-დან). საქართველოს იმდროინდელი სახელმწიფო მინისტრის, ნ. ლეკიშვილის განმარტებით, დსთ-ის სივრცეში სხვადასხვა დონეზე მიღებული 700 დოკუმენტიდან საქართველომ ხელი არ მოაწერა 200. მაგალითად, (1) საქართველო არ შეუერთდა საბაჟო კავშირს. ექსპერტთა განცხადებით, მოსკოვის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი საქართველოს მოუტანდა ყოველწლიურად მინიმუმ 200 მილიონი დოლარის დანაკარგს, მაშინ როდესაც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით მას, როგორც სატრანზიტო ქვეყანას, აქვს გასასვლელები ყველა მიმართულებით, მათ შორის პორტების მეშვეობითაც; (2) საქართველომ უარყო დსთ-ის სივრცეში ერთიანი საგადასახადო კავშირისა და სატრანსპორტო ტარიფების შექმნის იდეა. ამ შემთხვევაშიც, ექსპერტთა გაანგარიშებით, საქართველო კავშირთან მიერთების შემთხვევაში ფინანსური თვალსაზრისით ბევრად იზარალებდა.

ნ. ლეკიშვილისავე თქმით, ზესახელმწიფოებრივი ორგანოს შექმნის ისეთი ვარიანტი, რომელიც არ გაითვალისწინებდა მასში შემავალი წევრი-სახელმწიფოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ტერიტორიულ და სხვა თავისებურებებს, არა მხოლოდ სრულიად გაუმართლებელი, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში საზიანოც კი იქნებოდა (ბროლაძე 1997: 3).

ამავე დროს აზერბაიჯანის პრეზიდენტი, ჰ. ალიევი აცხადებს, რომ მიუხედავად დიდი გავლენისა სომხეთსა და აზერბაიჯანზე, რუსეთი არ იყენებს ყველა მის ხელთ არსებულ შესაძლებლობას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის

გადასაჭრელად. მისი აზრით, რუსეთს შეუძლია მარტომ, მინსკის ჯგუფის გარეშე, თავად გადაჭრას ეს პრობლემა, მაგრამ რომელიღაცა ძალები რუსეთში ხელს უშლიან. ალიევის თქმით, ელცინთან და პრიმაკოვთან შეხვედრის შემდეგ მას რაღაც იმედი ჩაესახა, მაგრამ, სამწუხაროდ, „საგაზეთო დეკლარაციების“ გარდა ამ შეხვედრას არაფერი მოუტანია. აქვე მან აღნიშნა, რომ სურს რუსეთი იხილოს დემოკრატიული, თავისუფალი, იმპერიული პრეტენზიების გარეშე, რომელიც დაამყარებს თანასწორუფლებიან ურთიერთობებს დსთ-ში შემავალ ყველა ქვეყანასთან (ბანგერსკი 1997: 3).

პარალელურად რუსეთისაგან ზეწოლაზე განცხადებას აკეთებს უკრაინის პრეზიდენტი ლ. კუჩმაც და აღნიშნავს, რომ ოფიციალური კიევი, მიუხედავად იმისა, აწყობს თუ არა ეს კრემლს, მაინც მოაწერს ხელს NATO-თან ხელშეკრულებას, და რომ რუსმა პოლიტიკოსებმა არ უნდა გადაიტანონ თავიანთი შიდაპოლიტიკური პრობლემები უკრაინის ტერიტორიაზე (კაპუსტინი 1997: 3).

ზემო ორი მაგალითი მოვიყვანეთ იმისათვის, რომ დავინახოთ რუსეთის იმპერიული მისწრაფებები სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებზე, რომ არ იყოს ილუზია იმისა, რომ რუსეთი მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობას ებრძვის.

ამავე პერიოდში იწყება ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის (NATO) დაინტერესების გაზრდა სამხრეთ კავკასიის რეგიონთან (*უკრაინასა და შუა აზიის ქვეყნებთან ერთად*) მიმართებაში, რაც პირდაპირ ემთხვევა აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის წამყვანი სახელმწიფოების ინტერესის გაზრდას კასპიის ენერჯო რესურსებისადმი (ბუეზინსკი 2003: 127).*

რაღა თქმა უნდა, ჩვენ ერთმანეთში არ უნდა ავუროთ აშშ და ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაცია და შესაბამისად მათთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობებიც, ვინაიდან აღნიშნულ ორგანიზაციაში აშშ-ის ჩათვლით

* ურთიერთობებს NATO-სა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს (საქართველო და აზერბაიჯანი) შორის საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1990 წელს, როდესაც განიხილებოდა ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებაზე. მაშინ რუსეთმა ეს ხელშეკრულება უტიფრად დაარღვია, როდესაც სომხეთს გადასცა სამხედრო ტექნიკა. მაგრამ იმ პერიოდში განვითარებული მოვლენების გამო (ამაზე ჩვენ საუბარი გვქონდა პირველ თავში) რუსეთის ეს მოქმედება რეაგირების გარეშე დარჩა. მოგვიანებით, 1994 წ. იანვარში ორგანიზაციის მიერ შემუშავდა ახალი პროექტი „პარტნიორობა მშვიდობისათვის“; რომელიც უნდა გამხდარიყო მთავარი ინსტრუმენტი NATO-სა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის თანამშრომლობის საქმეში. ამასთან დაკავშირებით, იმავე წლის 11 აპრილს პარლამენტის თავმჯდომარემ ე. შევარდნაძემ გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც, უნდა შექმნილიყო სახელმწიფო კომისია, რომელსაც დაევადა აღნიშნული პროექტის ფარგლებში თანამშრომლობის პერსპექტივების შემუშავება.

იმხანად შედიოდა 19 სახელმწიფო, მაგრამ მიგვაჩნია, რომ, გამომდინარე აშშ-ის გაზრდილი როლისა (რომელიც დღემდე „ზესახელმწიფო“ სტატუსის მქონეა) საერთაშორისო ურთიერთობებში, აშშ-ს აქვთ განსაკუთრებული გავლენა თავიანთ NATO-ელ პარტნიორებზე, რაც არა ერთხელ დამტკიცდა ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების მსვლელობაში. აშშ კი, ზ. ბუჟინსკის თქმით, არის ქვეყანა, რომელიც მოქმედებს თავისი შეხედულებებით.

სწორედ 1997 წელი გახდა „შემობრუნების ხანა“ NATO-სა და რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობაში. ფ. კუნეს მოსაზრებით, შეცდომა იქნებოდა ყველაფრის დაყვანა „ნავთობამდე“. სინამდვილეში, რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობისა და კასპიის ზღვის აუზის ენერგორესურსებისადმი სულ უფრო მზარდი მნიშვნელობის ერთობლიობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ევროპის უსაფრთხოებისათვის სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას (კუნე 2003: 13-15). ამ მოსაზრებას ჩვენც სიამოვნებით ვიზიარებთ. იგი გამოყოფს 5 ძირითად პუნქტს, რის გამოც ორგანიზაციას აინტერესებს სამხრეთ კავკასია, ესენია:

- 1) რეგიონის გეოგრაფიული და სტრატეგიული მდებარეობა;
- 2) რეგიონის როლი ევროპის უსაფრთხოებაში;
- 3) კასპიის ზღვის აუზის ენერგორესურსების გამოყენება;
- 4) მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- 5) რეგიონში ერთი რომელიმე სახელმწიფოს ბატონობის არ დაშვება (კუნე 2003: 14).

რუსი სამხედრო ანალიტიკოსი, ი. კოპსუკი ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის იმუაშინდელი გენერალური მდივნის, ხ. სოლანას ვიზიტს ამიერკავკასიაში ხსნის ბლოკის მხრიდან რუსეთის შევიწროების მცდელობად არა მხოლოდ დასავლეთიდან, არამედ სამხრეთიდანაც.

ხ. სოლანას ვიზიტის საპასუხოდ ი. რიკინმა (იმ პერიოდში წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციის მთავრობის ერთ-ერთ უმაღლეს პირს, რომლის დაქვემდებარებაშიც იყო სახელმწიფოს უსაფრთხოება, პარალელურად ეკავა დსთ-ის საკითხებში რფ-ის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა) განაცხადა, რომ „რუსეთს პირველს შეუძლია გამოიყენოს ბირთვული შეიარაღება“ (კოპსუკი 1997: 3). ამას კი თავის მხრივ მოჰყვა გენერალი ი. როდიონოვის (რფ-ის თავდაცვის მინისტრი) მრავალჯერადი

განცხადება იმის თაობაზე, რომ „გრძელდება მართვის სისტემებისა და სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების ტექნიკური მომსახურების ფუნქციონირების მწყობრიდან გამოსვლა“ (კოპსუკი 1997: 3). ეს კი იყო იმის გადაკვრით თქმა, რომ შესაძლებელი იყო ამ მოშლილ სისტემას „დალაუნებურად“ გამოეწვია რაიმე უბედურება.

ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა დასავლეთის დიპლომატიური წრეების წარმომადგენელთა (*გერმანიისა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრების და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის*) ვიზიტები მოსკოვში. კრემლმა მ. ოლბრაიტთან მოლაპარაკებების დროს მიაღწია დათმობებს რიგ შემთხვევებში, მაგალითად:

- 1) NATO-ს მხრიდან ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ცალმხრივად შემცირება;
- 2) NATO-რუსეთის შერეული ჯგუფის შექმნა სამშვიდობო ფუნქციების დამყარებაში;
- 3) რუსეთთან განსაკუთრებული შეთანხმების დადება;
- 4) შეიქმნა NATO-რუსეთის ერთობლივი მუდმივმოქმედი საბჭო.

მაგრამ დასავლეთის მხრიდან დათმობების მიუხედავად, აღნიშნული ინიციატივები მაინც არ შეესაბამებოდა კრემლის მადას. საქართველოსა და აზერბაიჯანის ალიანსი NATO-სთან მიმართებაში მოიაზრებოდა რუსეთის საზიანოდ, რომლის მიზანიც იყო (1) აზერბაიჯანული ნავთობის გატარება საქართველოს ტერიტორიაზე გავლით შავი ზღვის პორტებში და შემდეგ დასავლეთში (კოპსუკი 1997: 3) და (2) რუსეთის შევიწროება სამხრეთიდან.

რფ-ის მეცნიერებათა აკადემიის აშშ-ისა და კანადის ისტორიის დირექტორის, ს. როგოვის აზრით, ოფიციალურმა მოსკოვმა კარგად იცის, რომ უსაფრთხოება არ შემოიფარგლება სამხედრო საკითხებით და, უფრო მეტიც, ისინი არ არის მთავარი. თუ NATO გახდება ძირითადი ორგანიზაცია ევროპული უსაფრთხოების სფეროში, ევროკავშირი კი მნიშვნელოვანი ორგანიზაცია ეკონომიკის განვითარებასა და ეკონომიკურ უსაფრთხოებაში, მაშინ რუსეთი აღმოჩნდება თამაშგარე მდგომარეობაში გადაწყვეტილებების მიღების მხრივ როგორც სამხედრო-პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ საკითხებში. უსათუოდ რუსეთთან განაგრძობენ კონსულტაციებს, რუსეთს მიაწოდებენ ინფორმაციას, მაგრამ რუსეთს არ ექნება ხმის უფლება (ნეზავისიმაია გაზეტა №47, 1997: 5).

ჩვენ ვიზიარებთ ფ. კუნეს აზრს და აღვნიშნავთ, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები თავის მხრივ ჩრდილო-ატლანტიკურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ცდილობენ:

(1) საკუთარი სამხედრო ძალების რეორგანიზაციას და NATO-ს სტანდარტებით უსაფრთხოების სისტემების შექმნას;

(2) რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარებას (კუნე 2003: 29-30).;

(3) აღნიშნულის გარდა, რეგიონში შემავალი ქვეყნების სურვილია რეალური დამოუკიდებლობის მოპოვება ჩრდილოეთელი მეზობლისაგან;

(4) აღნიშნულის გარდა, რფ თავისი აგრესიული პოლიტიკის წყალობით ახდენს რეგიონის ქვეყნების უდრო დაახლოებას (*შეძლების ფარგლებში*) ალიანსთან;

ამასობაში, აშშ-თან ურთიერთობების მხარდი პერსპექტივით შეგულიანებულმა საქართველოს პარლამენტმა 30 მაისს მიიღო ახალი დადგენილება დსთ-ის ეგიდით აფხაზეთში მყოფი რფ-ის შეიარაღებული ძალების შემდგომი ყოფნის შესახებ. პარლამენტის თავმჯდომარემ, ზ. ჟვანიამ განაცხადა: „დღეს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მყოფი სამშვიდობო ძალები სრული სტაგნაციის მდგომარეობაში არიან. პრაქტიკულად ჩაშლილია დგენილებისა და ლტოლვილების დაბრუნების პროცესისათვის ყველანაირი მექანიზმისა და პირობების შექმნა, რასაც ითვალისწინებდა თანამეგობრობის ქვეყნების სახელმწიფოების მეთაურთა 28 მარტის (1997 წლის-ს.გ) შეხვედრის გადაწყვეტილება“ (საქართველოს რესპუბლიკა 1997: 1). ამიტომ საქართველოს პარლამენტმა დაადგინა: 1997 წლის 31 ივლისამდე დსთ-ის წევრ სახელმწიფოთა მეთაურთა 1997 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებათა საბოლოო შეუსრულებლობის და კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში არსებითი პროგრესის მიუღწევლობის შემთხვევაში მიზანშეუწონლად იქნას მიჩნეული აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დსთ-ის ეგიდით მყოფი რფ-ის შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში გამოყენება და 1 აგვისტოდან დაიწყოს მათი კონფლიქტის ზონიდან გაყვანის პროცესი.

ანალოგიური პოზიცია იყო დაფიქსირებული პრეზიდენტი ე. შევარდნაძის 27 მაისის გამოსვლაში პარლამენტის პლენარულ სხდომაზე (საქართველოს რესპუბლიკა. № 124, 1997: 1.)

მაგრამ, სამწუხაროდ, 1997 წლის 31 ივლისისათვის, როდესაც აფხაზეთის ტერიტორიაზე რუს სამშვიდობოებს თავიანთი მანდატი ეწურებოდათ, აფხაზეთის ტერიტორიაზე არც დასავლეთი ევროპა და არც აშშ არ იყო მზად მათ

ჩასანაცვლებლად საპოლიციო ძალების გამოსაგზავნად. ამიტომ იგი შემოიფარგლა მშრალი განცხადებით, რომ შეისწავლიდა რუსეთის ცისფერი ჩაფხუტების მრავალეროვნული კონტიგენტით შეცვლის შესაძლებლობას. (საქართველოს რესპუბლიკა 1997, №188: 1-2) კონკრეტული დაპირებები არ ყოფილა, რის გამო ოფიციალურმა თბილისმა რუსებს „სამშვიდობო“ მანდატი გაუგრძელა.

1997 წლის 17 ივლისს, საქართველოსა და აშშ-ს შორის ხელი მოეწერა ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივ დოკუმენტს, რომლითაც საქართველომ მტკიცედ დაუჭერა მხარი ეკონომიკურ რეფორმებს, აშშ-მა კი – საქართველოს გადაწყვეტილებას ეკონომიკური რეფორმების განსახორციელებლად ძალისხმევის გაძლიერებაში. აშშ-ის მხარემ აგრეთვე თანადგომა გამოთქვა მსხვილი და საშუალო საწარმოთა პრივატიზაციის პროცესის დასრულების ხელშეწყობაში, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის პრივატიზაციაში, ინვესტიციებისათვის ხელშემწყობი გარემო პირობების შექმნაში, კაპიტალის ბაზრების განვითარების გეგმების შემუშავებაში. დოკუმენტის თანახმად აშშ-ის მხარემ მზადყოფნა გამოხატა საქართველოში ენერგოტექნიკის, ნავთობისა და გაზის სექტორებში უცხოური ინვესტიციებისა და მენეჯმენტის ნოუ-ჰაუს მოზიდვაში. საქართველოში აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოადგილის, მ. ადამსის თქმით, „აშშ-ს მიაჩნია, რომ ფოთის ნავსადგურის განვითარებისათვის აუცილებელია ახალი მნიშვნელოვანი ინვესტიციები. ხოლო თუ საქართველო გადაწყვეტს ფოთის ნავსადგურის აქციათა სულ მცირე 51%-ის პრივატიზაციას, აშშ დაეხმარება მას პრივატიზაციის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში. აშშ დაეხმარება საქართველოს განავითაროს კაპიტალის ბაზრისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა და ინფრასტრუქტურა, შექმნას დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს კაპიტალის ბაზარს. აშშ აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას... აშშ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით გააგრძელებს დახმარებას და კონსულტაციას ახალი საგადასახადო კოდექსის განხორციელებაში, კონსულტაციებს გაუწევს ისეთ საკითხებში, როგორც არის ბიუჯეტის რეფორმირება და შესრულება, სამთავრობო ფასიანი ქაღალდების მიმოქცევაში გამოშვება და ვაჭრობა. აშშ-სა და საქართველოს მიაჩნიათ, რომ აუცილებელია ახალი მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვა, რათა საქართველოში შეიცვალოს და განახლდეს ქარხნები, მოწყობილობა და ინფრასტრუქტურა... აშშ მხარს უჭერს საქართველოს ძალისხმევას მოზიდოს უცხოური

ინვესტიციები რამდენიმე მნიშვნელოვანი გზით, მათ შორის, კასპიის ნავთობის სატრანსპორტო გზების განვითარების მეოხებით. აშშ მიესალმება დასავლეთის მარშრუტით მილსადენის მშენებლობის დაწყებას ბაქოდან ნავთობის ექსპორტის ახალ ტერმინალამდე, რომელიც სუფსაში შენდება..., აშშ-ში ტრანსკავკასიური ფონდის დაფუძნება გამოცხადდა. მასში შევა 15 მლრდ. ამერიკული დოლარი მცირე და მიკროსაწარმოებისათვის. OPIC* კერძო ინვესტორებთან და ინვესტიციების საკითხებში პროფესიონალ მენეჯერებთან ერთად მუშაობს კავკასიის 45 მლნ. დოლარიანი საინვესტიციო ფონდის შექმნაზე. ფონდს ექნება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საწარმოების აქციები და ხელს შეუწყობს კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის განვითარებას. ამერიკელმა ინვესტორებმა დააზღვიეს 17 პროექტი, მათ შორის ტელეკომუნიკაციები, ტრანსპორტი, ფარმაკოლოგია, უძრავი ქონება, ნავთობისა და გაზის პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს საქართველოში 1 მლრდ დოლარზე მეტ პოტენციურ ინვესტიციასა და ექსპორტს. აშშ-ის ექსპორტ-იმპორტის ბანკი (EXIMBANK) აწარმოებს მოლაპარაკებას საქართველოსთან პროექტის ხელშეწყობ ხელშეკრულებებზე, რაც საშუალებას მისცემს ბანკს განიხილოს პროექტები, რომელიც ქვეყანას მყარი ვალუტის შემოსავალს მისცემს. აშშ ვაჭრობის განვითარების სააგენტო აფინანსებს რამოდენიმე პროექტს“ (ჯაფარიძე 1998: 2).

აგრეთვე აღნიშნა, რომ „იდგმება პრაქტიკული ნაბიჯები მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, ქარისა და მზის ენერჯის გამოყენების მიზნით“ (ჯაფარიძე 1998: 2).

1997 წელს ქლინტონის ადმინისტრაციამ საქართველოს გამოუყო 97 მილიონი დოლარი, რაზედაც ზ. უვანიამ აშშ-ში ვიზიტის დროს დიდი მადლობა გადაუხადა ამერიკის მხარეს და დასძინა, რომ „ეს ხდება მაშინ, როცა ზოგიერთი სხვა სახელმწიფო საქართველოსთან ურთიერთობებში მხოლოდ პროვოკაციებითა და დაძაბულობის ინსპირირებით მოქმედებს“ (საქართველოს რესპუბლიკა 1998: 1-2). რა თქმა უნდა, ეს მინიშნება რუსეთის ფედერაციას ეკუთვნოდა.

აღნიშნული ვიზიტის დროს სენატორებმა პირობა დადეს, რომ კიდევ უფრო გაზრდიდნენ საქართველოსათვის ეკონომიკურ დახმარებას, ვინაიდან, მათი თქმით, ეს იყო არა ჰუმანიტარული დახმარება, არამედ აშშ-ის პოლიტიკის სტრატეგია.

ივლისის თვეში საქართველოს სამთავრობო დელეგაცია პრეზიდენტი ე. შევარდნაძის მეთაურობით მიწვეული იყო ვაშინგტონში. შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე აშშ-ის შინაგანი ძალების გაერთიანებული შტაბის

* საზღვარგარეთული კერძო ინვესტიციების კოორპორაცია

უფროსმა, ჯ. შალიკაშვილმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებების დროს ყურადღება დაეთმო ისეთ საკითხებს, როგორცაა კავკასიაში სტაბილურობის მიღწევის მიზნით რეგიონული პრობლემების, მათ შორის, აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრის მექანიზმები.

ამავე ვიზიტის დროს პენტაგონში გაფორმდა შეთანხმება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობას. ე. შევარდნაძის განცხადებით, საქართველო ამერიკას ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტ ინტენსიურობას მიანიჭებდა.

ეხება რა გარდატეხას აშშ-ის პოლიტიკაში, ს. ცინცაძე წერს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტმა აშშ-ში საშუალება მისცა რუსეთის ხელისუფლებას „კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყვნენ აშშ-ისა და გაერო-ს სახით საერთაშორისო წრეების მზარდ პოზიტიურ დაინტერესებაში საქართველოთი და მთლიანად კავკასიით... 1992 წლის შემდეგ მოსკოვი არასოდეს მდგარა ასეთი უკომპრომისო ალტერნატივის პირისპირ: ან ერთხელ და სამუდამოდ თქვას უარი თავის კავკასიურ ინტერესებსა და ამბიციებზე ან მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი უნდა აამოქმედოს საპარატისტთა „მოსათვინიერებლად“ (ცინცაძე 1997: 2).

აშშ-ში პრეზიდენტის ვიზიტის დროს გადაწყდა აშშ-ის სენატორთა და კონგრესმენტთა გააქტიურება საქართველოსთან მიმართებაში. ამ გეგმის შედეგად უკვე აგვისტოს თვეში თბილისს საპასუხო ვიზიტით ეწვია აშშ-ის სენატორთა და კონგრესმენტთა მიერ შექმნილი მცირე ჯგუფი (*ს. კალაპანი, ჯ. მაკკეინი, ფ. გრემი, ჯ. ბ. პაჩისონი და სხვ.*). ვიზიტის დროს მათ განაცხადეს, რომ საქართველოს და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის განსაკუთრებული ურთიერთობა ჩამოყალიბდა, რის გამოც ისინი, კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო ოპერაციების, ექსპორტის, ფინანსებისა და მათთან დაკავშირებული პროგრამების ასიგნებათა ქვეკომიტეტის წევრები თბილისს ეწვივნენ. მათ აღნიშნეს საქართველოს განსაკუთრებული როლი კავკასიის რეგიონში. თქვენ ქვეყანას შეუძლია კატალიზატორის როლი შეასრულოს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების თვალსაზრისით – აღნიშნეს ვიზიტორებმა. სენატორმა ჩ. რობმა განაცხადა, რომ აშშ სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას ანიჭებს ურთიერთობებს კავკასიასთან და, კერძოდ, საქართველოსთან.

ვიზიტის დროს სტუმრები შეხვდნენ და პრეზიდენტ შევარდნაძესთან. მათი შეხვედრის საგანს წარმოადგენდა რეგიონული მნიშვნელობის ისეთი საკითხები,

როგორებიცაა: ა) ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობა; ბ) აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგება; გ) სამშვიდობო პროცესში დასავლეთის ქვეყნების, რუსეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციების უფრო აქტიური მონაწილეობის აუცილებლობა; დ) საქართველოს კონფლიქტური რეგიონების პოსტ-კონფლიქტური რეაბილიტაცია; ე) საქართველო-აშშ-ის ორმხრივი ურთიერთობა; ვ) რეგიონული და გლობალური პოლიტიკა.

აღნიშნულის გარდა, სენატორი ჩ. რობის განცხადებით, აშშ-ის სენატი განაგრძობდა საქართველოსათვის ისეთი დახმარების პროგრამის ჩამოყალიბებას, რომელშიც მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნებოდა საქართველოს მოთხოვნები და პრობლემები.

ამერიკელი სენატორის, მ. მაკკონელის თქმით, „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ ამერიკას დიდხანს არ ჰქონდა ჩამოყალიბებული პოლიტიკა, რაც იმის გამო მოხდა, რომ გარდაქმნის პროცესები მსოფლიოში ძალზე მოულოდნელად და სწრაფად წარიმართა. ამჟამად ამერიკამ უკვე განსაზღვრა თავისი პოლიტიკა, რის დასტურიც არის ის, რომ პირველად ბოლო 10 წლის მანძილზე სენატმა გაზარდა საერთაშორისო ასიგნებანი. სენატორის თქმით, მისი უმთავრესი მოვალეობა იყო ის, რომ ეს თანხები მიმართული ყოფილიყო ამერიკის სტრატეგიული ინტერესების სასარგებლოდ. ერთ-ერთი მნიშვნელოვან საკითხად მან კავკასიის სახელმწიფოებთან თანამშრომლობა დასახა. აქედან გამომდინარე, ამ სახელმწიფოებში, მათ შორის საქართველოში, მიმდინარე დემოკრატიული აღმშენებლობის ხელშეწყობის მიზნით შეერთებული შტატების მიერ გამოყოფილი თანხები, როგორც ამ ქვეყნების, ისე ამერიკის სტრატეგიული ინტერესების გადაწყვეტაზე იყო მიმართული. თუ აქამდე თქვენი დახმარება ჩვენს გადარჩენას ისახავდა მიზნად, ახლა მას უკვე საქართველოს განვითარებისათვის გაწეული დახმარება შეიძლება დავარქვათ – აღნიშნა მაკკონელმა.

პარალელურად, თბილისს სპეციალური დავალებით ეწვია პრეზიდენტი ბ. ქლინტონის კაბინეტის წევრი, გაერო-ში აშშ-ის მუდმივი წარმომადგენელი, ბ. რიჩარდსონი, რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მზად არის გააქტიუროს თავისი თანადგომა აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში. მისივე თქმით, აღსანიშნავი იყო ის ფაქტორი, რომ საქართველომ, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ფუნქცია

შეიძინა და დასავლეთისათვის უაღრესად დიდი ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესის ობიექტად იქცა. ჩვენი პოლიტიკა – თქვენი მხარდაჭერაა.

აღმოჩნდა რა რეგიონზე ზეგავლენის დაკარგვის საფრთხის წინაშე, რუსეთში აქტიურად დაიწყო სხვადასხვა პროექტების შემუშავება, რომელიც მიმართული იყო რუსეთის პოზიციების (პოლიტიკური და ეკონომიკური) გამყარებისკენ. ამ მიზნისაკენ სვლაში რუსეთის პოლიტიკური წრეებისათვის მნიშვნელოვანი შეიქნა ამიერკავკასიის, როგორც არასტაბილური და საფრთხეების შემცველი რეგიონის წარმოჩინება. სწორედ ამ მოტივით, 1997 წლის გაზაფხულზე კ. ზატულინის (*იმ ხანად კეავა რფ-ის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა*) ინიციატივით, ე.წ. ახლო საზღვარგარეთის ინსტიტუტმა “გამოაქვეყნა” საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც შეეხებოდა ამიერკავკასიაში მოვლენების შესაძლო განვითარებას. მასში რუსეთისათვის პოლიტიკურ კრახად შეფასდა ნავთობსადენის გავლა საქართველოს ტერიტორიაზე. ინსტიტუტის ექსპერტების აზრით, ეს საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ დივიდენტებს მოუტანდა, რაც საბოლოო ჯამში მას რუსეთის გავლენის სფეროდან საბოლოოდ გაიყვანდა. ექსპერტების მოსაზრებით, აუცილებელი იყო რუსეთს გამოეყენებინა თავისი ზეგავლენა კონფლიქტურ რეგიონებში, მაგალითად, სამხრეთ ოსეთისათვის მიენიჭებინა დამოუკიდებლობის სტატუსი შემდგომში რუსეთთან ინტეგრაციის მიზნით. ამას, რასაკვირველია, საქართველოს მხრიდან მოჰყვებოდა საომარი ოპერაციები, რომელიც განვითარებას ჰპოვებდა საქართველოს ტერიტორიაზე და მათ შორის იმ ადგილებში, სადაც ნავთობსადენები გადიან. ეს კი საქართველოს, როგორც ენერგეტიკული რესურსების სატრანზიტო ქვეყნის მიმართ დასავლეთის უნდობლობას გამოიწვევდა, რაც საბოლოოდ მოახდენდა პროექტის შეჩერებას (იაშვილი 1997: 3).

მეტიც, უკვე 1997 წელს, საგარეო დაზვერვის მიერ მოპოვებული მონაცემების მიხედვით, ცნობილი გახდა, რომ კრემლმა განიზრახა საქართველოს ხელისუფლების დამხობა მისდამი ლოიალური განწყობილი პირების ქვეყნის სათავეში მოყვანის მიზნით. 1997 წელს ასეთი ფავორიტი მოსკოვს ჰყავდა იგორ გიორგაძის, საქართველოს უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელის, სახით, რომელიც ე. შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტის ორგანიზებაში იყო ეჭვმიტანილი და თავს აფარებდა მოსკოვს (კალაძე 1997: 1-3) .

ჩვენ სრულიად ვიზიარებთ მ. ნათმელაძისა და ა. დაუშვილის განცხადებას იმის თაობაზე, რომ „რუსეთის შეშფოთება დასავლეთის აქტიურობით რეგიონში უკვე 1997 წელს გამოვლინდა. რუსეთის გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა ფარული დახმარებებით გააძლიერეს და გაათავსეს საქართველოში სეპარატისტები“ (ნათმელაძე... 2004: 376).

თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი, ლ. ჩიბიროვი კრემლისათვის მიუღებელი შეიქმნა და მალე კოკოთით ჩაანაცვლეს კიდევ, როდესაც განაცხადა, რომ „დიალოგი ქართველებსა და ოსებს შორის შეიძლება გაგრძელდეს როგორც შუამავლების მეშვეობით, ასევე მათ გარეშე“ (პლიევი 1997: 3). სამწუხაროდ მაშინ თბილისმა არ (თუ ვერ) გამოიყენა ჩიბიროვის ეს განცხადება, რაც ჩვენი მხრიდან დაშვებული შეცდომების ნუსხაში შევა.

ნოემბრის თვეში გამართულ დსთ-ის კომინოვის სამიტზე ჩერნომირდინმა დაუშვებლად მიიჩნია ეკონომიკური ბლოკადა აფხაზეთთან. სამიტზე, რა თქმა უნდა, რუსეთის ინიციატივით, საქართველოს ხელისუფლების თანხმობის გარეშე გადაწყდა მდ. ფსოუზე გამავალ საზღვარზე სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმების შეცვლის ღონისძიებები, მაგალითად, რფ-ის 1997 წლის 7 ნოემბრის №1397 დადგენილების მიღება, რომლის თანახმადაც რფ-ის შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს აფხაზეთიდან ციტრუსებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გატანის უფლება მიეცათ (საქართველოს რესპუბლიკა 1997, № 290: 1-2). მაშინ ე. შევარდნაძემ სამიტზე დაგმო რუსეთის სახელისუფლებო წრეების წარმომადგენელთა ეს გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ კრემლში დაწყებული აჟიოტაჟი აშშ-ის მხრიდან კასპისპირეთის ენერგორესურსებისადმი გაზრდილ ინტერესებს უკავშირდებოდა.

ამასობაში, ნოემბრის მეორე ნახევარში, ვაშინგტონში ჩატარდა კონფერენცია სახელწოდებით, „კასპიის ნავთობსადენები – გასაღები ნავთობის ახალი ციებ-ცხელებისაკენ“. დამსწრეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა კასპიის დიდი ნავთობის დასავლეთის მარშრუტით ტრანსპორტირებას. ამერიკელ სენატორთა დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, ძლიერი სომხური ლობის ზეწოლით, მხარს უჭერდა ნავთობსადენის გავლას სომხეთის ტერიტორიაზე, მაგრამ ეს სტრატეგიული თვალსაზრისით წამგებიანი იყო, ვინაიდან: (1) სომხეთი არის რუსეთის მოკავშირე ქვეყანა ამიერკავკასიაში, და მასზე მიღსადენების აშენება რეგიონში რუსული პოზიციების გაძლიერებას გამოიწვევს; (2) სომხეთს არა აქვს პირდაპირი გასასვლელი შავ ზღვაზე, რის გამოც საჭირო იქნება სომხური

მილსადენის გაგრძელება თურქეთის ტერიტორიაზე, მათ კი ერთმანეთთან, რბილად რომ ვთქვათ, ცუდი ურთიერთობა აქვთ. ამიტომ ეს მოსაზრება თავიდანვე მკერადშობილი აღმოჩნდა.

იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობების განვითარების შკალა, ჩვენს მიერ დასახული განსახილველი პერიოდის ჩარჩოს ერთი წლით გავასწრებთ და აღვნიშნავთ, რომ უკვე 1998 წელს, როდესაც ზედიზედ მოხდა თავდასხმა ჯერ აზერბაიჯანის პრეზიდენტ ჰ. ალიევზე (2 თებერვალი, 1998) და შემდეგ საქართველოს პრეზიდენტ ე. შევარდნაძეზე (9 თებერვალი, 1998)* აშშ-ის სენატმა რამდენიმე მოხსენება დაუთმო ამიერკავკასიაში განვითარებულ მოვლენებს. გამოსვლათა შორის აღსანიშნავია სენატორ ს. ბრაუნბეკის სიტყვა: „ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ, შესაძლოა, ეს ორი ლაჩრული აქტი კავკასიაში დესტაბილიზაციის იმ გეგმის შემადგენელი ნაწილი იყოს, რომელიც მიზნად ისახავს ამერიკულ და სხვა ინვესტორთა დაშინებას, რომელთაც სურთ კასპის უდიდესი ენერგოშემცველების დასავლეთში, საერთაშორისო ბაზარზე გატანა“ (საქართველოს რესპუბლიკა, № 45, 1998: 2), ხოლო იმაზე, თუ ვის ინტერესებში შედის ეს დესტაბილიზაცია, სენატორის აზრით, „ყველაზე შესაძლო კანდიდატიდან, გარეშე ძალთაგან ამით ყველაზე მეტად რუსეთი მოიგებდა. რუსეთი უკვე კარგა ხანია ფარულად ცდილობს კასპის ენერგოშემცველების ჩრდილოეთით, რუსეთზე გამავალი გზის გარდა, ნებისმიერი სხვა მარშრუტი გამორიცხოს“ (საქართველოს რესპუბლიკა, № 45, 1998: 2). სენატორის თქმით, რუსეთის ეს ინტერესები კარგად გამოხატა პრეზიდენტმა ელცინმა იტალიაში მოგზაურობის დროს, როდესაც განაცხადა, რომ „გააცნობიერა, რომ კასპის სიმდიდრეთა ათვისება უკვე აღარ არის სახუმარო თემა“ და რომ ამ საკითხთან მიმართებაში “რუსეთის ინტერესები დაცული უნდა იყოს” (საქართველოს რესპუბლიკა, № 45, 1998: 2). სხდომაზე სენატორმა ბრაუნბეკმა დასძინა, რომ „აშშ-ის ამჟამინდელმა ჩართვამ (იგულისხმება კავკასიის რეგიონის – ს.ყ.) საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებში, საშიშროება შეუქმნა ამერიკულ და დასავლურ ინტერესებს... სადავო აღარ არის, რომ რუსები არსებული სიტუაციის გამოყენებისაკენ მიიღტვიან და ცდილობენ ვაკუუმი საბჭოური სტილის სიმკაცრით შეავსონ“ (საქართველოს რესპუბლიკა, № 45, 1998: 2).

* 1998 წელს ე. შევარდნაძეზე განხორციელებული თავდასხმისაგან განსხვავებით 1995 წელს მომხდარი ტერაქტი საერთაშორისო თვალსაზრისით ნაკლებად გახმაურებული იყო.

აქვე სენატორმა მოუწოდა ქლინტონის ადმინისტრაციას „თავისუფლების მხარდაჭერის“ აქტის დისკრიმინაციული 907-ე პუნქტის სასწრაფოდ გაუქმებისაკენ. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ „მიღებულ უნდა იქნას „ამიერკავკასიაში მშვიდობის, სტაბილურობისა და დემოკრატიის“ აქტი (ავტორები კონგრესმენები: პ. კინგი, ლ. ჰამილტონი და დ. ბარტონი), რომ აუცილებელია „აბრეშუმის გზის სტრატეგიის შესახებ“ პროექტის (ავტორი ს. ბრაუნბეკი-ს.ყ.) სასწრაფოდ მხარდაჭერა; კონგრესის საგარეო საკითხებისა და უშიშროების კომიტეტებში სასწრაფოდ უნდა გაიმართოს მსჯელობა სამხრეთ კავკასიისა და კასპიის აუზის პრობლემატიკასთან დაკავშირებით... ასევე აშშ-ის ენერჯეტიკის, ფინანსებისა და უშიშროების საკითხებში რუსეთის ჩარევის შესახებ პრეზიდენტმა ბ. ქლინტონმა უნდა გააფრთხილოს პრეზიდენტი ბ. ელცინი, რომ თუ კვლავ განმეორდება რუსეთის არაოფიციალური, თუ ოფიციალური ჩარევა რეგიონის დესტაბილიზაციის მიზნით, მათ შორის, რუსეთის ე.წ. ოპოზიციური ელემენტების მიერ, რასაც ყოველთვის უარყოფენ კრემლში, თუმცა სასურველად მიიჩნევენ, მაშინ ადგილი ექნება ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის რევანშს“ (საქართველოს რესპუბლიკა, № 45, 1998: 2).

სენატორი ბრაუნბეკის განცხადებით, ვაშინგტონს საჯაროდ უნდა განეცხადებინა, რომ აფართოებდა რეგიონში ერთობლივ სამხედრო მეცადინეობას და აძლიერებდა „ევრაზიულ ბატალიონს“, რომელშიც შედიან უკრაინის, აზერბაიჯანისა და საქართველოს შეიარაღებული ძალები. სენატორის აზრით, რეგიონის სახელმწიფოთა დედაქალაქებში უნდა ჩასულიყვნენ ადმინისტრაციისა და კონგრესის მაღალი რანგის დელეგაციები. მათ დეტალურად უნდა შეეფასებინათ კასპიის აუზში ამერიკის ინტერესები და დახმარებოდნენ რეგიონის ქვეყნებს მოსკოვიდან პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევაში (საქართველოს რესპუბლიკა, № 45, 1998: 2).

აღნიშნულ ტერაქტებთან დაკავშირებით აშშ-ის მემკვიდრეობის ფონდის რუსეთისა და ევრაზიის საკითხების უფროსმა პოლიტიკურმა ანალიტიკოსმა, ა. კონმა აღნიშნა, რომ კავკასიის სტრატეგიული მილსადენების გარშემო გაჩაღებულმა ბრძოლამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. არავინ იცის, ვინ იდგა ტერაქტის უკან, მაგრამ ყველამ იცის, რომ რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკური ფსონები მაღალია. თავდაცვის წარმატების შემთხვევაში საქართველოში, რომელიც ნავთობრესურსების მსოფლიო ბაზარზე ტრანსპორტირების კარიბჭეა, დესტაბილიზაცია დამკვიდრდებოდა, რეგიონში ბალანსი რუსეთის სასარგებლოდ გადაიხრებოდა. მოვლენათა ამგვარი განვითარება კი რეგიონში აშშ-ის პოლიტიკის კრახი იქნებოდა.

მაგრამ მიუხედავად ზოგიერთი სენატორის, კონგრესმენისა და პოლიტოლოგის გამოსვლისა, რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა ბ. ქლინტონის ადმინისტრაციის მიერ რუსეთისადმი უფრო მკაცრი პოლიტიკის გატარება ვაშინგტონის პოლიტიკა რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში მაინც სუსტი რჩებოდა. ზოგიერთი ამერიკელი პოლიტოკოსი პრეზიდენტ ქლინტონს უხსენებდა ჯ. ბუშის (უფროსის) პრეზიდენტობის ბოლო ხანებს, რომელსაც მიეზღო თავისი „გორბო-ცენტრიზმისათვის“ (ტელბოტი 2003: 184) და თავს ესხმოდა ქლინტონს იმ პოლიტიკის გატარებისათვის, რომლის ფორმულირებაც, კონგრესმენი ბ. დოულის თქმით, იყო „ელცინი ყველაზე მაღლა“ (ტელბოტი 2003: 184) საგარეო პოლიტიკის საკითხებში პრეზიდენტი ბ. ქლინტონის მრჩეველის, ს. ტელბოტის თქმით, „კონგრესში ჩვენ ძლიერად გვაკრიტიკებდნენ და არა უმიზეზოდ მოსკოვის მიმართ რევერანსების გაკეთებაში ჩეჩნეთთან დაკავშირებითაც“ (ტელბოტი 2003: 184). თავად ქლინტონიც აღნიშნავდა იმას, რომ ელცინს დიდხანს ელოლიავებოდა და რომ იგი მასთან ვალში იყო (ტელბოტი 2003: 185). ს. ტელბოტიც აცხადებს: “მე ვეჭვობდი, რომ რუსეთის პრეზიდენტის მიმართ მისი (ქლინტონის-ს.ყ.) დამოკიდებულების უკან უფრო მეტი რამ იმალებოდა, ვიდრე თითქმის თანაბარი სიმაღლე, კომპლექცია და ფეხსაცმლის ზომა ...შეიძლება, ვფიქრობდი, საქმე იმაშია, რომ ელცინი თავისთავში მოიცავდა გასაოცარ გამბედაობას, აბსურდულ უდისციპლინობასა და გენიალურ თვითგანადგურებას. იგი ერთდროულად იყო... დაბადებით ბელადი და უცვლელი დოჟლაპია. ყველაფერს ამას ქლინტონი აღიარებდა, ადვილად პატიობდა და მოითხოვდა, რათა სხვებსაც ეპატიებინათ“ (ტელბოტი 2003: 222).

მთლიანობაში, ბ. ქლინტონის ადმინისტრაციის პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში მაინც თანმიმდევრული, ბალანსირებული, თავშეკავებული და კონსტრუქციული იყო. იგი აშკარად თავს არიდებდა თავისი ძალების დემონსტრირებას მოსკოვის მიმართ შემორჩენილი პრობლემების გადაჭრაში. ასეთი პოლიტიკა ალბათ სწორიც იყო. სამხედრო დაპირისპირება რუსეთთან კიდევ უფრო სავალალო შედეგებს გამოიწვევდა.

როდესაც განვიხილავთ საქართველოს საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობას 90-იანი წლების I ნახევარში გვახსენდება ცნობილი ქართველოლოგის, ს. ჯოუნსის მოსაზრება, რომელმაც გაავლო რა პარალელები 1918-1921 და 90-იანი წლების პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო ისტორიას შორის, დაასკენა, რომ „მიუხედავად ყველა ...მნიშვნელოვანი

განსხვავებისა, მსგავსება ამ ორ პერიოდს შორის საკმაოდ თვალშისაცემია...ჩამოვთვლი რამდენიმე აშკარა მსგავსებას...:

- 1) პირველ ყოვლისა, საერთაშორისო ურთიერთობები: დაძაბული დიპლომატია, კონფლიქტი რუსეთთან და ჩრდილო კავკასიის ხალხებთან; ერთიანობის არარსებობა კავკასიაში...; იმედის გამაცრუებელი დასაველური ორიენტაცია;...
- 2) საშინაო მსგავსებები: ქართული ნაციონალიზმის ზრდა, ეთნიკური კონფლიქტები აფხაზებსა და ოსებთან; ლტოლვილები; კანონიერებისა და პასუხისმგებლობის მოშლა და ძალაუფლების არარსებობა პროვინციებში; რეგიონალიზმი (აჭარა 1918 წელს; აჭარა, სამეგრელო 1991-1994 წლებში); სამხედრო ნაწილების დეზორგანიზაცია და არაკონტროლირებადი ეროვნული გვარდია; ეკონომიკური კრიზისი, ჰიპერინფლაცია და როგორც ყოველივე ამის შედეგი – სოციალური მღელვარებები;
- 3) როგორც 1918, ისე 1991 წლებში იყო სახელმწიფოებრიობის ნიშნები, რომლებიც განიცდიდა მრავალნაირ კრიზისს-ეკონომიკურს, პოლიტიკურსა და ეროვნულს. ორივე პერიოდის სახელმწიფო იყო ახალი, შინაგანად სუსტი და ფუნქციონირებდა არასტაბილური პოსტიმპერიულ სიტუაციაში“ (ჯოუნსი 1995: 55).

მოგვიანებით, 1998 წლის 31 მარტს, კი ს. ტელბოტმა, მიმოიხილა რა ურთიერთობები აშშ-სა და ამიერკავკასიის ქვეყნებს (მათ შორის საქართველოს) შორის, აღნიშნა: „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები ინტენსიურად მუშაობდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ხელს უწყობდა მშვიდობის განმტკიცებას, კეთილდროების მიღწევას, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის პრინციპების განვითარებას. ჩემს მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია სამ ქვეყანაზე: სომხეთზე, საქართველოსა და აზერბაიჯანზე.

...დღეს, როდესაც სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა, ...მათ უხდებთ წარსულის ღირებულებებთან ბრძოლა... ამ სირთულეების გადალახვაში ხსენებული სამი ქვეყნისათვის დახმარება პრიორიტეტული საკითხი გახდა ამერიკის პოლიტიკაში. დახმარებისათვის გამიზნული ჩვენი მრავალი პროგრამა მიზნად ისახავს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობას, ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას“ (ბიულეტენი 1998 №7-8: 34).

დასკვნა

როგორც ვიცით XX საუკუნის 90-იანი წლები და, განსაკუთრებით, მისი პირველი ნახევარი სავსე იყო დიდი გარდამტეხი მოვლენებით: დაიშალა საბჭოთა კავშირი, მას მოჰყვა ვარშავის ბლოკის რღვევა, წარმოიქმნა ახალი სახელმწიფოები (*მარტო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა 15 დამოუკიდებელი რესპუბლიკა*) რომ აღარაფერი ვთქვათ აღმოსავლეთ ევროპაზე: დაიშალა იუგოსლავიის ფედერაცია, მოხდა ჩეხოსლოვაკიის გაყოფა. წარმოიშვა ცხელი წერტილები როგორც ყოფილი საბჭოეთის ტერიტორიაზე და, მათ შორის საქართველოშიც, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

უკვე აღვნიშნეთ, რომ თავდაპირველად დასავლეთი (მასში, რა საკვირველია, მოვიაზრებთ ამერიკის შეერთებულ შტატებსაც) არ ცდილობდა ხელშეწყობას მოვლენების სწრაფი ტემპით განვითარებისათვის. ამიტომ არ ჩარეულა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების (*კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გარდა*) შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთადერთი მოტივით – რაც კი აქ ხდებოდა იყო მოსკოვის შიდა პოლიტიკური პრობლემები. დასავლეთს არ სურდა ჩვენში განვითარებული ზემოაღნიშნული მოვლენებში ჩარევის თუნდაც მცდელობით ისედაც გაღიზიანებული კრემლის კიდევ უფრო გაღიზიანება. ამიტომ აშშ-ის პრეზიდენტები (*ჯერ ჯორჯ ბუში-უფროსი და შემდეგ ბილ კლინტონი*) ცდილობდნენ მეგობრული ურთიერთობების დამყარებას კრემლის მეთაურებთან (*ჯერ მიხეილ გორბაჩოვთან, შემდეგ ბორის ელცინთან*). თუმცა მოგვიანებით ჯორჯ ბუშიც (უფროსი) და ბილ კლინტონიც მემუარებში აღიარებენ თავიანთი რუსი კოლეგების სუსტ მხარეებს, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა გამოუსწორებელი შეცდომები სხვა რესპუბლიკებთან მიმართებაში, მაგრამ მთლიანობაში თავიანთ მოღვაწეობას აფასებენ დადებითად და მიაჩნიათ, რომ მათ სხვა ალტერნატივა იმ პერიოდში არ გააჩნდათ.

სწორედ აშშ-ის პრეზიდენტების ლოიალურმა მოქმედებებმა კრემლთან მიმართებაში ხელი შეუწყო ჩვენშიც და თუნდაც დნესტრისპირეთშიც მოვლენების დრამატიზებას. თუმცა ვიმეორებთ, რომ, სამწუხაროდ, ჩვენს (ქართველების) მიერადაც იქნა შეცდომები დაშვებული, მაგრამ ეს სხვა თემის საგანს წარმოადგენს.

ლოიალობა გამოიჩინა ჯორჯ ბუშმა (უფროსი), ვინაიდან დაკავებული იყო ერაყ-ქვეყნით, ახლო აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საკითხებით და კრემლთან ზედმეტი პრობლემები მას არ ესაჭიროებოდა, იმ მიზეზებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელიც ჩამოვთვალეთ პირველ თავში.

ლოიალობა გამოიჩინა ბილ ქლინტონმაც, რომელიც დაკავებული იყო იუგოსლავიის, ჩინეთისა და ავღანეთის საკითხებით და თავისი წინამორბედის მსგავსად არც მას ესაჭიროებოდა მოსკოვთან ურთიერთობების გაფუჭება. არც ერთ მათგანს ჩვენ არ ვსაყვედურობთ, ვინაიდან თუ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ფ. ჰალმერთონის* სიტყვებს მოვიშველიებთ, სახელმწიფოს არ ჰყავს მუდმივი მეგობარი ან მუდმივი მტერი, არამედ აქვს მხოლოდ და მხოლოდ მუდმივი ინტერესი.

თავდაპირველად, XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ვაშინგტონისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების დახმარება პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის შემოიფარგლებოდა მათში მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერით. ო-ე. ჩემპილი წერს: „რუსეთსა და დსთ-ის ქვეყნებთან მიმართებაში დასავლეთი დროულად ჩაწვდა (პრობლემის –ს.ყ.) აზრს: მისთვის არ არსებობდა უფრო დიდი ამოცანა, ვიდრე ამ ქვეყნებში დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ექსპერიმენტის მთელი ძალით მხარდაჭერა“ (ჩემპილი 2003: 9), რომ საჭირო იყო არა გერმანიაში საკუთარი ჯარების შეყვანა, არამედ დსთ-ის ქვეყნების მიმართ დასავლეთის ეკონომიკური და პოლიტიკური გამოყენება (ჩემპილი 2003: 9).

დასავლეთი ფრთხილი დარჩა 90-იანი წლების შუახანებშიც. ჯერ კიდევ 1994 წლის იანვარში ბრიუსელში მოწვეულ ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის სხდომაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ბ. ქლინტონმა განაცხადა, რომ NATO-ში აღმოსავლეთ ქვეყნების გაწევრიანების წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ ეს მომავალში უნდა განხორციელდესო. ამასთან დაკავშირებით, ამართლებდა რა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების მოთხოვნას ჩრდილო-ატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ, გაზეთ „Washington Post“-მა აღნიშნა, რომ აღმოსავლეთის შიში უსაფუძვლო არ იყო, რადგანაც არ ჩამქრალა რუსეთის ექსპანსიონიზმის ლამპარი, რომ

* მოღვაწეობდა XVIII საუკუნეში

რუსეთის პოლიტიკაზე ჯერაც დიდ გავლენას ახდენდნენ სამხედროები. გაზეთის განმარტებით, დასავლეთში საუბრობენ რუსეთის ახალ სამხედრო დოქტრინაზე, რომელიც მწვანე შუქს აძლევს ყოფილ საბჭოთა იმპერიის ტერიტორიაზე ჯარის „სამშვიდობო მისიით“ გამოყენების შესაძლებლობას (საქართველოს რესპუბლიკა, № 13, 1994: 2).

ბრიუსელის 1994 წლის იანვრის სამიტზე პრეზიდენტმა ქლინტონმა ხაზი გაუსვა ამერიკის როლსა და მის პასუხისმგებლობას ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის. მან აღნიშნა, რომ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი სულაც არ იყო სამხედრო ძლიერების გაფართოება, არამედ საკმარისი იქნებოდა აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთისათვის ხელის შეწყობა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში.

უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწემ ისიც კი განაცხადა, რომ იმ ხანად NATO-ში აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების გაწევრიანება გამოიწვევდა ევროპის კონტინენტზე ბლოკური სისტემის აღორძინებას, ამიტომ იყო, რომ ვაშინგტონი პირველ ეტაპზე მათ პროგრამა „მშვიდობისათვის თანამშრომლობა“-ის (Partnership for Peace (PfP) ფარგლებში სთავაზობდა ურთიერთობებს. *(PfP - არის ცალკეულ ქვეყანასა და ალიანსს შორის ორმხრივი ურთიერთობების პროგრამა. იგი ეხმარება პარტნიორ ქვეყანას ალიანსთან ინდივიდუალური ურთიერთობების დამყარებაში, რომელიც ეფუძნება თანამშრომლობაში საკუთარი პრიორიტეტების განსაზღვრას და რომელიც იძლევა NATO-სთან დაახლოების შესაძლებლობას).*

ამგვარად, 1994 წელს ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთთან მიმართებაში ისევ ფრთხილი რჩებოდა, რამაც ხელი შეუწყო რუსეთს მოეხდინა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში კონფლიქტური სიტუაციების ექსკალაცია და შემდეგ უკვე სამშვიდობო ძალების მანდატის ძალდატანებითი მოპოვებით რეგიონში თავისი ბატონობის გასახანგრძლივებლად. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ დასავლეთისა და აშშ-ის მხრიდან რეგიონში მიმდინარე მოვლენებში დროული ჩარევა ასეთ დრამატულ შედეგებს თავიდან აგვაცილებდა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს ის, რომ აშშ-ის მხრიდან რფ-ადმი ლოიალური პოლიტიკისდა მიუხედავად, უკვე 1996 წელს აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია შემდეგნაირად განისაზღვრა: „საშიშროებათა სპექტრი, რომელთაც ჩვენ დღეს ვაწყდებით, უფრო ფართოა და მრავალფეროვანი. იზრდება ეთნიკურ ნიადაგზე

კონფლიქტების რაოდენობა. სახელმწიფოები, რომლებიც უპირისპირდებიან მსოფლიო თანამეგობრობას, უქმნიან სერიოზულ საფრთხეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში რეგიონულ სტაბილურობას. მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება არის ჩვენი უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევა. გარემოს დაბინძურების ფართომასშტაბიანი გაუარესება, რომელიც კიდევ უფრო მწვავედება მოსახლეობის სწრაფი ტემპის ზრდის გამო. ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის მსოფლიოს ბევრ ქვეყანასა და რეგიონში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებას. საფრთხე ჩვენს ღია და თავისუფალ საზოგადოებას ტერორისტული ორგანიზაციების, საერთაშორისო დანაშაულებისა და ნარკოტიკების გავრცელების მხრიდანაც ეზრდება...“ (*HF*, №2 1996 მაისი: 1).

სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა ბილ კლინტონის პრეზიდენტად მეორედ მოსვლის შემდეგ (1997). მოვიყვანთ ამონარიდს ბ. კლინტონის სიტყვიდან ამერიკა-რუსეთს შორის ურთიერთობების მომავალზე, რომელიც მან წარმოსთქვა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში. კლინტონმა აღნიშნა, რომ „აშშ-ის უსაფრთხოება XX საუკუნის ბოლოს, ასევე ამერიკული საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური მოდერნიზაცია ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ურთიერთობები გვექნება ახალ რუსეთთან. აქედან გამომდინარეობს მოსკოვთან მჭიდრო და კონსტრუქციული თანამშრომლობის პრიორიტეტები.“ (ფროლოვი 1997: 2), თუმცა პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა რუსეთის მეზობელ ქვეყნებთან (ე.წ. ახლო საზღვარგარეთთან) თანამშრომლობაზეც. ამის გამო რუსი პოლიტოლოგი, ვ. ფროლოვი საყვედურობს კლინტონს: „ნაცვლად იმისა, რომ დაამყაროს განსაკუთრებული ურთიერთობები მოსკოვთან საგარეო პოლიტიკური ურთიერთქმედების პრიზმაში დსთ-ის სივრცეში რუსეთის სპეციალური ინტერესების გათვალისწინებით, კლინტონის ადმინისტრაცია წავიდა რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საქმეებში აშკარა ჩარევის გზით“ (ფროლოვი 1997: 2). ეს კი, მისივე თქმით, ვაშინგტონის უპერსპექტივო და მეტად საშიში გეოპოლიტიკური მეტოქეობა იყო რუსეთის ფედერაციასთან პოსტსაბჭოურ სივრცეში...და რომ „კლინტონმა თვითონ შეიქმნა პრობლემა მოსკოვთან ურთიერთობაში, როდესაც გამოაცხადა ოპოზიციის ზეწოლით ამერიკის პოლიტიკის მიზნად NATO-ს გაფართოება 1999 წლისთვის“ (ფროლოვი 1997: 2).

როგორც ჩანს 90-იანი წლების შუა ხანებიდან დემოკრატიების (*კლინტონი იყო დემოკრატიული პარტიიდან*) საგარეო პოლიტიკის ინტერესების სფერო გაფართოვდა, მაშინ, როდესაც საყოველთაოდ ცნობილია, რომ დემოკრატიები უფრო კონცენტრირებულნი არიან ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე. „საფრთხე, რომელიც ზიანს მიაყენებს ჩვენს კეთილდღეობას არ სცნობს საზღვრებს, და ძალზედ

ნათელია, რომ აშშ-ის უსაფრთხოება XXI საუკუნეში დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად წარმატებულად ვიმოქმედებთ ამ ძალების წინააღმდეგ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც... არასოდეს არ ყოფილა საჭირო ამერიკის, როგორც ლიდერის როლი იმ ახალი საფრთხეების გადალახვის საქმეში, რომლებიც ემუქრებიან მსოფლიოს...ამერიკის პოტენცია უნიკალურია. ეს არის ჩვენი სამხედრო ძალა, ჩვენი დინამიურად განვითარებადი ეკონომიკა, ჩვენი უდიდესი იდეალები და რაც მთავარია – ჩვენი ხალხი. ჩვენ შეგვიძლია და ვაძლევთ ვართ ჩვენი მონაწილეობით გავლენა ვიქონიოთ მსოფლიო პროცესებზე, მაგრამ ჩვენი მოქმედებების ხარისხი უნდა ვარგეულიროთ იმით, რომ მან უპასუხოს ჩვენს ინტერესებსა და პრიორიტეტებს“ – განაცხადა ქლინტონმა (HF, №2 1996 მაისი: 3).

ერთ-ერთ ასეთ პრიორიტეტად გამოცხადდა კასპიის აუზის ენერგორესურსებიც.

ჩვენ სრულიათ ვიზიარებთ შ. ჰანთერის აზრს იმაზე, რომ ამიერკავკასიის რეგიონი, აზერბაიჯანის გამოკლებით (თავისი ნავთობისა და თურქეთთან და ირანთან კონტაქტების გამო), დასავლეთისათვის ღირებულებას არ წარმოადგენდა. (ამას აცხადებს ზ. ბუეზინსკიც თავის წიგნში „დიდი საჭადრაკო დაფა“) მაგრამ უკვე 1994 წლის გაზაფხულზე, როდესაც დასავლეთი შეწუხდა რუსეთის მხრიდან ყოფილი საბჭოთა იმპერიის აღდგენის მცდელობის გამო, მაშინ დასავლეთმა ყურადღება მიაქცია რფ-ის პერიფერიებსაც (ჰანთერი 1994: 134-135). და რომ მანამდე სულ ცოტა ხნით ადრე, დასავლეთი არ აპირებდა ღონისძიებების გატარებას თუნდაც აფხაზეთში წარმოშობილ კონფლიქტშიც კი: „1994 წლის მარტში გაერო-ს გენერალურმა მდივანმა უშიშროების საბჭოს წარუდგინა მოსხენებას აფხაზეთის თაობაზე, სადაც გარკვევით აღნიშნა, რომ არ ფიქრობდა აფხაზეთში გაერო-ს ცისფერჩაფხუტელების გაგზავნას. ამ პოზიციას იგი იმეორებს მოგვიანებითაც. ეს კი რუსეთმა მშვენივრად გამოიყენა თავის სასარგებლოდ როგორც აფხაზეთში რუსი მშვიდობისმყოფელების უალტერნატივობით“ (ჰანთერი 1994: 143). ჰანთერის თქმით, დასავლეთი კარგად ხედავდა რუსების პოლიტიკას. „ბ. ელცინი, რომელიც ადრე გორბაჩოვს აკრიტიკებდა მასთან მეტოქეობის პერიოდში, გამარჯვების შემდეგ იმეორებდა გორბაჩოვის პოლიტიკას და არწმუნებდა საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ აუცილებელი იყო ახალი რესპუბლიკების გაერთიანება მოსკოვის ქვეშ და რომ მოითხოვდა მათგან (დასავლეთის ქვეყნებისაგან-ს.ყ.) სპეციალურ ნებართვას რუსეთის მხრიდან სამხედრო ძალის გამოყენებისათვის ყოფილ საბჭოთა იმპერიაში მშვიდობის დასამყარებლად“ (ჰანთერი 1994: 143).

სწორედ აქ, კასპიის რეგიონში, მოხდა აშშ-ისა და რფ-ის ინტერესების კიდევ ერთი შეჯახება და უფრო ძლიერად, ვიდრე ეს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გაფართოების დროს მოხდა.

რამდენიმე სიტყვით ისევ შევხერდებით ამ უკანასკნელ საკითხზეც. როგორც თავად ზ. ბუჟინსკი თავის წიგნში აღნიშნავს, NATO არა მხოლოდ უზრუნველყოფს ევროპის საკითხებში ამერიკული გავლენის ძირითად მექანიზმს, არამედ წარმოადგენს პოლიტიკური თვალსაზრისით კრიტიკულად საჭირო ამერიკელთა სამხედრო არსებობას დასავლეთ ევროპაში (ბუჟინსკი 1997: 66).

ორ ყოფილ დაპირისპირებულ სამხედრო ბლოკის ცენტრებს (ვაშინგტონი და მოსკოვი) შორის ურთიერთობებში დღესაც კი, საბჭოთა კავშირის დაშლიდან მრავალი წლის შემდეგ, თავს იჩენს „ფარული“ დაპირისპირება, რამაც თავის მხრივ ასახვა ჰპოვა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობებზეც. მიუხედავად ბოლო პერიოდის რუსეთის ისტორიაში განვითარებული მოვლენებისა, კრემლმა კარგად იცის, რომ დასავლეთი არ გამხდარა რუსეთის მეგობარი, ასე რომ აღმოსავლეთით NATO-ს გაფართოებას მიიჩნევს, როგორც „ანაკონდას“ პრინციპის გამოყენებას ე.ი. დარტყმას რუსეთის საციცოცხლო ინტერესებზე. *(„ანაკონდას პრინციპი“ პირველად შემოიტანა და დაამკვიდრა ამერიკელმა გენერალმა მაკკლელანმა სამოქალაქო ომის დროს (1861-1865) და მდგომარეობს ზღვიდან და სანაპირო ზოლიდან მოწინააღმდეგის შევიწროებაში, რაც გამოიწვევს მის ეკონომიკურად გამოფიტვას და „დახუთვას“. ეს პრინციპი საფუძველდ დაედო უკვე მოგვიანებით 1981 წელს აშშ-ის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული „წინა საზღვრების“ კონცეფციას და მიზნად ისახავდა სსრკ-ის კონტინენტურ იზოლაციას).*

ასეთივე აზრს ავითარებდა ამერიკელი პოლიტოლოგი, ა. მეხენი. მისი აზრით, რუსეთი იყო დომინანტი კონტინენტური სახელმწიფო, რომელთანაც საზღვაო ძალას – ინგლისისა და აშშ-ის სახით უნდა წარემართა ხანგრძლივი სტრატეგიული ბრძოლა. ეს ბრძოლა, მისი თქმით, გამოიხატებოდა მოწინააღმდეგის კონტინენტური ნაწილის მოწყვეტაში საზღვაო ნაპირებიდან და კონტინენტის სახმელეთო საზღვრებზე კონტროლის დაწესებაში, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიწვევდა მის ეკონომიკურ გამოფიტვას (წურწუმიძე... 2003: 196).

სწორედ მაკკლელანისა და ა. მეხენის მიერ ჩამოყალიბებულ იზოლატორებად მიიჩნევდა რუსეთი წარსულში ისეთ სამხედრო ორგანიზაციებს,

როგორებიც იყო CENTO (დასავლეთ აზიის ბლოკი, რომელიც აერთიანებდა თურქეთს, ერაყს, პაკისტანს, ირანს და დიდი ბრიტანეთს, ხოლო აშშ-ს კი დამკვირვებლის სტატუსი ჰქონდა), SEATO (აღმოსავლეთ აზიის ბლოკი. მისი წევრები იყვნენ: ავსტრალია, ახალი ზელანდია, ფილიპინები, ტაილანდი, პაკისტანი, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი), NATO (რომელიც აერთიანებს 26 ქვეყანას და დღესაც ფუნქციონირებს) (კოლოსოვი 2001: 95).

იზოლაციის შედეგებს აღნიშნავს გენერალი ა. ვლადიმროვიც, რომელიც რუსეთის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ წერს, რომ მას ჩამოშორდნენ ყოფილი მოკავშირეები და იგი მოექცა გეოპოლიტიკურ იზოლაციაში როგორც ზღვიდან (ბალტიისა და შავი ზღვები), ასევე ხმელეთიდან. შესაბამისად შემცირდა მისი ზეგავლენის ქვეშ მყოფი სივრცეც (ვლადიმროვი 2000: 88). ამიტომ არის, რომ რუსეთი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გაფართოებას აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით (ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების სურვილი გამოთქვას საქართველომ, აზერბაიჯანმა და უკრაინამ) ძალზედ მტკივნეულად აღიქვამს.

როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, „ცივი ომის“ პერიოდში NATO წარმოადგენდა დასავლეთის საპასუხო ნაბიჯს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის გავლენის გავრცელების წინააღმდეგ, რომელიც თითქოს უნდა გაუქმებულიყო საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, მაგრამ თავდაპირველი მიზნის დაკარგვისა და ევროპაში ამერიკელი სამხედროების რაოდენობის შემცირების მიუხედავად, ორგანიზაციის არსებობა დღესაც აუცილებელია.

რამდენადაც „ცივი ომის“ შემდგომი ევროპა არ არის სტაბილური, იმდენად დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების უმრავლესობა მიზანშეწონილად მიიჩნევს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფნას მათ „შიგნით“.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ NATO-ს წევრები გახდნენ პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ალბანეთი, რუმინეთი. გაწევრიანებაზე პრეტენზიებს აცხადებენ აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებიც (მაგალითად, მაკედონია) და რუსეთის ფედერაციის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიც (მაგალითად, საქართველო, უკრაინა; სურვილი ჰქონდა მოლდოვასაც, მაგრამ კრემლმა ოფიციალური კომინოვთან საკითხი გაყინა დნესტრისპირეთის კონფლიქტის დარეგულირებაში ხელშეწყობის

მიზნით), რომლებიც რუსეთის იმპერიული პრეტენზიების გამო პირდაპირ დარტყმებს (პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო ხასიათის) დებულობენ კრემლისგან. ალიანსში მათი გაწევრიანება რუსეთისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება, ვინაიდან პრაქტიკულად ის დაუბრუნდება იმ საწყის მდგომარეობას, საიდანაც დაიწყო თავისი საზღვრების გაფართოება, ასე რომ, აცნობიერებს რა შექმნილი მდგომარეობის მთელ სირთულეს კრემლი მის წინააღმდეგ აშშ-ის პოლიტიკის გააქტიურებას ანალოგიური ქმედებებით ცდილობს უპასუხოს. (წურწუშია... 2003; 196).

ამერიკელმა პოლიტოლოგმა, კ. ბოულდინგმა ჯერ კიდევ 1962 წელს ჩამოაყალიბა მოსაზრება მაკრორეგიონებს შორის კრიტიკული საზღვრების არსებობის მიზანშეწონილობის შესახებ, რომლებიც სახელმწიფოსთვის ე.წ. ბუფერულ ზონას წარმოადგენენ. ეს კონცეფცია დაკავშირებულია გავლენის სფეროსა და სასიცოცხლო ინტერესების გაგებასთან. ამგვარად, თითოეულ სახელმწიფოს (იგულისხმება დიდი სახელმწიფო) გააჩნია თავის საზღვრებს გარეთ მოქმედების რადიუსი, რომლის სხვა სახელმწიფოების მიერ დარღვევას საკუთარ ინტერესებზე პირდაპირ თავდასხმად აღიქვამს. სწორედ ასეთ ტერიტორიებად მიიჩნევა (და ისტორიულად აღებული ინერციით დღესაც მიიჩნევა) რუსეთი თავის მოკავშირე რესპუბლიკებს და ვარშავის ბლოკში შემავალ ყოფილ სატელიტ ქვეყნებს. ამიტომ არის, რომ რუსეთისათვის კავკასიის რეგიონში სამხედრო ბაზების ქონას დღემდე გადამწყვეტი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება მისი უსაფრთხოებისათვის. ეს მას ეხმარება რამდენიმე მიზნის ერთობლივად განხორციელებაში. ესენია:

- 1) თურქეთის, როგორც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ფლანგის გაკონტროლება;
- 2) ისეთი ფეთქებადი და არასტაბილური რეგიონის, როგორცაა ჩრდილოეთ კავკასია ალყაში მოქცევა და გაკონტროლება;
- 3) ამიერკავკასიის ქვეყნების შიდა პოლიტიკური ცხოვრების გაკონტროლება (გელოვანი 1994: 1);
- 4) რეგიონში კრემლისათვის სასურველი დესტაბილიზაციის შექმნის მიზნით თავისუფლად შეიძლება მისი, როგორც მეხუთე კოლონის გამოყენება.

ამიტომ გასაკვირი არც არის, რომ რუსეთს მათ ტერიტორიაზე უფრო ძლიერი საჯარისო ფორმირებები ჰყავდა, ვიდრე საკუთარ მიწაზე. „სსრკ-ის

დაშლის შემდეგ 16 სამხედრო ოლქიდან რუსეთს დარჩა მხოლოდ 8, მათ შორის თავდაცვის პრაქტიკულად თითქმის მთელი „პირველი სტრატეგიული ეშელონი“ ე.წ. ელიტარული ჯარები დარჩა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე. ესენი არიან: 13 ზოგადსაჯარისო არმია და სამხედრო კორპუსები; 4 სატანკო, PBCH 2 სარაკეტო, ПВО 3, 5 საჰაერო არმიები, საჯარისო შენაერთების მნიშვნელოვანი ნაწილები და სხვადასხვა სახეობები, აგრეთვე შეიარაღების მნიშვნელოვანი რეზერვები და მატერიალური საშუალებები“ (ზოლოტარევი 2001: 257-258).

რაც შეეხება კონკრეტულად საქართველოს, აქ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მოყოლებული ტრადიცია 90-იან წლებშიც გრძელდებოდა 5 სამხედრო ბაზის: თბილისში (ვაზიანის), ახალქალაქში, ბათუმში, ცხინვალის ზონასა და აფხაზეთ-სამეგრელოს საზღვართან (სენაკი) არსებობით. მათი მეშვეობით ხორციელდებოდა კონტროლი:

- ა) საქართველოს მთელს ტერიტორიაზე;
- ბ) საქართველო-თურქეთის სახმელეთო საზღვარზე;
- გ) შავი ზღვის ფლოტის მეშვეობით ბოსფორისა და დარდანელისაკენ მიმავალი საზღვაო გზეზე.

მოსკოვის მწვავე რეაქცია NATO-ს გაფართოებაზე აღმოსავლეთით (და, რაღა თქმა უნდა, ეს რეაქცია კიდევ უფრო მწვავე იქნება ამ ორგანიზაციაში ამიერკავკასიის, შუა აზიის ქვეყნებისა და უკრაინის გაწევრიანების გამო) ნათლად მიუთითებს, რომ მას შერჩა განსაკუთრებული მგრძობელობა თავისი კრიტიკული საზღვრების (ბოულდინგის ტერმინი რომ ვიხმართ, ბუფერული ზონის) გარდაქმნის გამო, თუნდაც ეს ტკივილი იყოს ფანტომური. მაგალითისათვის, გავისხენოთ თუნდაც 1996 წლის მაისის შეხვედრა ქ. ათენში, რომელსაც იმხანად ნატო-ში შემავალი წევრი-სახელმწიფოების გარდა ესწრებოდნენ ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის 17 ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდანაც, რომელთაც უკვე ჰქონდათ გაკეთებული განაცხადი NATO-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

ორგანიზაციის გაფართოების წინააღმდეგ რუსეთის პირდაპირ ინტერესებზე მეტყველებს სესიის თავმჯდომარის, კ. ფოიგტის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ დამსწრეთათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის დარწმუნებას იმაში, რომ ახალი ქვეყნების გაწევრიანებით რუსეთის გრძელვადიანი ინტერესები კი არ ილახებოდა, არამედ იგი მიიღებდა ახალ

პოზიტიურ იმპულსს. სწორედ ამიტომ, სესიის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა რუსეთის პოზიციების გარკვევა ბალტიისპირეთის ქვეყნების ალიანსში გაწევრიანების გეგმასთან დაკავშირებით. ამაზე რუსეთის დელეგაციის მეთაურმა, ს. კარაგანოვმა განაცხადა, რომ ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოებაზე რუსეთი უპასუხებს ტრადიციული „არა“-თი, რომ რუსეთის განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს ბალტიისპირეთის პრონატოური ორიენტაცია. „ბალტიისპირეთის ქვეყნები,“ – განაცხადა მან, – „ის ქვეყნები არ არიან, რომელთაც ემინიათ რუსეთის. საქმე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ რუსეთი აპირებს მათზე თავდასხმას, არამედ იმაში, რომ ეს მცირე ტერიტორია რამდენიმე საუკუნე ეკუთვნოდა რუსეთს“ (პოლემიკი 1996: 1). ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს განცხადება რუსულმა მხარემ გააკეთა მაშინ, როდესაც ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს, ჩვენგან განსხვავებით, მოპოვებული ჰქონდათ ნამდვილი დამოუკიდებლობა. „რაც შეეხება უკრაინას,“ – აღნიშნა კარაგანოვმა, – „ბოლოს და ბოლოს ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს რუსეთი და უკრაინა დარჩება რუსეთის ფედერაციის მეგობარ ქვეყნად. მას არსად აქვს წასასვლელი რუსეთის გარდა“ (პოლემიკი 1996: 1).

რა თქმა უნდა, ს. კარაგანოვის განცხადება დამსწრე საზოგადოებამ ჩათვალა ოფიციალური კრემლის პოზიციად (და ეს ასეც იყო), რის გამოც გამომსვლელებმა გააკრიტიკეს რუსეთის აგრესიული პოლიტიკა მისი ყოფილი მოკავშირეების მიმართ. მაგალითად, რუმინეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რუსეთის ძალისმიერი პოზიცია კიდევ უფრო ძლიერად ერეკებოდა მის ყოფილ მოკავშირეებს NATO-საკენ (პოლემიკი 1996: 1). გერმანიის წარმომადგენელმა კი დასძინა, რომ ნებისმიერ სუვერენულ სახელმწიფოს უფლება აქვს თავად აირჩიოს მოკავშირე. საინტერესო აღმოჩნდა თურქეთის წარმომადგენლის განცხადება: „დროა ავტეხოთ განგაში, რამეთუ ს. კარაგანოვის გამოსვლამ დაამტკიცა რუსეთში იმ დოქტრინის არსებობა, რომლითაც ზოგიერთი ქვეყნის საგარეო ურთიერთობები უნდა იქნას შეზღუდული და ასეთი ქვეყნებს წარმოადგენენ ბალტიისპირეთის, ამიერკავკასიისა და შუა აზიის ქვეყნები“-ო (პოლემიკი 1996: 1). ბელგიის წარმომადგენელმა რუსეთის პოზიციას „მკაცრი“ და „ცინიკური“ უწოდა. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, მისი დელეგაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აშშ ყოველთვის იცავდა თავის მოკავშირეებს და ახშობდა ნებისმიერ აგრესიას სუვერენიტეტისა და დემოკრატიის წინააღმდეგ (პოლემიკი 1996: 1).

1996 წელს ფონდი „პოლიტიკური კვლევები“ წარსდგა რფ-ის მთავრობის წინაშე ანგარიშით (ხელმძღვანელი ა. ვ. ფედოროვი), რომელშიც სწერია, რომ ესტონეთში განსაკუთრებით შეიმჩნევა აშშ-თან ურთიერთობა სამხედრო დარგში, რაც არ უნდა გამოიჩინოს მხედველობიდან რუსეთის ხელმძღვანელობას. რუსეთმა უნდა დაიცვას რუსი მოსახლეობის ინტერესები ესტონეთში, როგორც მატერიალურად ასევე რუსული ერთობის პოზიციების განმტკიცებით ესტონეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. რუსეთი უნდა აკონტროლებდეს სიტუაციას მთლიანად ბალტიისპირეთში... ლატვიის ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ობიექტური აღქმა იმისა, რომ ნებისმიერი ტერიტორიული საკითხის გადაწყვეტა რუსეთთან შეუძლებელია უახლეს მომავალში ნებისმიერი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში და ძალიან ნაკლებად შესაძლებელია მომავალში. „NATO-ში შესვლისაკენ სწრაფვა, ამასთან თავის თავზე სამხედრო სფეროში განსაზღვრული „გამაფართოებელი“ პასუხისმგებლობის აღება, არასოდეს ჰპოვებს პრაქტიკულად არცერთი პირობით რუსეთის თანადგომას. თავისი სახელმწიფო უსაფრთხოების კონცეფციიდან გამომდინარე, რუსეთი დასავლეთთან ამჟამინდელი კავშირების გათვალისწინებით არ დაუშვებს იმას, რომ ლენინგრადის, ვსკოვის და ნოვგოროდის ოლქები პირდაპირ ესაზღვრებოდეს NATO-ს წევრ-სახელმწიფოებს. ამ მოსაზრებით რუსეთს აქვს მორალური უფლება თავისი ინტერესების დასაცავად გაატაროს ზოგიერთი ღონისძიება. ბალტიისპირეთის ქვეყნების შესავლა NATO-ში გამოიწვევს ძალთა ბალანსის საბოლოო დარღვევას და შეიძლება გამოიწვიოს ახალი კონფრონტაცია რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობაში. ამ რთული პრობლემის მოგვარება იქნება არა ნატო-ში შესვლა, არამედ რუსეთთან დიალოგის წარმოება. თუ ბალტიის ქვეყნები შევლენ NATO-ში, წარმოიქმნება ევროპაში ახალი პოლიტიკური დაპირისპირების კერა... დღეს რუსეთს ჯერ კიდევ აქვს გავლენის მექანიზმი“ (პოლემშიუკი 1996: 1) და ასეთი სახის განცხადება სსრკ-ის დაშლის შემდეგ კრემლის ადმინისტრაციაში მყოფ პირთაგან არაერთხელ გაკეთებულა.

დაპირისპირების მიუხედავად, 1997 წლის იანვარში კონსულტაციები გაიმართა რფ-ის მთავრობის წარმომადგენელს, ე. პრიმაკოვსა და ნატო-ს გენერალურ მდივანს, ხ. სოლანას* შორის. მასზე რუსულმა მხარემ ალიანსს წარმოუდგინა მათ შორის სამომავლო ურთიერთობების კრემლისეული ხედვა, რომელიც რამდენიმე პუნქტად იყო დაყოფილი:

* ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ხ. სოლანას ვიზიტი საქართველოში 1997 წ. გაზაფხულზე. მაშინ რადიო „თავისუფლების“ მოსკოვის ოფისმა განაცხადა, რომ ნატო რაღაც საშიშს აპირებს ჩვენს თავზე. არადა ეს ტალღა ხომ დემოკრატიის და თავისუფლების მეხოტბეა მთელს მსოფლიოში.

- ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ტრანსფორმაცია, რომელიც ითვალისწინებდა ალიანსისათვის არა როგორც თავდაცვის, არამედ როგორც სამშვიდობო მისიებში მონაწილე ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებას;

- საკონსულტაციო მექანიზმების შექმნა და ერთობლივი (ნატო-რუსეთი) გადაწყვეტილებების მიღება. ამასთან მოსკოვისათვის ხმის უფლების მინიჭება სამშვიდობო ოპერაციების დაგეგმვის დროს, აგრეთვე საერთაშორისო ოპერაციულ ძალებში მონაწილეობის შესაძლებლობა;

- რუსეთი მიუღებლად მიიჩნევდა ნატო-ს ინფრასტრუქტურის წინსვლას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, რომ აღარაფერი ვთქვათ, კავკასიასა და შუა აზიაზე;

- ალიანსის წევრ-სახელმწიფოებს დოკუმენტზე ხელმოწერით უნდა დაედანტურებინათ ის, რომ ნატო არ აპირებდა ბირთვული იარაღის განლაგებას რუსეთის მეზობლად აღმოსავლეთით ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების ტერიტორიაზე (გორნოსტაევი 1997ა: 4).

მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, თუმცა შეიქმნა სპეციალური ორგანო ნატო-რუსეთის საბჭოს სახით, რომლის მიზანიც იყო თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, კრიზისის მენეჯმენტი, სამხედრო რეფორმების გატარება და ა.შ.

მართალია, ზოგიერთ რეგიონში ორივე მხარეს (ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსსა და რფ) გავლენის მოპოვებასთან დაკავშირებული ინტერესები ამოძრავებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მათი მიდგომა რეგიონში შემავალ ქვეყნებთან მიმართებაში რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, თუ დასავლეთი თავისი გავლენის გაზრდას ცდილობს ეკონომიკური თანამშრომლობით და პარტნიორული ურთიერთობებით, რაც მოიცავს ასევე თანამშრომლობას ვაჭრობის სფეროსა და უსაფრთხოებაში, რუსეთი არ აძლევს სხვა ქვეყნებს თავისუფლად განვითარების საშუალებას და ცდილობს მათთვის საკუთარი ნებისა და ახალი გამაღებელი შეიარაღების თავს მოხვევას.

პოლიტანალიტიკოსების განცხადებით, თავად რუსეთის დაჟინება სიტყვიერ მტკიცებულებაში საკუთარი ძლევამოსილების შესახებ ყურადსაღები და მეტად საფრთხილოა.

რუსი პოლიტოლოგის, ვ. რიბაკოვის თქმით, რუსეთის, როგორც დიდი სახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნების თეზისი, როგორც ეს გამომდინარეობს კრემლის ხელმძღვანელების გამოსვლებიდან, ეფუძნება სამ არგუმენტს. ესენია:

(1) მსოფლიოს ორი უმსხვილესი ბირთვული არსენალიდან ერთ-ერთის საკუთრებაში ქონა;

(2) მსოფლიოს თანამეგობრობის მიერ რუსეთის ფედერაციის სსრკ-ის პირდაპირ მემკვიდრედ აღიარება;

(3) მის მიერ ძველი, “ათასწლეული ისტორიის” რუსეთის კანონიერ მემკვიდრედ გამოცხადება. მისივე განცხადებით, ზემოაღნიშნული (2) და (3) არგუმენტი ამჟამად წარსულს არის ჩაბარებული და მათი მოყვანა ქვეყნის ძლიერების დასადასტურებლად, მსუბუქად რომ ვთქვათ, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. „რაც შეეხება (1) არგუმენტს–ბირთვული არსენალის დიდი რაოდენობით ქონა–დღეისათვის ჯერ კიდევ საკმარისია, რომ შენი ეშინოდეთ, მაგრამ ცოტაა იმისათვის, რომ პატივს გცემდნენ“ (რიბაკოვი 1992: 4).

უფრო მეტიც, მეორე რუსი პოლიტოლოგის, ი. ფედოროვის დაკვირვებით, თუ XX საუკუნეში ბირთვული იარაღის ქონა იყო ძლიერი სახელმწიფოების პრივილეგია, უკვე XXI საუკუნეში საპირისპირო ტენდენცია შეიმჩნევა. ახლა ბირთვული იარაღი იზიდავს სუსტ და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს. სწორედ მასზე დაყრდნობით ისინი ცდილობენ თავიანთი სამხედრო-ტექნოლოგიური ძალის კომპენსაციას მსოფლიოს თვალში (ფედოროვი 2002: 57-59).

იმაზე, რომ ამიერკავკასია, გინდ კასპიის რეგიონის კონტექსტში და გინდ ცალკე აღებული, ყოველთვის წარმოადგენდა რუსეთის ხელისუფალთა ინტერესს, ე. რაშკოვსკი წერს: „მაკროეკონომიკურ ჭრილში რუსეთის იერიში კავკასიაზე იყო ერთ-ერთი რუსეთის იმპერიის უამრავ იერიშთაგანი, არც პირველი და არც უკანასკნელი რეგიონის ისტორიაში... იგივე ბრძოლა საზღვრებისათვის, პლაცდარმებისა და მიწებისათვის, წიაღისათვის, საერთაშორისო სტრატეგიულ და სავაჭრო კომუნიკაციებზე კონტროლისათვის“ (რაშკოვსკი 2002: 37).

სწორედ ამიტომ იყო, რომ რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის ევროპის ინსტიტუტმა ვ. შოროხოვის ხელმძღვანელობით, 1996 წელს მთავრობისათვის მოამზადა კიდევ ერთი რეკომენდაცია-მოხსენება, რომელიც ეხება რუსეთის მომავალ პოლიტიკურ ნაბიჯებს ამიერკავკასიასთან მიმართებაში. მასში სწერია, რომ შეიმჩნევა ამიერკავკასიის ქვეყნების

პროდასავლური ორიენტაცია. მათ შორის სომხეთისაღ. დასკვნის სახით, მეცნიერები მთავრობას უწევენ რეკომენდაციას პრორუსული ძალების განვითარების მიზნით სოციალურ-ეკონომიკური ბაზის შექმნისათვის. მომხსენებელთა თქმით, ფინანსურ შესაძლებლობათა არარსებობის პირობებშიც კი არსებობს ეკონომიკური ბერკეტები, რომლებიც სტიმულს მისცემენ პრორუსულ ორიენტაციას. ესენია: დსთ-ის სივრცეში რუსეთის შეკვეთების განთავსება; რუსეთის ტერიტორიაზე ერთობლივი საქმიანობისათვის შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმი; რუსეთის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამოყენება. შოროხოვის ჯგუფს მოჰყავს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, კ. კინკელის აზრი, რომლის თანახმადაც, ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკური აზრისათვის აუცილებელია რეგიონის ქვეყნების ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობა და რომ საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს შესწევთ უნარი შექმნან არა მარტო პოლიტიკური, არამედ აგრარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის საკუთარი მოდელი, რაც შემდეგ ეროვნებათშორისი და რეგიონში კონფლიქტების მოგვარების ყველაზე ქმედითი ბერკეტი იქნება. მეცნიერები მოუწოდებენ მოსკოვს არ უგულვებელყოს ეს ტენდენციები, ვინაიდან რეგიონის ქვეყნების ინტეგრაციის პროცესს შედეგად მოჰყვება ევროპა-თურქეთ-შუა აზიის სატრანსპორტო ეკონომიკური დერეფნის შექმნა. ეს კი, თავის მხრივ, შეასუსტებს რეგიონში რუსეთის გავლენას. ამიტომ რუსეთმა მთელი აქცენტი უნდა გადაიტანოს ისეთ საკითხზე, როგორცაა ნავთობსადენი. რუსეთის მიზანი უნდა იყოს ნავთობის მხოლოდ „ჩრდილოეთის“ მარშრუტის განხორციელება და აზერბაიჯანსა და საქართველოში NATO-ს გაუვრცელებლობა (შოლოხოვი 1996: 2-3). მოგვიანებით კი (1998 წლის მარტის თვეში) რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი ბ. პოსტუხოვი განაცხადებს, რომ ზოგიერთებს სურთ რუსეთისათვის „ფეხის დაღება“ გაზისა და ნავთობის ტრანსპორტირებაში, მაგრამ ამას რუსეთი არ დაუშვებს და შესაბამისს ზომებსაც მიიღებს (საქართველოს რესპუბლიკა 1998, №56: 1).

რუსეთის ზემოაღნიშნულ პრობლემებს თან ერთვის რუსეთის ტერიტორიულ-კლიმატური უკუჩვენებები, რაზედაც მიუთითებს ი. დუსინსკი თავის წიგნში „რუსეთის გეოპოლიტიკა“: „რუსეთი სინამდვილეში არ არის ისეთი ვრცელი, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. მათ მიხედვით, რუსეთი არის სახელმწიფო, რომელიც ამჟამად იკავებს 19 მილიონი კვ. კმ-ს – ფართობი მართლაც დიდია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ

რამდენი მილიონია დაფარული მუდმივი ყინულითა და თოვლით, ანდა უდაბნოს ცხელი ქვიშით, რომ არაფერი ვთქვათ უამრავ სხვა გამოუყენებელ მიწაზე. კამათი არ არის, და ეს ბელისაგან დაჩაგრული ოლქები, შეიძლება, გამოყენებულ იქნას, მათგანაც შეიძლება სხვადასხვა სიმდიდრის მიღება, მაგრამ მაინც მათი შედარება შავი ზღვისა და სხვა სასარგებლო მიწებთან, შეუძლებელია“ (დუსინსკი 2003: 46).

სწორედ ასეთი მიწების დიდი ნაწილი „ჩამოეჭრა“ რუსეთის ფედერაციას სსრკ-ის დაშლის შემდეგ.

ვინაიდან 90-იან წლებში ი. დუსინსკის იდეების რეაბილიტაცია მოხდა, ჩვენ კიდევ რამდენიმე ციტატას მოვიტანთ მისი ნაშრომიდან: „(სტატისტიკური –ს.ყ.) მონაცემებით რუსეთის იმპერიის სანაპირო ხაზის საერთო სიგრძე 46, 270 ვერსია, მისი 71% კი საზღვაო საზღვარი. ეს იმას ნიშნავს, რომ ზღვასთან თავისი დამოკიდებულებით, რომელიც გამოიხატება საზღვაო საზღვრის სიგრძით (ე. ი. სანაპირო ხაზის სიგრძით) რუსეთის სახელმწიფო წარმოადგენს თითქმის ნახევარკუნძულს, შესაბამისად, საზღვაო საზღვრით ჩვენ არა ვართ ლატაკნი და მისი უკმარისობით არ შეგვიძლია ვიწუწუნოთ. მაგრამ რომელიმე პატარა სრუტის სანაპირო ხაზს შეიძლება ჰქონდეს უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე მრავალი ათეული და ათასეული ვერსის არახელსაყრელ სანაპიროებს. სწორედ ასეთ არახელსაყრელ სანაპიროებს წარმოადგენს ასეთი გრძელი საზღვრის უდიდესი ნაწილი ... 25 000 ვერსი, რაც არის ჩრდილოეთი ზღვის საზღვარი“ (დუსინსკი 2003: 147); „მთელი ეს 71 %-ზე მეტი სანაპირო ხაზისა არის მოჩვენებითი სიმდიდრე, გაუფასოებელი სამუდამოდ ჩრდილოეთყინულოვანი ოკეანის ყინულებითა და ძალზედ არასტუმართმოყვარული ხასიათის არა მხოლოდ უდაბნოებითა, არამედ ნახევრად მკვდარი ზღვებით. მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ჩრდილოეთის საზღვრისა ებჯინება ატლანტიკის ოკეანის თბილ ნაკადებს და აქვს უცილობლად განსაზღვრული მნიშვნელობა. მას ემატება წყნარი ოკეანის საზღვრის ნაწილი, რომელიც გადის, მართალია, სუსხიან, მაგრამ სიცოცხლისუნარიან ზღვაზე და ბოლოს, მოდის ის ზღვები, რომელთაც რუსეთისათვის აქვთ, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული მნიშვნელობა – ბალტიისა და შავი ზღვები, და კასპიის ზღვაც. ეს სამი უკანასკნელი ზღვა ჯარჯერობით თითქმის მარტო თამაშობენ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვან როლს, სხვები კი ჯერ კიდევ წარმოადგენენ სისაძაგლეს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“ (დუსინსკი 2003: 147); „ჩვენთვის ზღვა არ არის საშუალება, არამედ მიზანია. მაშინ, როდესაც სხვები ზღვით ცდილობენ კონტინენტზე გასვლას, ჩვენ კონტინენტიდან მივისწრაფით ზღვისაკენ...ერთადერთის, ვრცელისა და თვალუწვდენელისაკენ... ჩვენი მიზანია – გზის გაკვლევა ზღვისაკენ სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური გაგებით, ჩვენი იდეალია–სრულიად დაგეუფლოთ ოკეანეზე გასასვლელებს“ (დუსინსკი 2003: 149);

„...კასპიის ნახევრად ზღვა... უახლოეს მომავალში უნდა გახდეს რუსული ტბა, რუსეთი თავისი ტერიტორიებით ეხება კიდევ ორ ზღვას –ბალტიისა და შავს. ორივე ეს ზღვა თავისი დამოკიდებულებით ოკეანის მიმართ მსგავსია, ორივე მათგანს აქვს ხმელეთში ღრმად შეჭრილი მსოფლიო ზღვების ყურეები... შავ ზღვასთან დაკავშირებით ჩვენი მიზანი ნათელი და მარტივია... და ეს არის ბოსფორისა და დარდანელის სრული დაუფლება, რაც ნიშნავს მათი სანაპიროების დაკავებასაც“ (დუსინსკი 2003: 150-151).

დღესაც რუსეთის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს თავისი ისტორიული საზღვრების, ეროვნული ინტერესებისა და სამხედრო-სტრატეგიული სივრცის დაცვის უზრუნველყოფა. ერთი შეხედვით ეს ნორმალურიც არის, როდესაც სახელმწიფო იცავს თავისი ეროვნულ ტერიტორიას, თუმცა ამ შემთხვევაში რუსეთის ეროვნულ და სტრატეგიულ სივრცეში რუსეთის გარდა მოიაზრებიან სხვა მისი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები, რომელთაც XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე აღარ სურთ იმპერიის შემადგენლობაში ყოფნა.

სახელმწიფოს შესახებ ფ. რატცელის თეორემის თანახმად, სახელმწიფოს აყვავება დამოკიდებულია მისი ტერიტორიის თვისებებზე. მხოლოდ მისი ტერიტორიის გარკვეული სივრცე მას ანიჭებს დომინანტის პოზიციებს. რატცელის აზრით, სწორედ ეს უნდა იყოს სახელმწიფოსათვის ამოსავალი წერტილი. მანვე ჩამოაყალიბა ფორმულა, თუ როგორ უნდა მოხდეს სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართოება. ამ ფორმულის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი სახელმწიფოს მასშტაბების გაზრდა ხდება მეორე, მცირე ზომის სახელმწიფოს გადაყლაპვის შედეგად. ამასთან სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ფიზიკურ-გეორგაფიული გარემოს ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა მდინარეები, დაბლობები, მთები, საზღვაო ხაზები და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი რაიონები. როგორც ჩანს, რატცელის ეს თეორია პირდაპირ ლაიტმოტივად გასდევს რუსეთის საგარეო პოლიტიკურ კურსს გარე სამყაროსთან და მათ შორის კავკასიის რეგიონთან მიმართებაში.

საქართველო, თავისი ხელსაყრელ გეოსტრატეგიულ მდებარეობასთან ერთად, სხვა სამხრეთელი რესპუბლიკების მსგავსად რუსეთისათვის ბუფერული ზონის შემადგენელი ნაწილია. დიდი შვედი სახელმწიფო მოღვაწისა და გეოგრაფის დ. ჩელენის[†] თქმით კი, ბუფერი ან სახელმწიფოს პერიფერიული მდებარეობა ყოველთვის მიმზიდველად გამოიყურება გარედან პოლიტიკური

[†] მოღვაწეობდა XIX-XX საუკუნეებში.

ზეწოლისათვის. თუ ყოველივე ზემოთქმულთან ერთად გავითვალისწინებთ ამ მოსაზრებებსაც, ცხადი ხდება რუსეთის მოქმედების მიზნები.

გერმანული პოლიტოლოგიური სკოლის თანახმად კი, სახელმწიფო წარმოადგენს ცოცხალ ორგანიზმს და მასზეც ვრცელდება თეორემა „იმარჯვებს ძლიერი“, გარდა ამისა სახელმწიფო არის არა პასიური, არამედ აქტიური არსება, რომელიც უნდა ენერგიულად მისდევდეს თავის მიზნებსა და ინტერესებს.

იმპერიალისტური სულისკვეთებისა და ზესახელმწიფოდ ყოფნის გადაჭარბებული მოთხოვნებისდა მიუხედავად, 1991-1997 წლების რუსეთის ფედერაცია ეკონომიკურად სუსტი სახელმწიფო იყო, რომელიც დამოკიდებული იყო დასავლეთისგან მიღებულ ფინანსურ დახმარებაზე. გარდა ამისა, კრემლის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებში დიდი ადგილი ეკავა სწორედ ურთიერთობებს დასავლეთთან და, უმთავრესად კი, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რის გარეშეც პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის შიგნით ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელება. კრემლში კარგად იცოდნენ, რომ ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების წარმატებულობა დიდად იყო დამოკიდებული დასავლეთთან არა კონფრონტაციაზე, არამედ თანამშრომლობაზე; რომ საჭირო იყო დასავლეთის მხარდაჭერა მსხვილი ინვესტიციების მოსაზიდად; რომ იზოლირებულ მდგომარეობაში ქვეყანას მოსპობილი ექნება სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო მექანიზმები.

მიუხედავად ეკონომიკური სისუსტისა, მოსკოვი ოფიციალურ გამოსვლებსა თუ ქმედებებში ხშირად აფიქსირებდა იმპერიალისტურ განწყობას. მაგრამ ამ ურთიერთობებში ოფიციალური მოსკოვის განცხადებით, რუსეთი ყოველთვის ცდილობდა ეგრძნობინებინა სხვებისათვის, რომ მას აქვს თავისი ინტერესების ზონები, რომელთა დაკარგვასაც არ შეეგუება. ამიერკავკასია, უკრაინა და შუა აზია მისთვის სწორედ ასეთ ზონებადაა მიჩნეული, რომელთა დაკარგვას იგი არა თუ XX საუკუნის ბოლოს, არამედ ახლაც, XXI საუკუნეში, როდესაც მსოფლიოში აღარ არსებობენ იმპერიები და მრავალ ქვეყანაში დემოკრატიის ზეიშია, ვერ ეგუება.

დასავლეთში წამყვან პოლიტიკურ ინსტიტუტებს, პოლიტოლოგებსა თუ პოლიტიკოსებს არ გამოპარვიათ ეს ტენდენციები, მაგრამ მათი მიდგომა რუსეთის მიმართ არაერთგვაროვანი იყო. მაგალითად, კარნეგის ცენტრის

აღნიშვნით, დასავლეთი უფრო მოიგებდა, თუ რუსეთი იქნებოდა ძლიერი და არავითარ შემთხვევაში სუსტი ქვეყანა. მაგრამ ჰ. კისინჯერის მტკიცებით, რუსეთის ეკონომიკურ აღმავლობას აუცილებლად მოჰყვებოდა რუსული ნაციონალიზმისა და ექსპანსიონიზმის აღორძინება ამა თუ იმ ფორმით. არ უნდა ვუგუღვებელყოფოთ არც ზ. ბუეზინსკის მოსაზრება, რომელიც აშშ-ის ხელისუფლებას ურჩევდა აქცენტის გაკეთებას რუსეთის განაპირა მეზობელ ქვეყნებზე. მისი აზრით, მათში ამერიკის პროგრამის უფრო მოკრძალებული მასშტაბებით განხორციელების შემთხვევაშიც კი, ვაშინგტონი ორმაგად მოგებულნი დარჩებოდა, ვინაიდან ამით გაიზრდებოდა აშშ-ის გავლენა. ამასთანავე, ამ ერთგვაროვანი სახელმწიფოების წარმატებები რეფორმების განხორციელებისა უფრო პერსპექტიულია, ვიდრე უზარმაზარ, სხვადასხვაგვარი წინააღმდეგობებითა და ცენტრიდანული ძალებით სავსე ისეთ ქვეყანაში, როგორც რუსეთია (ნანიტაშვილი 2002: 548).

ამერიკელმა მკვლევარებმა, ე. მენსფილდმა და ჯ. სნაიდერმა შემოგვთავაზეს მათემატიკური ფორმულა, რომლის თანახმად, სხვა, თუნდაც ავტოკრატულ ქვეყნებთან შედარებით რუსეთი ორჯერ მეტად ცდილობს იარაღით პრობლემის გადაჭრას (მენსფილდი...1995: 6).

თვითონ რუსეთის ყოფნაც კი იწვევს შესაგრძნობ გავლენას ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიის ფარგლებში წარმოქმნილ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებზე. იგი ელოლიაგება ამბიციურ გეოპოლიტიკურ მიზნებს, რომლებსაც სულ უფრო და უფრო ღიად აცხადებს (არხიეზერი 2002: 53). ა. არხიეზერის დაკვირვებით პოსტსაბჭოთა რუსეთის მისწრაფებებს კარგად ავლენს სახელმწიფო სიმბოლოებიც, რომელთა მეშვეობითაც მისმა ინიციატორებმა კარგად გადაწყვიტეს კომპრომისი „ლიბერალებს - გერბი და დროშა, კომუნისტ-კონსერვატორებს – ჰიმნი“. სინამდვილეში კი მოხდა საზოგადოებაში არსებული გახლეჩვის ჰერალდიკური გაფორმება” (არხიეზერი 2002: 75-76). უფრო მეტიც, ს. მაკინი დასძენს, რომ სახელმწიფო გერბი ნასესხებია ბიზანტიის იმპერიისგან, დროშა კი პეტრე დიდის დროინდელი რუსეთისაა (მაკინი 1996: 36-37). თავისთავად ეს შტრიხებიც რუსეთის იმპერიულ ამბიციებზე მიუთითებენ.

1996 წელს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმა ბელოვეჟის ტევრში მიღებული საჭოთა კავშირის დაშლის აქტი (1991) იურიდიული თვალსაზრისით არასამართლებრივ დოკუმენტად გამოაცხადა, რაც ისტორიის უკან დარუნების

სურვილს წარმოადგენდა. ამის შემდეგ რფ-ამ დადო ხელშეკრულება ბელორუსიასთან, რაც, ჩვენი აზრით, მეტად სიმბოლურ დატვირთვას იძენს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სსრკ-ის შექმნა სწორედ ამ ორი ქვეყნის გაერთიანებით დაიწყო. ამ აქტით ნათლად ჩანს, რომ დსთ-ამ ვერ დააკმაყოფილა რუსეთის მოლოდინი თავისი წარსული გავლენის აღდგენაზე და უფრო ამიციური პროექტის – სსრკ-ის რეალური რეინკარნაციის – განხორციელებას შეუდგა.

ი. კუზმენკოს ჩამოყალიბებული აქვს რუსული ნაციონალიზმის გეოპოლიტიკური ფორმულა, რომლის ქვაკუთხედიცაა რუსეთის შეკრება («собрать Русь») პრინციპით, მაქსიმალური რაოდენობა რუსებისა მაქსიმალურად დიდ ტერიტორიაზე. კუზმენკოს აზრით, 1917 წლის ფარგლებში იმპერიის აღდგენა შეუძლებელია და მხოლოდ იმპერიალისტური ოცნებების ფანტაზიას წარმოადგენს. მისი თქმით, ამ ნაციონალურ აზრებს უფრო ემოციურ-პუბლიცისტური ელფერი სდევს, რომელიც ზოგ შემთხვევაში მეტად სულელურად გამოიყურება. მისი ავტორები ცდილობენ თავიანთი სიმართლის დაცვას და ამ არგუმენტების უმრავლესობა ატარებს ანტიდასავლურ მიმართულებას (კუზმენკო 1994: 19)

საინტერესოა ამერიკელი პოლიტოლოგის, გ. ალმონდის აზრი რუსეთთან დაკავშირებით, რომელიც მან წარმოთქვა ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იან წლებში. მისი აზრით, ამ ქვეყნის ისტორია სულ უფრო და უფრო ხდებოდა „უსასრულო ჩიხი“-ს სინონიმი.

დღეისათვის შექმნილი სურათი ნათელია. რეგიონში გამოკვეთილია ერთი მხრივ რუსეთის ფედერაციასა და მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მეტოქეობა. ამ ბრძოლაში XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლო ხანებში რუსეთის გავლენა შემცირდა მთელი რიგი მიზეზების გამო, რომელზედაც ჩვენ წინა თავებში გვქონდა საუბარი. პარალელურად კი გაიზარდა დასავლეთის, და მეტადრე კი, ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციები.

ჩვენ ვიცით რუსეთის მიზანი:

- ა) არ დაუშვას მის ყოფილ რესპუბლიკებში ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გაფართოება;
- ბ) არ დაუშვას რეგიონში აშშ-ისა და დასავლეთის გავლენის გაზრდა;
- გ) შეინარჩუნოს თავის პერიფერიებზე ტრადიციული კონტროლი;

დ) მოახდინოს ძალთა ბალანსი საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში ნებისმიერი ფორმით (არ იხვევდა არც სადამ პუსეინის რეჟიმთან და არც ირანთან საიდუმლო გარიგებებზე);

ე) აღადგინოს თავისი ძველი, როგორც „ზესახელმწიფოსი“ სტატუსი;

ვ) ენერგორესურსებით მდიდარ რეგიონებსა და ენერგორესურსების ტრანსპორტის მარშრუტებზე სრული კონტროლის დაწესება შემდგომში დასავლეთან პოლიტიკური გარიგებების საწარმოებლად;

ჩვენ ვიცით აშშ-ის ინტერესებიც:

ა) ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის ნავთობით მდიდარი ქვეყნების რუსეთის გავლენის სივრციდან გამოყვანა და მათზე კონტროლის დაწესება;

ბ) რუსეთ-ირანის ალიანსის ჩაშლა;

გ) კონტროლის დამყარება ჩინეთზე;

დ) რეგიონში რუსეთის ბატონობის შეკავება, და ა.შ.

თუ გავითვალისწინებთ ა. სტრაუსის აზრს, რომ აშშ-ის ლიდერობა ატარებს პირველობის ხასიათს თანასწორობა და მეგობართა შორის და არა ერთი სახელმწიფოს ბატონობისას მასზე დაქვემდებარებულ „მეტოქე პარტნიორებზე“ და ჯ. კენანის შეხედულებას, რომ მსოფლიოს ყველა რეგიონი არ არის აშშ-ის უსაფრთხოების თვალსაზრისით ერთნაირად მნიშვნელოვანი, რაც გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ საქართველო (ამიერკავკასიისა და კასპიისპირეთის რეგიონების კონტექსტში) ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მეტად მნიშვნელოვანია და რომ ეს ინტერესი ჩვენი მიზნების მისაღწევად მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული.

ასეთებად კი ჩვენ გვესახება:

ა) ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;

ბ) ქვეყნის ეკონომიკური განვითარება;

გ) მოსახლეობის სოციალური დონის აღმავლობა;

დ) XXI საუკუნის სახელმწიფოსათვის ნამდვილი დამახასიათებელი ატრიბუტიკის შექმნა;

ე) შესაძლებლობის ფარგლებში რუსეთისაგან მაქსიმალური დამოუკიდებლობის მიღწევა;

ვ) დასავლეთ ევროპულ სტრუქტურებში გაერთიანება.

რა თქმა უნდა, მიზნისაკენ ჩვენი სვლა არ იქნება იოლი, თუნდაც ისევ და ისევ ტრადიციული რუსული ფაქტორის გამო, მაგრამ მიგვაჩნია, რომ

საერთაშორისო თანამეგობრობა და, უმთავრესად კი ამერიკის შეერთებული შტატები, არ დათმობს პოზიციებს რეგიონში, ვინაიდან აქ განმტკიცების შემდეგ, მაღა გახსნილი რუსეთის შეკავება შემდეგ უკვე შეუძლებელი შეიქნება.

აქვე უნებლიედ გვახსენდება ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება, გაკეთებული ჯერ კიდევ 1991 წ., რომ ესტონეთის ხალხი ამოირჩევდა ნებისმიერ ადგილს საცხოვრებლად, ოღონდ არა რუსეთის მეზობლად. მაგრამ ორ ქვეყანას აქვთ საერთო საზღვარი, საერთო ისტორია, საერთო ბედი (ტელბოტი 2003: 156), რასაც ვერც ერთი მხარე ვერ გააქცევს. მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით, ბალტიისპირეთის ქვეყნების კიდევ ერთი დადებითი მხარე ჩვენთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ სამივე ქვეყანა ერთმანეთთან შეკრული და უფრო ძლიერია. ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის ასეთი მჭიდრო ურთიერთკავშირი კი, სამწუხაროდ, არ შეინიშნება. შედარებით, ამ მხრივ, ნორმალური თანამშრომლობაა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, უფრო სუსტი კი საქართველოსა და სომხეთს შორის, ხოლო, ცნობილი მიზეზების გამო, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კავშირები საერთოდ დაკარგულია. საგარეო ორიენტაციის მხრივაც ამ ქვეყნებს შორის სხვაობაა: თუ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი სრულად მიმართულია დასავლეთის სტრუქტურებისკენ (*ევროკავშირი, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი*), აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკაში შეიმჩნევა დანბეულობა და ამის გამო უფრო ცენტრისტულ ხასიათს ატარებს დასავლეთსა და რფ-ას შორის, სომხეთისა კი ძირითადად პრორუსულია. ყოველივე ეს კი ძალების შესუსტებას იწვევს რეგიონში რუსეთის გაძლიერებული მადის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამის შესახებ აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის, უ. ქრისტოფერის მრჩეველი ჯ. კოლინზი მართებულად აღნიშნავს, რომ კავკასიის ქვეყნები ვერ მოახერხებენ თავიანთი უზარმაზარი პოტენციალის გამოყენებას, თუ არ მოისურვებენ და არ შეძლებენ თანამშრომლობას. „ისტორიითა და გეოგრაფიული მდებარეობით შეკრული ეს ქვეყნები მზად უნდა იყვნენ წინააღმდეგობების გადასალახად და საერთო მიზნებზე გაამახვილონ ყურადღება. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებიან ისინი კონკურენტუნარიანი ცალ-ცალკე და ყველა ერთად“ (ძებისაშვილი 1996ა: 4).

ჩვენს მიერ მიზნად დასახული თემის განხილვის დროს, ჩვენ რამდენჯერმე შევეხეთ ისეთ საკითხებს (*მაგალითად, ელცინის პიროვნების დახასიათება, კასპიისპირეთის ენერგორესურსები, ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის გაფართოება აღმოსავლეთისაკენ, ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ*

შტატებსა და რუსეთის ფედერაციას შორის), რომელიც, მართალია, ერთი შეხედვით არ განეკუთვნება XX საუკუნის 90-იანი წლების საქართველო-აშშ-სა და საქართველო-რფ-ს შორის ურთიერთობებს, მაგრამ პირდაპირ არის დაკავშირებული ძირითადი თემის არსთან. ზღვა მასალა მოიპოვება ამ პერიოდის ამსახველი, რომელთა ანალიტიკური დამუშავება და შემდგომ მონოგრაფიის სახით გამოცემა გვაქვს გადაწყვეტილი.

დანართი

საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის 1991-1997

წლებში დადებული ხელშეკრულებების ნუსხა

ოქმი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ. 02.07.1992. ქართ. – 1 გვ, რუს. – 1 გვ.

შეთანხმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს შორის „საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებების უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში თანამშრომლობის კოორდინაციის შესახებ“. 25.08.1992.

საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დელეგაციების სხდომის ოქმი. 20.11.1992.

საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის სამთავრობო დელეგაციების მოლაპარაკებების ოქმი. 09.04.1993.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რაიონების ეკონომიკური აღდგენის შესახებ. 14.09.1993. რუს. – 2 გვ.

ოქმი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის 1993 წლის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. 1993 წ. რუს. – 1+3 გვ.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის 1992 წლის ტექნიკური კრედიტის დავალიანების საქართველოს მთავრობის სახელმწიფო კრედიტად გადაფორმების შესახებ. მოსკოვი. 14.09.1993. რუს. – 3 გვ. ძალაშია 22.03.1994-დან.

შეთანხმება რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ ბანკსა და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს შორის საქართველოს ეროვნული ვალუტის შემოღების შემდეგ ბანკთაშორისი ანგარიშსწორების წესის შესახებ. მოსკოვი. 14.09.1993. რუს. – 3 გვ. ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

შეთანხმება რუსეთის ფედერაციის მთავრობასა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოს ეროვნული ვალუტის შემოღებასთან დაკავშირებული ურთიერთვალდებულებებისა და ურთიერთდახმარების შესახებ. მოსკოვი. 14.09.1993. რუს. – 3 გვ. ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის 1993 წლის სახელმწიფო კრედიტის შესახებ. მოსკოვი. 14.09.1993. რუს. – 3+2 გვ. ძალაშია 22.03.1994-დან.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის „ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო ვალისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის საკითხების მოწესრიგების შესახებ“. 14.09.1993. რუს. – 3 გვ. რუსეთის მიერ რატიფიცირებულია 09.11.1995 წელს, ხოლო საქართველოს მიერ – 16.02.2001 წელს. ძალაშია 01.03.2001-დან.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსული რუბლის, როგორც მიმოქცევის საშუალების ხმარებიდან ამოღებისა და საქართველოს რესპუბლიკის მიერ ეროვნული ვალუტის შემოღებასთან დაკავშირებული ურთიერთვალდებულებებისა და მოთხოვნების შესახებ. მოსკოვი. 08.10.1993. რუს. – 2 გვ. ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის „საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის შესახებ“. მოსკოვი. 08.10.1993. ა. ჩიკვაიძე. ქართ. – 28 გვ., რუს. – 21 გვ. ძალაშია 31.03.1994-დან.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის „საბაჟო საზღვარზე გამშვები პუნქტების შესახებ“. მოსკოვი. 08.10.1993. ქართ. – 4 გვ., რუს. – 4 გვ. ძალაშია 31.05.1994-დან.

შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის არასავაჭრო გადასახადების შესახებ. 14.09.1993. რუს. – 4 გვ.

ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებების სამართლებრივი სტატუსის შესახებ. მოსკოვი. 08.10.1993. რუს. – 25 გვ. ექვემდებარება რატიფიკაციას.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებების დროებით ყოფნასთან დაკავშირებულ საკმეებზე იურისდიქციისა და სამართლებრივი საკითხების შესახებ. მოსკოვი. 08.10.1993. რუს. – 13 გვ. ძალაში შედის წინა შეთანხმებასთან ერთად.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებების მატერიალური და საგაჭრო-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის პრინციპების შესახებ. მოსკოვი. 08.10.1993. რუს. – 3 გვ. ძალაში შედის მე-16 შეთანხმებასთან ერთად.

რესპუბლიკის შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებების მიერ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ელექტრო და საფოსტო კავშირების მომსახურებისა და რადიოსიხშირეებით სარგებლობის საკითხების შესახებ. მოსკოვი. 08.10.1993. რუს. – 5 გვ. ძალაში შედის მე-16 შეთანხმებასთან ერთად.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებების სამხედრო ეშელონების, მათ შემადგენლობაში შემაჯავალი პირების, საბრძოლო ტექნიკის, ცალკეული ქვედანაყოფებისა და რაზმების, სხვა სამხედრო ტვირთების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე გადაზიდვისა და ტრანზიტის წესის შესახებ და საბაჟო და საგადასახადო შეღავათების მინიჭების წესისა და პირობების შესახებ. მოსკოვი. 08.10.1993. რუს. – 8 გვ. ძალაში შედის მე-16 შეთანხმებასთან ერთად.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის რუსეთის ფედერაციის საფრენი აპარატების ფრენის უშიშროების საკითხების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში. მოსკოვი. 08.10.1993. რუს. – 4 გვ. ძალაში შედის მე-16 შეთანხმებასთან ერთად.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საქართველოს რესპუბლიკის სანაპირო წყლებში ცურვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ. 08.10.1993. რუს. – 3 გვ. ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის წყლებსა და პორტებში სამხედრო გემების ცურვისა და ყოფნის წესის შესახებ. მოსკოვი. 08.10.1993. რუს. – 4 გვ. ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებებისა და საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ სასწავლო ცენტრების, პოლიგონების, სასროლების, დაწესებულებების, აეროდრომებისა და პორტების ერთობლივი გამოყენების წესისა და პირობების შესახებ. მოსკოვი. 08.10.1993. რუს. – 3 გვ. ძალაში შედის მე-16 შეთანხმებასთან ერთად.

საკონსულტო კონვენცია საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის. მოსკოვი. 8.10.1993. ქართ. – 39 გვ, რუს. – 36 გვ. საქართველოს მხრიდან რატიფიცირებული არაა.

შეთანხმება შავი ზღვის ფლოტის მეთაურობასა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს შორის. 3.11.1993.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის „გეოდეზიის, კარტოგრაფიის, კადასტრისა და დედამიწის დისტანციური ზონდირების დარგში თანამშრომლობის შესახებ“. მოსკოვი. 17.11.1993. ქართ. – 3 გვ., რუს. – 3 გვ. ძალაშია 29.09.1995-დან.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის მრეწველობის თავდაცვის დარგის საწარმოების, საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერაციის შესახებ. მოსკოვი. 24.12.1993. რუს. – 3 გვ. ძალაში შედის მე-16 შეთანხმებასთან ერთად.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის „სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“. მოსკოვი. 15.12.1993. ქართ. – 5 გვ., რუს. – 4 გვ. ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ოქმი საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის თანამშრომლობის შესახებ. 27.12.1993. ქართ. – 3 გვ., რუს. – 3 გვ. ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის 1994 წლის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. თბილისი. 3.02.1994. ქართ. – 3 გვ, რუს. – 4 გვ. ვადაგასულია.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის „გადასახლების პროცესის რეგულირებისა და

გადასახლებულთა უფლებების დაცვაზე“. თბილისი. 03. 02.1994. ქართ. – 7 გვ., რუს. – 7 გვ. რუსეთის მხრიდან რატიფიცირებულია 25.11.1994. სახელმწიფო დელეგაციათა მე-10 შეხვედრაზე გადაწყდა ახალი შეთანხმების ხელმოწერა.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის „კავშირგაბმულობის დარგში თანამშრომლობის შესახებ“. თბილისი. 03.02. 1994. ქართ. – 4 გვ., რუს. – 4 გვ. ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის „მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ“. თბილისი. 03.02.1994. რუსეთის მხრიდან რატიფიცირებული არ არის. საქართველოს მხრიდან რატიფიცირებულია 17.01.1996 (18.03.1996). ქართ. - 10 გვ., რუს. – 17 გვ.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“. თბილისი. 03. 02.1994. ქართ. – 8 გვ., რუს. – 11 გვ. დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 10.03.1994. საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 11.02.2000.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის „სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ“. თბილისი. 03.02.1994. ქართ. – 4 გვ., რუს. – 6 გვ. ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის კულტურის, მეცნიერებისა და განათლების შესახებ. თბილისი. 3.02.1994. ქართ. – 7 გვ, რუს. – 10 გვ. ძალაშია 30.08.1994-დან.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის „საერთაშორისო მიმოსვლის შესახებ“. თბილისი. 03.02.1994.

